

საქართველოს ოფიცერთა კავშირი

ბივი იასუჰილი

**საქართველოს სამხედრო
მეცნიერების აკადემია**

**დაარსება და მიღწევები
კრებული**

გამოცემა პირველი

თბილისი 2009 წ.

დაბეჭდილია შპს „საბარი“-ს მიერ



საქართველო, თბილისი,
0154 თევდორე მღვდლის 57

ტირაჟი: 200 ცალი

ISBN 978-9941-0-1196-2

Union of Military Officers of Georgia

GIVI IASESVILI

Academy of War Science of Georgia

**Establishment and Achievements
Complete works**

Tbilisi 2009



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა ს

პოლკოვნიკი გივი იასეშვილი

დაიბადა 1940 წელს. არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის წევრი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სადისკუსიო კლუბის წევრი, საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის პრეზიდიუმის წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მაძიებელთა გუნდის ხელმძღვანელი.

ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

საიუბილეო კრებულის „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“, დაარსება და მიღწევები, 2009 წელი. გამოცემის პროცესში საქართველოს ოფიცერთა კავშირში გაფორმდა სპეციალური ბრძანება. საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემია. ქ. თბილისი, ბრძანება №3 04.04.2009 წ.

ციტირება

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი გივი იოსების-ძე იასეშვილი მონვეული იქნას სამუშაოდ საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემიაში და დაინიშნოს პირველ პრორექტორად სამეცნიერო დარგში პროფესორის თანამდებობაზე. პირადობის მონშობა №2.

აკადემიის რექტორი გენერალ-ლეიტენანტი
იური ნეპიერიძე.

დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის კოლექტივი და მისი დამაარსებელი სანიციაციური ჯგუფი მაღლობას უხდის ბატონ გიორგი კიკნაძეს თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

ანოტაცია

ჩემს მიერ თქვენს წინაშე განხილვაზე წარმოდგენილი კრებული „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“ (სსმა), დაარსება და მიღწევები, შედგება იმ გამოქვეყნებული სტატიებისაგან, ინტერვიუებისაგან, სამეცნიერო შრომებისაგან, მოხსენებებისაგან, სსმა-ს წლიური სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშებისაგან, განცხადებებისა და წერილებისაგან, რომლებიც საზოგადოებაში ფართოდ განხილულია, აპრობირებულია, სპეციალისტების მიერ მრავალგზის დადებითად შეფასებული-რეცენზირებულია და საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

კრებული გათვალისწინებულია იმ პირთათვის, ვისაც სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიჭი და ინტელექტი გააჩნია. კრებულის გამოცემა განაპირობა აკადემიკოსების შოთა ნადარიშვილის, ლეო ჩიქავას, ალექსანდრე კუჭუხიძის, პოლკოვნიკ გივი ლეფონავას, პროფესორების გულაბერ ანანიაშვილის და გამარლი დონაძის თანაავტორობით 2007-2008-2009-2010 წლებში ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობამ. კონკურსზე წარდგენილი გვექონდა კოლექტიური ავტორობით სსმა-ში დამუშავებული მონოგრაფია-მიმოხილვა „სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“.

კრებულში დამოუკიდებელ თავებად განიხილულია:

- სახელმწიფო პრემიაზე განმეორებით წარსადგენი თერთმეტი სამეცნიერო ნაშრომი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამეცნიერო საბჭოსთვის მომზადებული საანგარიშო მოხსენება „სსმა-ს ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 1999-2003 წლების შედეგები და მომავალი ამოცანები“;

- სსმა-ს დაარსების კონცეფცია-წესდება;
- გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და ინტერვიუები;
- აკადემიის წევრების მიერ ჟურნალისტებისთვის მიცემული ინტერვიუები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ გამოქვეყნებული შრომები;
- ფრაგმენტი აკადემიკოს ლეო ჩიქავას საიუბილეო წიგნიდან „განვლილი ცხოვრების შტრიხები“;
- გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით:

ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის სატრანზიტო დერეფნის პირობებში – ნავთობის ტრანზიტის მაგალითზე. სამეცნიერო მოხსენების ფორმით წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია;

სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია. მონოგრაფია-მიმოხილვა;

- სსმა-ს წლიური სამეცნიერო ანგარიშები;
 - განცხადებები;
 - საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრების სამეცნიერო შრომების კრებულის მე-6 ტომის ანალიზი;
- ფრაგმენტი აკადემიკოს ლეო ჩიქავას მონოგრაფიიდან „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“;
- ინგლისურ ენაზე თარგმნილი კრებულის შემოკლებული ვარიანტი.

კრებულში გაანალიზებულია საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარების ათწლიანი პერიოდი 1999 წლის იანვრიდან 2009 წლის იანვრამდე. მონიწვევს სახელმწიფოების საერთაშორისო გამოცდილებამ ცხადყო, რომ ქვეყანაში დარგის განვითარებას ესაჭიროება დაახლოებით ნახევარი საუკუნე. ავტორი მიზნად ისახავს მეცნიერთა ფართო წრის მონაწილეობით შექმნას ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვითი სისტემის მოწყობის სახელმძღვანელო ნაშრომი. მეცნიერება ხომ კოლექტიური შრომის შედეგია.

საიუბილეო კრებულის ფრაგმენტები განხილულია საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში.

ამავე დროს კრებული ეძღვნება ავტორის დაბადების 70, სამეცნიერო მოღვაწეობის 39 და პედაგოგიური მოღვაწეობის 37 წლის თავს. დავიბადე 1940 წლის 18 აპრილს.

ჩემს მრავალრიცხოვან შრომებში პირველ ნაშრომს წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტში სწავლის დროს სტუდენტთა 32-ე სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება.

1961 წლის 19 აპრილი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია.

“მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში“.

მესამე კურსის სტუდენტი გივი იოსების ძე იასეშვილი

მეცნიერ ხელმძღვანელი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი ლეო ჩიქავა.

1963 წარჩინებით დავამთავრე საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, განაწილებით სამუშაოდ დამტოვეს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. კათედრას ხელმძღვანელობდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ გაბაშვილი. მომცეს სრული პედაგოგიური დატვირთვა. ჩემი პირველი შრომითი საქმიანობა დავიწყე ლექციების კითხვით. საგანი “ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“.

რედაქტორები:

1. **კოტე მელაშვილი** გენერალ-მაიორი. საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, მწერალი;
2. **აკაკი მთიულიშვილი** გენერალ-მაიორი, საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. **ლეო ჩიქავა** – საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;
2. **გივი ლეფონავა** პოლკოვნიკი;
3. **ნიკოლოზ გაბაშვილი** პროფესორი;
4. **ანატოლი საზონოვი** პროფესორი (სანქტ-პეტერბურგი);
5. **ალექსანდრე სერებრიანიკოვი** პროფესორი (მოსკოვი).

მრჩეველი:

გივი ბარკალაია პირველი რანგის საზღვაო კაპიტანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები:

1. **იური ნებიერიძე** გენერალ-ლეიტენანტი.
საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე. საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემიის რექტორი;

2. **ელგუჯა მეძმარიაშვილი** გენერალ-ლეიტენანტი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

3. **ელვერ კუპატაძე** გენერალ-მაიორი.

საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

4. **ნოდარ ჭითანავა** – საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ კოორდინატორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

5. **ანზორ ხელაშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

6. **ვალერიან ქვარაია** გენერალ-მაიორი;

7. **გივი ყუფუნია** პოლკოვნიკი;

8. **იოსებ ბარნაბიშვილი** პოლკოვნიკი.

P.S. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გენერალ-ლეიტენანტ, ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ დამუშავებულმა ასიმეტრული ომის წარმოების თეორიამ საქართველოში პრაქტიკული გამოყენება ვერ ჰპოვა.

გივი იასეშვილი

ავტორისაბან

რადგან საიუბილეო კრებულს “საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია” შინაარსობრივად განსახილავი რთული საკითხების ფართო სპექტრი გააჩნია, რეცენზენტები ცალკეული მთავარი თავების მიხედვით არიან წარმოდგენილნი:

იური ნებიერიძე — “სსმა-ს 2006, 2007 და 2008 წლების ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის წლიური სამეცნიერო ანგარიშები”;

ნოდარ ჭითანავა — “ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის სატრანზიტო დერეფანის პირობებში — ნავთობის ტრანზიტის მაგალითზე” სამეცნიერო მოხსენების ფორმით წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია;

ელვერ კუპატაძე — “სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია”. მონოგრაფია-მიმოხილვა;

ელგუჯა მექმარიაშვილი — “სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია”. მონოგრაფია-მიმოხილვა.

გარდა ზემოთ თქმულისა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 2001 წლის 20 ივნისს მოხდა სსმა-ს პრეზენტაცია, მოაზროვნეთა საჯარო სემინარებზე — ლექცია ან საუბარი ცოცხალი სჯა-ბაასითა და შესატყვისი დიალოგით, ტრადიციად იყო, არის და იქნება დამკვიდრებული, სსმა-ს ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშების ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის შედეგების განხილვა, სადაც სამხედრო-სამოქალაქო აუდიტორია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, ოფიციალურ ოპონენტებთან და ექსპერტებთან ერთად, ყოველთვის დადებით შეფასებას აძლევდნენ აკადემიის კოლექტივის წლიურ სამეცნიერო ანგარიშებს.

ოფიციალური ოპონენტები როტაციის მეთოდს ექვემდებარებოდნენ და ყოველწლიურად იცვლებოდნენ.

სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი ჩემი მეცნიერული შრომები მრავალგზის დადებითად რეცენზირებულია, ამავე დროს დადებითად რეცენზირებულია სამხედრო-თეორიული ჟურნალი “სამხედრო აზრი” და აკადემიკოს ლეო ჩიქავას მონოგრაფიები.

კრებულის საერთო-ინტეგრირებული რეცენზია ღრმად პატივცემული მკითხველისთვის მიმინდია.

აკადემიის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფისა და მთელი კოლექტივის სახელით, მადლობას ვიხდი რეცენზიებისთვის და გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებებისთვის, რომლებსაც შემდგომ გამოცემებშიც გავითვალისწინებთ.

ჩემთვის, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სსმა-ს ლიდერისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება აკადემიის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

კრებულში გამოყენებულია მრავალრიცხოვანი ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც ხელმოწერილია შესაბამისი ხელმძღვანელი მუშაკების მიერ, რეგისტრირებულია და დამონმებულია შესაბამისი ოფიციალური ბეჭდებით.

კოლექტიური ავტორობით დაწერილი მონოგრაფია-მიმოხილვის „სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-იფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“ საზოგადოებრივი განხილვისა და ჩემი კრებულის „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“ გამოსაცემად მომზადების პროცესში, ჩემთვის მოულოდნელად, ბატონების ლეო ჩიქავას და ნოდარ ქითანავასთან ერთად ამირჩიეს საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის საპატიო წევრად – აკადემიკოსად.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი, პოლკოვნიკი
გივი იასეშვილი.

წინასიტყვაობა

მე მივეკუთვნები მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელსაც საშუალო სკოლის ოქროს მედალზე, ინსტიტუტის წარჩინებით და დასწრებული ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დროს მომიხდა ძირითადად სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების მქონე საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სამეცნიერო-კვლევით პროცესებში შეგნებული ცხოვრების მთლიანად, ან ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილის გატარება, რამაც თავისი სპეციფიკურობისა და სახელმწიფოებრივი სიმკაცრის გამო საკუთარი მძიმე, მაგრამ ამავდროს საპატიო კვალი წითელ ზოლად დაატყო ჩემს შეგნებულ ცხოვრებას და მთლიანად რთულ ავტობიოგრაფიას.

იძულებული გამხადეს სხვადასხვა პროფილის მქონე ორი დისერტაცია დამენერა და ორივე სადოქტორო აღმოჩნდა:

ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები, საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის სატრანზიტო დერეფანის პირობებში – ნავთობის ტრანზიტის მაგალითზე;

ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში.

საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ჩემი სამეცნიერო შრომების ციკლი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებები“. ხუთი სამეცნიერო ნაშრომი. 1992-1996 წ.წ. ქ. მოსკოვი. მეექვსე და მეშვიდე ნაშრომი არ მიიღეს, რადგან საკონტროლო დრო სამი წელი ჯერ არ იყო გასული.

რომელთა ბაზაზე საინიციატივო ჯგუფთან ერთად, კადრების დეფიციტის პირობებში, დავაარსე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია (სსმა), რომელმაც ბრწყინვალედ გაუძლო დროისა და ისტორიის მკაცრ გამოცდას.

იუნესკოს გენერალური კონფერენციის 31-ე სესიის 2001 წლის გადწყვეტილების შესაბამისად მეცნიერების ისტორიის საქართველოს

საზოგადოება, რომლის პრეზიდენტია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რაფიელ ჩიქოვანი, 2005 წლიდან ატარებს კონკურსებს წლის საუკეთესო მეცნიერების გამოსავლენად, რომლის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულის გამოვლენა ხდება 10 ნოემბერს – მეცნიერების დღეს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, გენერალ-ლეიტენანტის ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის რეკომენდაციით ამ კონკურსში მონაწილეობა მივიღე სამჯერ ზედიზედ 2006, 2007 და 2008 წლებში.

2006 წელს წარვადგინე რვა გამოქვეყნებული სტატიების ციკლი საერთო სახელწოდებით „სამხედრო მეცნიერება“.

2007 წელს წარვადგინე ექვსი გამოქვეყნებული სტატიების ციკლი საერთო სახელწოდებით „სამხედრო მეცნიერება“, რომელთაგან ხუთი სტატია ეხება ქართული სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციური ეკონომიკის მომიჯნავე საკითხებს;

2008 წელს კოლექტიური ავტორობით წარვადგინე მონოგრაფია „სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“ მონოგრაფია-მიმოხილვა.

როგორც ყველას, საბჭოთა კავშირის სისტემაში აღზრდილ მეცნიერს, რეგულარულ სამხედრო შეკრებებში აქტიური მონაწილეობისთვის კაპიტანის სამხედრო წოდების მიღების შემდეგ, რაიონულ სამხედრო კომისარიატში მითხრეს, რომ ჩემთვის ეს იყო უკანასკნელი სამხედრო წოდება და თუ საომარ პროცესში (ბრძოლაში) არ მომიხდებოდა მონაწილეობის მიღება მეტს არ დამაწინაურებდნენ.

ხოლო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამხედრო მეცნიერების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის 2007 წლის 30 მაისს საქართველოს ოფიცერთა კავშირში გენერალ-მაიორ აკაკი მთიულიშვილის რეკომენდაციით, როგორც იშვიათი გამონაკლისი, ვადაზე ადრე მომანიჭეს ვიცე პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ხოლო სულ რაღაც წელიწადნახევრის გავლის შემდეგ ნაცვლად ოთხი წლისა, 2008 წლის 26 ნოემბერს გენერალ-მაიორ ელვერ კუპატაძის რეკომენდაციით, როგორც იშვიათი გამონაკლისი, ვადაზე ადრე მომანიჭეს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

თავი პირველი

კონცეფცია, რეკომენდაციები და
დახასიათებები. ათი ოფიციალურად
ხელმოწერილი დოკუმენტი.

საინფორმაციო ფურცელი.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის
გვი იოსების ძე იასეშვილის

ავტობიოგრაფია: დაიბადა 1940 წელს, 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და ამავე დროს მიენიჭა ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1968 წელს დაამთავრა დასწრებული ასპირანტურა, მინიჭებული აქვს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი სამეცნიერო ნაშრომებს ციკლი წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე.

იცავს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც თეორიულად წარმოადგენს ნავთობის მოპოვების, ტრანსპორტირების, გადამუშავების და საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემურ ამოცანას, რაც განაპირობებს მაქსიმალურ სავალუტო შემოსავალს. საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის წევრია და კითხულობს ლექციებს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის აქტუალურ პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს ორმოცი სამეცნიერო ნაშრომი. აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიიღო საქართველოს პრეზიდენტის მადლობის წერილი.

ამჟამად მუშაობს სამხედრო მეცნიერების განვითარებაზე. უშუალო მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიული ჟურნალის „სამხედრო აზრის“ დაარსებაში და სწავლულთა საბჭოს შექმნაში, რომლის წევრიც თვითონ არის. დაწერა მონოგრაფია „ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციაზე და მეთოდებზე“. ინტენსიურად მუშაობს შრომის ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების თანამედროვე

ეროვნული მოდელის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. არჩეულია საინჟინრო აკადემიის წევრად და ხელმძღვანელობს ჯარების და ძალების მართვის მიმართულებას. ნიადაგი მოუმზადა სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებას.

კონცეფცია. კაცობრიობა სამი დიდი პრობლემის წინაშე იმყოფება: ზნეობრიობის პრობლემა, ეკოლოგიური პრობლემა და ინტელექტუალური შრომის ინტენსიფიკაციის პრობლემა, რამაც უნდა გადაარჩინოს ცივილიზაცია. მეცნიერულ ტექნოლოგიური პროგრესის და მეცნიერებათმცოდნეობის დაჩქარებული განვითარების პროცესი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს, რომელიც ეკონომიკის ამოქმედებას განაპირობებს და საერთაშორისო დონეზე აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას. მისი მართვა საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის გადამწყვეტი პრობლემა უნდა გახდეს. პარლამენტში საჩქაროდ არის მისაღები მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის და მეცნიერებათმცოდნეობის დაჩქარებული განვითარების საკანონმდებლო ბაზა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი:

მეუღლე – ლამარა მეგრელიშვილი, ექიმი;

ვაჟიშვილი – იოსებ (სოსო) იასეშვილი, მათემატიკოსი;

ქალიშვილი – თამარ (თათია) იასეშვილი, ექიმი.

1995 წ.

დახასიათება

საწარმო-ტექნიკური გაერთიანება „ავტოტრანსტექნიკის“ თანამშრომელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, იასეშვილი გივი იოსების ძე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი არის 1975 წლიდან. იგი აქტიურ მონაწილეობას ლეზულობს ლექციურ პროპაგანდაში და ახალგაზრდა ლექტორების აღზრდაში, მათი თეორიული ცოდნის დონის ამაღლებაში და მეთოდური ოსტატობის დახვეწაში.

ამხ. გ.ი. იასეშვილი ორჯერ არის არჩეული საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად. ის არის საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის გამგეობასთან არსებულ ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე.

ამხ. გ.ი. იასეშვილი ლექციებს კითხულობს შემდეგ თემებზე: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი (მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია)“ და „იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური პრობლემები“. იგი სამი წელია არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე მომუშავე სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. მისი ლექციები ხასიათდება თეორიული და პრაქტიკული აქტუალობით, ცხოვრებასთან კავშირით. იგი, როგორც ლექტორი, ლექციებს კითხულობს მეთოდურად გამართულად და გააჩნია კარგი ორატორული მონაცემები.

ამხ. გ.ი. იასეშვილი არის დისციპლინირებული პიროვნება, ენერგიული მეცნიერ-მუშაკი და საზოგადოება „ცოდნის“ კარგი ლექტორი, კოლეგებს, მეგობრებსა და ახალგაზრდობას შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

დახასიათება გაცემულია საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წარსადგენად.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“
თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის გამგეობის
თავმჯდომარე – ი. ბაქრაძე

1985 წ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსს

ცნობა

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1998 წლის 27 ივლისის განკარგულებით საქართველოს მოსახლეობაში სალექციო-საგანმანათლებლო, საგამომგონებლო საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მადლობა გამოეცხადათ საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ სისტემის თანამშრომლებსა და ლექტორებს:

გივი იასეშვილს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის სამხედრო აღმშენებლობის, რეფორმების და სამეცნიერო ჯგუფის უფროს ოფიცერს, კაპიტანს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს.

გთხოვთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მადლობა წერილობით ჩაწეროთ ჩვენი ოფიცრის კაპიტან გივი იოსების ძე იასეშვილის პირად საქმეში.

დანართი: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ 1998 წლის 1 აგვისტოს ნომერი.

შეიარაღებული ძალების
რეფორმების, დაგეგმარებისა
და კვლევითი ცენტრის უფროსი
პოლკოვნიკი **გ. ლეფონავა**

1998 წ.

**გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო
ცენტრის უფროსი ოფიცარის, კაპიტანის, ტაქნიკის
მეცნიერებათა კანდიდატის
გივი იოსების ძე იასეშვილის**

დახასიათება

კაპიტანმა გ. იასეშვილმა თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში 1996 წლის ივლისში ხელშეკრულებით დაიწყო მუშაობა. მან დასაწერად მოიტანა წარმატებით დაცული საკანდიდატო დისერტაცია „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებები“, რომლის ნაშრომთა ციკლი 1997 წელს თავდაცვის სამინისტრომ წარადგინა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიაზე.

განვლილი სამი წლის განმავლობაში კაპიტანმა გ. იასეშვილმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თავი გამოამჟღავნა, როგორც დისციპლინირებულმა და მიღებული დავალების შესრულების მაღალი კულტურის მქონე ოფიცერმა, მისი სამსახურებრივი სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის სპექტრია:

1. ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ერთად ენერგიულად იღნვის სამხედრო მეცნიერების (ხელოვნების) განვითარებისთვის საქართველოში. როგორც ქვეყნის ერთადერთი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, მუშაობს შეიარაღებული ბრძოლის ინფორმაციულ შემადგენელზე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა და გამოქვეყნებული შრომები ეხება ინფორმაციული ბრძოლის პრობლემებს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.
2. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის საბჭოს შექმნაში; საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო მეცნიერების განყოფილების დაარსებაში, სადაც იგი ხელმძღვანელობს ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულებას, როგორც მრჩეველი; საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების აკადემიაში სამხედრო პოლიტოლოგიის ცენტრის დაფუძნებაში; თავდაცვის სამინისტროს სწავლულთა საბჭოს

ამოქმედებაში, რომლის წევრი თვითონ არის; ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გენერალური შტაბისა და სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის ღონისძიებებში; ბრძანებით ორჯერ ასრულებდა სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსის მოვალეობას.

3. მან უშუალო წვლილი შეიტანა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიულ ჟურნალის „სამხედრო აზრი“ დაარსებაში და მისი პირველი ორი ნომრის გამოშვებაში, რისთვისაც ბრძანებით გამოეცხადა მადლობა.
4. იგი როგორც სამხედრო მეცნიერი და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი აქტიურად მონაწილეობს სამეთაურო-სამშტაბო სწავლებებში, თავდაცვის სამინისტროში მონყობილ და დედაქალაქში გამართულ რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ სემინარებში და კონფერენციებში. აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი მუშაობისათვის 1998 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ე. შევარდნაძემ გამოუცხადა მადლობა.
5. ამავე დროს იგი აქტიურ მთარგმნელობით მუშაობას აწარმოებს. გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის სამმართველოსთვის რუსულიდან ქართულად თარგმნა 6 სპეციალური წიგნი, ხოლო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში სამსახუროებრივი მოვალეობის შესრულებით სისტემატიურად თარგმნის სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებს.
6. სამხედრო მეცნიერების იზოლაციიდან გამოყვანის და მისი ჩართვის მიზნით საქართველოს სამეცნიერო ცოდნის ერთიან სისტემაში რეგულარულად აწარმოებს ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების ღონისძიებებს ცნობილ ქართველ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

დახასიათება გაცემულია სამსახუროებრივი სარგებლობისთვის.

გენერალური შტაბის სამხედრო-
სამეცნიერო ცენტრის უფროსი
პოლკოვნიკი **გ. ლეფონავა**

1999 წ.

ცნობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსი ოფიცრის, კაპიტანის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის **გივი იოსების ძე იასეშვილის** სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობის შესახებ.

გივი იასეშვილმა თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში 1996 წლის ივლისში ხელშეკრულებით დაიწყო მუშაობა. მან დასაწერგად მოიტანა წარმატებით დაცული საკანდიდატო დისერტაცია „ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალურ დანიშნულების მართვის ავტომატიზირებულ სისტემებში“. მის მიერ 1992-1996 წლებში ქ. მოსკოვში გამოქვეყნებული შვიდი სამეცნიერო ნაშრომთა ციკლი „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებები“ 1997 წელს თავდაცვის სამინისტრომ წარადგინა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიაზე.

განვლილი პერიოდის განმავლობაში გ. იასეშვილის სამსახურეობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ანუ სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობის სპექტრი შემდეგია:

ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ერთად ეწეოდა იღწვის სამხედრო მეცნიერების და ხელოვნების განვითარებისათვის საქართველოში. როგორც ქვეყნის ერთადერთი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, მუშაობს შეიარაღებული ბრძოლის ინფორმაციულ შემადგენელზე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა და გამოქვეყნებული შრომები ეხება ინფორმაციული ბრძოლის პრობლემებს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას;

მან აქტიური მონაწილეობა მიიღო: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის საბჭოს შექმნაში; საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო მეცნიერების განყოფილების დაარსებაში, სადაც იგი ხელმძღვანელობს ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულებას, როგორც მრჩეველი, საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების აკადემიაში სამხედრო პოლიტოლოგიის ცენტრის დაფუძნე-

ბაში, თავდაცვის სამინისტროს სწავლულთა საბჭოს ამოქმედებაში, რომლის წევრი თვითონ არის; ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გენერალური შტაბისა და სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის ღონისძიებებში; ბრძანებით ორჯერ ასრულებდა სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსის მოვალეობას;

მან უშუალო წვლილი შეიტანა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიული ჟურნალის „სამხედრო აზრი“ დაარსებაში და მისი პირველი ორი ნომრის გამოშვებაში, რისთვისაც ბრძანებით გამოეცხადა მადლობა. ამ ჟურნალებში დაბეჭდილია ამავე დროს მისი სტატიებიც;

იგი როგორც სამხედრო მეცნიერი და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი აქტიურად მონაწილეობს სამეთაურო-საშტაბო სწავლებებში, თავდაცვის სამინისტროში მონყობილ და დედაქალაქში გამართულ რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ სემინარებში და კონფერენციებში. აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი მუშაობისათვის 1998 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ე. შევარდნაძემ გამოუცხადა მადლობა.

ამავე დროს იგი აქტიურ მთარგმნელობით მუშაობას ეწევა. გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის სამმართველოსთვის რუსულიდან ქართულად თარგმნა 6 სპეციალური წიგნი, ხოლო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებით სისტემატიურად თარგმნის სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებს.

სამხედრო მეცნიერების იზოლაციიდან გამოყვანის და მისი ჩართვის მიზნით საქართველოს სამეცნიერო ცოდნის ერთიან სისტემაში რეგულარულად აწარმოებს ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების ღონისძიებებს ცნობილ ქართველ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის სამხედრო
სამეცნიერო ცენტრის უფროსი
პოლკოვნიკი **გ. ოშხერელი**

1999 წ.

**შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსის**

ბრძანება N34

ქ. თბილისი 30 აგვისტო 2000 წ.

2000 წლის 3 ივლისს, დაუმთავრდა გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში მუშაობის ხელშეკრულების ვადა კაპიტან გ. იასეშვილს და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 29 აგვისტოს N1936 ბრძანებით განთავისუფლებულია სამუშაოდან.

ორი წლის განმავლობაში კ-ნ გ. იასეშვილმა ჩაატარა ნაყოფიერი მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის მაღალ საფეხურზე ასვლას, როდესაც ყოველ ოფიცერ თანამშრომელს მოეთხოვება სამხედრო აკადემიური ფუნდამენტალური ცოდნა. ამასთან დაკავშირებით,

ვბრძანებ:

1. სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის მუშაობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, კაპიტან გ. იასეშვილს გამოეცხადოს მადლობა.
2. ბრძანება დაყვანილ იქნას სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის პირადი შემადგენლობისადმი.

გენერალური შტაბის სამხედრო-
სამეცნიერო ცენტრის უფროსი
პოლკოვნიკი გ. ლეფონავა

ამონაწერი

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის რეფორმების,
დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროსის

9.02.1999 წ.

ბრძანება N13

ქ. თბილისი

ჟურნალ „სამხედრო აზრის“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით

თავდაცვის სამინისტროს 1999 წლის ბრძანება N333 8.12.1998 წ. შესაბამისად, 1999 წლის 9 თებერვალს გამოვიდა სამხედრო თეორიული ჟურნალის „სამხედრო აზრი“ პირველი ნომერი. ჟურნალი მოამზადა და გამოსცა გენერალური შტაბის რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითმა ცენტრმა.

ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა შეიარაღებული ძალების სამხედრო-სამეცნიერო მუშაობაში და გენერალური შტაბის რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის მოღვაწეობაში.

1. ჟურნალი „სამხედრო აზრი“-ს პირველი ნომრის მომზადებაში და გამოცემაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადოს მადლობა:
 - ა) უფროს ლეიტენანტ გ. დონხაძეს, რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროს ოფიცერს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს.
 - ბ) კაპიტან გ. იასეშვილს – რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროს ოფიცერს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს.
2. ბრძანება დაყვანილ იქნას ცენტრის მთლიან პირად შემადგენლობამდე.
რეფორმების, დაგეგმარებისა და
კვლევითი ცენტრის უფროსი
პოლკოვნიკი **გ. ლეფონავა**

საზოგადოება „ცოდნის“ განცხადებები საჩვენებელი ლექციების ჩატარებაზე

გაზეთი „თბილისი“, №134 (9152). პარასკევი, 10 ივნისი, 1983 წ.

საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ცენტრალური ლექტორიუმი. ლენინის ქ. №35

14 ივნისს საღამოს 6 საათზე ლექცია თემაზე „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“.

ლექტორი **გივი იასეშვილი**

11 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ლექცია თემაზე „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“.

ლექტორი **გივი იასეშვილი**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის პოლიტიკის
დეპარტამენტი**

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტს
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ბატონ გ. იასეშვილს

ბატონო გივი,

საქართველოს თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსის, ბატონ გ. კიკნაძის დავალებით (ნერილი N4(662), 2004 წლის სექტემბერი) შევისწავლეთ თქვენი განცხადება (ნერილი N1_ გ-855, 2004 წლის 21 სექტემბერი) და თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მოგმართავთ წინადადებით, დამატებით წარმოადგინოთ:

1. თქვენს აკადემიაში განხილული და მოწონებული კონკრეტული პროგრამა და წინადადებები წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით;
2. თქვენი აკადემიის შექმნასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაციის ასლები;

თქვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამა და წინადადებები განიხილება თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის შესაბამისი სამსახურების მიერ და მათი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე გადაცემული იქნება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საბჭოზე განსახილველად.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ზ. ხუციშვილი

2004 წ.

დახასიათება-რეკომენდაცია

დოქტორი გივი იოსების ძე იასეშვილი არის ერუდიტულ-ლი, კეთილსინდისიერი და მაღალი პროფესიული ღირსების მატარებელი ქართველი ოფიცერი. იგი არის საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი.

წლების განმავლობაში დაუღალავი შრომით, მათ შორის გენერალური შტაბის სამხედრო სამეცნიერო ცენტრში მუშაობისას და შემდგომ პერიოდში, მან შექმნა თავის ირგვლივ შემოქმედება სამხედრო მეცნიერების ენთუზიასტები და დაეწყო მონაწილეობა დარგის განვითარებაში საქართველოში. ასეთი მიდგომით სამხედრო მეცნიერების როლი და ადგილი საქართველოს სამეცნიერო სისტემაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და რეალური გახდა.

ამჟამად, გივი იოსების ძე იასეშვილი, როგორც საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი და, ასევე, როგორც მკვლევარი, ეწევა ფართო სპექტრის სამუშაოს ქართული სამხედრო მეცნიერების და ეკონომიკის მომიჯნავე საკითხებზე.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, გენერალ-მაიორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ელგუჯა მექმარიანშვილი

2008 წ.



საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი
Georgian Humanitarian-Economic University

ქ. თბილისი – 0177, ალ. ყაზბეგის გამზირი 45, გელ. 31 14 75, 31 18 50
 Tbilisi - 0177, 45 Al. Kazbegi Av. Tel. 31 14 75, 31 18 50

№ 82

„19“ ივნისი, 2009 წელი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
 აკადემიკოსს ბაგონ ბივი იასეშვილს

ბაგონო გივი!

2009 წლის 1 ივლისს (ოთხშაბათს) 13 საათზე საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45, VI სართული) შესდგება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, სრულიად საქართველოს სამოგალოება „კოლხეთი“-სა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც მოისმენს აკადემიკოს ღემურ ღაღანიძის მოხსენებას თემაზე: „კოლხ-იბერთა საღიდებელი (წარსული, აწმყო, მომავალი)“ და აკადემიკოს იპაოპ ახუაშვილისა - „სამასთა კომიტეტი – ერთიანი მსოფლიო მთავრობა და მისი მეოთხე უკვირგვინო მეფე“.

გთხოვთ მობრძანდეთ.

პაგივისცემით –

საერთაშორისო ფორუმის
 კოორდინატორი, აკადემიკოსი:

ალექსანდრე კუჭუხიძე

ბ. ა. მ. გ.

თავი მეორე

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად მეცნიერების დარგში კონკურსში განმეორებით წარსადგენი შრომები.
თერთმეტი სამეცნიერო ნაშრომი

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეს
აკადემიკოს **ა. თავხელიძეს**

წერილი წარდგინება

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის
მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობაზე“
ბატონო ალბერტ!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა შუამდგომლობს საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფის უფროსს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, კაპიტან გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ 1983-1994 წლებში საქართველოში (საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რა-

დიანში“ და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარში“) დამუშავებული და მოსკოვში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ციკლს.

„საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ლონისძიებები“ (1992 წ. – 1994 წ.):

1. გ. ი. იასეშვილი – მათემატიკური და ქსელური მოდელები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ერთდროული დამუშავებისა. ჟურნალი „Радиопромышленность“. N3, 1992 წ. ქ. მოსკოვი;
2. გ. ი. იასეშვილი – პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში ინფორმაციის დაცვის თავისებურებები საერთო სარგებლობის კომუტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალი „Радиопромышленность“, N7, 1992 წ., ქ. მოსკოვი;
3. გ. ი. იასეშვილი – ინფორმაციის დაცვის ინტელექტუალური სისტემა. ჟურნალი „Радиопромышленность“. N8-12, 1992 წ., ქ. მოსკოვი;
4. გ. ი. იასეშვილი – ინფორმაციის დაცულობის მათემატიკური მოდელები და კრიტერიუმები. ჟურნალი „Радиопромышленность“. N3, 1994 წ. ქ. მოსკოვი;
5. გ.ი. იასეშვილი – ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესში. ჟურნალი „Радиопромышленность“. N2, 1994 წ., ქ. მოსკოვი.

საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1998 წლის

სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე.

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ციკლის უწყებრივი კუთვნილებაა შეიარაღებული ძალები.

წინასწარ ჩატარებული შესაბამისი 10 წლიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო თემების, ხოლო შემდგომ მის ბაზაზე დამუშავებულ და გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომების ციკლს, ხოლო შემდგომ მის ბაზაზე დაწერილ და წარმატებით დაცულ საკანდიდატო დისერტაციას „ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში“ მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კიბერნეტიკის“ სწავლული მდივანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა.ა. სერებრენიკოვი.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას აუცილებლად მიაჩნია, რათა აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომების ციკლმა მონაწილეობა მიიღოს კონკურსში.

- დანართი:**
1. საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის დასკვნა 4 ფურცელზე.
 2. ამონაწერი საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ჯგუფის 1997 წლის 2 მაისის სხდომის ოქმიდან 2 ფურცელზე.
 3. საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის ოფიციალური რეცენზენტის რეცენზია 3 ფურცელზე.
 4. ამონაწერი საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის 1997 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმიდან 2 ფურცელზე.

5. ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N1, 1 ფურცელზე;
6. ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N2, 1 ფურცელზე;
7. წინასწარი საზოგადოებრივი განხილვის მასალები 7 ფურცელზე;
8. ნაშრომის ანოტაცია 9 ფურცელზე;
9. მონაცემები მაძიებლის შესახებ 1 ფურცელზე.

პატივისცემით

საქართველოს სამხედრო ძალების
მთავარი შტაბის უფროსი, თავდაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე
გენერალ-ლეიტენანტი **ზ. მეფარიშვილი**

1997 წ.

„**ჰამტკიცუა**“

საქართველოს სამხედრო ძალების
მთავარი შტაბის უფროსი – თავდაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე
გენერალ-ლეიტენანტი
ზ. მეფარიშვილი

„----“----- 1997 წ.

ამონაწერი

საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის 1997 წლის 2 მაისის სახდომის ოქმიდან N1.

ესწრებოდნენ: საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **ზ. მეფარიშვილი**; სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის უფროსი, პოლკოვნიკი **გ. ლეფონავა**; თავდაცვის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი **გ. თავაძე**; კავშირგაბმულობის ჯარების სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **რ. გვრიტიშვილი**; თავდაცვის სამინისტროს მე-8-ე განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი **ო. მელიცკაური**; სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის სამხედრო ხელოვნების სექტორის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლკოვნიკი **ვ. აკობია**; გაერთიანებული სამხედრო აკადემიის უფროსის მოადგილე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი **გ. ბარკალაია**; თავდაცვის სამინისტროს ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „სხივის“ დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ქურასბედიანი**, მთავარი შტაბის მართვის ავტომატიზირებული სისტემის განყოფილების უფროსი, კაპიტანი **თ. მაჭარაშვილი** და სამხედრო ძალების მთავარი შტაბის კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო ანალი-

ტიკური ჯგუფის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, კაპიტანი გ. იასეშვილი.

მოისმინეს: სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ჯგუფის უფროსის პოლკოვნიკ გ. ლეფონავას ინფორმაცია სამხედრო ძალების მთავარი შტაბის კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფის უფროსის, კაპიტანის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ 1983-1995 წლებში საქართველოში დამუშავებული და მოსკოვში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ციკლის „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებები:

1. გ. ი. იასეშვილი. მათემატიკური და ქსელური მოდელები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ერთდროული დამუშავებისა. ჟურნალი „Радиопромышленность“. N3, 1992 წ., ქ. მოსკოვი;
2. გ.ი. იასეშვილი. პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში ინფორმაციის დაცვის თავისებურებები საერთო სარგებლობის კომუტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალი „Радиопромышленность“, N7, 1992 წ., ქ. მოსკოვი;
3. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის დაცვის ინტელექტუალური სისტემა. ჟურნალი „Радиопромышленность“ N8-12, 1992 წ., ქ. მოსკოვი;
4. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის დაცულობის მათემატიკური მოდელები და კრიტერიუმები. ჟურნალი „Радиопромышленность“ N3, 1994 წ., ქ. მოსკოვი;
5. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესში. ჟურნალი „Радиопромышленность“ N2, 1994 წ., ქ. მოსკოვი.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1998 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად მეცნიერების დარგში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენის შესახებ, პოლკოვნიკმა გ. ლეფონავამ სხდომაზე დამსწრეებს გააცნო სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის წერილობითი დადებითი დასკვნა.

შეკითხვები მისცეს: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პოლკოვნიკმა გ. თავაძემ;

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პოლკოვნიკმა გ. ბარკალაიამ;

პოლკოვნიკმა ო. მელიცკაურმა და ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ქურასბედიანმა.

აზრი გამოთქვას: სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის სამხედრო ხელოვნების სექტორის უფროსმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, პოლკოვნიკმა ვ. აკობიამ, როგორც ოფიციალურმა რეცენზენტმა, სხდომაზე დამსწრეებს გააცნოთ წერილობითი დადებითი რეცენზია.

ღია კენჭისყრით დაადგინეს: გ. იასეშვილის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ციკლი წარდგენილი იქნას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1998 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად მეცნიერების დარგში.

სამხედრო ძალების მთავარი შტაბის
სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის უფროსი
პოლკოვნიკი **გ. ლეფონავა**

გ. ი. იასეშვილი. სამეცნიერო ნაშრომების ციკლი.
„საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებები“.
(შვიდი სამეცნიერო ნაშრომი, 1992-1996 წლები).

**Иасешвили Г.И. Цикл научных трудов.
«Математические, технические, криптографические и
организационно-правовые модели, средства, методы и
мероприятия защиты секретной информации».
(Семь научных трудов, 1992-1996 годы).**

**G. I. Iaseshvili. The cycle of scientific words.
“The mathematic, technical, cryptographic and
organizational-legal models, possibilities, methods and
arrangements of secret information security “.
(Seven scientific words, 1992-1996)**

მოსახილვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოს სხდომისთვის სამეცნიერო ნაშრომების ციკლზე „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებები“, გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2002 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში განმეორებით წარსადგენად მეცნიერების დარგში.

გივი იოსების ძე იასუშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სადოქტორო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი, კაპიტანი.

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება და გამარჯვებით დამთავრება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით. ინფორმაციული ბრძოლის მიზანია – საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მოწინააღმდეგის ინფორმაციული უსაფრთხოების დონის მაქსიმალურად შემცირება. ამის მიღწევა შეიძლება მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტის გზით, რომელთა შორის ძირითადებია მოწინააღმდეგის ინფორმაციული გარემოს ობიექტების განადგურება და საკუთარი საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

სამხედრო ხელოვნებაში გადამწყვეტი გახდა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება, მისი სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ამოცანები. ნებისმიერი მასშტაბის სამხედრო ოპერაციის ჩატარების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა სადღეისოდ ბრძოლა ინფორმაციული უპირატესობის მოსაპოვებლად, უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება საკუთარი ჯარებისა და შეიარაღების მართვაში.

ამ ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე პერსპექტიული და ეკონომიკური გზაა:

ერთის მხრივ, მოწინააღმდეგის ჯარებსა და შეიარაღების მართვის დეზორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლება;

მეორის მხრივ – ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია საკუთარი ჯარების – ძალების და შეიარაღების სამართავად.

ჯარების-ძალების და შეიარაღების მართვის ოპერატიულობისადმი, მდგრადობისადმი, ფარულობისადმი და უწყვეტობისადმი, ანუ მართვის ხარისხისადმი მოთხოვნის გაზრდას მიყვავართ ინფორმაციის დაცვის ამოცანების გადანყვეტის აუცილებლობამდე.

ამ კეთილშობილურ სახელმწიფოებრივ მიზანს ემსახურება თქვენს წინაშე განხილვაზე წარმოდგენილი ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ციკლი, რომელიც დავწერე, ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების სამხედრო-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“ მუშაობის დროს, რომელიც წარმოადგენდა ქ.მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კიბერნეტიკის“ ფილიალს საქართველოში, 1983-1993 წლებში სამეცნიერო-თემატიკური გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების მიზნით შესრულებული 4 სამეცნიერო-კვლევითი და 10 საცდელ-საკონსტრუქტორო თემების და დაკვეთების წლიური ანგარიშების მასალების გამოყენებით, რომელთა მიზანს წარმოადგენდა სპეციალური დანიშნულების პერსპექტიული მართვის ავტომატიზებული სისტემისათვის მაღალი ეფექტურობისა და იმედიანობის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის შექმნა და დანერგვა.

სამეცნიერო ნაშრომები მე გამოვაქვეყნე ქ. მოსკოვში, ერთ-ერთ ცენტრალურ დარგობრივ არასაიდუმლო რეცენზირებად ჟურნალში „Радиопромышленность“. ბოლო მე-7 სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებიდან გავიდა 5 წელი და მე, როგორც სამხედრო მეცნიერების მსახური, ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ჩემმა სამეცნიერო ნაშრომების ციკლმა გაუძლო დროისა და ისტორიის მკაცრ გამოცდას. საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ რუსეთის სამხედრო მეცნიერების არცერთ წარმომადგენელს არავითარი წერილობითი შენიშვნა არ გაუგზავნია არც ჟურნალის რედაქციაში და არც ჩემი მისამართით.

პირველი სამი სამეცნიერო ნაშრომის ბაზაზე და მათი გამოყენებით დავწერე და წარმატებით დავიცავი გასაიდუმლოებული საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში“. საჯარო დაცვის შემდეგ სადისერტაციო-სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ფარული კენჭისყრით ერთხმად მომანიჭეს სამეცნიერო ხარისხი. სამხედრო

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „რადიანის“ დამაარსებლის და მისი პირველი დირექტორის პოლკოვნიკ შ. ჭიპაშვილის შემდეგ, ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან, მე ერთადერთი მეცნიერ მუშაკი ვარ, ვინც შესრულებული სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ბაზაზე გამოვაქვეყნე სამეცნიერო ნაშრომები, ხოლო შემდგომ წარმატებით დავიცავი დისერტაცია, როგორც პირველმა საქართველოში ინფორმაციის დაცვის თეორიაში.

დისერტაცია ორ ეგზემპლარად არის დაბეჭდილი, რომელთაგან ერთი ინახება ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო მეორე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში.

თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების მთავარი სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ გ. თავაძის წარდგინებით არსებობს კომპეტენტური კომისიის მიერ შედგენილი და მთავარი შტაბის ყოფილი უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ზ. მეფარიშვილის მიერ დამტკიცებული ჩემს დისერტაციაში მიღებული მეცნიერული შედეგების საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დანერგვის მიზანშეწონილობის საიდუმლო აქტი (N8/053,16.09.1996 წ.). აღნიშნული მეცნიერული შედეგები პირველად დასაბუთებული მაქვს სახელმწიფო პრემიის კონკურსზე ერთხელ უკვე წარდგენილ ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ციკლში, რომლის სტატიებიც ცალკეულ თავებად არის შეტანილი ჩემს მიერ წარმატებით დაცულ დისერტაციაში. ჩემი სამეცნიერო ნაშრომების უწყებრივი კუთვნილებაა შეიარაღებული ძალები.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამეცნიერო და ტექნიკურ საბჭოს სხდომაზე განხილვით და გენერალ-ლეიტენანტ ზ. მეფარიშვილის ხელის მოწერით ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ციკლი, შედგენილი 7 სამეცნიერო ნაშრომისაგან, 1997 წელს პირველად წარადგინეს 1998 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. მიღებული იყო მხოლოდ 5 სამეცნიერო ნაშრომი, რადგან მე-6 და მე-7 ნაშრომების გამოქვეყნებიდან საკონტროლო დრო – 3 წელი ჯერ არ იყო გასული.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის

აკადემიკოს ა. თავხელიძის სახელზე წარდგენილ წერილს თან ჰქონდა დართული:

1. დადებითი ამონაწერი საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ჯგუფის სხდომის ოქმიდან და მათი მეცნიერულად დასაბუთებული ვრცელი დადებითი დასკვნა, ამჟამად გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსის პოლკოვნიკ გ. ლეფონავას ხელისმონერით;
2. ოფიციალური რეცენზენტის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, სამხედრო ხელოვნების სექტორის უფროსის, პოლკოვნიკ ვ. აკობიას დადებითი რეცენზია;
3. სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „ისარის“ გენერალური დირექტორის, აკადემიკოს გ. დათიაშვილის დადებითი გამოხმაურება;
4. მოსკოველი პროფესორის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ა. სერებრიანიკოვის დადებითი დასკვნა;
5. სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტ „რადიანის“ ყოფილი დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის გ. გეგელიას დადებითი დასკვნა;
6. ამავე ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში დირექტორის პირველი მოადგილის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. მიქაძის დადებითი რეცენზია.

ზემოთხსენებული კომპეტენტური მეცნიერების მიერ არავითარი შენიშვნა არ იყო გამოთქმული. მათ ყველამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მხარი დაუჭირეს ჩემი სამეცნიერო ნაშრომთა ციკლის წარდგენას სახელმწიფო პრემიის კონკურსზე მეცნიერების დარგში. სახელმწიფო პრემიის კონკურსში მონაწილეობა ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი რთული პროცესია, რომელიც ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდება და განზოგადოებულად 4 ეტაპისაგან შედგება;

1. კონკურსზე წარდგენა;

2. დახურული სამხელნიფო ექსპეტიზა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნება;
3. ფართო საჯარო-საზოგადოებრივი განხილვა;
4. სახელმწიფო კომისიის დასკვნითი გასაიდუმლოებული მუშაობა და სახელმწიფო პრემიის მინიჭება, რომელიც ფულადი სახით 4000 ლარია.

ჩემმა სამეცნიერო ნაშრომების ციკლმა წარმატებით გაიარა უაღრესად მკაცრი დახურული სახელმწიფო ექსპერტიზა და დაუშვეს კონკურსში მონაწილეობისათვის, რაც გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1997 წლის 26 დეკემბრის ნომერში.

ფართო საჯარო-საზოგადოებრივი განხილვა გაგრძელდა სამ თვეს და ჩემი სამეცნიერო ნაშრომების მიმართ სახელმწიფო პრემიის მინიჭების მიზანშეწონილობაზე სამთავრობო საორგანიზაციო კომიტეტში დადებითი დასკვნები წარადგინეს ცნობილმა ადამიანებმა:

ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნადიბაიძემ;

საქართველოს ოფიცრებისა და გენერლების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა, აკადემიკოსმა დ. ჭითანავამ;

სამმა აკადემიკოსმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა;

ხუთმა მეცნიერების დოქტორმა;

რვა მეცნიერების კანდიდატმა;

ერთმა საზოგადო მოღვაწე-ჟურნალისტმა.

სამეცნიერო ნაშრომების კოლექტიური განხილვის შემდეგ ჩემთვის სამხელმწიფო პრემიის ლაურეატობის წოდების მინიჭებას მხარი დაუ-

ჭირა საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ და საქართველოს ეკონომისტთა კავშირმა.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „მოდულის“ დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. შარაშენიძემ და განყოფილების გამგეებმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა კ. ოდიშარიამ და თ. მურუსიძემ წარადგინეს დადებითი დასკვნები. ესენი ხომ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის წამყვანი მეცნიერები არიან საქართველოში მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ასე რომ, საჯარო განხილვის შედეგად საორგანიზაციო კომიტეტში არავის უარყოფითი რეცენზია ან დასკვნა არ გაუგზავნია. ყველა მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მხარი დაუჭირეს ჩემი ნაშრომთა ციკლისათვის სახელმწიფო პრემიის მინიჭების აუცილებლობას.

თავდაცვის სამინისტროს „სამხედრო გაზეთის“ 1997 წლის 11 აპრილის ნომერში ჟურნალისტიმა თ. კვეტარულმა ჩემზე დაბეჭდა ვრცელი ნარკვევი სახელწოდებით „ალიარება-წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“. კონკურსის დასკვნითი მე-4 ეტაპი საიდუმლოდ ტარდება. სახელმწიფო კომისიამ საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ხელის მონერით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1998 წლის 21 მაისის ნომერში გამოაქვეყნა კონკურსში გამარჯვებულნი. ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ციკლი კონკურსზე წარდგენილი იყო მეცნიერების დარგში, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტმა კონკურსზე დაუშვა ტექნიკის დარგში, სადაც 7 პრეტენდენტი აღმოვჩნდით 2 პრემიის გასანაწილებლად. კონკურსში მონაწილე ნაშრომები ერთმანეთისაგან განსხვავებულ დარგებს წარმოადგენს. მათ შორის უკეთესის შერჩევა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან არავითარი ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს მათ შორის უკეთესის შესარჩევად.

2000 წლის თებერვლის დასაწყისში მე გამომიძახეს მთავარ სამხედრო ინსპექციაში და მთხოვეს მიმეტანა სახელმწიფო პრემიის კონკურსზე წარდგენილი ჩემი შრომების ციკლი, რომელიც სჭირდებოდათ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობას ჩემს მიერ მიღებული მენციერული შედეგების შესასწავლად. 4 თებერვალს მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროს პოლკოვნიკ გ. გო-

გაშვილს სპეციალური პატაკით მე წარუდგინე სახელმწიფო პრემიაზე წარდგინების საბუთები და შრომათა ციკლი – 7 სამეცნიერო ნაშრომით (საკანცელარო N46). სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში განხილვა მიმდინარეობდა თითქმის ერთი თვე და დროის ამ მონაკვეთში მათ წარმომადგენლებს ჩემთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ დამყარებული. ჩემგან სიტყვიერად ლებულობდნენ მათთვის საჭირო მეცნიერული ღირებულების დამატებით ინფორმაციას.

1 მარტს მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ გ. მაისურაძის მიერ ხელმოწერილი წერილით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ჩემი მეცნიერული შრომების ციკლი უკან დამიბრუნა. როგორც ამ წერილიდან გამოიკვეთა მეცნიერული შრომების ციკლის მიმართ არავითარი შენიშვნა არ იყო გამოთქმული.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მე არაობიექტურად ვთვლი ვიცე-პოლკოვნიკ თ. მაჭარაშვილის დასკვნას და მისი საკუთარი რეცენზენტის მაიორ ი. გარდაბახაძის შეხედულებებს. მათ არ გააჩნიათ სამეცნიერო ხარისხები და არც მეცნიერული მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს პრეზიდენტის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალის ე. შევარდნაძის 1999 წლის 31 იანვრის N40 ბრძანებულებით საქართველოს სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად კონკურსზე დაშვებული ნაშრომი, რომელსაც პრემია არ მიუღია, შეიძლება განმეორებით საერთო წესით კიდევ ორჯერ იქნეს წარდგენილი.

ბატონო მინისტრო და ბატონო გენერალური შტაბის უფროსო!

გთხოვთ, ნება დამართოთ, ვისარგებლო ჩემი კონსტიტუციური უფლებებით და თქვენდამი დაქვემდებარებულ სამხედრო საბჭოს ვთხოვო, მხარი დაუჭიროს ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ციკლის განმეორებით წარდგენას სახელმწიფო პრემიის კონკურსზე. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია სახელმწიფო საორგანიზაციო კომიტეტს.

გივი იოსების ძე იასეშვილი

სამეცნიერო ნაშრომების ციკლის აღწერილობა

1. მათემატიკური და ქსელური მოდელები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ერთდროული დამუშავებისა. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N3, 1992 წ., ქ. მოსკოვი.
2. პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში ინფორმაციის დაცვის თავისებურებები საერთო სარგებლობის კომუტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N7, 1992 წ., ქ. მოსკოვი.
3. ინფორმაციის დაცვის ინტელექტუალური სისტემა. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N8-12, 1992 წ., ქ. მოსკოვი.
4. ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესში. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N2, 1994 წ., ქ. მოსკოვი.
5. ინფორმაციის დაცულობის მათემატიკური მოდელები და კრიტიერიუმები. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N3, 1994 წ., ქ. მოსკოვი.
6. ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლების ანალიზი. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N1, 1995 წ., ქ. მოსკოვი.
7. განზოგადოებული ამოცანა საიდუმლო ინფორმაციის სისტემური დაცვის სინთეზისა და ინფორმაციის დაცვის საშუალებათა ოპტიმალური განაწილების ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო არხებზე. ჟურნალი „Радиопродмышленность“ N2, 1996 წ., ქ. მოსკოვი.
8. თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის განვითარების ძირითადი ტენდენციები (შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურ-

ნალი „სამხედრო აზრი“, N1, 1999 წ., ქ. თბილისი.

9. გ.ი.იასეშვილი. ინფორმაციული ბრძოლის არსი: იარაღი და საშუალებები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N1, 1999 წ., ქ. თბილისი.
10. სამხედრო სამეცნიერო კადრების პირველი თაობის გენერაცია (შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N2, 1999 წ., ქ. თბილისი.
11. ნ. კაიშაური, გ.ი.ი. იასეშვილი. ჯარების მართვა. მართვის მობილურობა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N2, 1999 წ., ქ. თბილისი.

„პამტკიცეპ“

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
კავშირგაბმულობის ჯარების სამმართველოს
უფროსი პოლკოვნიკი
რ. გვრიტიშვილი

საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო-ანალიტიკური ფგუფის უფროსის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, კაპიტან გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ საიღუმლო ინფორმაციის დაცვის პრობლემებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:

№	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	ნაბეჭდი თუ ხელნაწერი	ვის მიერაა გამოცემული	ნაბეჭდი გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5
1.	მათემატიკური და ქსელური მოდელები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ერთდროული დამუშავებისა.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N3, 1992 წ., ქ. მოსკოვი.	20
2.	პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში ინფორმაციის დაცვის თავისებურებები საერთო სარგებლობის კომუტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების შემთხვევაში.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N7, 1992 წ., ქ. მოსკოვი.	24
3.	ინფორმაციის დაცვის ინტელექტუალური სისტემა.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N8-12, 1992 წ., ქ. მოსკოვი.	23

4.	ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები საზოგადოების ინფორმაციზაციის პროცესში.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N2, 1994 წ., ქ. მოსკოვი.	37
5.	ინფორმაციის დაცულობის მათემატიკური მოდელები და კრიტერიუმები.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N3, 1994 წ., ქ. მოსკოვი.	29
6.	ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლების ანალიზი.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N1, 1995 წ., ქ. მოსკოვი.	30
7.	განზოგადოებული ამოცანა საიდუმლო ინფორმაციის სისტემური დაცვის სინთეზისა და ინფორმაციის დაცვის საშუალებათა ოპტიმალური განაწილების ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო არხებზე.	ნაბეჭდი	ჟურნალი „Радио-промышленность“ N2, 1996 წ., ქ. მოსკოვი.	25

საქართველოს სამხედრო ძალების
მთავარი შტაბის სამხედრო
სამეცნიერო ჯგუფის უფროსი
პოლკოვნიკი **გ. ლეფონავა**

1997 წ.

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროსი ოფიცერის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, კაპიტან გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის პრობლემებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებულ სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებზე. შინაარსი – სამხედრო თეორია და პრაქტიკა.

გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო ნაშრომი:

1. ინფორმაციული ბრძოლის არსი: იარაღი და საშუალებები. „სამხედრო აზრი“ N1, 1999 წლის თებერვალი, 6 ნაბეჭდი გვერდი;
2. ჯარების მართვა. მართვის მობილურობა. „სამხედრო აზრი“ N2, 1999 წლის დეკემბერი, 5 ნაბეჭდი გვერდი. თანაავტორია ვიცე-პოლკოვნიკი ნ. კაიშაური.

ამ მეცნიერული შრომების უწყებრივი კუთვნილებაა შეიარაღებული ძალები.

ჟურნალ „სამხედრო აზრის“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გ. იასეშვილს ბრძანებით გამოეცხადა მადლობა ჟურნალის მომზადებასა და გამოცემაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
გენერალური შტაბის შეიარაღებული
ძალების რეფორმების, დაგეგმარებისა და
კვლევითი ცენტრის უფროსი,
პოლკოვნიკი **გივი ლეფონავა**

10.05.2000 წ.

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროსი ოფიცერის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, კაპიტან გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისად და საკუთარი პროფესიონალური ცოდნით (საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მეთოდები, ფორმები და წესები) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებულ სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის შეხედულებების გამომხატველ სამეცნიერო ნაშრომებში უშუალო მონაწილეობაზე.

შინაარსი სამხედრო თეორია და პრაქტიკა.

მონაწილეობა მიიღო ორი სამეცნიერო ნაშრომის მომზადებასა და გამოქვეყნებაში:

1. თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის განვითარების ძირითადი ტენდენციები. „სამხედრო აზრი“ N1, 1999 წლის თებერვალი. 10 ნაბეჭდი გვერდი;
2. სამხედრო-სამეცნიერო კადრების პირველი თაობის გენერაცია. „სამხედრო აზრი“ N2, 1999 წლის დეკემბერი. 4 ნაბეჭდი გვერდი.

ამ მეცნიერული შრომების უწყებრივი კუთვნილებაა შეიარაღებული ძალები.

ჟურნალ „სამხედრო აზრის“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გ. იასეშვილს ბრძანებით გამოეცხადა მადლობა ჟურნალის მომზადებასა და გამოცემაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
გენერალური შტაბის შეიარაღებული
ძალების რეფორმების, დაგეგმარების და
კვლევითი ცენტრის უფროსი,
პოლკოვნიკი **გივი ლეფონავა**

20.05.2000 წ.

ანოტაცია

სამეცნიერო ნაშრომების ციკლზე „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ლონისძიებები“

შვიდი სამეცნიერო ნაშრომი, 1992-1996 წლები, ქ. მოსკოვი.

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სადოქტორო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი, კაპიტანი.

21-ე საუკუნე ინფორმაციის საუკუნედ არის მიჩნეული, მაგრამ ინფორმაციული ბრძოლის პრობლემა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასასრულისათვის უკვე გახდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების აშშ-ს, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, ისრაელის და სხვების სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობის და გაძლიერებული ფინანსირების მოვლენა. დასავლეთში დამუშავებული ინფორმაციული ომის კონცეფცია შეიცავს:

სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის ინფრასტრუქტურის ელემენტების დახშობას;

საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური სისტემების ელემენტებზე ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებას;

სადაზვერვო ინფორმაციის მიღებას;

საინფორმაციო რესურსებზე არა სანქცირებული დაშვების განხორციელებას;

დეზინფორმაციის გავრცელებას მოწინააღმდეგის საინფორმაციო არხებში ან მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში.

სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მოწინააღმდეგეზე საბოლოო გამარჯვების მიღწევის აუცილებელი ღონისძიებებია:

მთავარი დარტყმის მიმართულების შერჩევა;

გადაჯგუფების ფარულობა და მიზანმიმართულება (მიზანსწრაფულობა);

საბრძოლოდ გაშლის მოულოდნელობა და სისწრაფე;

მეორე ხარისხოვანი მიმართულებებიდან ძალებისა და საშუალებების მანევრირება;

შერჩეულ მიმართულებაზე ძალისხმევის თავის დროული განვითარება-გაძლიერება სიღრმიდან.

ხოლო თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება და გამარჯვებით დამთავრება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით. ინფორმაციული ბრძოლის ორი ფორმა არის სადღეისოდ გავრცელებული და სამომავლოდაც გათვალისწინებული: ინფორმაციულ-ტექნიკური დი ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სამხედრო დოქტრინა თავდაცვითია და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მზრუნველობის ძირითადი ქვაკუთხედი უნდა გახდეს ქვეყნის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის შექმნა და ფუნქციონირება. ამ კეთილშობილურ სახელმწიფოებრივ მიზანს ემსახურება გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ციკლი.

სამეცნიერო ნაშრომების ციკლი დაწერილია ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“, რომელიც წარმოადგენდა ქ. მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კიბერნეტიკის“ ფილიალს საქართველოში, 1983-1993 წლებში სამეცნიერო-თემატიკური გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების მიზნით შესრულებული 4 სამეცნიერო-კვლევითი და 10 საცდელ-საკონსტრუქტორო თემების და დაკვეთების წლიური ანგარიშების მასალების გამოყენებით, რომელთა მიზანს წარმოადგენდა სპეციალური დანიშნულების პერსპექტიული მართვის ავტომატიზებული სისტემისათვის მაღალი ეფექტურო-

ბის და იმედიანობის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის (მათემატიკური, ტექნიკური, კრიფტოგრაფიული, ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფით) შექმნა და დანერგვა.

პირველი სამი სამეცნიერო ნაშრომის ბაზაზე და მათი გამოყენებით, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ა. სერებრენიკოვის მეცნიერული ხელმძღვანელობით დაწერილია და წარმატებით დაცულია საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში“. სამეცნიერო ნაშრომების ციკლის გაგრძელებაზე ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა.

წარსულშიც და განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც გააჩნია საიდუმლო ინფორმაციის საიმედო-გარანტირებულ შენახვას, რადგან მისი არასანქცირებული გაჟონვა სხვა სახელმწიფოებში, ან კიდევ საზღვარგარეთის ტექნიკური დაზვერვის მიერ ყალბი ინფორმაციის თავს მოხვევა სახელმწიფო ორგანოებზე დაკავშირებულია დიდ ფინანსურ და მატერიალურ ზარალთან, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შესუსტებასთან, რაც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს დამოუკიდებლობას აყენებს გამოუსწორებელი საშიშროებისა და საფრთხის წინაშე. ეს პრობლემა მომავალშიც შეინარჩუნებს დიდ აქტუალობას, რადგან საიდუმლო ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, შენახვა და გაცემა გამომთვლელ სისტემებში თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების და გამომთვლელი მანქანების გამოყენებით ზრდადი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის პროცესის მაჩვენებელ სიმბოლოს წარმოადგენს.

სამხედრო ძალების საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის ჩამოყალიბება რთული სისტემური ამოცანაა, რომელიც ძნელად ემორჩილება ფორმალიზაციას, მათემატიკურ მოდელირებას და ანალიზს. ინფორმაციის დაცვის აუცილებელი დონის უზრუნველყოფა აღმოჩნდა მეტად რთული პრობლემა, რომელიც საჭიროებს მეცნიერული, სამეცნიერო-ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გარკვეული ერთობლიობის არა მარტო განხორციელებას და სპეციფიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას, არამედ ინფორმაციის დაცვის მთლიანი ორგანიზაციული ღონისძიებების და სპეციალური საშუალებების და მეთოდების შექმნას.

ისტორიის წარსულს ჩაბარებულმა „ცივმა ომმა“ ესტაფეტა გადასცა ინფორმაციულ ომს, გონებისა და ტექნოლოგიების ბრძოლას, სამხედრო ხელოვნებაში გადამწყვეტი გახდა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება, მისი სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ამოცანები. ნებისმიერი მასშტაბის სამხედრო ოპერაციის ჩატარების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა სადღეისოდ ბრძოლა ინფორმაციული უპირატესობის მოსაპოვებლად, უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება საკუთარი ჯარებისა და შეიარაღების მართვაში.

ამ ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე პერსპექტიული და ეკონომიკური გზა:

ერთის მხრივ, მონინალმდევის ჯარებისა და შეიარაღების მართვის დეზორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლება;

მეორეს მხრივ – ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია საკუთარი ჯარების-ძალების და შეიარაღების სამართავად.

ჯარების-ძალების და შეიარაღების მართვის ოპერატიულობისადმი, მდგრადობისადმი, ფარულობისადმი და უწყვეტობისადმი, ანუ მართვის ხარისხისადმი მოთხოვნების გაზრდას მივყავართ ინფორმაციის დაცვის ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობამდე.

სპეციფიურობის გამო ინფორმაციული ბრძოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ სახეობასაც და შემადგენელ ელემენტსაც ბრძოლის სხვა ნებისმიერი სახეობისა – შეიარაღებული, იდეოლოგიური, ეკონომიკური და სხვა. ის მიმდინარეობს მუდმივად, როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის დროს. ინფორმაციული ბრძოლის მასშტაბები იმდენად გრანდიოზულია, რომ მისი მომზადება არ შეიძლება იყოს სპონტანური. მას უნდა ჰქონდეს გეგმიური, სისტემატიური ხასიათი და ემყარებოდეს ინფორმაციული ბრძოლის კანონებისა და კანონზომიერებების ღრმა ცოდნას. ამიტომ უდიდესია ინფორმაციული ბრძოლის თეორიის დამუშავების მნიშვნელობა, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც ცოდნის სისტემა მისი მომზადების, წარმოების ხასიათის, კანონების, კანონზომიერების, პრინციპების, ფორმებისა და წესების შესახებ. მთლიანობაში ინფორმაციული ბრძოლის თეორიის საგანია მისი მომზადებისა და წარმოების კანონების, ფორმებისა და წესების სისტემა. ინფორმაციული ბრძოლის მიზანია – საკუთარი ინფორმაციული

უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მონინალმდეგის ინფორმაციული უსაფრთხოების დონის მაქსიმალურად შემცირება. ამის მიღწევა შეიძლება მთელი რიგი ამოცანების გადანყვეტის გზით, რომელთა შორის ძირითადებია მონინალმდეგის ინფორმაციული გარემოს ობიექტების განადგურება და საკუთარი საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

სამხედრო ძალების სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის (ჯარების ფარული მართვის ავტომატიზებული სისტემის) და მისი საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის დამუშავება წარმოადგენს უაღრესად რთულ, ალბათურ და დინამიკურ სისტემას. ამ ორი დიდი სისტემის ერთდროული დამუშავების პროცესის მართვის მიზანია გამომთვლელი მანქანის გამოყენებით შესრულებული სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოს დროულად ჩაბარება ექსპლუატაციაში, ფინანსური ხარჯების მინიმიზაცია, კადრების ოპტიმალური გამოყენება და სხვა. ამ ორი დიდი სისტემის ერთდროული დამუშავების პროცესი წარმოდგენილია ორ ნაწილად: დეტერმინირებულად და სტოასტიკურად. შედგენილია შესაბამისი მათემატიკური და ქსელური მოდელები.

მეცნიერულად დასაბუთებულია და პრაქტიკულადაც შემონმბებულია, რომ სამხედრო ძალების სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზირებული სისტემის და მისი საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის ერთდროული დამუშავების პროცესის მართვა ერთი ადმინისტრაციული ორგანოდან მათემატიკური და ქსელური მოდელების და ელექტრონული გამომთვლელი მანქანის გამოყენებით გასაიდუმლოებული ინფორმაციის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთი მთლიანი პროცესი, დაწყებული სამხედრო ძალების სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის ერთდროული პროექტირებიდან და დამთავრებული ინფორმაციის დაცვის საშუალებების ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო არხებზე განაწილებით, აღწერილია მათემატიკური ენით, შედგენილია შესაბამისი მათემატიკური მოდელები, დამუშავებულია რეკომენდაციები, მეცნიერულად დასაბუთებული და განხორციელებულია ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მათემატიკური და გრაფიკული ანალიზი. ერთდროულად გამოყენებულია მათემატიკური, ქსელური და ექსპერტული მოდელების უახლოესი მიღწევები. განხორციელებულია დამუშავებული

თეორიული ნაწილის – მათემატიკური მოდელების საინჟინრო-ტექნიკური-კრიპტოგრაფიული-ორგანიზაციული რელიზაცია და პრაქტიკულად დანერგვითა შეიარაღებული ძალების სტრუქტურებში.

ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსების მათემატიკური მოდელის ქვეშ იგულისხმება მათემატიკური ობიექტი საგნობრივი გარემოს ობიექტის არსებითი თავისებურებების ადეკვატური ასახვით და რაოდენობრივი მახასიათებლების დაშვებით. ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსის რაოდენობრივი მახასიათებლების არჩევისას რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას საერთოდ ცნობილი ემპირიული ფაქტი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივად ყველა ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსი არ არის თანაბრად საშიში. გამომჟღავნებულია და დასაბუთებულია 17 მეტად დაუცველი ადგილი საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით. თითოეულის მიმართ დადგენილი და დასაბუთებულია საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით ორგანიზაციული, ტექნიკური და კრიპტოგრაფიული მეთოდი, ღონისძიება და საშუალება.

ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას დავახარისხოთ ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსები. შემოღებული აღნიშვნებისა და მსჯელობების გათვალისწინებით ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსის საშიშროების წონა შეიძლება განვსაზღვროთ თანაფარდობით, სადაც მრიცხველი გამოსახავს დაუცველი ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსში ინფორმაციის პოტენციალურ გაფონვას, ხოლო მნიშვნელი კი ყველა დაუცველი ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არსში ინფორმაციის პოტენციალურ გაფონვას საიდუმლო ინფორმაციის პირობით ერთეულში.

სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკურ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$P=P_1 \cdot P_2 \cdot P_3, \text{ სადაც}$$

P_1 – არის სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის ტერიტორიაზე ბოროტმზრახველის შეჭრის ალბათობა;

P_2 – არის ბოროტმზრახველის სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის რესურსზე დაშვების ალბათობა;

P_3 – არის ბოროტმზრახველის რესურსზე დაშვების მომენტში დასაცავი ინფორმაციის არსებობის ალბათობა.

დაუშვათ გვაქვს ინფორმაციის დაცვის S სხვადასხვა საშუალება $j = 1, S$ რომლითაც დაიცვება i რაოდენობის ინფორმაციის გაფონვის შესაძლო $i = 1, N$ არხი, q_{ij} დაცვის კოეფიციენტია და U_{ij} გაფონვის კოეფიციენტია. i ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არხის დაცვა გამოითვლება შემდეგნაირად:

$$x_i = 1 - \prod_{j=1}^S (1 - q_{ij})$$

ხოლო მთლიანად ობიექტის დაცვა X განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$X = \sum_{i=1}^N C_i x_i, \text{ სადაც}$$

C_i ობიექტის დაცვის საშიშროების წონაა. მიღებული გამოსახვა ითვლება, როგორც სისტემური დაცვის მიზნობრივი ფუნქცია. ინფორმაციის დაცვის საშუალებების ინფორმაციის გაფონვის შესაძლო არხებზე განაწილების მათემატიკური მოდელების შედგენისას გათვალისწინებულია, რომ თუ არ შესრულდა წინამდებარე არსებული ორი პირობა, მაშინ უსათუოდ უნდა შესრულდეს შემდეგი მესამე ძირითადი პირობა:

$$X_i - 3 + \prod_{j=1}^{S_1} (1 - {}^{\circ}q_{ij}) + \prod_{j=S_1+1}^{S_2} (1 - {}^{HT}q_{ij}) \leq \prod_{j=S_2+1}^S (1 - {}^{HH}q_{ij})$$

წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი გახდება საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ახალი საშუალებების შექმნა. სადაც ${}^{\circ}q_{ij}$ სავალდებულოა, ${}^{HT}q_{ij}$ არასავალდებულო არატრადიციულია, ${}^{AT}q_{ij}$ - არასავალდებულო ტრადიციული მნიშვნელობებია.

საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლები-სა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავების პროცესში ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლად შემოღებულია ორი ალბათობა: დროის განსაზღვრულ მონაკვეთში დასაცავი ინფორმაციის ერთეულის არასანქცირებული გაცნობის ალბათობა $\equiv X(t)$ და ყალბი ინფორმაციის ერთეულის თავსმოხვევის ალბათობა $\equiv Y(t)$.

ეფექტურობის კრიტერიუმია, რომ ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები არ უნდა აღემატებოდეს ე.ი. უნდა უზრუნველყოს უფრო დაბალი, ვიდრე მოცემულია ტექნიკურ დავალებაში დამკვეთის მიერ. ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის განსაზღვრა ხდება სამუშაო პროექტირე-

ბის საბოლოო ეტაპზე სპეციალური საინჟინრო ანალიზის ჩატარებით ორგანიზაციული, ტექნიკური და კრიპტოგრაფიული დაცვის ღონისძიებებს, მონყობილობების და მეთოდების მიმართ.

სამხედრო ძალების საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემა წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანი დინამიკური სისტემა, რომლის ნორმალურ ფუნქციონირებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მრავალ არგუმენტიანი ორი შემთხვევითი ფუნქცია:

ინფორმაციის არა სანქცირებულ გაჟონვასთან დაკავშირებული დისკრეტული ფუნქცია $X(t)$ და ყალბი ინფორმაციის თავს მოხვევასთან დაკავშირებული უწყვეტი ფუნქცია $Y(t)$. ალბათობის თეორიის, კერძოდ, შემთხვევითი ფუნქციების მათემატიკური აპარატის გამოყენებით დადგენილია ჯამური კომბინირებული ფუნქცია $Z(t)$. გამოთვლილია ალბათობა იმისა, რომ შემთხვევითი ფუნქცია $Z(t)$ აღმოჩნდება მოცემულ საზღვრებში, არა უმეტესი იმ მნიშვნელობისა, რაც მოცემულია ტექნიკურ დავალებაში დამკვეთის მიერ ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ეფექტურობისა და ძირითადი გამომთვლელი სისტემის რაციონალურად გამოყენების მიზნით.

ცენტრალური სასაზღვრო თეორემის პირობის შესრულებით, ნორმალური განაწილების კანონის გამოყენებით ალბათობა იმისა, რომ შემთხვევითი სიდიდე Z მოხვდება (α, β) მონაკვეთის საზღვრებში, გამოიხატება ფორმულით:

$$P(\alpha < Z \leq \beta) = \Phi \left(\frac{\beta - m_z}{\sigma_z} \right) - \Phi \left(\frac{\alpha - m_z}{\sigma_z} \right),$$

სადაც m_z და σ_z – მათემატიკური მოლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრაა Z სიდიდის, ხოლო Φ^* – განაწილების ნორმალური ფუნქციაა.

საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ურთიერთ მოქმედი რეალური ექსპერტული სისტემების არქიტექტურა განსაზღვრულია გამომთვლელ მანქანაში ცოდნის წარმოდგენის საშუალებით, გამოყენებული ცოდნის შედგენილობით და ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებით. ინფორმაციის დაცვის ექსპერტული სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

ცოდნის ბაზა;

მონაცემების ბაზა;

ცოდნის შექმნის კომპონენტი;

ლინგვისტური პროცესორი და განმსაზღვრელი კომპონენტი.

ინფორმაციის დაცვის ექსპერტული სისტემა მუშაობს ორ რეჟიმში;

ცოდნის შექმნის რეჟიმში და ამოცანის გადაწყვეტის რეჟიმში.

ინფორმაციის დაცვის ექსპერტული სისტემა მუშაობის როგორც დიალოგურ, ასევე პაკეტურ ურთიერთობაში.

ინფორმაციის დაცვის ექსპერტული სისტემის მახასიათებლები განსაზღვრულია გადასაწყვეტი ამოცანების თავისებურებებით და სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის საიდუმლო ინფორმაციის კომპლექსური დაცვის სისტემის სასურველი თვისებებით. დადგენილია გადასაწყვეტი ამოცანების ექვსი კლასი:

ყველა იმ პიროვნების და საშუალებების ტექნიკური იდენტიფიკაცია, რომლებიც მონაწილეობენ სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირებაში საიდუმლო ინფორმაციის გადამუშავებისას;

სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის ყველა კომპონენტის მართვა, რომლებიც მონაწილეობენ საიდუმლო ინფორმაციის გადამუშავებაში;

ყველა იმ მოვლენის რეგისტრაცია, რომელთა შედეგადაც შესაძლებელია საიდუმლო ინფორმაციის არა სანქცირებული გამოყენება, საიდუმლო ინფორმაციის გადამუშავება;

ყველა იმ მოვლენის რეგისტრაცია, რომელთა შედეგადაც შესაძლებელია საიდუმლო ინფორმაციის არა სანქცირებული გამოყენება;

საიდუმლო ინფორმაციის გადამუშავებისა და შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის ყველა კომპონენტის შემადგენლობის, მდგომარეობის და მუშაობის კონტროლი;

იმ ინფორმაციის საიმედოდ განადგურება, რომლის მიმართ მოსალოდნელია არასანქცირებული გამოყენება;

საიდუმლო ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენებისას სიგნალების რეგისტრაციის და გადაცემის გენერირება.

დამუშავებულია ინფორმაციის დაცვის სამსახურეობრივი ავტომატიზებული სამუშაო ადგილის ექსპერტული სისტემა, ტექნიკური საშუალებების შემადგენლობა და პარამეტრები. გამომდინარე ძირითადი ფუნქციონალური დანიშნულებიდან სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ინტელექტუალური სისტემის ურთიერთ დაკავშირებული ექსპერტული სისტემები შეიძლება რეალიზირებული იქნას პერსონალურ გამომთვლელ მანქანებზე: EC 1840 ÷ 55 ან კიდევ IBM PC(PC/XT, PC/AT).

საიდუმლო ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემა შედგება ტექნიკური, ინფორმაციული, პროგრამული, ლოგიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფისაგან. სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის ინფორმაციის დაცვის კომპლექსურ სისტემაში გამოყენებულია ინფორმაციის დაცვის შემდეგი უნიფიცირებული ტექნიკური საშუალებები:

ინფორმაციის უსაფრთხოების ავტომატიზებული სამუშაო ადგილი;
ორდონიანი სპეციალური გასაღებები;

კავშირის ბლოკი;

აპარატურის გახსნის კომპლექსის სამუშაო ადგილი.

ინფორმაციის უსაფრთხოების ავტომატიზებული სამუშაო ადგილი დაკომპლექტებულია:

ავტომატიზებული სამუშაო ადგილის სრული კომპლექტაციით;
გასაღებების ჩაწერის მონყობილება;

ორდონიანი ორი გასაღები;

შეუღლებების მონყობილობა.

აპარატურის გახსნის კომპლექსის სამუშაო ადგილი შედგება:

ლოგიკური ბლოკი;

საინდიკაციო ტაბლო;

პულტი;

კვების ბლოკი;

ლოგიკური ბლოკის კვების ბლოკი;

მონაცემების კრიფტოგრაფიული დაცვის სისტემა შედგება:

მონაცემების კრიფტოგრაფიული დაცვის სისტემა „მაგმა-2“;

მონაცემების კრიფტოგრაფიული დაცვის მონყობილობა „მაგმა-2მ“;

შიფრული კავშირის ავტომატიზებული კომპლექსი „ტობოლი-მ“ („ტობოლი-1“, „ტობოლი-2“, „ტობოლი-3“).

მონაცემების გადაცემის სისტემა შედგება ორი კომპონენტისაგან: დახურული და ღია-კომუტირებადი არხები. გამოყენებულია კავშირგაბმულობის გამასაიდუმლოებელი აპარატურა. გვერდითი გამოსხივებისაგან დაცვა განხორციელებულია: ეკრანირების საშუალებით და ჩამხშობი მონყობილობით.

პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში საერთო სარგებლობის კომუტირებადი სატელეფონო ხაზებით დისკრეტული საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის მოთხოვნების გათვალისწინებით მიღწეულია ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების, საშუალებების და მეთოდების კომპლექსური გამოყენებით. საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით ორგანიზაციული ღონისძიებები ასრულებენ ორმაგ როლს:

ერთის მხრივ მათი მოვალეობაა ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო არხების მნივშვნელოვანი ნაწილის დახურვა;

მეორეს მხრივ ერთ მთლიან მექანიზმში აერთიანებენ გამოყენებული ინფორმაციის დაცვის ყველა ტექნიკურ საშუალებას და მეთოდს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამოთვლითი პროცესის ორგანიზაციას გამომთვლელ სისტემაში.

დამუშავებულია საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ორი სისტემა. პერსონალური გამომთვლელი მანქანების EC 1840 ÷ 55 და IBM PC(PC/XT, PC/AT) გამოყენებით. მეცნიერულად დასაბუთებულია და შერჩეულია ინფორმაციის დაცვის ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება. გაანალიზებულია გადაცემის ხაზებში ინფორმაციის დაცვის კრიპტოგ-

რაფიული მეთოდები და საშუალებები. უპირატესობა ენიჭებათ კომბინირებულ კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. გამოყენებული მონაცემების დაცვის კრიპტოგრაფიული სისტემები უზრუნველყოფენ მოქნილი სამდონიანი გასაღებების სისტემის აგებას.

აპარატურული ბარიერის აგებამ პოტენციალურ ბოროტმოქმედსა და პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელს შორის დამახსოვრების სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით და კრიპტოგრაფიული გასაღების მორგებით პრაქტიკულად მოგვცა საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ასპროცენტური გარანტია. მეცნიერულად დასაბუთებულია და დამუშავებულია პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში საიდუმლო ინფორმაციის გადამუშავებისა და გადაცემის დროს საერთო სარგებლობის კომუტირებადი სატელეფონო ხაზების არქიტექტურა და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.

საბრძოლო მოქმედებისას ინფორმაციის დაცვა თავისთავად წარმოადგენს ღონისძიებების კომპლექსს, რომლის ეფექტურობა, ერთის მხრივ, დამოკიდებულია ჩვენი ჯარების-ძალების ძალისხმევაზე და დანაკარგებზე მისი რეალიზაციის მსვლელობაში, ხოლო მეორეს მხრივ – მდგომარეობის პირობებზე, მონინალმდეგის მოქმედებებზე რეალური ინფორმაციის მოსაპარად, გასანადგურებლად, გასათქმელად, ფალსიფიცირებისათვის, კომპრომეტაციისათვის, რომელიც გამოიყენება ჩვენი ჯარების-ძალებისა და შეიარაღების მიერ მართვის პროცესში, აგრეთვე დეზინფორმაციის განვითარებასა და დანერგვაზე.

საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მეთოდების შემდგომი გაუმჯობესების გზაა მეცნიერული დასაბუთება და პრაქტიკული დანერგვა ინფორმაციის დაცვის სამართლებრივი საფუძვლებისა ქვეყნის თავდაცვითი კომპლექსის ინფორმატიზაციის პროცესში. საკანონმდებლო დაცვას და სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ საიდუმლოებას, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო, პოლიტიკურ და სამეცნიერო რესურსებს. ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნილება დააყენა ცხოვრებამ, ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების განვითარებამ და დანერგვამ. ინფორმაციის დაცვა ეს არის ინფორმატიზაციის განუყოფელი ნაწილი, ხოლო საზოგადოების ინფორმატიზაცია – ეს არის სოციალურ-ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას, საკუთარი სამშობლოს საიდუმლო ინფორმაციის დაცვას და სხვა სახელმწიფოების საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას უდიდესი სახელმწიფოებრივი დანიშნულება გააჩნია.

სამეცნიერო ნაშრომების ციკლი შედგება 1992-1996 წლებში ქ. მოსკოვში გამოქვეყნებული შვიდი მეცნიერული შრომისაგან:

1. გ.ი. იასეშვილი. სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ერთდროული დამუშავების მათემატიკური და ქსელური მოდელები, ჟურნალი „Радиопрмышленность“, N3, 1992 წ.;
2. გ.ი. იასეშვილი. პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში ინფორმაციის დაცვის თავისებურებები საერთო სარგებლობის კომპიტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალი „Радиопрмышленность“, N7, 1992 წ.;
3. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის დაცვის ინტელექტუალური სისტემა. ჟურნალი „Радиопрмышленность“, N8-12, 1992 წ.;
4. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის დაცულობის მათემატიკური მოდელები და კრიტერიუმები. ჟურნალი „Радиопрмышленность“, N3, 1994 წ.;
5. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართველბრივი საფუძვლები საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესში. ჟურნალი „Радиопрмышленность“, N2, 1994 წ.;
6. გ.ი. იასეშვილი. ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლების ანალიზი. ჟურნალი „Радиопрмышленность“, N1, 1995 წ.;
7. გ.ი. იასეშვილი. განზოგადოებული ამოცანა საიდუმლო ინფორმაციის სისტემური დაცვის სინთეზისა და ინფორმაციის დაცვის საშუალებათა ოპტიმალური განაწილებისა ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო არხებზე. ჟურნალი „Радиопрмышленность“, N2, 1996 წ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამეცნიერო და ტექნიკური საბჭოს წარდგინებით ზემოთაღნიშნულმა სამეცნიერო შრომების ციკლმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული 1998 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში. წარდგენილი იყო მხოლოდ ხუთი სამეცნიერო ნაშრომი, რადგან მე-6 და მე-7 ნაშრომების გამოქვეყნებიდან საკონტროლო დრო – სამი წელი არ იყო გასული.

ანოტაცია

სამეცნიერო ნაშრომების ციკლზე „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ლონისძიებები“.

ოთხი სამეცნიერო ნაშრომი, 1999 წ., ქ. თბილისი.

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერების კანდიდატი, თადარიგის კაპიტანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატი.

21-ე საუკუნის დასაწყისში სამხედრო მოქმედებების წარმოების ფორმებისა და წესების განვითარებამ განაპირობა: შეიარაღებული ძალების ყველა სახეობების უფრო მეტად მჭიდრო ურთიერთქმედება, უკანასკნელი ტექნოლოგიებით დამზადებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის და ავტომატიზირებული საბრძოლო საინფორმაციო-მმართველი სისტემების ფართო გამოყენება.

განზოგადოებულად ხასიათდება შემდეგი ტენდენციებით:

1. მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება წარმოადგენს სამხედრო მოქმედებების წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას. ამალღდა ინფორმაციული უზრუნველყოფის როლი, რომელიც გახდა შეიარაღებული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი;
2. 2010-2015 წლებამდე სამხედრო ოპერაციის ლოგიკურ-დროებითი აგების ტრანსფორმაცია ანუ თანამედროვე ეტაპზე კამპანიის (ოპერაციის) პრინციპიალური ლოგიკურ-დროებითი აგებაა:

ინფორმაციული ბრძოლა და ფსიქოლოგიური ოპერაციები მთელი კამპანიის (ოპერაციის) პერიოდში;

პირველი ეტაპი – უპირატესობის მოპოვება საინფორმაციო სფეროში;

მეორე ეტაპი – უპირატესობის მოპოვება საჰაერო-კოსმოსურ სფეროში;

მესამე ეტაპი – უპირატესობის მოპოვება ხმელეთზე (აუცილებლობის შემთხვევაში).

- სამხედრო მოქმედებების ჩატარების სივრცული სფეროს გაფართოება;
- ოპერაციის შემცირება, როგორც სამხედრო მოქმედებების წარმოების მთავარი და ძირითადი ფორმისა, მისი ახალი სახეობების გაჩენა: კოსმოსური, რაკეტსანინააღმდეგო, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, რადიოელექტრონულ-საცეცხლე, რობოტიზირებული და სხვა;
- საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ და მათი მსვლელობისას საბრძოლო შესაძლებლობების შეფარდების გათვლის კრიტერიუმის შემდგომი ცვლილება მიმართული რაოდენობრივი პარამეტრებიდან ხარისხობრივისაკენ, როდესაც პრიორიტეტი მიეცემა მაღალი სიზუსტის შეიარაღებას, იარაღს, რომელთა მოქმედება ემყარება ახალ ფიზიკურ პრინციპებს, აგრეთვე ინტელექტუალურ საშუალებებს;
- სამხედრო მოქმედებების მიზნების მიღწევაში სახმელეთო ძალების როლის შემცირება შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების როლის ერთდროულად ამაღლებით;
- შეტევითი მოქმედებების ხასიათისა და შინაარსის ცვლილება. მათ საფუძველს შეადგენს არა ჯარების სივრცული გადაადგილება, არამედ მონინააღმდეგეზე ზემოქმედების სხვადასხვა სა-

შუალებები;

- შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების მონინაალმდეგეზე მაღალი ეფექტურობის ზემოქმედებით ოპერაციის ჩატარების საერთო დროისა და საბრძოლო ამოცანების შესრულების ხანგრძლივობის შემცირება და სხვა.

ნაშრომთა ციკლის მერვე სამეცნიერო ნაშრომის მიზანია გამოავლინოს შეიარაღებული ბრძოლის განვითარებისა და ჯარების მართვის ტენდენციები უახლოეს პერსპექტივაში, რომელიც მიიღწევა:

- შეიარაღებული ბრძოლის განხილვით როგორც სისტემისა, რომელიც გამოსახავს სამხედრო მოქმედებების ფორმის, შინაარსისა და გაქანების რთულ ურთიერთკავშირს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე;
- შეიარაღებული მოქმედებების და მთლიანად შეიარაღებული ბრძოლის ფორმის, შინაარსისა და გაქანების გახსნით ჯარების მოქმედებების ხერხების განზოგადოებული მახასიათებლებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის ყველა ომებში;
- შეიარაღებული ბრძოლის ტენდენციებზე დაკვირვების საფუძვლების ჩამოყალიბებით. იმის გათვალისწინებით, რომ შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ტიპების რაოდენობის გაზრდა, მათი ფუნქციონალური და საბრძოლო შესაძლებლობების გაფართოება წარმოშობს ახალ-ახალ კავშირებს შეიარაღებული ბრძოლის ძირითად ელემენტებს შორის.

როგორც შედეგს ფორმულირება მიეცეს თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის და მისი ხელმძღვანელობის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

სამხედრო მოქმედებების სამგანზომილებიანი სივრცის (დროის განზომილების გარეშე) მრავალგანზომილებიანში გადაზრდა უპირველესად საინფორმაციო და დროის განზომილების მკვეთრი გაზრდის

ხარჯზე მოწმობს, რომ შეიარაღებული ბრძლის განზომილებათა გაზრდა არის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია, რომელსაც პერსპექტივაში მიეყვართ მრავალგანზომილებიან მოცულობით ოპერაციებამდე და მისი თეორიის დამუშავებამდე.

თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის არსში ჩასანვდომად აუცილებელი გახდა „სივრცით“ კოორდინატებთან ერთად „დროითი“ და „ინფორმაციული“ კოორდინატების გამოყენება.

სამხედრო მოქმედებათა ფორმის, შინაარსისა და გაქანების განმსაზღვრელი ნიშნებისა და პირობების ცხად ურთიერთდამოკიდებულებებთან ერთად, განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ფარულობაზე – საიდუმლო ინფორმაციის დაცვაზე.

შეიარაღებული ბრძოლის განხილვა, როგორც რთული სისტემისა და მისი განვითარების არსებითი ტენდენციების გამოვლენა მიზანშეწონილია მისი მახასიათებლების რამოდენიმე ჯგუფად დაყოფით, რაც საშუალებას იძლევა შედარებით ობიექტურად ვიმსჯელოთ შეიარაღებული ბრძოლის ფორმის, შინაარსისა და გაქანების ცვლილებებზე.

გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნა სამხედრო-სამეცნიერო მუშაობისათვის, თუ შეიარაღებული ბრძოლის შემეცნებისათვის ძირითადი იყო (ჯერჯერობით რჩება) ანალიტიკური მიდგომა – მთლიანის შეცნობა ნაწილების მიხედვით, შეიარაღებული ბრძოლის გამოვლენილი ტენდენციები მოითხოვენ კვლევის სისტემური მეთოდოლოგიის შეცვლას ე.ი. ნაწილების შეცნობას მთლიანის მიხედვით, იმიტაციური მოდელების უპირატესი გამოყენებით.

ძირითადი ტენდენციებია:

შეიარაღებული ბრძლის სივრცითი გაქანების გაფართოება;

სამხედრო მოქმედებების სამგანზომილებიანი სივრცის გადასვლა მრავალგანზომილებიანზე;

შეიარაღებული ბრძოლის ლოგიკურ-დროითი თანმიმდევრობის ცვლილება;

შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაცია და წარმოება დროის რეალურ მასშტაბში;

შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების (შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა) გარდაქმნა უშორეს, მაღალ ენერგეტიკულ, დიდი სიზუსტის და მაღალმობილურ კომპლექსებად და სისტემებად ხელოვნური ინტელექტის ელემენტებით;

ოპერატიული და ტაქტიკური მოქმედებების ფორმებისა და ხერხების გაფართოება;

სხვაობის გაზრდა დაზიანების საშუალებების შესაძლებლობებსა და თავდაცვის საშუალებებს შორის;

სამხედრო მოქმედებების ყოველმხრივი უზრუნველყოფის ამაღლება, მათი უზრუნველყოფის სახეობათა რიცხვის გაზრდა.

პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, შეიარაღებული და ინფორმაციული ბრძოლების სისტემურ კავშირში მოხდა მეცნიერულად დასაბუთებული ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც საბრძოლო ოპერაციებმა ხმელეთიდან, წყლიდან, ჰაერიდან და კოსმოსიდან საინფორმაციო სივრცეში გადმოინაცვლა. გადამწყვეტი გახდა ინფორმაციული ბრძოლის (ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური) ხელოვნების მეცნიერული განვითარება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული საიდუმლო ინფორმაციის გარანტირებულ დაცვას. ამ აქტუალურ პრობლემას ეხება ნაშრომთა ციკლის მეცხრე სამეცნიერო ნაშრომი.

სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მონინაალმდეგეზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები. ეს ტენდენცია აისახება ინფორმაციული ბრძოლის კონცეფციაში, რომელიც ითვალისწინებს:

სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის ინფრასტრუქტურის ელემენტების დახშობას;

საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური სისტემების ელემენტებზე ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებას;

სადაზვერვო ინფორმაციის მიღებას;

საინფორმაციო რესურსებზე არასანქცირებული დაშვების განხორციელებას;

დეზინფორმაციის გავრცელებას მოწინააღმდეგის საინფორმაციო არხებში ან მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში.

ინფორმაციული ბრძოლა მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების ზომების კომპლექსია საბრძოლო მოქმედებების (ოპერაციების) მომზადებისა და ჩატარებისას. იგი გულისხმობს აგრეთვე ინფორმაციულ წინააღმდეგობას და ინფორმაციულ დაცვას.

ინფორმაციული ბრძოლა წარმოებდა წარსულის ყველა ომებში. მის შინაარსს ხანგრძლივად წარმოადგენდა ურთიერთდაპირისპირებული მხარეების მოქმედებები დაზვერვის საწარმოებლად და მის წინააღმდეგობად. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება ინფორმაციულმა ბრძოლამ განიცადა რადიოელექტრონული ბრძოლის განვითარების შედეგად შეიარაღების სისტემებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით. თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობა და დასასრული განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმატებით. ინფორმაციული ბრძოლა წარმოებს როგორც საომარ, ისე მშვიდობიან დროს.

ინფორმაციული ბრძოლის კანონზომიერებისა და პრინციპების შემეცნება, მისი მეცნიერული თეორიის აქტიური განვითარება სულ უფრო ხდება აქტიუალური პრობლემა, რომელიც მოითხოვს სამხედრო კადრების ფართო წრის ყურადღებას. ინფორმაციული ბრძოლა შედის მჭიდრო ორგანულ ურთიერთკავშირში სამხედრო საქმიანობასთან. დავამუშავე ინფორმაციული ბრძოლის ურთიერთკავშირის სტრუქტურული სქემა სამხედრო საქმიანობის ძირითად სახეობებთან. მისი ძირითადი შემადგენლებია: ინფორმაციული უზრუნველყოფა, წინააღმდეგობა და დაცვა.

შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურებაა მათი მოღვაწეობის ყველა სფეროს ფართო ინფორმატიზაციის აუცილებლობა. ინფორმაციული რესურსების ხარისხი და მოცულობა დღესდღეობით თავდაცვითი პოტენციალის

უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. წარმატება ბრძოლაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება მხარეთა ინფორმაციული ბრძოლის შედეგებზე. ამიტომ სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ინფორმაციის საშუალებების ეფექტიანი გამოყენება ჯარების (ძალების) მართვის პროცესში.

შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების პროგნოზირებამ, მათი გამოყენების ეფექტიანობამ სამხედრო კონფლიქტებში დაადასტურა, რომ საბრძოლო სისტემების სრულყოფის პერსპექტიულ მიმართულებებს წარმოადგენს ძალებისა და საშუალებების მართვის ხარისხის ამაღლება და კომპლექსური, ბალანსირებული გამოყენება ჯარების (შეიარაღების) განადგურების, დაზვერვის და მართვის საშუალებების ერთიანი სადაზვერვო-დამრტყმელი სისტემის შემადგენლობაში.

მართვის პრობლემების გადასაწყვეტად მოითხოვენ ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების დასაბუთებას. ერთ-ერთი მათგანია განჭვრეტის (პროგნოზირების) ფუნქციის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ავტომატიზაცია. ინფორმატიზაციის პროცესის მთავარი შემადგენელია ინტელექტუალიზაცია. ეს კი თავის მხრივ საჭიროებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიის დანერგვას, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან მართვის თეორიის საფუძვლები.

ინფორმაციულმა ბრძოლამ, მისი წარმოების ფორმებმა წარმოშვა ინფორმაციული იარაღი და მისი გამოყენების სისტემები. სამხედრო თეორეტიკოსები განიხილავენ სამხედრო კონფლიქტებში „არამომაკვდინებელი პროგრამულ-ინფორმაციული იარაღის“ გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს. 1999 წლისათვის ცნობილი სამხედრო მეცნიერების და ექსპერტების მიერ გამოქვეყნებული ახალი სამეცნიერო-კვლევითი შედეგების და საერთაშორისო დონეზე არსებული სტანდარტების საფუძვლიანი შესწავლით და მისი გამოყენებით დავამუშავე ინფორმაციული იარაღის არსის განმსაზღვრელი დანვრილებითი სტრუქტურული ბლოკ-სქემა.

შეიარაღებული ძალების ინფორმატიზაციის გაღრმავებასთან ერთად ინფორმაციული ბრძოლის კანონზომიერების მთავარი არსი მისი როლის ამაღლებაა საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტაში. ინფორმა-

ციული საშუალებებისა და სისტემის გამოყენება დიდმნიშვნელოვნად აძლიერებს ჯარების საბრძოლო შესაძლებლობებს, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან ერთად იზრდება შეიარაღებული ძალების დაუცველობა ინფორმაციული ბრძოლისგან, მისი წარმატებული გავლენა საომარი მოქმედებების მსვლელობასა და შედეგებზე. მატულობს ინფორმაციულ ბრძოლაში მოზიდული ძალებისა და საშუალებების რაოდენობა.

შეიარაღებული ძალების ინფორმატიზაციის ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება ინფორმაციულ რესურსებს, გადამწყვეტია სამხედრო რესურსის შინაარსის დასაბუთება სამხედრო სფეროში. დავამუშავე საქართველოს შეიარაღებული ძალების ინფორმაციული რესურსის მეცნიერულად დასაბუთებული სტრუქტურული ბლოკ-სქემა, რომელსაც სისტემური ხასიათი გააჩნია.

1998-1999 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის ოფიცრები პოლკოვნიკ გივი ლეფონავას ხელმძღვანელობით ვმუშაობდით სამხედრო მეცნიერების კადრების პირველი თაობის გენერაციისა და სამამულო სამხედრო-სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების პროგრამაზე. დავამუშავეთ საქართველოში სამხედრო მეცნიერების მდგომარეობისა და სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის შექმნის შესახებ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის“ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით ჩვენი კოლექტიური, მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიული კონცეფცია, რომელსაც ეძღვნება ნაშრომთა ციკლის რიგით მეთექვსმეტე მეცნიერული ნაშრომი.

სამხედრო მეცნიერება – ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. საქართველოში, რომელიც ფლობს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს, სამხედრო მეცნიერება იმყოფება ქვეყნის საერთო სამეცნიერო სივრცის და მეცნიერული ცოდნის ერთიანი სისტემის გარეთ. არ ჰყავს სამხედრო-სამეცნიერო კადრები, რის შედეგადაც არ არსებობს სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლა.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ჩართვა ქვეყნის საერთო სამეცნიერო სივრცეში და მეცნიერული ცოდნის ერ-

თან სისტემაში, სამხედრო-სამეცნიერო კადრების გენერაცია და სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის ჩამოყალიბება.

ამასთან ერთად, ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს პროცესები მეცნიერებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ორგანიზაციის ღრმა გარდაქმნისათვის, რის პრინციპიალურ მომენტს წარმოადგენს მეცნიერებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ორგანიზაციის მკაცრად ცენტრალიზირებული სისტემიდან (მეცნიერებათა აკადემიის მეშვეობით) გადასვლა დეცენტრალიზირებულზე, ლიბერალურ სისტემაზე დარგობრივი სამეცნიერო გაერთიანებების (დარგობრივი ცენტრების) საშუალებით.

მეცნიერებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ორგანიზაციის სისტემის ლიბერალიზაცია ახალ ეკონომიკურ პირობებში არის უფრო ოპტიმალურად ჩამოყალიბებული და ფუნქციონირებადი მეცნიერებისთვის. მის პირველადი დაფუძნების პრობლემის გადასაწყვეტად, იმის მსგავსი, რომლებიც სამხედრო მეცნიერების წინაშე დგას, ლიბერალური სისტემა ქმნის ისეთ ბარიერებს, რომლის გადალახვა მოითხოვს უზარმაზარ დროს და მატერიალურ რესურსებს.

ამავე დროს, სამხედრო მეცნიერების დაფუძნება, სამხედრო-სამეცნიერო კადრების პირველი თაობის გენერაცია და სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის შექმნა შესაძლებელია ეფექტურად, მატერიალური რესურსების მცირე ხარჯებით გადაწყდეს მოკლე დროში ახლა მოქმედი მეცნიერების ორგანიზაციის სისტემის პირობებში. საკვანძო საკითხია არსებული სისტემის შესაძლებლობების სრულად გამოყენება, აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად.

1999-2000 წლები წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების კადრების პირველი თაობის გენერაციის და სამამულო სამხედრო მეცნიერების სკოლის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს, მას ეკუთვნის გადამწყვეტი მნიშვნელობა. პირველი რიგის ღონისძიებებია:

სამხედრო მეცნიერების კადრების პირველი თაობის გენერაციისა და სამამულო სამხედრო-სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება.

პირველი ეტაპი 1999-2000 წ.წ.;

მეორე ეტაპი – 2000-2002 წ.წ.;

მესამე ეტაპი – 2003 წლიდან;

სამხედრო-სამეცნიერო მუშაობისათვის კადრების შერჩევა და მომზადება;

ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის გამოცდილების განზოგადოება მსოფლიო სამხედრო მშენებლობის მიღწევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით და სხვა.

საერთაშორისო არენაზე ძალთა გადანაწილების ცვლილებამ და სამხედრო სამეცნიერო რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა ჯარების მართვასა და შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ ხელმძღვანელობაზე. მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანი ქვეყნების არმიის, ავიაციის და ფლოტის შეიარაღებაში ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლების პრინციპულად ახალი საშუალებების დანერგვამ აამაღლა მართვის ეფექტურობის მნიშვნელობა ყოველ დონეზე და შეიარაღებული ძალების მართვის სისტემები გადააქცია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. გადამწყვეტი გახდა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე. ამ პრობლემის მეცნიერულ დასაბუთებას ეძღვნება ნაშრომთა ციკლის მეთერთმეტე სამეცნიერო ნაშრომი.

ჯარების მობილურობა ბევრადაა დამოკიდებული მათი მართვის მეთოდებზე. მის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მეთაურებისა და შტაბების უნარი სწრაფად და ღრმად გაერკვნენ რთულ მდგომარეობაში, შეუფერხებლად მიიღონ ყველაზე მიზანშეწონილი გადამწყვეტილება, უმოკლეს დროში დაიყვანონ იგი ხელქვეითებამდე. უწყვეტად წარმართონ ჯარების მოქმედება საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

მათემატიკური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია მართვის მობილურობის რაოდენობრივი შეფასება. მართვის ოპერატიულობის ფორმულაა:

$$T_{\text{მარ.}} < T_{\text{კრ.}} - T_{\text{ნაშ.}}, \text{ სადაც}$$

$T_{\text{მარ.}}$ – მართვის ციკლზე დახარჯული დროის ჯამია;

$T_{\text{კრ.}}$ – საერთოდ არ მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე იმ ეფექტიანობით, რასაც გეგმა ითვალისწინებდა;

$T_{\text{ნამ.}}$ – ნამდვილი დრო, რომელიც აუცილებელია ჯარებისათვის მიღებული ბრძანების შესასრულებლად.

საუკეთესო შედეგებს შეიძლება მივაღწიოთ მართვის ცენტრალიზაციით მკაცრად განსაზღვრულ ზღვრებში. შედარებით ფართო დეცენტრალიზაციით ქვედანაყოფებისა და ნაწილების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის ამაღლებით. თუმცა ბრძოლის კრიტიკულ მომენტებში უთუოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯარების მკაცრად ცენტრალიზირებული მართვის შესაძლებლობა.

მართვის ოპერატიულობაზე უშუალო გავლენას ახდენს მისი განხორციელების ხერხებიც, აქცენტი გადატანილია ხელქვეითებზე, პირადი ურთიერთობის ნაცვლად მანძილიდან მართვის პუნქტებისა და შტაბების საშუალებით ხელმძღვანელობაზე.

მართვის მობილურობის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს ტექნიკური საშუალებებით შტაბების აღჭურვა, არსებული მართვის სისტემის სრულყოფა. მოიძებნა მეთაურებისა და შტაბების მუშაობის ეფექტიანი ოპერატიული მეთოდები, მიღწეულია ბრძოლის და ოპერაციის ორგანიზაციისა და მომზადების დროის შემცირება, ოფიცერთა შემადგენლობას გამოუმუშავდა თანამედროვე ბრძოლებისათვის აუცილებელი ჩვევები და ხარისხი.

საბრძოლო მოქმედებათა მომზადების დროის შემცირება შესაძლებელია გადანყვეტილების შემუშავების, მისი გაფორმებისა და ჯარებისათვის გაცნობის მეთოდების გაუმჯობესებით, შინაარსის გამარტივებით და დოკუმენტების რაოდენობის შემცირებით და სხვა.

დიდად მნიშვნელოვანია უზრუნველყოთ ხელქვეითებისათვის განკარგულების სწრაფად გაცნობა შეტევის პროცესში. ჯარების მართვის მობილურობა განაპირობებს ინფორმაციული მონაცემების თავისდროულობის, საიმედოობის და უსაფრთხოების მაღალ ხარისხს.

თავისდროულობა ახასიათებს კავშირგაბმულობის უნარს უზრუნველყოს დოკუმენტური შეტყობინებების გაცემა (მიტანა) ან მოლაპა-

რაკეების წარმოება მოცემულ დროში.

აუცილებელია:

კავშირგაბმულობის საშუალებების მუდმივ მზადყოფნაში შენარჩუნება;

პირადი შემადგენლობის მაღალი კვალიფიკაცია და მორიგეობის მკაფიო ორგანიზაცია კავშირგაბმულობის კვანძებსა და ხაზებზე;

კავშირგაბმულობის სისტემისა და ჯარების უწყვეტი და ოპერატიული მართვა.

საიმედოა ახასიათებს კავშირგაბმულობის უნარს უზრუნველყოს გადასაცემი შეტყობინების აღწარმოება მიმღებ პუნქტებში მოცემული სიზუსტით.

მიიღწევა:

ყველაზე მნიშვნელოვანი შეტყობინებების გადასაცემად საუკეთესო ხარისხის კავშირგაბმულობის არხების გამოყენებით;

შეტყობინების განმეორებით გადაცემით;

კავშირგაბმულობის არხების და საშუალებების მახასიათებლების შენარჩუნებით დადგენილი ნორმის ფარგლებში.

განვითარებული სახელმწიფოების არმიების რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით თანამედროვე მაღალტექნიკური აღჭურვის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კავშირგაბმულობის ისეთი თვისება, როგორცაა მისი უსაფრთხოება, რომელიც ახასიათებს კავშირგაბმულობის უნარს უზრუნველყოს გადასაცემი (მისაღები) შეტყობინებების შინაარსის საიდუმლო შენახვა და წინ აღუდგეს ყალბი ინფორმაციის შეყვანას.

კავშირგაბმულობის უსაფრთხოების რაოდენობრივი მახასიათებელია დახურვის კოეფიციენტი $K_{\text{დ}}$, რომელიც წარმოადგენს დახურული

კავშირების რაოდენობის ფარდობას – $N_{\text{გ}}$ საერთო რაოდენობასთან – $N_{\text{გ}} + N_{\text{არღ}}$, ანუ

$$K_{\text{გ}} = \frac{N_{\text{გ}}}{N_{\text{გ}} + N_{\text{არღ}}}$$

ძირითად ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს კავშირგაბმულობის უსაფრთხოების მოთხოვნების მისაღწევად წარმოადგენს:

კავშირგაბმულობის გამასაიდუმლოებელი აპარატურის გამოყენება და მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა;

ინფორმაციის წინასწარი შიფრაცია და კოდირება, სახმობების ცხრილის და ჯარების ფარული მართვის დოკუმენტების გამოყენება;

საიდუმლოების რეჟიმის მოთხოვნების შესრულება ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვისას მართვის ავტომატიზებულ სისტემებში, კავშირგაბმულობის კვანძებში, სადგურებსა და სააპარატუროებში.

მაღალი დონით დაცული კავშირგაბმულობის შექმნა, რომელიც ადრე მსოფლიოს სამხედრო მეცნიერთა და ექსპერტთა შორეულ ოცნებას წარმოადგენდა, დღეს უახლოესი სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების კომპლექსური გამოყენებით უკვე რეალობად იქცა.

სამეცნიერო ნაშრომების ციკლი შედგება 1999 წელს ქ. თბილისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებულ სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ გამოქვეყნებული ოთხი მეცნიერული შრომისაგან:

შინაარსი. სამხედრო თეორია და პრაქტიკა.

1. გ. ი. იასეშვილი. თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის განვითარების ძირითადი ტენდენციები (შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები). ჟურნალი „სამხედრო აზრი“ N1, 1999 წ.;
2. გ. ი. იასეშვილი. ინფორმაციული ბრძოლის არსი: იარაღი და საშუალებები. ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N1, 1999 წ.;

3. გ. ი. იასეშვილი. სამხედრო-სამეცნიერო კადრების პირველი თაობის გენერაცია (შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები). ჟურნალი „სამხედრო აზრი“, N2, 1999 წ.;
4. ნ. მ. კაიშაური, გ. ი. იასეშვილი. ჯარების მართვა მართვის მობილურობა. ჟურნალი „სამხედრო აზრი“, N2, 1999 წ.;

მთლიანობაში, საბრძოლო მოქმედებები გახდა უფრო დაძაბული და მაღალტემპიანი, რაც საჭიროებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის მოქმედებათა კოორდინაციას და ურთიერთქმედების გაძლიერებას. მათი წარმატებით განხორციელების ძირითადი პირობები გახდა მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მიღწევა, ჯარების სტრატეგიული და ტაქტიკური მობილურობის ამაღლება და აგრეთვე მათი საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის ეფექტურობის ხარისხის გაზრდა. ყოველივე ზემოთქმულის თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს და მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მოპოვების ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული საიდუმლო ინფორმაციის გარანტირებული დაცვა.

თავი მესამე

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის (სსმა) ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 1999-2003 წლები შედეგები და მომავალი ამოცანები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი საანგარიშო მოხსენება. 5.04.2004 წ. იბეჭდება შემოკლებით.

1. ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულება.

სსმა-ს დაარსების აუცილებლობის იდეა დაიბადა და მომწიფდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში. საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ 1998 წლის აპრილში ხელი მოაწერა მეცნიერულად დასაბუთებულ თხოვნის წერილს, რის საფუძველზეც საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა, ივერ ფრანგიშვილმა გახსნა სამხედრო-სამეცნიერო განყოფილება ჯერ პრეზიდენტიმის სხდომაზე, ხოლო შემდგომ საბოლოოდ დაამტკიცა საინჟინრო აკადემიის წევრთა საერთო საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

შეიქმნა სამი მიმართულება:

- შეიარაღებული ძალების მშენებლობის – ხელმძღვანელი პოლკოვნიკი **გივი ლეფონავა**;
- იარაღთა სისტემის შერჩევის – ხელმძღვანელი პოლკოვნიკი **გოგი თავაძე**;
- ჯარების და ძალების მართვის მიმართულება – ხელმძღვანელი კაპიტანი **გივი იოსების ძე იასეშვილი**.

პოლკოვნიკი გივი ლეფონავა და მე აგვირჩიეს საინჟინრო აკადემიის მრჩეველებად.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შეიქმნა 10 კაციანი სექტორი და ჩემი ხელმძღვანელობით ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულება 1999 წლის იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა დებულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობის შესრულებას შემდეგი შემადგენლობით:

ი. გორგიძე – აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

გ. ანანიაშვილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიმალური პროცესებისა და ინფორმატიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თ. ბენიძე – პოლკოვნიკი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი;

ნ. კაიშაური – ვიცე-პოლკოვნიკი, გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის მთავარი სამმართველოს უფროსი;

გ. არველაძე – მაიორი, გენერალური შტაბის რეჟიმის განყოფილების უფროსი;

მ. შურღაია – პოლკოვნიკი, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი;

ე. პეტრემღვდლიშვილი – მაიორი, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს რადიოელექტრონული ბრძოლისა და კრიპტოგრაფიის განყოფილების უფროსი;

კ. ხიზანიშვილი – პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობისა და ფსიქოლოგიური მომზადების მთავარი სამმართველოს უფროსი;

ი. გალდავა – ვიცე-პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობისა და ფსიქოლოგიური მომზადების სამმართველოს უფროსი.

ჩვენს მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნახევარწლიურ და წლიურ სამეცნიერო ანგარიშებს ჯერ იხილავდა გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის სხდომა პოლკოვნიკ გივი ლეფონავას ხელმძღვანელობით, ხოლო შემდგომ წარედგინებოდა საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმს;

1999 წლის 30 ივლისს აკადემიკოს ივერ ფრანგიშვილის თავმჯდომარეობით საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა ჩვენი მიმართულების პირველი ნახევარწლიანი სამეცნიერო ანგარიში და დადებითად შეაფასა. 2000 წლის 31 იანვარს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ლევან მახვილაძე, მე წარვადგინე 1999 წლის მეორე ნახევრის შედეგები და კვლავ დადებითად შეფასადა.

2000 წლის პირველი ნახევარის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის შედეგები ჯერ განიხილა საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი გოგი თავაძე, ხოლო შემდგომ კი განიხილა გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ჯონი ფირცხალაიშვილმა. ჩვენ მათგან მხარდაჭერა მივიღეთ. 2000 წლის მეორე ნახევრის შედეგები მე გაუგზავნე პოლკოვნიკ გოგი თავაძეს, წარუდგინე იუსტიციის მინისტრს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, წარუდგინე თავდაცვის მინისტრს გენარალ-ლეიტენანტ დავით თევზაძეს, რომელმაც გადაუგზავნა გენერალური შტაბის უფროსს ჯონი ფირცხალაიშვილს, მან კი გადაუგზავნა თავის მოადგილეს გენერალ-მაიორს დევი ჭანკოტაძეს. ასე დაიწყო სსმა-ს დაარსება.

1999-2000 წლებში საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო სამეცნიერო განყოფილება ფაქტობრივად არსებობდა მხოლოდ ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შრომითი შედეგების ხარჯზე. 2000 წლის სექტემბრის ბოლოს გადმოგვცეს, განვიხილეთ და საკუთარი შენიშვნები გაუკეთეთ საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების დებულების პროექტს – აკადემიკოს-მდივანი იყო თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი, ტექნიკის

მეცნიერებათა დოქტორი, სამხელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი გოგი თავაძე.

განყოფილების მუშაობა დაგეგმილი იყო ორ სექციად სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო-ტექნიკური. მეორე სექციის ხელმძღვანელობა პოლკოვნიკმა გოგი თავაძემ იკისრა, პირველი სექცია ღიად იყო დარჩენილი. წერილობით გამოვთქვი აზრი, რომ პირველ სექციაში წამყვანი მიმართულებაა ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულება და ამ სექციას მე უნდა გაუწიო ხელმძღვანელობა. სამწუხაროდ, სამხედრო მეცნიერებამ საქართველოს საინჟინრო-აკადემიაში განვითარება ვერ ჰპოვა.

2. საინჟინრო აკადემიიდან გამოყოფა.

შეერთება განვითარებას არ განაპირობებს, განვითარებას განაპირობებს დიფერენცია. სსმა დაარსდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებიდან ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების გამოყოფით. ამ მიზნით მე 2000 წელს შევექმენი სსმა-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი, ხოლო პირადად მე კვლავ დავრჩი საინჟინრო აკადემიის წევრად.

სსმა-ს დაარსების ურთულესი ეროვნული პროცესის გუნდური ხელმძღვანელობის მიზნით საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით:

გივი იასეშვილი – საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ზურაბ შენგელია – პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის უფროსის მოადგილე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში, სამხედრო მეცნიერების კანდიდატი;

გულაბერ ანანიაშვილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიმალური პროცესებისა და ინფორმატიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

კახა კაციტაძე – ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა

და შეიარაღებაზე კონტროლის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიტოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მაია ჭიაბრიშვილი – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვითი რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მაიორი;

დავით დარჩიაშვილი – საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსი, სამხედრო ექსპერტი, პოლიტოლოგი.

თამარ ბაკურაძე – საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ჯგუფის უფროსი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

გამარლი დოხნაძე – საქართველოს საინჟინრო ეკოლოგიის და წყალთამყურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ნუკრი მოსეშვილი – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსი ოფიცერი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მაიორი.

მე და ჩემი გუნდის წევრებმა კოლექტიურად დავამუშავეთ და დავწერეთ „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების კონცეფცია-წესდება“, რომელიც ხუთი თავისგან შედგება.

- მეცნიერულ ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებული განვითარება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს;
- სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია;
- ჯარებისა და ძალების მართვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების უაღრესად აქტუალური მეცნიერული პრობლემა გახდა.

- სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების აუცილებლობის დასაბუთება;
- სამხედრო მეცნიერების მცოდნეობა აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა.

ჩვენი ეს პირველი ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო დოკუმენტთან – საქართველოს კონსტიტუციასთან. დამოუკიდებელი საქართველო და მისი შეიარაღებული ძალები 21-ე საუკუნეში შევიდა სსმა-ს დაარსებით, რომელიც დიდად ესაჭიროება ჩვენს საერთაშორისო აღიარებას. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ გიორგი ბარამიძისა და საქართველოს პარლამენტის თავდაცვითი მრეწველობის კომისიის თავმჯდომარის გენერალ-მაიორ, ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის წინასწარი წერილობითი მხარდაჭერის საფუძველზე 2001 წლის იანვრიდან სსმა-მ დაიწყო ფუნქციონირება, როგორც დამოუკიდებელმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

აკადემია შედგება ორი მთავარი მიმართულებისაგან: ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულება და სამხედრო მეცნიერების მცოდნეობის მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს ახალი იდეების, ტექნოლოგიების, მეცნიერული მიღწევების დანერგვას შეიარაღებულ ძალებში.

თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს
ბატონ გივი იოსების ძე იასეშვილს

ბატონო გივი,

თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალებთან გაცნობის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სამხედრო მრეწველობის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ელგუჯა მექმარიაშვილმა გამოთქვა პირადი მხარდაჭერა იმ პოზიციისადმი, რომელიც შეეხება საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის ნებისმიერ ინიციატივას და მათ შორის, რა თქმა უნდა, აკადემიის შექმნას, რასაც მე ვეთანხმები.

ამასთან, როდესაც თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალებში საკითხი შეეხება კერძო, კონკრეტულ შემთხვევას – თქვენი ინიციატივით საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით „საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის“ დაარსებას, მთელი შემდგომი პროცედურა განსაზღვრულია ქვეყნის კანონმდებლობით და ის სამართლებრივად არ მოითხოვს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წერილობით მხარდაჭერას.

რაც შეეხება კომიტეტის პოზიციას, მისი ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნა არის ის, რომ საქართველოში მომრავლებული აკადემიების, ინსტიტუტების და სხვათა შექმნის დროს განსაკუთრებულად გაანალიზდეს და შეფასდეს არამარტო ის მიზნები და პრინციპები, რომლებსაც აღნიშნული ორგანიზაციები დაფუძნების წინ ისახავენ და მოტივაციად წარმოადგენენ, არამედ ის რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც მათ გააჩნიათ დასმული პრობლემების გადასაწყვეტად და რა თქმა უნდა, თუ რა კონკრეტული, გრძელვადიანი მოთხოვნები გააჩნია საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურებს.

სხვა შემთხვევაში, და ეს უკვე იგრძნობა საქართველოში, ხდება სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის პრესტიჟის და მისდამი ნდობის გაუფასურება, რისი დაშვებაც, ამჯერად – სამხედრო აღმშენებლობაში, ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია.

აგრეთვე მიმდინარეობს სამუშაოები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიის რეორგანიზაცია-მოდერნიზაციისათვის იმ სტანდარტებსა და სიდიდეზე, რაც ოპტიმალური იქნება ჩვენი სამხედრო ძალებისათვის.

გთხოვთ, თქვენს მიერ საკითხის მომზადების დროს გაითვალისწინოთ ჩვენი პოზიციები რჩევის სახით.

პატივისცემით,

გიორგი ბარამიძე
თავმჯდომარე

2001 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრი

საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის
დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს,
ბატონ გ. იასეშვილს

ბატონო გივი,

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი მეორეჯერ ეცნობა თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალებს და წამოყენებულ თხოვნას მხარდაჭერისათვის საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებაში, ამჯერად უკვე – როგორც საჯარო სამართლის სუბიექტისა.

ვფიქრობ, პარლამენტის კომიტეტის პირველ პასუხში ჩვენი პოზიცია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ამჯერად მოგვინევს უფრო დეტალური შეფასება თქვენი წინადადებისა.

1. ბატონო გივი, თქვენ, როგორც ასეთი ინიციატივის ხელმძღვანელმა, რომელიც ამოდენა ტვირთის ზიდვას აპირებს სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მხრივ, ვფიქრობ, კარგად იცით, რომ ანალოგიურ საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიმართოთ სახელმწიფო კანცელარიის მეშვეობით, მითუმეტეს, რომ ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, და, თუნდაც თავიდანვე, არ უნდა სთხოვოთ საქართველოს პარლამენტს შუამავლის როლის შესრულება, რათა თქვენი ფორმულირებით „შვიდი დოკუმენტი წარუდგინოთ საქართველოს პრეზიდენტს“. რაც შეეხება თვით პარლამენტის კომიტეტის პოზიციას, ის ჩვენ უკვე გამოვხატეთ პირველ პასუხში.

2. რაც შეეხება თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, ამ შემთხვევაშიც მე მთელი პასუხისმგებლობით შევისწავლე ისინი და, ამის საფუძველზე, მინდა, მოგახსენოთ შემდეგი:

აღნიშნულ დოკუმენტაციაში ასახული და კონცენტრირებული სამეცნიერო პოტენციური სამხედრო მეცნიერებების მხრივ, და, რაც მთა-

ვარია, სამხედრო მეცნიერებათა ხარისხის მქონე პირთა არარსებობა (გარდა სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატის, პოლკოვნიკ ზურაბ შენგელიასი, რომელიც ისედაც აქტიურად მოღვაწეობს უკვე არსებულ ეროვნულ სამხედრო აკადემიაში), უბრალოდ, უხერხულობას ქმნის საკითხის დაყენებისას სახელმწიფო სტატუსით „საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის“ შექმნასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოში ნამდვილად არის ბევრი მეცნიერი, მაღალი კლასის პროფესიონალი, რომლებიც ტექნიკის ან სხვა პროფილით ემსახურებიან სამხედრო საქმეს და ქვეყნის თავდაცვას, მაგრამ მათი ოფიციალური სტატუსი არ განაპირობებს საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის არსებობის აუცილებლობას, უფრო მეტიც, ბევრი მათგანი ნამდვილად ღირსეული კანდიდატურაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრობისა.

თქვენ თავისთავად კარგი ინიციატივა იკისრეთ, მაგრამ ხანგრძლივი და ინტენსიური შრომის, მეცნიერული კვლევების, სამხედრო მეცნიერებათა დარგის ღირსეულ წარმომადგენელთა ქართული სკოლის შექმნის გარეშე, რომელიც ფართო ქსელში – მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, საინჟინრო აკადემიაში, ეროვნულ სამხედრო აკადემიაში, შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო უწყებებში, სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში, საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლებითა და სამეცნიერო მოღვაწეობით უნდა ჩამოვაყალიბოთ, ასე დღესვე სახელმწიფო სტატუსით ისეთი უმაღლესი სამეცნიერო რანგის წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა, როგორც სამხედრო მეცნიერებათა აკადემიაა, ჯერ ერთი, ამბიციური იქნება და, მეორეს მხრივ, ისეთსავე და უფრო მეტ არაკომპეტენტურობაზე იქნება დაფუძნებული, როგორზეც – საქართველოში ბოლო წლებში ჩამოყალიბებული და სოკოებივით მომრავლებული ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, რომლებსაც ზიანი უფრო მოაქვთ, ვიდრე სიკეთე.

მე გირჩევდით, თქვენი ენერგიულობით და საქმისადმი სიყვარულით შეეცადოთ, ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი, ეტაპობრივად, პირველ რიგში – ცალკეულ მეცნიერთა ან სამეცნიერო ჯგუფების მიერ სამხედრო მეცნიერებათა დარგში, ქვეყნის კონკრეტული სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მოთხოვნების შესაბამისად, კონკრეტული

სამუშაოების შესრულებას, შევექმნათ პატიოსანი და ღირებული სამხედრო სამეცნიერო პროდუქცია, უზრუნველვეყოთ სამეცნიერო ხარისხების დაცვისა და მინიჭების ასეთივე პატიოსანი და პრინციპული სისტემის შექმნა და ამ მხრივ ყველა ჯანსაღი ინიციატივის მხარდაჭერა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი მიდგომა სამხედრო მეცნიერებათა განვითარებისადმი უკვე არსებობს და მას ახლა ძალთა ერთიანობა და მხარდაჭერა სჭირდება.

საქართველოს სასახელო მხედრული ტრადიციები გააჩნია, ქართულ მეცნიერებას დიდი საერთაშორისო პრესტიჟი აქვს, ამიტომ მოდით, ნუ ვაკადრებთ ერთსაც და მეორესაც რაღაც ამბიციურ და მოუმზადებელ სინთეზში გაერთიანებას.

მოცემულ ეტაპზე, მიუხედავად ასეთი პასუხისა, გამოვთქვამ სრულ მზადყოფნას თქვენთან თანამშრომლობისათვის ნებისმიერ საკითხზე სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ოლონდ – კონკრეტული სამეცნიერო მიმართულების, კონკრეტული თემატიკის და კონკრეტული ტექნოლოგიების მხრივ, თუნდაც საინჟინრო აკადემიის ფარგლებში, სადაც ბევრი საინტერესო მიმართულება განიხილება და რომელსაც ტექნიკური დარგის სპეციალისტების დახმარება სჭირდება.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის
სამხედრო მრეწველობის საკითხთა ქვეკომიტეტის
თავმჯდომარე
ელგუჯა მეძმარიაშვილი

2002 წ.

3. სსმა-ს პრეზენტაცია


ქართული კულტურის და მეცნიერების ტაძარში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2001 წლის 20 ივლისს მოხდა სსმა-ს ისტორიული წარმატებული პრეზენტაცია სამხედრო და სამოქალაქო საზოგადოების ფართო წარმომადგენლების წინაშე, რომელთაც მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ჩემი პირველი საანგარიშო მოხსენება.

აკადემიის მუშაობის ძირითადი სატრატეგიული კურსია ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციაზე და მეთოდებზე. მომავალი პროგნოზირებადი არატრადიციული ომების მახასიათებლების გათვალისწინებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით აკადემიის პერსპექტიულ ამოცანებს წარმოადგენს ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის, ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინის და ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგიის შექმნა და ჩამოყალიბება, რომელიც სამხედრო უსაფრთხოების შემადგენელია, ხოლო იგი კი მთლიანობაში ალღებულ ეროვნულ უსაფრთხოებას მიეკუთვნება.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების განვითარებამ მთლიანად დაადასტურა სსმა-ს არსებობის მიზანშეწონილობა და ისტორიული აუცილებლობა და აკადემიის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებს სრული შესაბამისობა სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევების საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელსაც ორი მიმართულებით ვანარმოებთ: ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური.

21-ე საუკუნის დასაწყისში, სამხედრო მოქმედებების წარმოების ფორმებისა და წესების განვითარების შესაბამისად იხილეთ ნახაზი 1.

დანვრილებითი აღწერა იხილეთ 305-ე, 306-ე და 307-ე გვერდებზე.



ნახაზი 1.

თანამედროვე ეტაპზე კამპანიის (ოპერაციის) პრინციპიალური ლოგოკურ-დროებითი აგება.

4. საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერა.

საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირებისა და ნატო-ში გაწევრიანების მიზნით 2003 წლის 21 მაისს საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს მივმართე ვრცელი ოფიციალური წერილობითი განცხადებით და ვთხოვე ნებართვა, რომ სსმა-ს აქტიური მონაწილეობა მიეღო ამ ისტორიულ ეროვნულ პროცესში. მისი წერილობითი განკარგულებით საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკურ დეპარტამენტში და ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში მოხდა ჩვენი საქმიანი შეხვედრები ამ დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, ბატონებთან რეზო ბემიძესთან, ნიკოლოზ რთველიაშვილთან და თეიმურაზ მიქელაძესთან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დარწმუნდა სსმა-ს ინტელექტუალური პოტენციალის კომპეტენტურობაში და გამოგვიგზავნეს მხარდაჭერის წერილობითი პასუხი – იხილეთ დანართი.

**საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ გივი იასეშვილს**

ბატონო გივი,

თქვენი 21.05.2003წ. წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მხარს უჭერს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ინიციატივას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ნატოში განწევრიანების ისტორიულ პროცესში, აკადემიის მიერ შესრულებული სტრატეგიული სამეცნიერო მიმართულებებით:

- ა) საქართველოს ნატოში განწევრიანების პროცესი, სამხედრო ასპექტები;
- ბ) ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება (ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური);

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ინფორმაციულ პრობლემატიკაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

დამატებით გთხოვთ, დაგვეხმაროთ შემდეგი საკითხების შესწავლაში; კერძოდ:

- ა) სამხედრო მრეწველობისა და სამხედრო დანიშნულების ობიექტების კონვერსიის საკითხები;
- ბ) ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები სამხედრო საქმიანობასთან მიმართებაში.

პატივისცემით,
მინისტრის მოადგილე,

მერაბ ანთაძე

მათი თხოვნა პირნათლად შევასრულეთ.

ნატო-ს ხელმძღვანელობის უმთავრესი მიზანია მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მეცნიერებთან. ამ მიზნით სსმა-მ დაამუშავა და ოფიციალურად წარადგინა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოსაქვეყნებლად, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ღონისძიებებზე წარსადგენად ტრანსფორმირებული მეცნიერული დასაბუთება, სახელწოდებით „სამხედრო მეცნიერება“ – მოცულობით 16 ნაბეჭდი გვერდი.

წარმოდგენილი ნაშრომი ერთის მხრივ მცდელობაა გავამახვილოთ ჩვენი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება, რომ ქართველ ხალხს ყოველთვის გააჩნდა შრომის ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების ეროვნული მოდელი, რომელიც თაობიდან თაობას ესტაფეტად გადაეცემოდა, ხოლო მეორის მხრივ მიზნად ისახავს რუსული ნაციონალიზმისაგან და შოვინიზმისაგან გასრესილი ქართული სამხედრო პოტენციალი მთლიანად არ წაღეკოს მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე აზვირთებულმა გლობალიზაცია-ამერიკანიზაციის დამანგრეველმა ტალღამ.

ინფორმაციული უსაფრთხოების მეცნიერული დასაბუთება მოცემული გვაქვს ამ ნაშრომში.

P.S. მიუხედავად ჩემი მრავალგზის და მრავალმხრივი მცდელობისა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამ ჩემი საანგარიშო მოხსენების განხილვას თავი ვერ გაართვეს.

თავი მეოთხე

დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს კოლეგიის მიერ
2001 წ.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დარ- სების კონცეფცია-წესდება

1. სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია

იხილეთ გაუმჯობესებული და გადამუშავებული ვარიანტი, „სამხედრო მეცნიერებისა და ინფორმაციულ-ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“. მონოგრაფია-მიმოხილვა მოცულობით 23 ნაბეჭდი გვერდი. 10.09.2008 წ. გვერდი 284.

აქ წარმოდგენილია ფრაგმენტი.

სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია – ეს არის ახალი ცოდნის მიღების, განვითარების და ფორმირების წესებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც ასახავს შეიარაღებული ძალადობის ხასიათის, მომზადების და წარმოების ევოლუციის პროცესს მათ სარეალიზაციოდ მისი გამოყენების პროგნოზირებად პირობებში. იგი ეკუთვნის საზოგადოებრივ მეცნიერებას. საერთო სისტემაში სამხედრო იდეოლოგია წარმოადგენს სპეციალიზირებულს, მასში აისახება მისი საბაზისო ნაწილი.

სამხედრო ხელოვნების თეორია კი წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ძირითად შემადგენელ ნაწილს და მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შეიარაღებული ძალების მართვის ორგანიზაციის და მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფის თეორიული ბაზის სრულყოფა. შეიარაღებული ბრძოლის დიაპაზონის სიგანე, შინაარსის სახესხვაობები და ამოცანების მასშტაბები განაპირობებენ სამხედრო ხელოვნების პრინციპების სიმრავლის არსებობას, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადია ჯარებისა და ძალების მედგარი და უწყვეტი მართვა, შეუდრეკელობა დასახული მიზნების მიღწევაში, მიღებული გადაწყვეტილებების და დასმული ამოცანების შესრულებაში.

ყველა სახის შეიარაღებული ძალების შეთანხმებული ერთად გა-

მოყენების პრინციპი წამყვანია ნებისმიერი ოპერაციისა და ბრძოლის დაგეგმვასა და ჩატარებაში, სადაც გადასაწყვეტი ამოცანების აბსოლუტური უმრავლესობა საჭიროებს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით სხვადასხვა ძალებისა და საშუალებების მოზიდვას, მათი ძალისხმევის შეთანხმებას. ამა თუ იმ ამოცანის საიდუმლოდ შესრულების უზრუნველსაყოფად ამ პრინციპის რეალიზაცია საჭიროებს მართვის ორგანოების ურთიერთმოქმედებასა და ფუნქციონირების უალრესად ნათელ ორგანიზაციას. სხვადასხვა ძალებისა და საშუალებების ერთად გამოყენების წესების-ხერხების შერჩევასა მართვის ორგანოები დანვრილებით და ყოველმხრივ ითვალისწინებენ თითოეული ამოცანის თავისებურებებს, პირობებს, რომლებშიც მოუხდებათ მოქმედება მათ გადასაწყვეტად მოზიდულ ჯარებსა და ძალებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

სამხედრო-ტექნიკური რევოლუციისთვის პირველი რიგის არსი გამომდინარეობს სოციალურ მთლიანობასთან შეპირისპირებიდან, მოიზიდავს რა თავისი გავლენის სფეროში მართვის სისტემებსაც. მეორე რიგის არსის დონეზე ფიქსირდება ორი რევოლუციის სინქრონულობა და განუწყვეტელი ურთიერთ კავშირი: სამხედრო-სამეცნიეროსი და სამხედრო-ტექნიკურის. მესამე რიგის არსი განისაზღვრება მეცნიერების გარდაქმნით უშუალო საბრძოლო ძალაში. მეოთხე რიგის არსი გამომჟღავნდება სამხედრო მოღვაწეობის ანალიზის პროცესში. მიზანშეწონილია მართვის ფუნქციიდან გამოვყოთ კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქცია – ინფორმაციული, რამე თუ მართვა, მუდმივი ინფორმაციის გარეშე მმართველი ზემოქმედების ეფექტურობაზე საუბარიც უაზრობაა. მეოთხე რიგის არსი მჟღავნდება სამხედრო-ტექნიკური სისტემების ავტომატიზაციით, მათ შორის სამხედრო დანიშნულების დიდი სისტემებისაც. მეხუთე დონე გამოისახება რევოლუციური გადატრიალების კავშირით სამხედრო ტექნიკის განვითარებაში იმ სუბსტრატის სპეციფიკით, რომლის დახმარებითაც განხორციელდება საბრძოლო ფუნქცია.

ინფორმაციზაცია და ავტომატიზაცია წარმოადგენს სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის ყველაზე არსებით მახასიათებლებს. მთავარი ხდება მართვის ფაქტორი. სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის არსის ასეთი გაგება გვაძლევს შესაძლებლობას ჩამოვაყალიბოთ სამხედრო დოქტრინის სამხედრო-ტექნიკური საფუძვლები, ქვეყნის სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დებულებები.

უკიდურესად აუცილებელია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომლის ქვეშ იგულისხმება მისი მრავალ ეროვანი ხალხის

უსაფრთხოება, როგორც სუვერენიტეტის მატარებლისა და ხელისუფლების ერთადერთი წყაროსი.

საინფორმაციო სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესები გამოიხატება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში ინფორმაციის მიღებისა და მისი სარგებლობის დროს, თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების დაცვაში არასანქცირებული დაშვებებისაგან.

ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია საინფორმაციო მოღვაწეობის სფეროში;

სამამულო საინფორმაციო სტრუქტურის სრულყოფა და დაცვა, ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში;

საინფორმაციო სფეროში ურთიერთბრძოლის გაღვივების საშიშროებისადმი წინააღმდეგ მოქმედება.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მოთხოვნების და დებულებების გათვალისწინებით ფორმირებული უნდა იქნას დოქტრინული და საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს პოლიტიკასა და სტრატეგიას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამა თუ იმ სფეროში – ეს ქვეყნის სამხედრო დოქტრინაა.

2. ჯარებისა და ძალების მართვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების უაღრესად აქტუალური მეცნიერული პრობლემა გახდა.

სამხედრო მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შეიარაღებული ბრძოლის კანონზომიერებას, იყოფა შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

სამხედრო მეცნიერების საერთო თეორია;

სამხედრო ხელოვნების თეორია;

ჯარებისა და ძალების მართვის თეორია;

სამხედრო მშენებლობის თეორია;

სამხედრო სწავლებისა და აღზრდის თეორია;

სამხედრო ეკონომიკისა და ზურგის თეორია;

შეიარაღების თეორია;

შეიარაღებული ძალების სახეობების თეორია;

შეიარაღებული ძალები და სამხედრო ხელოვნების ისტორია.

საქართველოს თავდაცვის სისტემაში ჯარებისა და ძალების მართვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების უაღრესად აქტუალური და ამავე დროს გადამწყვეტი მეცნიერული პრობლემა გახდა.

თავდაცვის სამინისტროს მთავარ სამმართველოებსა და სამმრთველოებში (განყოფილებებში) შენაერთებსა და ცალკეულ ნაწილებში 1999 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა შემაჯამებელი შემოწმება. 2000 წლის თებერვლის დასაწყისში სამხედრო კოლეგიის სხდომაზე შეჯამდა თავდაცვის სამინისტროს შენაერთების და ნაწილების გასული სასწავლო წლის შემაჯამებელი შემოწმების შედეგები.

გასული 1999 სასწავლო წლის საბრძოლო მომზადების მდგომარეობაზე, არსებულ ნაკლოვანებებზე დიდი გავლენა მოახდინა თავდაცვის სამინისტროს დაუფინანსებლობამ. კოლეგიამ ამოცანად დაისახა გარძელებული მუშაობა ჯარების მართვისა და შეტყობინების სისტემის გასაუმჯობესებლად.

სამხედრო კოლეგიამ დაადგინა დაევალოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს – თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილს – გაითვალისწინოს შემაჯამებელი შემოწმების შედეგები 2000 წლის სასწავლო პერიოდში, დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები ჩამორჩენათა დასაძლევად.

27 ათასიან საქართველოს არმიას 2000 წლისთვის მოთხოვნილი 92

მილიონი ლარი ბიუჯეტის ნაცვლად ხელისუფლებამ გამოუყო 42 მილიონი ლარი, რომელსაც არმიას რეალურად ჰპირდებოდნენ. შარშანდელი ვალებით ბიუჯეტი განახევრდა და 20 მილიონ ლარამდე დავიდა. 2000 წლის ქართული სამხედრო ბიუჯეტი 10-12-ჯერ ნაკლებია სომხურსა და აზერბაიჯანულზე. ბიუჯეტის დიდ ნაწილს წაიღებს ისედაც არასაკმარისი კვება და არანაირი სხვა სამხედრო მოღვაწეობის დაფინანსებას სახელმწიფო ვერ შესძლებს – მათ შორის რა თქმა უნდა სამეცნიერო მუშაობასაც.

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 28 ივნისის დადგენილებით მიმდინარე წელს ქართული არმიის რიცხოვნობა 7000 ერთეულით შემცირდა და გახდება 20 ათასიანი. ხოლო 2001-2004 წლებში დაგეგმილია მისი რაოდენობის მორიგი პერმანენტული შემცირება 8000 ერთეულით. საბოლოოდ საქართველოს ეყოლება 12 ათასიანი არმია.

მეცნიერება ყოველთვის იყო შეიარაღებული ძალების მშენებლობის და საერთოდ ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ძირითადი და გადამწყვეტი მამოძრავებელი ძალა. საქართველოში სამხედრო მეცნიერება იმყოფება ქვეყნის სამეცნიერო სივრცისა და ცოდნის ერთიანი სახელმწიფო სისტემის გარეთ. იგი სრულ იზოლაციაშია და ჰორიზონტზეც კი არ ჩანს მისი განვითარების და აუცილებელი ინტელექტუალური გარღვევის სახელმწიფოებრივი ფინანსური შანსი. შექმნილ კატასტროფულ ვითარებაში ათმაგად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული იერარქიის ყოველ დონეზე მართვის სისტემის გაუმჯობესებას. დებულება არის სამხედრო მართვის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი წესების დამდგენი ნორმატიული აქტი.

ჯარებისა და ძალების მართვის არსია მთავარსარდლების, სარდლების, მეთაურების, უფროსების, შტაბების, მართვის სხვა ორგანოების მიზანმიმართული მოღვაწეობა მათი საბრძოლო მომზადების შესანარჩუნებლად, ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მოსამზადებლად და ჯარებისა და ძალების მიერ მათ წინაშე დასმული ამოცანების შესრულების ორგანიზაცია ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მსვლელობისას. მართვის საფუძველს წარმოადგენს მთავარსარდლის, სარდლის, მეთაურის გადამწყვეტილება და ორგანიზატორული მუშაობა მის შესასრულებლად. ჩვენ ვიმყოფებით ხელოვნური ინტელექტის აუცილებლად გამოყენების ეპოქაში.

მსოფლიოს სამხედრო სპეციალისტები, ექსპერტები და მეცნიე-

რები ამტკიცებენ, რომ მართვაში გაუმჯობესებამ შეიძლება მოგვცეს არსებითი უპირატესობა და უნდა გავაკეთოთ ყველაფერი მის მისაღწევად. ამასთან ერთად პირველხარისხოვან მნიშვნელობას პოულობს მართვის სისტემების განვითარება, როგორც ყველაზე სწრაფი და ეკონომიკური გზა, რომელიც მნიშვნელოვნად ამაღლებს ჯარებისა და ძალების საბრძოლო პოტენციალს. მეცნიერული კვლევები გვიმტკიცებს, რომ მხარეთა საბრძოლო პოტენციალების თანატოლობისა და მონინალმდეგეზე უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ უფრო სრულყოფილი მართვის სისტემის ხარჯზე, რომელსაც შეუძლია კომპენსირება გაუკეთოს პირადი შემადგენლობის და შეიარაღების რიცხოვნობის შემცირებას.

თანამედროვე პირობებში მართვის სისტემების განვითარება საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის ამაღლების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ჯარების და ძალების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, მისი ფუნქციონირების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას, როგორც ყველაზე ეკონომიკურ გზას. შეიარაღებული ძალების გამოყენების მსოფლიო ისტორიული საბრძოლო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ჯარების-ძალების და შეიარაღების მალალ ეფექტური მართვის სისტემის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

ინფორმაციული ბრძოლის მეთოდებისა და განადგურების ელექტრონული საშუალებების თანამედროვე განვითარებაში მართვის სისტემების ქმედით უნარიანობის შენარჩუნება გახდა უაღრესად აქტუალური პრობლემა. ნატოში განვერიანების მოდერნიზაციის რთულ გზაზე აუცილებელი პირობაა ეკონომიკის და დემოკრატიის განვითარება, სამხედრო-თავდაცვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე გადაყვანა ე.ი. საქართველოს ჯარებისა და ძალების მართვის ხარისხის ამაღლება თანამედროვე სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების დონეზე. დამოუკიდებელ საქართველოს სჭირდება მცირე, მობილური, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული არმია.

საერთაშორისო არენაზე ძალთა გადანაწილების ცვლილებამ და რევოლუციამ სამხედრო საქმეში დიდი გავლენა მოახდინა ჯარების მართვასა და შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ ხელმძღვანელობაზე. წამყვანი ქვეყნების არმიისა და ფლოტის შეიარაღებაში შეიარაღებული ბრძოლის პრინციპულად ახალი საშუალებების დანერგვამ აამაღლა მართვის ეფექტურობის მნიშვნელობა ყოველ დონეზე და შეიარაღებული

ძალების მართვის სისტემები გადააქცია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმატებას საბრძოლო მოქმედებაში და გამარჯვებას ომში.

იმისათვის, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემა მსოფლიო სტანდარტების დონეს მიუახლოვდეს საჭიროა გადაიჭრას ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა:

1. უნდა შედგეს გარკვეული გეგმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საქართველოს შეიარაღებული ძალების მომავალი;
2. უნდა მოხდეს ამ გეგმის განხორციელების ყოველი ეტაპის „დაბალანსება“ კონკრეტული ქვეყნის ფინანსურ თუ სხვა სახის რესურსებთან, ასევე მის თავდაცვის მოთხოვნებთან.

ეს იყო ძირითადი თემა, რომელიც განიხილეს 2000 წლის ივნისში ამერიკა-საქართველოს ყოველწლიურ ორმხრივი სამუშაო ჯგუფის სესიაზე. ქართულ დელეგაციას წარმოადგენდა თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, ხოლო ამერიკისას – თავდაცვის მდივნის თანაშემწე (სტრატეგიისა და საფრთხის შემცირების საკითხებში) ედვარდ უორნერი, რომლის კომპეტენციაშიც სხვა სოლიდურ ფუნქციებთან ერთად, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტს რუსეთთან და ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყნებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებლობაც შედის.

ამ სესიამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად გამოყო საჰაერო თავდაცვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების შემცირება – გარდაქმნისა და გარემოს დაცვითი პრობლემა. ამერიკელთა კონსულტაციებით შეიარაღებული ძალების შემცირების გზით დადებით მოვლენას ჩაეყრება საფუძველი, ანუ შეიქმნება სტრუქტურა, რომელსაც შესაბამის სფეროებიდან სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა ექნება. ამავე დროს იგი უფრო მცირე, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მობილური და დღევანდელთან შედარებით, უფრო თავდაცვისუნარიანი იქნება.

როდესაც ვიხილავთ ჯარებისა და ძალების მართვის პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საჰაერო თავდაცვის სისტემის მართვა, რადგან სამხედრო ხელოვნების განვითარების თანამედროვე დონის გათვალისწინებით საომარი ოპერაციის ძირითადი მიზნის

მიღწევა შესაძლებელია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სახმელეთო ჯარების შეჭრის გარეშე. ამ კანონზომიერების უახლოესი უკანასკნელი მაგალითებია ნატოს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ იუგოსლავიაში და უფრო ადრე ერაყში ჩატარებული წარმატებული საბრძოლო ოპერაციები. თავდაცვითი სისტემის აქტუალობამ ხმელეთიდან ჰაერში გადაინაცვლა.

ჯარებისა და ძალების მართვა არ შეიძლება ავტონომიურად განვიხილოთ, მისი ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება შესაძლებელია სისტემური მიდგომით, ქვეყნის სახელმწიფოებრივი მართვის ერთიანი სისტემის დახვეწით, გაუმჯობესებით და გაძლიერებით.

რუსეთის ფედერაციის ახალ 2000 წლის სახელმწიფო-სამხედრო დოქტრინის ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის მშენებლობისა და მომზადების ძირითად მიმართულებებში ჩანერილია: „სახელმწიფოებრივი და სამხედრო მმართველობის სისტემის ხარისხობრივი დონისა და ეფექტურობის სრულყოფა და ამაღლება“.

საქართველოს ცუდი სახელმწიფოებრივი მმართველობის პირობებში შეუძლებელი გახდება ჯარებისა და ძალების მართვის მაღალ და მკაცრ საერთაშორისო სტანდარტებზე ამაღლება.

ზემოთ აღნიშნულ კეთილშობილურ სახელმწიფოებრივ მიზანს 1998 წლიდან ემსახურება საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო სამეცნიერო განყოფილების ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულება, რომლის ათკაციან სექტორში გაერთიანებულმა მეცნიერებმა და სამხედრო მოსამსახურებმა მნიშვნელოვან მეცნიერულ წარმატებებს მივაღწიეთ.

3. სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების აუცილებლობის დასაბუთება.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის (შემდგომ აკადემიის) მიზანი და დანიშნულებაა საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარება, რომლის ძირითად ბირთვს წარმოადგენს სამხედრო ხელოვნება. სამხედრო მეცნიერება შეისწავლის შეიარაღებული ბრძოლის კანონზომიერებას და ხასიათდება სივრცული, დროითი და ინფორმაციული მდგენელებით.

შეიარაღებული ბრძოლა წარმოადგენს ომის ძირითად ფორმას, მისი სპეციფიკური შინაარსი მდგომარეობს შეიარაღებული ძალების ორ-

განიზებულ გამოყენებაში განსაზღვრული პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. რთული ურთიერთ კავშირების ზღვრული აბსტრაგირებით, შეიარაღებული ბრძოლა თავისთავად არის სხვადასხვა მასშტაბის საომარი მოქმედებების ერთობლიობა ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე, საომარი მოქმედებები ხასიათდება ფორმებით, შინაარსით და გაქანებით.

პირველ მსოფლიო ომში მონინაალმდეგეზე გამარჯვების მოპოვების სანინდარი იყო ხმელეთზე საცეცხლე უპირატესობის მოპოვება. მეორე მსოფლიო ომში მას დაემატა ჰაერში უპირატესობის მოპოვებაც. ხოლო სადღეისოდ კი მესამე პირობის შესრულებაც გახდა აუცილებელი – მონინაალმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება.

სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მონინაალმდეგეზე საბოლოო გამარჯვების მიღწევის აუცილებელი ღონისძიებებია: მთავარი დარტყმის მიმართულების შერჩევა, გადაჯგუფების ფარულობა და მიზანმიმართულება (მიზანსწრაფულობა), საბრძოლოდ გაშლის მოულოდნელობა და სისწრაფე, მეორე ხარისხოვანი მიმართულებებიდან ძალებისა და საშუალებების მანევრირება, შერჩეულ მიმართულებებზე ძალისხმევის თავისდროული განვითარება-გაძლიერება სიღრმიდან.

ხოლო თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება და გამარჯვებით დამთავრება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით, რომლის ფორმებია ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური. სადღეისოდ სამხედრო მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ფორმებისა და წესების დამუშავება. ინფორმაციული ბრძოლის მიზანია საკუთარი ინფორმაციული უსაფრთხოების აუცილებელი ხარისხის უზრუნველყოფა და მონინაალმდეგის ინფორმაციული უსაფრთხოების დონის მაქსიმალურად შემცირება.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სახელმწიფო სამხედრო დოქტრინა თავდაცვითია და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მზრუნველობის ქვაკუთხედი უნდა გახდეს ქვეყნის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომ-

პლექსური, ინტელექტუალური სისტემის შექმნა-ფუნქციონირება. კაცობრიობის ისტორიაში დადგა ხელოვნური ინტელექტის ხანა, ხოლო 21-ე საუკუნე კი ინფორმაციის საუკუნეა.

სამხედრო მეცნიერება – ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. თანამედროვე საქართველოში, რომელიც ფლობს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს, სამხედრო მეცნიერების მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ იგი იმყოფება ქვეყნის საერთო სამეცნიერო სივრცისა და მეცნიერული ცოდნის ერთიანი სისტემის გარეთ. საქართველოს სრულიად არ ჰყავს სამხედრო-სამეცნიერო კადრები – სამხედრო მეცნიერების კანდიდატები და დოქტორები, მითუმეტეს აკადემიკოსები. რის შედეგად არ არსებობს სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლა.

ამიტომ თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და საბოლოოდ დამკვიდრების მიზნით, ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ჩართვა ქვეყნის საერთო სამეცნიერო სივრცეში და მეცნიერული ცოდნის ერთიანი სისტემაში, სამხედრო-სამეცნიერო კადრების გენერაცია და სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის ჩამოყალიბება.

დაგროვილი გამოცდილებისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მომნიშვნელოა აუცილებლობა საქართველოს საინჟინრო აკადემიაში, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძის მიერ საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის სახელზე ხელმოწერილი თხოვნის წერილის საფუძველზე, 1998 წელს დაარსებული სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების (სექტორის) ბაზაზე – ხელმძღვანელი გ. იასეშვილი, საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების მიზანშეწონილობაზე და მისი სამუშაო დებულება-ნესდების ჩამოყალიბების ისტორიულ დანიშნულებაზე. რამეთუ 1999 წლის სექტემბერში უკვე დაარსდა საქართველოს სამხედრო-სამრეწველო საინჟინრო აკადემია, რომლის პრეზიდენტია ბატონი გ. ლეკიშვილი, ხოლო 2000 წლის მეორე ნახევარში დაარსდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საინჟინრო აკადემია, რომლის პრეზიდენტია ბატონი ე. მექმარიაშვილი. დღეს ორივე ეს აკადემია გაუქმებულია.

სამხედრო მეცნიერების აკადემიამ, როგორც საზოგადოებრივმა ორგანომ, უნდა იმუშაოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- 1. სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის თეორია;**
2. მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების თეორია;
3. სამხედრო მეცნიერების საერთო თეორია;
4. სამხედრო ხელოვნების თეორია;
5. ჯარებისა და ძალების მართვის თეორია;
6. გადაწყვეტილებების მიღების თეორია;
- 7. ინფორმაციული ბრძოლის თეორია;**
 - ა. შეიარაღებული ბრძოლის ინფორმაციული შემადგენელი;**
 - ბ. დამოუკიდებელი ინფორმაციული ბრძოლის თეორია;**
8. სამხედრო ფსიქოლოგია;
9. სამხედრო მშენებლობის თეორია;
10. სამხედრო სწავლებისა და აღზრდის თეორია;
11. სამხედრო ეკონომიკისა და ზურგის თეორია;
12. შეიარაღების თეორია;
13. შეიარაღებული ძალების სახეობების თეორია;
14. შეიარაღებული ძალები და სამხედრო ხელოვნების ისტორია;
15. სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების და უსაფრთხოების თეორია;

16. არატრადიციული ომების თეორია;

17. სამხედრო კრიზისების მშვიდობიანად, პოლიტიკური გზით მოგვარების თეორია;

18. სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის თეორია;

19. მეცნიერებათამცოდნეობის თეორია – ახალი მეცნიერული მიღწევების დანერგვა.

მუქად აღნიშნულია პირველი რიგის მიმართულებები.

ჩამოთვლილი მიმართულებები რაოდენობრივად და შინაარსობრივად სცილდება სამხედრო მეცნიერების მკაცრ ჩარჩოს, რაც სასიკეთოდ წაადგება საქართველოს ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ისტორიულ პროცესს. ნაგულისხმევი და გათვალისწინებულია, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება უნდა მოხდეს ბრძოლის სხვა ყველა არსებული არაძალოვანი ფორმების: ინფორმაციული, ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებისა და შესაძლებლობების სრული ამონჭრვის შემდეგ.

საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარებამ უნდა მიიღოს სახელმწიფო პროგრამის ფორმა, რომელსაც უპირველესად ესაჭიროება თავისი საკუთარი საკანონმდებლო ბაზა, ხოლო სამხედრო მეცნიერების აკადემია უნდა გახდეს მისი პრაქტიკული ხორცშესხმის მძლავრი საზოგადოებრივი საფუძველი.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია მომავლის აკადემიაა და ძალიან წააგავს საქართველოს მოქმედ კონსტიტუციას. ორივეს მთელი სიმძლავრით ამოქმედებას სჭიროდება თავდადებული შრომა და სახალხო ძალისხმევა. სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსება დააჩქარა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულმა და ამავე დროს არაობიექტურმა დამოკიდებულებამ საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარების მიმართ. მომავალში კაცობრიობისათვის ბევრის მთქმელ 21-ე საუკუნეს დამოუკიდებელი საქართველო და მისი შეიარაღებული ძალები შეხვდა საკუთარი სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებით.

პირველ ეტაპზე ყალიბდება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შემდგომ მოიწვევს სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრებს: ნამდვილ წევრებს – აკადემიკოსებს, წევრ-კორესპონდენტებს და მრჩეველებს. საინიციატივო ჯგუფი ატარებს აკადემიის წევრთა საერთო კრებას, რომელზედაც ხდება აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს-მდივნის და საორგანიზაციო განყოფილების გამგის არჩევა. საერთო კრება ამტკიცებს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს და მრჩეველებს და, როგორც გამონაკლისი, მათგან შეარჩევს და დაამტკიცებს ნამდვილ წევრებს. შემდგომში არჩევნები ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ ფარული კენჭისყრით.

აკადემიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აკადემიის წევრთა საერთო კრება, რომელიც გადაწყვეტილებებს ლეზულობს ღია კენჭისყრით. დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კრების მონაწილეთა ორი-მესამედის თანხმობის მიღება. საერთო კრება ტარდება კვარტალში ერთხელ. ყოველი წლის იანვარში განიხილება აკადემიის პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენება და მტკიცდება ახალი წლიური სამუშაო გეგმა.

საერთო კრება ირჩევს აკადემიის პრეზიდენტს, რომელიც შედგება პრეზიდენტისაგან, ვიცე-პრეზიდენტისგან, აკადემიკოს-მდივანისაგან, საორგანიზაციო განყოფილების გამგისაგან და მიმართულებების ხელმძღვანელებისაგან. კრებებს შორის აკადემიის უმაღლესი ორგანოა პრეზიდენტის სხდომა, რომელიც თვეში ერთხელ ტარდება.

პრეზიდენტის წევრთა წინადადებით და საერთო კრების გადაწყვეტილებით აკადემიას ეყოლება საქართველოს სხვა აკადემიებიდან და უცხოეთიდან მონვეული საპატიო წევრებიც.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია წარმოადგენს საქართველოში დარგობრივი მეცნიერების განვითარების ხელმძღვანელ ორგანოს. იგი ერთს მხრივ აქტიურად თანამშრომლობს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრუქტურაში შემავალ სამეცნიერო-ტექნიკურ ქვედანაყოფებთან, ხოლო მეორე მხრივ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახურიდან უხვად უნდა იღებდეს და სარგებლობდეს საზღვარგარეთის ახალი სამეცნიერო მიღწევებით. მეცნიერება ხომ ყველაზე ინტენსიონალური დარგია.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამფუძნებელი

საინიციატივო ჯგუფი მიზნად ვისახავთ საწყის ეტაპზე წარმოდგენილი ამ კონცეფცია-წესდების დებულებების საფეხურებრივ-ეტაპობრივ რეალიზაციას, მის დაზუსტებას, მის მიმართ დამატებებს და მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემდგომ სრულყოფას საქართველოში ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის პერმანენტული განვითარებისა და განმტკიცების პარალელურად.

4. სამხედრო მეცნიერების მცოდნეობა აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა.

მეცნიერული კვლევა ძვირად ღირებული პროცესია და მხოლოდ მაღალ განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ მისი სრულფასოვანი წარმართვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფუნდამენტურ მეცნიერებებზეა ლაპარაკი – ჩვენს შემთხვევაში კი სამხედრო მეცნიერება გვაქვს მხედველობაში. ისინი დიდ კაპიტალდაბანდებებს საჭიროებენ, ხოლო რეალური უკუგება მოგვიანებით ხდება. მეცნიერული მიდგომა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა. დღეს ძნელია რომელიმე დარგში წარმატების მიღწევა მეცნიერული იდეის, მეცნიერული გათვლის და პროგნოზის გარეშე. ცხოვრებამ ბევრად დააჩქარა მეცნიერული დასკვნების რეალიზაცია, ხელი შეუწყო რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის მოქნილი სისტემების შექმნას.

დანერგვის პრობლემა მეტად რთული და მრავალმხრივია. ახალი ტექნიკის დანერგვა შეიცავს ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ღონისძიებების მთელ სისტემას, რომელიც მიმართულია შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ინტენსიური გამოყენებისაკენ. სიახლეთა, გამოგონებათა დანერგვა ორგანულად არის შერწყმული ერთიან სამეურნეო მექანიზმთან, რომელიც მოიცავს ეკონომიკისა და მართვის ყველა რგოლს: დაგეგმვას, ტექნიკური გადაწყვეტილებების შეფასებას, შერჩევის მეთოდოლოგიას, მათი ეფექტიანობის განსაზღვრას, ფასნარმოქმნას, სამეურნეო ანგარიშს, ფინანსებს, დანერგვას ორგანიზაციებს და სხვა.

სწორედ ამ საქმეს ემსახურება მეცნიერებათა მცოდნეობა, რომელიც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა. მისმა უდავო ავტორიტეტმა განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დამოუკიდებელი სამეცნიერო ქვეგანყოფილების უფლებით

„მეცნიერებათ მცოდნეობის და მეცნიერების სოციოლოგიის სექტორის“ შექმნა. მეცნიერებათ მცოდნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ მიმართულებას, როგორც საზოგადოების და მეცნიერების ურთიერთ დამოკიდებულებაა. მისი ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ახალი მეცნიერული აღმოჩენის, ახალი იდეის ცხოვრებაში დამკვიდრების ხერხების ძიებაა. სამწუხაროდ, საქართველოში მეცნიერებათ მცოდნეობის არცერთი დარგი არ არის განვითარებული. სინამდვილეში დანერგვის მაჩვენებლები სახელმწიფო გეგმის შესრულების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლებს უნდა წარმოადგენდეს.

1999 წლის 30 ივნისს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გაიმართა სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიძღვნილი იყო აკადემიის დაარსების ხუთწლიან იუბილესთან და ითვალისწინებდა „მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების პერსპექტივების და რუსეთის თავდაცვითი უსაფრთხოების პრობლემების“ ღრმა და ყოველმხრივ განხილვას.

ამ აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებაში აღნიშნული იყო: „თავდაცვით პრობლემებზე ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევების განვითარებისა და გაღრმავების და საზოგადოებრივ საწყისებზე სამხედრო-სამეცნიერო მოღვაწეობის სტიმულირების მიზნით ვადგენ: მოწონებულ იქნას მეცნიერთა ინიციატივა, რომლებიც დასაქმებულნი არიან თავდაცვითი პოტენციალის შესწავლისა და გამოყენების პრობლემებით, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის შექმნაზე, როგორც დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი სამხედრო-სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანებისა...“

საიუბილეო კონფერენციამ მიიღო დადგენილება და სამეცნიერო მუშაობის სრულყოფის ძირითად მიმართულებებში ხაზგასმით აღნიშნა:

„ახალი იდეების, მეცნიერული მიღწევების დანერგვა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ეს ყველაზე ჩამორჩენილი უბანია. ამიტომ გამომუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებებიც კი შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში, მათ მშენებლობასა და მომზადებაში დიდი სიძნელით რეალიზდება“.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიაში ერთ-ერთი ძირითადი და მოქმედი მიმართულება უნდა გახდეს მეცნიერების მცოდნეობის, და კერძოდ სამხედრო მეცნიერების მცოდნეობის, ანუ ახალი

მეცნიერული მიღწევების და იდეების პრაქტიკულად სინამდვილეში და-
ნერგვის მიმართულება.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ინფორმაციულ-ტექნოლოგია-
ში ისე ღრმად შეიჭრა, რომ საზოგადოება დღეს გრძნობს გადატირთვას
არა მარტო ინფორმაციით, არამედ ცოდნითაც. მეცნიერები გვთავაზო-
ბენ გამოსავალს – ახალ მეცნიერებას, რომელსაც ცოდნის მართვა ეწო-
დება. სპეციალისტები ამუშავებენ „ცოდნის მოსავლის აღების“ და იმ
ადამიანებისთვის გაცნობის მეთოდებს, რომლებსაც გამოაქვთ გადან-
ყვეტილება. სადღეისოდ მაღალტექნოლოგიური მეთოდი ვიდეო კონ-
ფერენციებისთვის განკუთვნილი მონყობილობის გამოყენება, რომელიც
მთელი მსოფლიოს ექსპერტებს აძლევს საშუალებას ერთად შეიკრიბონ
ვირტუალურ გუნდებში და ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ცოდნა.

საქართველოს ჯარებისა და ძალების მართვის ხარისხის ამაღლებამ
უნდა განაპირობოს საერთო ჯამში ბრძოლისუნარიანი სწრაფი რეაგირე-
ბის ძალების შექმნა. მოქმედი შეიარაღებული ძალები უნდა გადაიქცეს
სწრაფი რეაგირების ძალად, რომელსაც რეზერვში ეყოლება თავდაცვის
ძირითადი ძალები. საჭირო იქნება დაახლოებით 15 წელი, რათა მიღწეუ-
ლი იქნას მზადყოფნის სათანადო დონე სწრაფი რეაგირების ძალების
ნაწილებისთვის და სარეზერვო ძალების სათანადო მოცულობისთვის,
რომელიც შეძლებს უფრო საშიში საფრთხეების სცენარის გამკლავებას.

ეს ყველაფერი უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2001
წლის იანვარში პრეზენტირებული სახელმწიფო პროგრამის „სილატაკის
დაძლევისა და ეკონომიკის ამოქმედების“ პარალელურად და შედეგად.
ეს კომპლექსური პროგრამაა და მისი პირველი სამი წელი ითვალის-
წინებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, კორუფციასთან
ბრძოლას და სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის გაუმჯობესებას.

გივი იოსების ძე იასუშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამაარსებელი
საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს საინჟინრო აკა-
დემიის სამხედრო სამეცნიერო განყოფილების ჯარებისა და ძალების
მართვის მიმართულების (სექტორის) ხელმძღვანელი, კაპიტანი, ტექ-
ნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სადოქტორო სამეცნიერო ხარისხის
მაძიებელი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა
და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატი.

თავი მესუთა

პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნერილები

„სამხედრო გაზეთი“, N31(104), 8 აგვისტო, 1997 წელი

არმიას – სამეცნიერო უზრუნველყოფა

5 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროში გამართული სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა დიდმნიშვნელოვან საკითხს „სამხედრო აღმშენებლობის სამეცნიერო უზრუნველყოფა“. ამ თემაზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის სამეცნიერო ჯგუფის უფროსი, პოლკოვნიკი გივი ლეფონავა. თანამოხსენებებით „სამხედრო ხელოვნება და სამხედრო აღმშენებლობა“ და „სამხედრო აღმშენებლობის ლინგვისტური უზრუნველყოფა“ გამოვიდნენ მთავარი შტაბის სამეცნიერო ჯგუფის სამხედრო ხელოვნების სექტორის უფროსი, პოლკოვნიკი ვალერიან აკობია და სამხედრო აღმშენებლობის ლინგვისტური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი, მაიორი ბიძინა ბიბილაშვილი.

კონფერენციაზე არა მარტო წმინდა სამხედრო მეცნიერების შუქზე გაანალიზდა სამხედრო აღმშენებლობის მიმართულებანი და მისი ოპტიმიზაციის პრობლემები. არამედ ხაზი გაესვა საერთოდ სამხედრო მშენებლობის სამეცნიერო უზრუნველყოფის გადაუდებელ საჭიროებას. ამ მხრივ არსებული პოტენციალის ამოქმედება-გამოყენებას. მეცნიერების მიღწევების გამოყენებას ისეთ სპეციფიკურ დარგშიც კი, როგორცაა პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ პოლკოვნიკები პ. ფიოდოროვი, ვ. საფარიანი, ბ. ქაუშაძე, კაპიტანი გ. იასევილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პირველი რანგის საზღვაო კაპიტანი გ. ბარკალაია და სხვები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია და ურჩია შენაერთებისა და ქვედანაყოფების მეთაურებს გამოიყენონ და დანერგონ კონფერენციის რეკომენდაციები.

**მეცნიერები ბჭობენ
ჟამი მუშაობის შეჯამებისა
უკეთესობისაკენ გადაღმეული ნაბიჯები**

1997 სასწავლო წლის შემაჯამებელი შემონმების შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მომზადების მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი შოთა ბაიძე:

– შემაჯამებელი შემონმება ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი გაიმართა 22-24 ოქტომბერს, როდესაც შემონმდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის და სამმართველოების ოფიცერთა და ზემდეგთა შემადგენლობა, ხოლო მეორე – 27-29 ოქტომბერს, როდესაც შემონმებამ მოიცვა თითქმის ყველა გვარეობის და სახეობის ჯარები – შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები. თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებისა და ზემდეგების შემონმება ჩატარდა ხუთ საგანში (ტაქტიკურ-სპეციალური), სამწყობრო, საცეცხლე, ფიზიკური მომზადება და წესდებები), რაც შეეხება ჯარებს, აქ შესამონმებელ საგანთა ნუსხას დამატა კიდევ სამი დისციპლინა – საბრძოლო მანქანების ტარება, ტექნიკური და სპეციალური მომზადება.

შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა აშკარად უკეთესია, როგორც თავად თავდაცვის სამინისტროში, ისე ადგილებზე – ჯარებში. და რაც მთავარია, წელს საერთო საბრძოლო მომზადების ხარისხი გაცილებით მაღალია. მოთხოვნები გასულ წელთან შედარებით გამკაცრდა – მაგალითად, საცეცხლე მომზადებაში, წელს პირადი შემადგენლობა აბარებდა უფრო რთული ვარიანტით სროლის ვარჯიშებს. ჯარების თითქმის ყველა გვარეობამ და სახეობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებით თვალშისაცემია სახმელეთო ჯარების (სარდალი – გენერალ-მაიორი გუჯარ ყურაშვილი) წინსვლა საბრძოლო მომზადების მხრივ, ხოლო რაც შეეხება ახლადშექმნილ მოიერიშე-სადესანტო ბატალიონს (მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი გიგა ირემაძე) მან ისეთი კარგი შედეგები აჩვენა, ისეთი მაღალია ამ შენაერთის მომზადების დონე, რომ ალბათ ბევრ ქვეყანას შემურდებოდა ასეთი ბატალიონის ყოლა თავის შეიარაღებულ ძალებში,

აღნიშვნის და შექების ღირსია, აგრეთვე, მე-2, 21-ე და 22-ე მოტომსრო-
ლელი, პირველი საარტილერიო ბრიგადები, ჩვენი მფრინავები – მოიერი-
შე-გამანადგურებელი და ვერტმფრენთა პოლკები, კავშირგაბმულობისა
და ქიმიური დაცვის ბატალიონები. არმიის აღმშენებლობის მოცემული
პერიოდისათვის მათი შედეგები კარგია, სარდლებმა მიაღწიეს იმას, რომ
ჯარი მართვადი გახდა და ეს უთუოდ დიდი მონაპოვარია.

ბუნებრივია, რომ არის ნაკლოვანებები, პრობლემები და ამ ეტაპ-
ზე, მე ვიტყვოდი, რომ ისინი კიდევ უნდა იყოს, რომ ვთქვათ ყველაფერი
იდეალურად არისო, არ ვიქნებით საკუთარი სინდისის წინაშე მართლე-
ბი. ხარვეზების შესახებ კოლეგიაზე გვექნება საუბარი, მაგრამ ისიც
ფაქტია, რომ მაჩვენებლები წლითინლობით უმჯობესდება.

ბევრს ჰგონია, რომ ჩვენი არმიის ჯარისკაცი მოუმზადებელია, მაგ-
რამ როგორც ყოველთვის პოლიგონზე, ისე საზღვარგარეთ სწავლებებ-
ზე ჯარისკაცებმა გამოავლინეს მაღალი პროფესიონალიზმი, საქმისად-
მი თავდადება. საბრძოლო სწავლებებზე მათი ხილვა სულ სხვანაირად
წარმოაჩინეს ამ უკანასკნელთ. მე ვიყავი „ცენტრაზბატ-97“-ის სწავ-
ლებაზე ჩირჩიკის პოლიგონზე და როდესაც ჩვენი ჯარისკაცები ხელ-
მეორედ გამოვიდნენ სამწყობრო სვლით, ეს უკვე იყო მათი, როგორც
ჯარისკაცების, შეფასება. იქ ისინი ისე მაღალპროფესიულად იქცეოდ-
ნენ, რომ გეგონებოდა, სწავლების მთელი ბედ-იღბალი ამ ბიჭებზე იყო
დამოკიდებული. ჩვენ ნამდვილად მშვენიერი ჯარისკაცები გვყავს და
სხვათაშორის ეს ამ უკანასკნელმა შემონმებამაც დაადასტურა.

ხუთბალიანი შეფასებით, წლევანდელი შემონმების შედეგებზე დაყ-
რდნობით, მე, პირადად, ჩვენს ჯარს, ალბათ, სამს დაუზუნერდი რამდენი-
მე პლიუსით, ხოლო ზოგიერთ ნაწილსა და ქვედანაყოფს – იქნებ უფრო
მაღალ ნიშანსაც, მაგრამ დასასრულს მინდა გავიმეორო, რომ მთავარია
არა შეფასება, არამედ ის, თუ რამდენად ხარისხიანად შეძლო ჯარის-
კაცმა პროგრამით დასახული ამოცანების შესწავლა, როგორ ხვეწს იგი
საბრძოლო ხერხ-ილეთებს, რამდენად გააზრებული და რაციონალურია
მისი მოქმედებანი საბრძოლო დავალების შესრულებისას. ამ მხრივ ჩვენ
აშკარად წინ ვდგამთ ნაბიჯებს და ამისი დაუნახაობა შეუძლებელია.

ესაუბრა მიხეილ ღანიშაშვილი.

**სამხედრო აღმშენებლობის სამსახურში
ტექნიკური უნივერსიტეტი 75 წლისაა**

გივი იოსების ძე იასეშვილი,

საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის
კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფის
უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, კაპიტანი.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებულ მამაკაცს სიცოცხლის
ბოლომდე თან სდევს ორი აუცილებელი ფუნქცია:

პირველი – შექმნას თავის გვარის, გენის გამგრძელებელი;

მეორე – დაიცვას ის ადგილი, ის მიწა, სადაც მის წინაპარს უცხოვ-
რია, თავად ცხოვრობს და შემდგომში მისი შთამომავლობა იცხოვრებს...

ამ თვალსაზრისით გავიხსენოთ საქართველოს ტექნიკური უნივერ-
სიტეტის როლი. სასწავლებლისა, რომელმაც თავისი 75-წლიანი არსე-
ბობის მანძილზე სახელოვნად იღვანა ქვეყნისთვის საინჟინრო-ტექნი-
კური კადრების მომზადების სფეროში, ხოლო თავისი სამხედრო კათედ-
რის ნაყოფიერი შრომით, კურსდამთავრებულებს ინჟინრის დიპლომთან
ერთად მეორე ვაჟკაცური პროფესიის დამადასტურებელ დოკუმენტსაც
აძლევდა – სამხედრო ოფიცრის წოდებას.

ახლა, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თანა-
მედროვე არმიის მშენებლობას შეუდგა, კიდევ უფრო გაიზარდა ტექ-
ნიკური უნივერსიტეტის მნიშვნელობა და როლი, რადგან აქ მომავალი
სპციალისტები ერთდროულად ეზიარებიან ტექნიკის და სახედრო მე-
ცნიერების უახლეს მიღწევებს.

ქართული ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ერთ-ერთი ძირი-
თადი ამოცანაა მისი მეცნიერული უზრუნველყოფა. ეს კი შეუძლებე-
ლია ეროვნული სამხედრო სკოლის გარეშე. სრულად უნდა გამოვიყე-
ნოთ ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი. არანაკლებ აქტუალუ-
რია სამხედრო მშენებლობის გამოცდილების უნარიანად გამოყენების

პრობლემა. მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სამხედრო-სამეცნიერო მოღვაწეობა იქცა თანამედროვე სამხედრო მშენებლობის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად.

ამ მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამეცნიერო და ტექნიკური საბჭო, რომლის პრეზიდენტად თავმჯდომარეობს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე. საბჭო მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

სამხედრო მეცნიერების პრობლემები;

თავდაცვასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მეცნიერების პრობლემები;

შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის პრობლემები;

თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიისა და სამხედრო ხელოვნების დღევანდელ მაღალ დონეს თუ გავითვალისწინებთ, საქართველოს სამხედრო მშენებლობა, მრავალი ძირითადი პოზიციის მიხედვით, ნულოვანი ათვლიდან დაიწყო. ეს კი მოითხოვს მეცნიერებსა და სამხედრო კადრების შორის მჭიდრო აქტიურ თანამშრომლობას.

თავისი ხასიათით, სამხედრო სამეცნიერო მუშაობა თავდაცვის სამინისტროს სინამდვილეში გამოხატავს ორგანიზატორულ და შემოქმედებით საქმიანობას, რაც გულისხმობს სამხედრო უწყების, ყველა დონესა და სტრუქტურას.

21-ე საუკუნე ინფორმაციის საუკუნე იქნება და დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედების მსვლელობა და ფინალი განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით, რომლის დროსაც აღსანიშნავია მისი ორი სახეობა: ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური.

დასავლეთში დამუშავებულია ინფორმაციული ომის კონცეფცია, შექმნილია ინფორმაციული იარაღი, რომლის ძირითადი საშუალებებია: ლოგიკური ბომბები, კომპიუტერული ვირუსები, ზეუახლესი საშუალებები მოსახლეობის ფსიქიკაზე ზემოქმედებისათვის, რადიოელექტრონული სისტემის დათრგუნვის საშუალებები.

საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები მუშაობენ სამხედრო ძალების საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების კონცეფციაზე.

ერთი სიტყვით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა, საქართველოს სამხედრო ძალების აღმშენებლობის ახალ ეტაპზე, მომავალი წარმატების მნიშვნელოვან გარანტიად გვესახება და მთელ ამ დიდმნიშვნელოვან საქმიანობაში უაღრესად დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღზრდილმა და მომზადებულმა საინჟინრო-ტექნიკურმა კადრებმა.

„სამხედრო გაზეთი“, N50(174), 11-17 დეკემბერი. 1998 წელი.

საინჟინრო აკადემიის სიახლე
სამხედრო მეცნიერების განყოფილება

გივი იოსების ძე იასეშვილი,
შეიარაღებული ძალების რეფორმის, დაგეგმარებისა და
კვლევის ცენტრის უფროსი ოფიცერი, ტექნიკურ
მეცნიერებათა კანდიდატი, კაპიტანი.

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი საქვეყნოდაა ცნობილი. ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ წარმოქმნა მეცნიერების მთელი რიგი დარგების, მათ შორის – სამხედრო მეცნიერების დაფუძნებისა და პრაქტიკულად ამოქმედების საჭიროება. საქართველოში სამხედრო მეცნიერების მიმართ ისტორიული რაკურსი კი ასეთია: ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს სუვერენიტეტი ბევრის მხრივ ფორმალურად ჰქონდათ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ეროვნული არმიის უყოლობა. ამის გამო საქართველოში ბოლო ორასი წლის მანძილზე სამხედრო მეცნიერება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად არც ჩამოყალიბებულა. არადა, ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოში უკვე დამკვიდრებული იყო როგორც ზოგადი შინაარსის („სალაშქრო საქმე“, „სამხედრო საქმე“, „მხედრული ცოდნა“), ისე პრაქტიკული მნიშვნელობის („უნყინარი ლაშქრობათა მეცადინეობანი“, „წყობათა წინამძღვრები“) სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ცოდნათა სისტემა, რომელიც, სამწუხაროდ, ბოლო ორ საუკუნეში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო ჩიხში მოექცა.

და აი, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად საქართველოში სამხედრო მშენებლობის გაშლამ დღის წესრიგში დააყენა სამხედრო მეცნიერების დაფუძნების საკითხი, მით უფრო, რომ იგი არის ცოდნათა კომპლექსი ომის ხასიათის, კანონების, ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების ომისათვის მომზადებისა და მისი წარმართვის შესახებ და თანამედროვე პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა

ენიჭება შეიარაღებული ძალების მაღალ საბრძოლო მზადყოფნას, მონინალმდგის თავდასხმის ჩაშლას, ჯარების ოპერატიულ, საბრძოლო, მორალურ-ფსიქოლოგიურ მომზადებას, მათ საველე, საჰაერო და საზღვაო განვრთნას.

ამ არსებითი საჭიროების მიუხედავად, საქართველოში ბოლო წლების მანძილზე გაჭიანურდა სამხედრო მეცნიერების, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის აღიარება. და აი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმმა (პრეზიდენტი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოს ივერ ფრანგიშვილი) დროით ნაკარნახევი გადანყვეტილება მიიღო და საინჟინრო აკადემიასთან ჩამოაყალიბა სამხედრო მეცნიერების განყოფილება. ეს ახალი განყოფილება დასაწყისში დაკომპლექტდება 20-მდე, ძირითადად, სამეცნიერო ხარისხის მქონე ოფიცრებით.

სამხედრო მეცნიერების ქმნადობის გზაზე გადაიდგა მეტად საჭირო და აუცილებელი ნაბიჯი, რაც, ეჭვი არ არის, თავის კეთილ ზეგავლენას მოახდენს საქართველოში სამხედრო მშენებლობის მიმდინარეობაზე.

აღიარება

წარდგენილია პრემიაზე

თანამედროვე სამხედრო მშენებლობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სამხედროტექნიკური კვლევის შედეგების დანერგვასა და განვითარებას. ამ მხრივ გადადგმულია პირველი ნაბიჯები. სპეციალისტები არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ.

დღეს ერთ-ერთი მათგანის შესახებ გვინდა ვუამბოთ მკითხველს.

კაპიტანი გივი იოსების ძე იასეშვილი 1940 წელს დაიბადა. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 31-ე საშუალო სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1963-67 წლებში სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. საჯარო დაცვაზე წარდგენილი აქვს სადოქტორო დისერტაცია. 1983-93 წლებში მუშაობდა საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“ თავდაცვით სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე, ხოლო 1996 წლიდან არის საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფის უფროსი.

ბ-ნ გივი იასეშვილს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. მისი შრომები ეხება სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების საიდუმლო ინფორმაციის დაცვის საკითხებს. უკანასკნელ პერიოდში საზღვარგარეთ გამოქვეყნებული მისი სამეცნიერო შრომების ციკლი „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ლონისძიებები“, რომელიც პრაქტიკულად უკვე დანერგილია ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სტრუქტურებში და რომლის დანერგვაც ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაშიც მიმდინარეობს, სამხედრო ძალების მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ჯგუფის მიერ წარდგენილია 1998 წლის საქართველოს

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში.

საკონკურსოდ წარდგენილი ნაშრომების ციკლში სპეციფიკური მათემატიკური ენით არის აღწერილი ინფორმაციის დაცვის ერთი მთლიანი პროცესი. დაწყებული სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემის და მისი ინფორმაციის დაცვის კომპლექსური სისტემის ერთდროული პროექტირებიდან და დამთავრებული ინფორმაციის დაცვის გაჟონვის შესაძლო არხებზე განაწილებით. შედგენილია შესაბამისი მათემატიკური მოდელები, დამუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და განხორციელებულია ინფორმაციის დაცვის ეფექტურობის მაჩვენებლების მათემატიკური და გრაფიკული ანალიზი. ერთდროულად გამოყენებულია მათემატიკური, ქსელური და ექსპერტული მოდელირების უახლესი მიღწევები. განხორციელებულია დამუშავებული თეორიული ნაწილის მათემატიკური მოდელების საინჟინრო-კრიპტოგრაფიულ-ორგანიზაციული რეალიზაცია. ხელოვნური ინტელექტის ურთიერთდაკავშირებული ექსპერტული სისტემების და სამართლებრივ-საკანონმდებლო მეთოდების საიდუმლო ინფორმაციის დაცვაში გამოყენების მიზნით შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში საერთო სარგებლობის კომპიუტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების დროს შემუშავებულია ორგანიზაციულ-ტექნიკურ-კრიპტოგრაფიული სისტემა.

სამეცნიერო ნაშრომების ციკლში ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის თეორიის, გრაფებისა და ქსელური დაგეგმვა-მართვის თეორიის და ექსპერტული სისტემების მეთოდები, აგრეთვე ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე მოდელირების მეთოდები.

საკონკურსოდ წარდგენილ მეცნიერულ ნაშრომთა ციკლს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მეცნიერ-ხელმძღვანელებმა წერილობით რეცენზიებსა და პატაკებში მაღალი მეცნიერული და გამოყენებითი შეფასებები მისცეს, რაც ბადებს ჩვენს სურვილს, რომ ბატონი გივი იასეშვილის ნაღვანს ჯეროვანი შეფასება მიეცეს და მან საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1998 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში წარმატებაც მოიპოვოს.

მომზადა თ. კვეტერაულმა.

ცუდი „შემნახავი“ მთარჯე უარსია

ანუ სახელმწიფოებრივ საიდუმლობას საიმედო დაცვა უნდა

გივი იოსების ძე იასეშვილი,

საქართველოს სამხედრო ძალების მთავარი შტაბის კავშირგაბმულობის კვანძის საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დღეს ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობენ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო თუ სხვა სახის საიდუმლოებათა დაცვას. საიდუმლოებათა შორის მარტო სამხედრო სტრატეგიული თუ სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტაცია როდი იგულისხმება. მასში შედის ყველა იდეისა და აზრის „საიმედოდ შენახვის“ პრობლემა, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ბევრ ქვეყანაში წარმოებს ფარული თუ აშკარა ბრძოლა არა მარტო სახელმწიფო უშიშროების სამსახურებს შორის, არამედ სამრეწველო-ეკონომიკური ჯაშუშობის წინააღმდეგაც. ეს იმან გამოიწვია, რომ დიდი ნადირობაა გაჩაღებული ახალი ტექნოლოგიების მოსატაცებლად და ხელში ჩასაგდებად.

სახელმწიფო, სამრეწველო-ეკონომიკური თუ სხვა სახის საიდუმლოების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვისაც, რომელიც ახლა იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამიტომაც იყო, რომ პარლამენტმა ახლახანს საფუძვლიანად განიხილა და მიიღო კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ.

დღეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საზოგადოების ინფორმაციზაცია და სოციალურ-ტექნოლოგიური პროცესი, რაც უზრუნველყოფს განვითარებული სახელმწიფოების ძლიერებას, ხოლო ინფორმაციის დაცვა ინფორმაციზაციის განუყოფელი და ერთ-ერთ წამყვან ნაწილს შეადგენს. ჩვენმა ქვეყანამ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის რთული და მძიმე პროცესის დროს პრიორიტეტული ყურადღება უნდა დაუთმოს ყველა სახის, განსაკუთ-

რებით სამხედრო და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური საიდუმლო ინფორმაციის დაცვის საკითხებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს ტექნიკურ, კრიპტოგრაფიულ, მათემატიკურ, პროგრამულ ღონისძიებებზე. სხვა საშუალებებზე და მეთოდებზე. რაკი კანონმდებლობა არსებობს, უნდა შეიქმნას, და ძალზე სწრაფადაც, ინფორმაციის დაცვის ერთიანი მძლავრი სახელმწიფო სისტემა. უამისოდ ვერ შევძლებთ საზღვარგარეთთან, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, საქმიანი კავშირების განვითარებას.

საგაზეთო წერილში, ბუნებრივია, შეუძლებელია ამ რთული საქმის შესახებ საფუძვლიანი მსჯელობა, მაგრამ სქემატურად მაინც უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ინფორმაციის დაცვის სისტემა. თუ ლაპარაკია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო და სხვა დარგების ინფორმაციაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ვინ არის მისი მფლობელი ანუ პატრონი. ასეთები შეიძლება იყვნენ სამინისტროები, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოები, სანარმოები, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა კოლექტივები.

ამასთან ინფორმაცია უნდა დალაგდეს კლასებად; მათ მატარებლებად გათვალისწინებულ იქნას ინფორმაციის გაჟონვის წყაროები და საშუალებები. საკანონმდებლო წესით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ინფორმაციის პატრონის უფლებები, დაცვა ნაირსახეობისა და პროფილის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია ან ჯგუფი კომპეტენტური სპეციალისტების მოზიდვით, რათა სისტემა იყოს მოქნილი და ქმედითუნარიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოვჩნდებით ამ „ცუდი შემნახავის“ როლში, რომელიც ქურდზე უარესია და შეიძლება ხელიდან ისეთი რამ დაგვისხლტეს, რასაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საერთაშორისო სტანდარტებით საიდუმლო ინფორმაცია ოთხ კატეგორიად იყოფა:

- სამსახურეობრივი საიდუმლო;
- საიდუმლო;
- მკაცრად საიდუმლო;
- სრულიად საიდუმლო;

საქართველოს პარლამენტის დეპუტატოების კანდიდატი

გივი იოსების ძე იასეშვილი

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ უფროსი მეცნიერთანამშრომელი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემების ლექტორი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ ახალი ტექნიკისა და გამომგონებლობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე. საქარლამენტო მოღვაწეობის პროგრამა: – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

ავტობიოგრაფია

გივი იოსების ძე იასეშვილი დაიბადა 1940 წლის 18 აპრილს. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის 31-ე საშუალო სკოლა. 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. განანილებით დატოვეს კათედრაზე. კითხულობდა ლექციებს თემაზე „ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ელემენტები“.

1965-68 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში. დაამუშავა დისერტაცია, რომელიც ეხებოდა საზღვაო ტრანსპორტის მართვაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების და გამომთვლელი მანქანების გამოყენებას საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ბაზაზე. გამოაქვეყნა შესაბამისი მეცნიერული ნაშრომები და ორჯერ გააკეთა მოხსენება ქ. ლენინგრადში გამართულ საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე.

მის მიერ განვლილი სამსახურეობრივი, სამეცნიერო-ტექნიკური შრომითი გზა შემდეგია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მშენებლობის სამინისტროს მართვის ავტომა-

ტიზირებული სისტემების განყოფილების უფროსი ინჟინერი, საწარმო-ტექნიკური გაერთიანება „ავტოტრანსტექნიკის“ განყოფილების გამგე, საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „რადიანის“ დამოუკიდებელი სექტორის გამგე, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ოპტიკური და ოპტიკო-ფიზიკური კვლევის მიმართულების ხელმძღვანელი.

1985-92 წლებში დაამუშავა მეორე დისერტაცია „სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ინფორმაციის დაცვის თავისებურებები“, რომელიც მის მიერ ინსტიტუტ „რადიანში“ დამუშავებულ თემატიკას ემყარება და ეხება ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, შესაბამისი მეცნიერული შრომები გამოქვეყნებული აქვს ქ. მოსკოვში. დაცვაზე წარდგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

განვლილი წლების განმავლობაში სისტემატურად კითხულობდა ლექციებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტუალურ პრობლემებზე, როგორც ლექტორს განვლილი აქვს შემდეგი პედაგოგიური გზა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი, ქ. თბილისის ყოფილი ორჯონიკიძის რაიკომის ლექტორი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წევრი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი – ახალი ტექნიკისა და გამომგონებლობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე. გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება ეკონომიკის მართვის და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების აქტუალურ პრობლემებს. **მისი პროფესიონალური ღრმა რწმენა არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარება უნდა გახდეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი სტრატეგიული მიმართულება.** ყავს მეუღლე და ორის შვილი.

მეუღლე – **ლამარა მეგრელიშვილი**, ექიმი.

ვაჟიშვილი – **სოსო იასეშვილი**, მათემატიკოსი.

ქალიშვილი – **თათია იასეშვილი**, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსის ფრიადოსანი სტუდენტი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სინთეზი

უცხო სიტყვათა ქართული ლექსიკონი სიტყვა ეკონომიკას, როგორც ბერძნული წარმოშობის სიტყვას ასე განმარტავს – მოცემული საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების სანარმოო ძალთა განვითარებას. მაგალითად: სოციალიზმის ეკონომიკა, კაპიტალიზმის ეკონომიკა. საქართველო ამჟამად სოციალიზმიდან კაპიტალიზმში – საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ რეჟიმშია და მოქმედებს შერეული ეკონომიკა. კრიზისულად მიმდინარეობს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი. საქართველოს გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე შოკური თერაპიის მეთოდით ძირს გამოუთხრის ქვეყნის დამოუკიდებლობას და დემოკრატიას. არსებული კრიზისის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკით.

აი, როგორ მსჯელობენ საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ცნობილი ქართველი ეკონომისტები, მეცნიერები და პოლიტიკოსები: „ჩვენი ეკონომიკა მახინჯი დაიბადა... „ასე თვლის პროფესორი მიხეილ ჯიბუტი, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს ეკონომიკას“. ...ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭიროა ცივილიზირებული ბაზარი, რეფორმები, რომელთა განხორციელებას მათი მენტალიტეტი უშლის ხელს. აუცილებელია, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს ერთიანი ბაზარი, მხოლოდ მაშინ ექნება მის სხვადასხვა რეგიონს ერთიანი ინტერესები“.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, პროფესორი ლადო პაპავა: „...საზოგადოებას შესთავაზეთ ეკონომიკური რეფორმის სოციალური სტიმულირების მეთოდი, როგორც შოკური თერაპიის მეთოდის ერთგვარი გაგრძელება. სოციალური სტიმულირების მეთოდის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: საზოგადოებაში კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესება, მენარმეობის განვითარების სტიმულირება და მოსახლეობის მიზანმიმართული სოციალური დაცვა. საქართველოს ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა: „... ჩვენს პოლიტიკას აკლია მთავარი კომპლექსურობა და თანმიმდევრული ხასიათი. ძლიერდება სოციალური დარვინიზმი, საქართველო მოვა-

ლეა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში პროცეს-ნაკადად შევიდეს. მომავალი ეკონომიკური მოდელის ძირითად განმსაზღვრელ პარამეტრებად შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანის ცხოვრების ხარისხი, პიროვნების თვითრეალიზაციის გარემოს შექმნა, მტკიცე სოციალური გარანტიები, ძლიერი სახელმწიფო, რომელიც სიცოცხლის უნარიანია შექმნას სათანადო სტრუქტურები, ეკონომიკური და სოციალური წესრიგი, უზრუნველყოს საზოგადოების განვითარების ელემენტებს შორის ნონასწორობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი ელგუჯა მექვაბიშვილი: „...ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია სახელმწიფოებრივი მშენებლობის იდეოლოგია. დღეს არ არსებობს საქართველოს ერთიანი ეკონომიკა. ჩვენი ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ მცირე ნაწილს წარმოადგენს და მის კანონზომიერებას უნდა დაემორჩილოს. ჩვენი ძირითადი საზრუნავია წარმოების ამოქმედება. ჯერ-ჯერობით ვერ გამოინახა ავადმყოფი სახელმწიფო სტრუქტურის მკურნალობის სწორი დიაგნოზი“. საქართველოს სოციალისტური პარტიის ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი: „... საქართველოს ხელისუფლებას დაავიწყდა ქვეყნის მთავარი მოქმედი პირი – ადამიანი, მოსახლეობა, რომლის კეთილდღეობისათვისაც უნდა იყოს მიმართული ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების მთელი საქმიანობა. ქვეყნის ეკონომიკის დინამიზმის, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად ერთადერთი პროგრესული გზა ეკონომიკის გეგმიური მართვაა“. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, პროფესორი გურამ მუჩაიძე: „...პოსტკომუნისტური ქვეყნების გადაყვანა საბაზრო მეურნეობის რელსებზე მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური გარდაქმნების რეგულირებას და ამ გარდაქმნებისადმი მოსახლეობის სოციალური ადაპტაციის უზრუნველყოფას. მტკ-ის თანამედროვე ეტაპზე შრომის ნაყოფიერების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა არა თვით საკუთრება, არამედ მასზე უფლებების რეალიზაციის პროცესში უშუალო მწარმოებლების მონაწილეობის ხარისხი. სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს ისეთი საკუთრებითი ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება, როდესაც ერთი და იგივე ობიექტის საკუთრებაზე უფლებები ერთდროულად სხვადასხვა

სუბიექტს ეკუთვნის. ბაზარი რთული სოციალური ორგანიზმია, რომელიც იქმნება უპირატესად ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობით. მტპ-ის თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია შეიქმნა წარმოების საშუალებებზე საკუთრების რეალიზაციის საქმეში უფლებრივი გამიჯვნა“.

მტპ-ის დაჩქარებული განვითარება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული საკითხია. მტპ-ის ბაზაზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია გულისხმობს ქვეყნის განვითარების ახალ თვისებას, სწრაფ წინსვლას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით, წარმოების ამოქმედებას და ფუნქციონირებას ინტენსიურ რელსებზე, მართვის ეფექტიან ფორმებზე გადასვლას, სოციალური პრობლემების უფრო სრულად გადაჭრას და სხვა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აუცილებლობას განსაზღვრავს საქართველოს შიდა სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი და საგარეო საერთაშორისო მდგომარეობა.

დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომ განვითარებას გადამწყვეტილად განსაზღვრავს თვისებრივი ძვრები ეკონომიკაში, ინტენსიური ზრდის რელსებზე მისი გადაყვანა, ეფექტიურობის ამაღლება. ეკონომიკის ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი პირობა მტპ-ის ყოველმხრივი დაჩქარებაა. ინტენსიურად განვითაროთ მეცნიერების ფუნდამენტური მიმართულებანი, შევქმნათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები, საერთაშორისო დონემდე ავამაღლოთ სამეცნიერო დანესებულებების ნამუშევართა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი, შრომის ნაყოფიერების გადიდება ბევრ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზეა დამოკიდებული, მაგრამ მათგან უმთავრესია მტპ.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა პრაქტიკულად ხორციელდებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა.

იმისათვის, რომ მტპ-ს მიღწევების ბაზაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სერიოზული დაჩქარების ამოცანა საქმით გადავწყვიტოთ, საჭიროა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, რომელიც საკმაო სტიმულს ვერ აძლევს მტპ-ს. თუ ვერ შევქმნით ახალ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ პირობებს, ნამდვილად ვერ დავაჩქარებთ მტპს.

მტპ-ის დაჩქარებული განვითარების ისტორიულ პროცესში გადამ-

წყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სახელმწიფოს და ქვეყნის ხელისუფლების მძლავრ მაკორდინირებელ როლს, სახელმწიფო და შრომით დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობას. საჭროა ფსიქოლოგიური გარდაქმნა, შრომით კოლექტივებში ისეთი ზნეობრივი კლიმატის შექმნა, რომელიც ნორმად აქცევს და აღამაღლებს დიდ ნაყოფიერ ხარისხოვნ შრომას. ბევრი რამ არის დამოკიდებული თავად ადამიანებზე, მათ სათუთ დამოკიდებულებაზე და პატრიოტიზმზე.

მტკ დღეს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი და მძლავრი მამოძრავებელი ძალაა, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს ქვეყნის წინსვლა ყველა მიმართულებით და განსაკუთრებით შრომის კულტურის კარდინალური გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობის გადიდების თვალსაზრისით. ისევე, როგორც მძლავრ თანამედროვე ტექნიკას მას უნდა ემსახურებოდნენ მაღალკვალიფიციური და მაღალზნეობრივი სპეციალისტები. მტკ-ის დაჩქარების კურსის განხორციელება დღის წესრიგში აყენებს საინჟინრო-ტექნიკური განათლების ხარისხობრივი და თვისებრივი გაუმჯობესების გზების რეალურ ძიებას წარმოების მონინავე დარგებში უკვე მომხდარი ტექნოლოგიური ძვრებისა და გარდაქმნების გათვალისწინებით.

„დღე და ღამე“, N2 (3), 1995 წელი

საპარლამენტო მოღვაწეობის პროგრამა – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

**საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის
დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი**

გივი იოსების ძე იასეშვილი

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
„ისარის“ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის
პრობლემების ლექტორი

**1. საქართველოს პარლამენტის 1992-1995 წლების
მოღვაწეობის ანალიზი**

საქართველოში 1990 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა საყოველთაო ეიფორიის ატმოსფეროში ლოზუნგებით – დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ა.შ. გაიმარჯვა ქუჩის დემოკრატია.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა ექსტრემალურ პირობებში და მისი დებულება კომპრომისული იყო. კანონი მოარგეს სიტუაციას. პარლამენტში ადგილი დაიმკვიდრა 26-მა პოლიტიკურმა პარტიამ. მაშინ საკომპენსაციო სიით (წესით) 80-მდე პიროვნება გავიდა დეპუტატად. ფაქტიურად ისინი არ აურჩევიათ, რაც მათ უდიდეს ნაკლად ითვლება.

პარლამენტში შეიქმნა 18 კომისია, მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობაში 18 სამინისტრო არსებობდა. საფრანგეთის პარლამენტში კი 6 კომისია მუშაობს.

ორივე არჩევნებმა უარყოფითი შედეგები მოგვცა. კანონი არჩევნების შესახებ ექსტრემალურ პირობებში ყალიბდებოდა და მიუსადაგეს მონაწილე პარტიებს. ეს კანონი ძალიან სუსტი გამოდგა.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. 1995 წლის 25 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ დიდის დაგვიანებით მოქალაქეთა კავშირის კონფერენციაზე აღიარა: „რომ პროფესიონალიზმი ხდება გადამწყვეტი. პარლამენტის წევრებიც და პრეზიდენტიც უსათუოდ პროფესიონალები უნდა იყვნენ“. პარლამენტი არის სახელმწიფო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და მისი ძირითადი მოვალეობაა კანონშემოქმედებითი მუშაობა – კონსტიტუციის მიღება და კონტროლი. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება განიცდის დიდ საკანონმდებლო ვაკუუმს, ხოლო ქვეყანა კი საპარლამენტო კრიზისშია.

საქართველოს ახალ პარლამენტში ჩემი მოღვაწეობის ძირითადი მიზანია მაღალი ეფექტური კანონშემოქმედებითი მუშაობა, საკანონმდებლო მოღვაწეობის შრომის მაღალი კულტურის დამკვიდრება. ძირითადად ვთანამშრომლობ ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომისიებში. მეორე წელია მიმდინარეობს საქართველოს მომავალი პარლამენტის საარჩევნო კამპანია. საარჩევნო კომპანია არის საზოგადოების – ხალხის დაჯერების პროცესი იმაში, რომ შენ სწორ რამეს აკეთებ. „საარჩევნო კამპანიაში მთავარია გონიერება და წესიერება“ – აღნიშნავს სახელმწიფოს მეორე თავკაცი ჯაბა იოსელიანი.

კანონიერების დაცვა პარლამენტის დარბაზიდან უნდა იწყებოდეს. საქართველოს ახალმა პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს სპეციალური კანონი კანონმდებლებისათვის, რადგან დღევანდელ პარლამენტში ხშირია შემთხვევები კვორუმის არ არსებობისა, ხოლო მრავალრიცხოვანი საპარლამენტო კომისიები კი ცუდად მუშაობენ.

ახალმა პარლამენტმა საქართველოში უნდა დააკანონოს კანონის დღე. ამ დღეს პრესა, რადიო, ტელევიზია, იურისტთა მთელი სამსახური ქვეყნის მოსახლეობას უნდა უხსნიდეს კანონების დანიშნულებას, როგორც სახელმწიფოს მამოძრავებელი ძალისა. ქვეყანა სახელმწიფოს კანონმა უნდა მართოს.

აანალიზებს რა საქართველოს პარლამენტის სამწლიან მუშაობას პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე აღნიშნავს: „ჩვენი ძირითადი მიზანია ახალ პარლამენტს საქართველო გადავაბაროთ ერთიანი და მთლიანი

სახელმწიფოს სახით. რაც არ უნდა ვემდუროთ ჩვენს პარლამენტს, მისი დამსახურება იმაშია, რომ მიიღო 100-მდე კანონი და ამ პარლამენტმა საქართველო გადაარჩინა“.

საქართველოს, როგორც საკანონმდებლო ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა თავს არიდებს იმ ფაქტის აღიარებას, რომ დღეს საქართველოს საგარეო ვალებმა შეადგინა ერთი მილიარდ სამასი მილიონი ამერიკული დოლარი, რაც მძიმე ტვირთად დაანება მომავალ თაობას, ჩვენი ძირითადი ვალების გადახდა კი 1998 წლიდან უნდა დავიწყოთ.

1995 წელს საქართველოს დღევანდელმა პარლამენტმა მიიღო მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების კანონი. ე.წ. გარდამავალი პერიოდისათვის. აღნიშნული კანონის პროექტი მომზადებული იყო 2 წლით ადრე და განვილილ პერიოდში დახვეწას განიცდიდა საკომისიო და პლენარულ საპარლამენტო სხდომებზე. ამ კანონის არსი იმაშია, თუ როგორია საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა დღეს მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების მიმართ, მასში მოცემულია სამართლებრივი საფუძვლები. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა, თუ როგორ განვითარდეს მეცნიერება და ტექნოლოგიები. სამწუხაროდ არადაამკამყოფილებელია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

სადეპუტატო მოღვაწეობის ჩემი საკუთარი პროგრამა ითვალისწინებს მტკპ-ის დაჩქარებულ განვითარებას, რაც დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ერთ-ერთი მძლავრი გარანტიაა. მის სინამდვილეში განხორციელებას ესაჭიროება საკანონმდებლო უზრუნველყოფა. საქართველოს ხელისუფლების სათავეში რომელი პოლიტიკური პარტიაც არ უნდა მოვიდეს, დღევანდელის ჩათვლით, ჩემი საპარლამენტო მოღვაწეობის პროგრამა ყველასათვის მისაღებია და სავალდებულოა სახელმძღვანელოდ.

1980-იანი წლების დასასრულს და 90-იანი წლების დასაწყისში, ვმუშაობდი რა საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სამეცნიერო-ტექნიკური სექტორის გამგედ, სამეც-

ნიერო-ტექნიკურ საბჭოზე წინასწარ დამტკიცებული დებულების თანახმად, ჩვენი ძირითადი მოვალეობა იყო იურიდიულად, სამართლებრივად დაგვესაბუთებინა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების, მოდელების გამოყენების საფუძველზე თანამედროვე გამომთვლელ მანქანებში გაანგარიშებული გადამუშავებული და ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტების სახით გამობეჭდილი სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების გადანყვებილების ჭეშმარიტება.

2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულ განვითარებას ესაჭიროება საკონსტიტუციო, საპარლამენტო, საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის მომავალ ახალ პარლამენტში საჩქაროდ არის შესაქმნელი საკანონმდებლო ბაზა საქართველოს მტკპ-ის დაჩქარებული განვითარებისათვის. ამ მიზნით მე 1994 წელს ქ. მოსკოვში საერთაშორისო დანიშნულების ჟურნალ „Радиовещание“-ს მეორე ნომერში გამოვაქვეყნე დიდი მოცულობის ვრცელი საკანონმდებლო-სამეცნიერო ნაშრომი „საზოგადოების ინფორმაციზაციის პროცესში ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები“.

აღნიშნული სამეცნიერო-საკანონმდებლო ნაშრომი ემყარება 1992 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე „საზოგადოების ინფორმაციის დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“ მიღებულ შედეგებს და მეორე მხრივ საკანონმდებლო-სამართლებრივი თვალსაზრისით განზოგადებს ჩემს მიერ საქართველოში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომებში დასაბუთებულ მტკპ-ის აქტუალურ პრობლემებს და სახელმწიფო, სამხედრო, ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების საიდუმლო ინფორმაციის მაღალ ეფექტურად და საიმედოდ დაცვის ორგანიზაციულ, მათემატიკურ, ტექნიკურ და კრიპტოგრაფიულ ღონისძიებებს, მეთოდებს და საშუალებებს.

საქართველოში მტკპ-ის დაჩქარებული განვითარების მიზნით

საერთაშორისო ექსპერტების დონეზე განხილული და დასაბუთებული მაქვს კანონების კონა. მხედველობაში არის მიღებული მსოფლიოში არსებული მონინავე გამოცდილება ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნების და რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს ბაზაზე.

საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკანონმდებლო რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის პარლამენტის მიერ. საქართველოს 1992-1995 წლების პარლამენტში მტკ განიცდის საკანონმდებლო ვაკუუმს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას მე-20 საუკუნის დასასრულს ისტორიის მემატთანე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას მიუტევებელ შეცდომას დაუფიქსირებს.

საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ღონისძიებებით უნდა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი კურსი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებული უნდა იქნას მტკ-ის დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. მტკ-ის მართვა საქართველოს სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის გადამწყვეტი პრობლემა უნდა გახდეს. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის კანონი, რომელშიც მოცემული იქნება პრიტრიტეტები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

საქართველოს, როგორც მომავალში დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს, მტკ-ის სამართლებრივი-საკანონმდებლო უზრუნველყოფა – ესაა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფოს მიერ სანქცირებული და დაცული დამოკიდებულებებისა და ნორმების სისტემა. მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფა კომპლექსურია, რადგან შეიცავს ნორმებს, რომელიც ეხება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, შრომით და სხვა სამართალს. მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საგამომცემლო და საპატენტო სამართალი.

მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის სახელმწიფო დოკუმენ-

ტებს და ნორმატიულ აქტებს წარმოადგენენ: ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისი სტატიები, ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, კანონები გამოგონებებზე, აღმოჩენებზე, რაციონალიზატორულ წინადადებებზე და სამრეწველო ნიმუშებზე.

ქვეყნის სამთავრობო ორგანოების მიერ მიღებული და დამტკიცებული შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტები, დადგენილებები, მითითებები, რეკომენდაციები, ინსტრუქციები, ტიპიური დებულებები და სხვა. მტპ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფა განსაზღვრავს სისტემას: მეცნიერული კვლევის სახელმწიფო ხელმძღვანელობა. საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობა, მტპ-ის მიღწევების დაწერვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მტპ-ის სფეროში ადგენს ხელმძღვანელი მუშაკების და სპეციალისტების, აღმოჩენების, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების, სამრეწველო ნიმუშების, სხვა სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების ავტორების უფლებებს და მოვალეობებს.

მტპ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფა – ხელს უწყობს ამ სიახლეების გამომჟღავნებას და ოფიციალურ აღიარებას. არეგულირებს მათ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში და სხვა სფეროებში, საზღვარგარეთ გადაცემას. მტპ-ის სფეროში სანქცირებას უკეთებს საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს (სამამულო გამოგონებების საზღვარგარეთ პატენტირება, ლიცენზიების ყიდვა-გაყიდვა და სხვა.) მტპ-ის უპირატესი ხელშეწყობის მიზნით შესაქმნელია სახელმწიფო კანონების სერია: კანონები სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის, ინოვაციური ორგანიზაციის, გამომგონებლობის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებათა აკადემიების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების საპატენტო სამართლის და სხვა.

ასევე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დამატებები აქტებში, რომლებიც შეეხებიან სამეწარმეო, საბანკო, საინვესტიციო საქმიანობას, პრივატიზაციას, სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას, მოსახლეობის დასაქმებას, საგადასახადო სისტემას, ინტელექტუალურ საკუთრებას და სხვა.

გარდა ამისა, ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს იმ დოკუმენტების გადახედვას, როგორცაა იმ ორგანიზაციების დებულებები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის პირობებში აუცილებელია მსოფლიოს საგამომგონებლო პროცესში თანაბარუფლებიანი მონაწილეობა. ასეთი მიდგომა გულისხმობს ახალი კანონების კონის შემუშავებას, რომელიც დაარეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების საკითხებს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ეს გულისხმობს ექსპერტიზას და რეგისტრაციას გამოგონებისა, დამცველი საბუთების გადაცემას – საავტორო მოწმობებს და პატენტებს ჩვენთან საქართველოში, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის დამოუკიდებელ წევრობას. ასეთი სამუშაოს წარმართვა შესაძლებელია თანამედროვე პროფესიონალებით – სპეციალისტებით, მაღალი მოქალაქეობრივი მორალით, პასუხისმგებლობით, რომელთაც ექნებათ ცოდნის კონკრეტულ სფეროში მუშაობის მდიდარი გამოცდილება და იურიდიული მომზადების საჭირო დონე.

ქართული ტექნიკა საზღვარგარეთის ბაზაზე კონკურენტუნარიანი რომ იყოს, აუცილებელია მაღალ ხარისხიანი საპატენტო კვლევა. ეს უკანასკნელი კი საქართველოში ახალ დამუშავებათა მაღალი სამეცნიერო ტექნიკური დონის მიღწევის საწინდარია. საპატენტო კვლევის ხარისხის გაზრდა კი მჭიდროდაა დაკავშირებული საპატენტო დოკუმენტების თემატური და სახეობრივი ფართო სპექტრის მოკვლევასთან, მისი დამუშავების ოპერატიულობასთან და ეფექტიანობასთან, საპატენტო ფონდთან მუშაობის დროს გამოყენებული უნდა იქნას სამუშაო ადგილის ავტომატიზაციისა და ორგტექნიკის უახლოესი მიღწევები, საჭიროა კადრებთან სისტემატური მუშაობა და მუშა მდგომარეობაში მყოფი სრული საპატენტო ფონდი, რომ შეუფერხებლად გაიცეს საჭირო ინფორმაცია.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საერთაშორისო სპექტრში ეფექტური განმტკიც-

ცების მიზნით სახელმწიფო, სამხედრო, ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების საიდუმლო ინფორმაციის დაცვას ესაჭიროება საკონსტიტუციო უზრუნველყოფა, ანუ საკონსტიტუციო კანონების ურთიერთ დაკავშირებული კონა, რომლის ბაზაზეც შემდგომ შეიქმნება საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის დაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. ამ სისტემამ საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უნდა შესძლოს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრით განვითარებულ-მონინავე სახელმწიფოებთან საქმიანი ურთიერთობა.

საქართველოში ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო სისტემის არ არსებობა დიდ დამამუხრუჭებელ ზემოქმედებას ახდენს საზღვარგარეთის და განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებასა და განვითარების პროცესზე. ქვემოთ მოყვანილია საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო სტრუქტურა ინფორმაციის დაცვის სფეროში. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ქვეყნის კანონები ინფორმატიზაციაში, ინფორმაციის დაცვაში და მომიჯნავე სფეროებში: ინფორმატიზაციისა და ინფორმაციის დაცვის შესახებ, სახელმწიფოს საიდუმლოების შესახებ, კომერციული ინფორმაციის დაცვის შესახებ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ, ინფორმატიზაციის პირობებში მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ, ინფორმაციაზე მუშაობის დროს სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის შესახებ, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების პროგრამების და მიკროსქემების ტოპოლოგიების სამართლებრივ დაცვაზე, წარმოების შესახებ, საკუთრების შესახებ, სამეცნიერო და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შესახებ, საექსპორტო კონტროლის შესახებ, კავშირგაბმულობის შესახებ, სტრატეგიული აღრიცხვის შესახებ, არქივების შესახებ, სისხლის სამართლის – პროცესუალური, ადმინისტრაციულ-შრომითი და სამოქალაქო კოდექსები, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო დოკუმენტები, დებულებები, ინსტრუქციები, რეკომენდაციები, ნორმატიულ-ტექნიკური და მეთოდური დოკუმენტები.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა აქტიურ მონაწილეობას მივიღებ სხვა კანონპროექტების შემუშავებაში და საჭიროების შემთხვევებში კი გამართულ პოლიტიკურ დებატებშიც. საპარლამენტო მოღვაწეობაში პრაქტიკულად გათვალისწინების მიზნით სისტემატიურად შევისწავლი ჩემი ამომრჩევლების და საერთოდ მოსახლეობის საზოგადოებრივ აზრს.

აი, ასეთი იქნება ჩემი, როგორც პროფესიონალი სპეციალისტის, მეცნიერის და ლექტორის უშუალო შრომითი წვლილი საქართველოს მომავალ ახალ პარლამენტში დეპუტატად მოღვაწეობის დროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საკანონმდებლო ფონდის შექმნისა და შემდგომი განვითარების ისტორიულად აუცილებელ და სოციალურად მეტად აქტუალურ, მძიმე, მაგრამ უაღრესად კეთილშობილურ პროცესში, რადგან ყოველივე ზემოთ თქმული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარანტია.

ჩემი პოლიტიკური იდეალია ილია ჭავჭავაძე. ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დღე და ღამე ვიღწვი ქართველი ხალხის საგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის.

„დღე და ღამე“, 1995 წელი

სახელმწიფო, რომელიც არ ზრუნავს მეცნიერების განვითარებაზე და მისი მიღწევების გამოყენებაზე, ადრე თუ გვიან კოლონია გახდება

გივი იოსების ძე იასეშვილი

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესის პრობლემების ლექტორი.

დღევანდელ საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჩრდილშია მოქცეული. 1994 წლის დაგვიანებით განხილულ საქართველოს ბიუჯეტში პირველ კვარტალში მეცნიერებისათვის გათვალისწინებული იყო 12 მილიარდი კუპონი, რაც საერთო შემოსავლის 0,7 პროცენტს წარმოადგენდა. პარლამენტის სხდომაზე განხილვისას ითქვა, რომ ეს თანხა მხოლოდ ხელფასის ფონდს გასწვდება.

1994 წლის კვარტალურმა საბიუჯეტო ფორმალიზმმა განაპირობა 1995 წლის ფორმალური წლიური ბიუჯეტი. 1995 წლის 11 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მეორედ განიხილა და იმსჯელა 1995 წლის ბიუჯეტზე და მიუხედავად ოპოზიციის გააფთრებული წინააღმდეგობისა, მაინც დაამტკიცა. ბიუჯეტში არ არის დაცული ოთხი ძირითადი პრინციპი: სისრულე, ერთიანობა, რეალობა და საჯაროობა.

ვიცე სპიკერმა ვ. რჩეულიშვილმა სატელევიზიო კომენტარი გაუკეთა ამ მოვლენას და გულახდილად აღიარა წლიური ბიუჯეტის ფორმალურობა, რომელშიც ხელფასის ფონდი მოქალაქეს პურის ფულადაც არ ეყოფა. ბიუჯეტი დაფინანსებულია საზღვარგარეთიდან მიღებული ვალებით, რაც მომავალ თაობას მძიმე ტვირთად დაანებება. 1995 წლის აგვისტოს თვეში კი საქართველოს საგარეო ვალმა უკვე შეადგინა ერთი მილიარდ სამასი მილიონი ამერიკული დოლარი.

დიდად გაუჭირდა საქართველოს 40 ათასიან მეცნიერთა შრომით კოლექტივს. ისინი სოციალურად და ფიზიკურად დაუცველები არიან ხელისუფლებისაგან. ადგილი ჰქონდა ცნობილ მეცნიერთა შიმშილით

სიკვდილს, დაიწყო ქართული ინტელექტუალური პოტენციალის საზღვარგარეთ იძულებით გასვლა, ხოლო სამშობლოში დარჩენილმა მაღალკვალიფიციურმა მეცნიერებმა – ლექტორებმა პარალელურად მათთვის შეუფერებელ საქმიანობას მიჰყვეს ხელი.

1995 წლის 16 ივნისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიური კრება, მონაწილეობდნენ: საქართველოს მეთაური ე. შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი ო. ფაცაცია, ვიცე-პრემიერი ი. მენაღარიშვილი და ქალაქის მერი ნ. ლეკიშვილი. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. თავხელიძემ თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ: „მიუხედავად მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობებისა, შეინარჩუნეს ინტელექტუალური პოტენციალი და ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაში ზოგიერთ ნარმატივებს მიაღწიეს. დასახელებული იყო მაგალითები ჯანმრთელობის დაცვის, ბიოტექნოლოგიის და სხვა დარგებიდან. ქართველმა მეცნიერებმა ფაქტობრივად განყვიტეს კავშირი საზღვარგარეთელ კოლეგებთან. საქართველოში არ შემოდის უცხოური სამეცნიერო გამოცემები, არ მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და ღონისძიებებში, საქართველოში დიდად შემცირდა სამეცნიერო გამოცემები. აკადემიის შრომით კოლექტივში საშუალო თვიური ხელფასი 5 მილიონი კუპონია, მაშინ, როდესაც მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება 90 მილიონი კუპონია. კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: ა. აფაქიძემ, გ. სანაძემ, ი. ფრანგიშვილმა, რ. მეტრეველმა, მ. სალუქვაძემ და სხვებმა. უმრავლეს საკითხებში გამოთქვეს სახელმწიფო მეთაურის საწინააღმდეგო მოსაზრებები: ფუნდამენტური და საერთოდ მეცნიერების ფინანსირების, საქართველოს ადგილობრივ-ტერიტორიული მონყობის, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი დონის სტრუქტურისა და მოახლოვებული არჩევნების შესახებ.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე სიტყვით გამოსულმა სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ განაცხადა: „საქართველოში მეცნიერების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა არადაამაკმაყოფილებელია. ნორმალური უზრუნველყოფა რომ არსებობდეს, ჯერ უნდა არსებობდეს სახელმწიფო, სახელმწიფო კი მშენებლობის პროცესშია. სახელმწიფოს თუ საექსპორტო არაფერი გააჩნია, ის ვერ აყვავდება. სა-

ქართველოს ექსპორტია სამეცნიერო პოტენციალი და კულტურა. სხვა საექსპორტო ჩვენ არაფერი გაგვაჩნია. მე არ მჭირდება იმის მტკიცება, რომ მეცნიერება გადამწყვეტია სახელმწიფოს ძლიერებაში, მაგრამ საქართველოს დღევანდელ მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა, რომ მეცნიერება დააფინანსოს, შეიძლება ხვალინდელ მთავრობას ამის შესაძლებლობა ჰქონდეს, ამიტომ საჭირო ფინანსირება უფრო აქტიურად ეძიეთ თქვენ თვითონ მეცნიერებმა“.

მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა, ორი ატომური ბომბით მიწასთან გასწორებულმა იაპონელებმა მუხლჩაუხრელი სწავლისა და შრომის წყალობით, ფეხზე დაყენებული ეკონომიკით გაიმარჯვეს და მსოფლიო ბაზარი დაიპყრეს. ეს ისეთი სუპერ ქვეყნის მაგალითია, რომელიც ქართველმა ხალხმა ზედმინევნით უნდა შეისწავლოს და გაითვალისწინოს. იაპონიის სასწაულებრივი წარმატებების საწყისი პირობა აღმოჩნდა სახელმწიფოს მძლავრი მაკოორდინირებელი როლი, რამაც გააერთიანა ეროვნული კაპიტალის წარმომადგენლების განსხვავებული ინტერესები მსოფლიო ბაზრის დაპყრობის მიზნით, იაპონიის მონოპოლიების სიმძლავრეთა კონცენტრაციით მტკ-ის მთავარ მიმართულებებზე.

დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, ერთის მხრივ, უნდა ხელმძღვანელობდეს მსოფლიოს მოწინავე გამოცდილებით, ხოლო მეორე მხრივ ითვალისწინებდეს ჩვენი ქვეყნის შიგნით შექმნილ სადღეისო მდგომარეობას, ეროვნულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს. მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე პატარა ქვეყნების უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ტენდენცია იყო მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კონცეფციის სწრაფი ევოლუცია და მისი განხორციელების ეფექტიანი სამთავრობო მექანიზმების პარალელური ჩამოყალიბება.

დღეს კაცობრიობა სამი დიდი პრობლემის წინაშე იმყოფება: ზნეობრიობის პრობლემა, ეკოლოგიური პრობლემა და ინტელექტუალური, შრომის ინტენსიფიკაციის პრობლემა, რამაც უნდა გადაარჩინოს ცივილიზაცია.

ქვეყნის სიდიადეს განსაზღვრავს არა მისი ტერიტორიული სიდიდე, არამედ ინტელექტუალური პოტენციალი. დღეს იგებს ქვეყანა არა ტერიტორიით და ტანკებით, არამედ ინტელექტუალური პოტენციალით.

„დღე და ღამე“, 1995 წელი

**მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის დაჩქარებული
განვითარება ეკონომიკის განვითარების ძირითადი სტრატე-
გიული მიმართულებაა**

გივი იოსების ძე იასეშვილი

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
„ისარის“ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.
მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის
პრობლემების ლექტორი.

დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ერთის მხრივ უნდა ხელმძღვანელობდეს მსოფლიოს მოწინავე გამოცდილებით, ხოლო მეორეს მხრივ ითვალისწინებდეს ჩვენი ქვეყნის შიგნით შექმნილ სადღეისო მდგომარეობას, ეროვნულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს. კაცობრიობა სამი დიდი პრობლემის წინაშე იმყოფება: ზნეობრიობის პრობლემა, ეკოლოგიური პრობლემა და ინტელექტუალური შრომის ინტენსიფიკაციის პრობლემა, რამაც უნდა გადაარჩინოს ცივილიზაცია.

მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე პატარა ქვეყნების უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ტენდენცია მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კონცეფციის სწრაფი ევოლუცია და მისი განხორციელების ეფექტიანი სამთავრობო მექანიზმების პარალელური ჩამოყალიბება იყო. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარება მრავალარგუმენტიანი ფუნქცია არის, მაგრამ მტკ-ს დაჩქარებული განვითარება მისი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს. ძლიერი სახელმწიფო ძლიერი ეკონომიკაა.

საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განვითარებისა და განმტკიცების დღევანდელ ეტაპზე მტკ-ის დაჩქარებული განვითარება დამძიმებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და სამხედრო ძლიერების განმტკიცების უმთავრესი წარმმართველი ძალა

უნდა გახდეს. მტკ საქართველოს ეკონომიკის ამოქმედებას განაპირობებს და მისი დაჩქარებული განვითარება საერთაშორისო დონეზე აამაღლებს ეკონომიკის ძირითად მაჩვენებელს შრომის ნაყოფიერებას.

ამ მიზნით მისასაღმებელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების გამოყენების ცენტრისა და სარაკეტო ჯარების სამსახურის დაარსება. ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ ტექნიკური პროექტის სახით საქართველოს 18 სამინისტროს კომპიუტერიაზაციის, უცხოელი კონსულტანტების დაქირავების და ორგტექნიკის შეძენის მიზნით 10 200 000 დოლარის გამოყოფა მცირე, მაგრამ კეთილი იმედის მაუწყებელია.

მეცნიერების ახალი მიმართულება, სოციალური ინფორმატიკა შეისწავლის საზოგადოებისა და ინფორმატიკის ურთიერთქმედების კანონზომიერებას, უპირველეს ყოვლისა საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესის და საინფორმაციო ცივილიზაციის ჩამოყალიბების კანონზომიერებას. საზოგადოების ინფორმატიზაცია არის სოციალურ-ტექნოლოგიური პროცესი და უზრუნველყოფს განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკურ ძლიერებას. ხოლო ინფორმაციის დაცვა არის ინფორმატიზაციის განუყოფელი და ერთ-ერთი წამყვანი – ძირითადი ნაწილი, ურომლისოდაც, როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, ინფორმატიზაციის პროცესი ვითარდება არა ეფექტურად და არ ხორციელდება პიროვნების – მოქალაქის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.

საქართველოში მტკ-ის დაჩქარებული განვითარების პროცესში პრიორიტეტული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ორგანიზაციულ, მათემატიკურ-პროგრამულ, ტექნიკურ და კრიპტოგრაფიულ ღონისძიებებს, მეთოდებს და საშუალებებს, რაც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოსა და ხალხის უშიშროების, სახალხო მეურნეობის – ეკონომიკის და შეიარაღებული ძალების მართვის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, საიდუმლო ინფორმაციის საზღვარგარეთ გაჟონვა იწვევს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ზარალს, დიდ ფინანსურ დანაკარგებს და რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობას.

მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა, ორი ატომური ბომბით მიწასთან გასწორებულმა იაპონელებმა მუხლჩაუხრელი სწავლის და შრომის ნყალობით ფეხზე დაყენებული ეკონომიკით გაიმარჯვეს და მსოფლიო ბაზარი დაიპყრეს. ეს ისეთი სუპერ ქვეყნის მაგალითია, რომელიც ქართველმა ხალხმა ზედმინეწვით უნდა შეისწავლოს და გაითვალისწინოს. იაპონიის სასწაულებრივი წარმატებების საწყისი პირობა აღმოჩნდა სახელმწიფოს მძლავრი მაკოორდინერებელი როლი, რითაც შესძლო გაეერთიანებინა ეროვნული კაპიტალის წარმომადგენლების განსხვავებული ინტერესები მსოფლიო ბაზრის დაპყრობის მიზნით, იაპონიის მონოპოლიების სიმძლავრეთა კონცენტრაციით მტკპ-ის მთავარ მიმართულებებზე.

მტპ არის პერმანენტული პროცესი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოების ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ადამიანი შრომით ჩვევებს დაეუფლა. მტპ არის მეცნიერებისა და ტექნიკის ურთიერთ დაკავშირებული განვითარება, განპირობებული მატერიალური წარმოების საჭიროებით და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ზრდითა და გართულებით. მტპ-მა საქართველოში უნდა შექმნას მეცნიერების, წარმოების და მომსახურე სფეროს ურთიერთდაკავშირებული თანმიმდევრული განვითარების პროცესი, რომელიც ქმნის ერთიან ციკლს „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება-მომსახურება“. იგი თანამედროვე პირობებში დიდი თვისობრივი ნახტომია ეკონომიკურ-სოციალურ, ბუნებრივ-ბიოლოგიურ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ობიექტურ კანონების შემეცნებაში, საზოგადოებრივ წარმოებასა და მის მომსახურე სფეროში, ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ისტორიულად განასხვავებენ მტპ-ის ორ ძირითად ფორმას: ევოლუციურს, რომლის დროს წარმოების განვითარებაში ადგილი აქვს არა არსებით ცვლილებებს, ე.ი. უმჯობესდება წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია, მაგრამ მათი ძირითადი საფუძველი რჩება იგივე, ხოლო ხარისხობრივი ნახტომი წარმოების განვითარებაში, რომელიც დაკავშირებულია პრინციპულად ახალი სახის ენერჯის, მასალების, ტექნიკის და ტექნოლოგიის გამოყენებასთან – ეს მტპ-ის რევოლუციური ფორმაა და ასეთ პროცესს ეძახიან მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას.

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დღეს საქართველოში უნდა განახორციელოს თვისებრივი ნახტომი. გამომდინარე საქართველოს ეკონომისტთა კავშირის პირველი ყრილობის შედეგებიდან ხელისუფლების დონეზე საჩქაროდ არის შესაქმნელი საქართველოს ეკონომიკის გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების და მტკ-ის დაჩქარებული განვითარების პროგრამები. განხორციელების თვალსაზრისით პირველი რიგის ღონისძიებებს მიეკუთვნებიან: სასურსათო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, პირველადი მოხმარების საგნების გამოშვების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პროგრამები.

საქართველოში მტკ-ის დაჩქარებული განვითარების აუცილებელი ღონისძიებებია: არსებული მრავალრიცხოვანი დამოუკიდებლად მოქმედი ბანკების გაერთიანება ერთ სისტემაში. ქვეყნის ფინანსური სიმძლავრის კონცენტრაცია მტკ-ის მთავარ მიმართულებებზე. ინფორმაციის დაცვის სახელმწიფო სისტემის შექმნა, მეცნიერების დაჩქარებული განვითარება, ფუნდამენტური მეცნიერების პრიორიტეტის დამკვიდრება, განათლების სისტემის რეორგანიზაცია, მეცნიერებათმცოდნეობის განვითარება, საპატენტო კვლევის გაუმჯობესება, გამომგონებლობის მთელი სიმძლავრით განვითარება, საზოგადოება „ცოდნის“ ფუნქციონირების მეთოდის გარდაქმნა აშშ-ში და სხვა განვითარებულ სახელმწიფოებში მოქმედი „ექსტრემენსერვისის“ პრინციპზე. შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში აქტიურად მონაწილეობა, შრომის კულტურის ამაღლება, ყოველივე ეს საკანონმდებლო-სამთავრობო დონეზე უნდა იყოს ერთ მთლიან სახელმწიფო სისტემაში მოყვანილი.

საქართველოში მტკ-ის დაჩქარებული განვითარება უნდა წარმართოს ორი მიმართულებით:

ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ახალი საწარმოო ურთიერთობის (საბაზრო ეკონომიკის) პირობებში მტკ-ის მართვის ეფექტური ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება;

დამოუკიდებელი ნაციონალური სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უპასუხებს მსოფლიოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. მტკ-ის დაჩქარება ცალკეულ დარგებში შესაძლებელია მხოლოდ წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური დონის მუდმივი

ამაღლებით, ყოველ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების სწრაფი გამოყენების საფუძველზე. ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარების ერთ-ერთი საფუძველია პროგრესული უახლოესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების რაციონალური ფორმების ფართოდ დანერგვა.

მტკ-ს დაჩქარება არის ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის საკვანძო პრობლემა. მტკ დროის მოთხოვნაა და სინამდვილეში, რომ მივალწიოთ მის დაჩქარებას, საჭიროა გარდაქმნა. მეცნიერებას განსაკუთრებული ადგილი უკავია მტკ-ის დაჩქარებაში. მეცნიერების განვითარებასა და ქვეყნის პროგრესს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ქვეყნის განვითარების დაჩქარების ამოცანამ დღეს უპირველესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა შეიძინა. კრიზისიდან გამოყვანასთან ერთად ინტენსიფიკაციის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანა, მტკ-ის მიღწევათა ფართო მასშტაბით გამოყენება უნდა გახდეს საერთაშორისო სახალხო საქმე.

მეცნიერულად დასაბუთებულია კონცეფცია იმის თაობაზე, რომ უნდა დაჩქარდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, თვისებრივად გარდაიქმნას სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე, დაიხვეწოს მართვა და სამეურნეო მექანიზმი. წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის ახალი პრინციპები მოითხოვს ბევრი არსებული ნორმის და ინსტრუქციის შეცვლას.

მტკ-ს დაჩქარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა ქვეყნის სახალხო მძლავრი მეცნიერული პოტენციალი, რომელსაც ჯერ-ჯერობით მთლიანი სიმძლავრით ვერ ვიყენებთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ცოდნის ისეთ დარგებს, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო თანამედროვე ტექნოლოგიის დონეს, არამედ საერთოდ მთელი მეცნიერების პროგრესს. პირველ რიგში ეს ეხება ინფორმატიკას, ახალი მასალებისა და ნივთიერებების შექმნას, მათი დამუშავების საშუალებებს, აგრეთვე მეცნიერულ ხელსაწყოთმშენებლობას.

სადღეისოდ და უახლოეს მომავალში სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა განისაზღვროს

კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უზრუნველყოფა, პერიოდულად მოქმედების მანქანათა სისტემებიდან და ტექნოლოგიებიდან უწყვეტი მოქმედების მანქანათა სისტემებზე და ტექნოლოგიებზე გადასვლის გზით. სწორედ ეს მიმართულება გვაძლევს საშუალებას ავამაღლოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვისებრივი დონე და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ შრომის ხასიათი და შინაარსი მისი ინტელექტუალიზაციის მიმართულებით და ა.შ.

მანქანათმშენებლობას საკვანძო როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობის ტექნიკურ განახლებაში. მთლიანად მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონიკა, რადიოტექნიკა, ერთი მხრივ უნდა იძლეოდნენ მოქნილი ავტომატიზირებული წარმოებების, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების, გამოთვლითი ტექნიკის, ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემების გამოყენების მაგალითს, მეორე მხრივ კი გამარეგოლუციონერებელ ზემოქმედებას ახდენდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე.

მტპ-ის კატალიზატორია მიკროელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმატიკის მთელი ინდუსტრია. ისინი მოითხოვენ დაჩქარებულ განვითარებას. ბევრი რამ დამოკიდებულია არა მარტო გამომთვლელი მანქანების გამოშვების ზრდაზე, არამედ სახალხო მეურნეობაში, მათს უნარიან გამოყენებაზეც.

საერთაშორისო ბაზარზე ინტელექტუალური პოტენციალი ყველაზე ძვირად ფასობს, საქართველოს არც ნავთობი აქვს და არც გაზი. ჩვენი განძია ინტელექტუალური პოტენციალი და მისი გაუფასურება-დევალვაცია დანაშაულია. სახელმწიფოში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკანონმდებლო რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის პარლამენტის მიერ. საქართველოს დღევანდელ პარლამენტში მტპ განიცდის საკანონმდებლო ვაკუუმს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას მე-20 საუკუნის დასასრულის ისტორიის მემკვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში მიუტევებელ შეცდომას დაუფიქსირებს. ის ერთადერთი კანონი, რომელიც საქართველოს დღევანდელმა პარლამენტმა მიიღო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების თაობაზე გარდამავალ პერიოდში ფორმალურ ხასიათს ატარებს.

საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ღონისძიებებით უნდა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი კურსი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებული უნდა იქნას მტკ-ის დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. მტკ-ის მართვა საქართველოს სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის გადამწყვეტი პრობლემა უნდა გახდეს.

უნდა არსებობდეს სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის კანონი, რომელშიც მოცემული იქნება პრიორიტეტები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის. მტკ-ს სჭირდება საკონსტიტუციო უზრუნველყოფა. მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფა კომპლექსურია. შესაბამის სახელმწიფო დოკუმენტებს და ნორმატიულ აქტებს უნდა წარმოადგენდნენ ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისი სტატიები, ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები და სხვა.

ახალი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების პროცესში საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ამოცანების შესახებ 1995 წლის 28 იანვარს საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებების კავშირის გამგეობის პლენუმის რეზოლუციაში ისტორიული სამართლიანობითაა აღნიშნული: „მტკ ჩრდილშია მოქცეული. ჩვენი ძირითადი ამოცანაა აქტიურად ჩავერიოთ მტკ-ის მართვის დემოკრატიზაციისა და მისი ნორმატიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის საქმეში. მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დამკვიდრების მიზნით შესაქმნელია სახელმწიფო კანონების სერია.“

მსოფლიო ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ თანამედროვე ცივილიზაცია მიღწეულია ძირითადად მტკ-ის წყალობით. სწორედ მტკ-ის ყოვლის შემძლე ძალებმა გამოიყვანეს მთელი რიგი ქვეყნები იმ კრიზისიდან, რომლის ანალოგი ჩვენთან საქართველოში შექმნილი მდგომარეობაა. ღირსეულად შევასრულოთ ის მისია, რაც სამეცნიერო და ტექნიკურ ინტელიგენციას აკისრია ქვეყნის გადარჩენის საქმეში“.

**საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესის დაჩქარებულ განვითარებას ესაჭიროება
იურიდიული უზრუნველყოფა**

გივი იოსების ძე იასეშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ღონისძიებებით უნდა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი კურსი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებული უნდა იქნას მტკ-ის დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. მტკ-ის მართვა საქართველოს სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის გადამწყვეტი პრობლემა უნდა გახდეს. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის კანონი, რომელშიც მოცემული იქნება პრიორიტეტები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარება ეკონომიკის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს, ხოლო აღნიშნულ საკითხს ათმაგად აქტუალურს ხდის საქართველოს კარგი საერთაშორისო გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი როგორც ევროპისა და აზიის ქვეყნების სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნად ფუნქციონირება, ტვირთნაკადებისა და მგზავრთნაკადების მაქსიმალური ათვისებით ტრანსპორტის მართვის ურთიერთმოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების პირობებში.

საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკანონმდებლო რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის პარლამენტის მიერ საქართველოს დღევანდელ პარლამენტში. მტკ განიცდის საკანონმდებლო ვაკუუმს. ის ერთადერთი კანონი, რომელიც მიიღო ამჟამად უკვე გადარჩეულმა პარლამენტმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების

შესახებ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას მე-20 საუკუნის დასასრულს ისტორიის მემატრიანე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში მიუტევებელ შეცდომას დაუფიქსირებს.

საქართველოს მტკ-ის სამართლებრივი-საკანონმდებლო უზრუნველყოფა – ესაა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფოს მიერ სანქცირებული და დაცული დამოკიდებულებებისა და ნორმების სისტემა. მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფა კომპლექსურია, რადგან შეიცავს ნორმებს, რომელიც ეხება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, შრომით და სხვა სამართალს. მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საგამომცემლო და საპატენტო სამართალი.

მტკ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის სახელმწიფო დოკუმენტებს და ნორმატიულ აქტებს წარმოადგენენ ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისი სტატიები, ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები. კანონები გამოგონებებზე, აღმოჩენებზე, რაციონალიზატორულ წინადადებებზე და სამრეწველო ნიმუშებზე. რაც სამწუხაროდ არ გაგვაჩნია.

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის პირობებში აუცილებელია მსოფლიოს საგამომგონებლო პროცესში თანაბარუფლებიანი მონაწილეობა. ასეთი მიდგომა გულისხმობს ახალი კანონების კონის შემუშავებას, რომელიც დაარეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების საკითხებს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ეს გულისხმობს ექსპერტიზას და რეგისტრაციას გამოგონებისა, დამცველი საბუთების გადაცემას – საავტორო მონუმენტებს და პატენტებს ჩვენთან საქართველოში, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის დამოუკიდებელ წევრობას. ასეთი სამუშაოს წარმართვა შესაძლებელია თანამედროვე პროფესიონალებით – სპეციალისტებით, მაღალი მოქალაქეობრივი მორალით, პასუხისმგებლობით, რომელთაც ექნებათ ცოდნის კონკრეტულ სფეროში მუშაობის მდიდარი გამოცდილება და იურიდიული მომზადების საჭირო დონე.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური და-

მოუკიდებლობის საერთაშორისო სპექტრში ეფექტური განმტკიცების მიზნით სახელმწიფო, სამხედრო, ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების საიდუმლო ინფორმაციის დაცვას ესაჭიროება საკონსტიტუციო კანონების ურთიერთდაკავშირებული კონა, რომლის ბაზაზეც შემდგომ იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის დაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. ამ სისტემამ საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უნდა შესძლოს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი სამეცნიერო-ტექნიკური თვალსაზრისით განვითარებულ – მონინავე სახელმწიფოებთან საქმიანი ურთიერთობა.

საქართველოში ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო სისტემის არ არსებობა დიდ დამამუხრუჭებელ ზემოქმედებას ახდენს საზღვარგარეთის და განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების პროცესზე.

საქართველოში მტკპ-ის დაჩქარებული განვითარების იურიდიული უზრუნველყოფა – მისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა უდავოდ დიდი პროგრესული ნაბიჯი გახდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საკანონმდებლო ფონდის შექმნისა და შემდგომი განვითარების ისტორიულად აუცილებელ და სოციალურად მეტად აქტუალურ, მძიმე, მაგრამ უაღრესად კეთილშობილურ პროცესში, რადგან ყოველივე ზემოთ თქმული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარანტია.

საქართველოში მტკპ-ის დაჩქარებული განვითარების აუცილებელი ღონისძიებებია: საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი დამოუკიდებლად მოქმედი ბანკების გაერთიანება ერთ სისტემაში, ქვეყნის ფინანსური სიმძლავრის კონცენტრაცია მტკპ-ს მთავარ მიმართულებებზე, საქართველოს ინფორმაციის დაცვის სახელმწიფო სისტემის შექმნა, მეცნიერების დაჩქარებული განვითარება, ფუნდამენტური მეცნიერების, როგორც ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის, პრიორიტეტის დამკვიდრება, განათლების სისტემის რეორგანიზაცია მტკპ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, მეცნიერებათმცოდნეობის, როგორც ახალი მეცნიერული იდეების დამნერგავი დარგის განვითარება, საპატენტო კვლევის გაუმჯობესება, გამომგონებლობის მთელი სიმძლავრით განვითარება-გამოყენება; საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახე-

ლობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება – „ცოდნის“ ფუნქციონირების მეთოდის გარდაქმნა აშშ-ში და სხვა განვითარებულ სახელმწიფოებში მოქმედი „ექსტეშენ სერვისის“ პრინციპზე, შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში აქტიურად მონაწილეობა, შრომის კულტურის ამაღლება.

ყოველივე ეს საკანონმდებლო-სამთავრობო დონეზე უნდა იყოს ერთ მთლიან სახელმწიფო სისტემაში მოყვანილი. სახელმწიფომ და ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს მძლავრი წამყვანი მაკორდინებელი როლი.

**საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემია მოქმედებაშია**

ნონა ცაბაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის დიდ აუდიტორიაში საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი მიიწვიეს, რომლის ხელმძღვანელიც გივი იოსების ძე იასეშვილია, სადაც ასევე მონაწილეობა მიიღეს ფიზიკის მეცნიერებმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ღონისძიებას წინ უსწრებდა 20 ივლისს ჩატარებული საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის საზოგადოებრივი პრეზენტაცია, რომელზედაც გივი იასეშვილმა წარმოადგინა საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის პირველი საანგარიშო მოხსენება და მომავალი ამოცანები.

ქართული სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო მეცნიერების შენარჩუნებას და შემდეგ განვითარებას, როგორც ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ჩართვა ქვეყნის საერთო სამეცნიერო სივრცეში და მეცნიერული ცოდნის ერთიანი სისტემაში განაცხადა გივი იასეშვილმა.

მისივე განცხადებით, ეკონომიკური განვითარება სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ბაზაზე ხელს უწყობს თავდაცვითი საკმარისობის პრინციპის რეალიზაციას, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს უპირველესად პოლიტიკური დოკუმენტიდან – ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან, შემდეგ სახელმწიფო სამხედრო დოქტრინიდან და ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინიდან, რომლებიც დამუშავებული უნდა იყოს 21-ე ინფორმაციული საუკუნის მოსალოდნელი არატრადიციული ომების პროგნოზირებადი მახასია-

თებლების გათვალისწინებით. ყოველივე ეს კი სამხედრო ხელოვნებისათვის ქმნის აუცილებელ წინაპირობებს მოწინააღმდეგის შესაძლო აგრესიის მოგერიების ამოცანების გადწყვეტის ეფექტური ხერხების გამოსამუშავებლად, სამხედრო ხელოვნების განვითარება მისი ყოველმხრივი უზრუნველყოფა კი თავის სასიკეთო გავლენას მოახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. ბატონი გივის განცხადებით, აკადემიის დაარსების აუცილებლობის იდეა მომწიფდა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. სადღეისო გადასახედიდან აკადემიის არსებობის მუშაობის შედეგები კონცენტრირებულია 1999-2001 წლებში შესრულებულ 5 ნახევარწლიან სამეცნიერო-საანგარიშო მოხსენებებში, რომლებიც განხილულია და დადებითადაა შეფასებული სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების სხდომებზე, თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრების, გენერალური შტაბის უფროსის და მათი მოადგილეების მიერ. იქვე ისიც აღნიშნა, რომ აკადემიის დაარსებას მხარი დაუჭირა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა. აკადემია დაარსდა საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებიდან ჯარებისა და ძალების მართვის ათკაციანი მიმართულების გამოყოფით. ითქვა ისიც, რომ ამ ეტაპზე აკადემია წარმოადგენს ჯარებისა და ძალების მართვაზე სპეციალიზებულ სამეცნიერო აკადემიას, რომლის თეორიული მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე. აკადემიის კონცეფცია ამავე დროს ითვალისწინებს სამხედრო მეცნიერების მცოდნეობის განვითარებას, რომლის ხელმძღვანელობა, მოწინავე საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური გამოცდილების გათვალისწინებით, წარმოადგენს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პრეროგატივას თავდაცვის მინისტრთან და ქვეყნის პრეზიდენტთან – სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალთან ერთად.

გივი იასეშვილის თქმით, მან 1996-2000 წლებში მონაწილეობა მიიღო პოლკოვნიკ გივი ლეფონავასთან ერთად გენერალური შტაბის რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი მუშაობის განყოფილების დებულების პროექტის დაწერაში. თავდაცვის სამინისტროს სამეცნიერო და ტექნიკური საბჭოს დაარსებასა და მისი დებულების მომზადებაში.

დაგროვილი გამოცდილებისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მომნიშვნელო აუცილებლობა საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების ჯარების და ძალების მართვის მიმართულების ბაზაზე საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების მიზანშეწონილობასა და მისი სამუშაო დებულება-ნესდების ფორმირების ისტორიულ დანიშნულებაზე. სამხედრო მეცნიერების აკადემიამ, როგორც საზოგადოებრივმა ორგანომ, უნდა იმუშაოს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

სამხედრო მეცნიერების განვითარებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის თეორია,

მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების თეორია,

სამხედრო მეცნიერების მართვის თეორია,

სამხედრო ფსიქოლოგია,

არატრადიციული ომების თეორია და ასე შემდეგ.

ჩამოთვლილი მიმართულებები რაოდენობრივად და შინაარსობრივად სცილდება სამხედრო მეცნიერების მკაცრ ჩარჩოს, რაც სასიკეთოდ წაადგება საქართველოს ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ისტორიულ პროცესს. საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარებამ უნდა მიიღოს სახელმწიფო პროგრამის ფორმა, რომელსაც უპირველესად ესაჭიროება თავისი საკუთარი საკანონმდებლო ბაზა, ხოლო სამხედრო მეცნიერების აკადემია უნდა გახდეს მისი პრაქტიკული ხორცშესხმის მძლავრი საზოგადოებრივი საფუძველი. მომავალში კაცობრიობისათვის ბევრის მთქმელ მიმდინარე 21-ე საუკუნეს საქართველო შეხვდა საკუთარი სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებით, – განაცხადა გივი იასეშვილმა.

სამხედრო მეცნიერებათა აკადემია

გივი იოსების ძე იასეშვილი,

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის
დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თადარიგის კაპიტანი.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების გამოყოფით მიმდინარე წლის იანვარში დაარსდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია – საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც საფუძვლად დაედო საინიციატივო ჯგუფის მიერ დამუშავებული პირველი ნორმატიული აქტი – საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების კონცეფცია-წესდება.

აკადემიის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგიით, რომელიც ჩამოაყალიბა და მეცნიერულად დაასაბუთა სამხედრო მეცნიერებისა და ექსპერტების ავტორიტეტულმა ჯგუფმა. სამომავლო ამოცანები დაფიქსირებულია 1999-2001 წლებში შესრულებულ და წარდგენილ საანგარიშო მოხსენებებში, რომლებიც განხილულია და დადებითადაა შეფასებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრსა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებაში.

საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს ჯარებისა და ძალების მართვაზე სპეციალიზებულ სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის თეორიული მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარე-

ბისა და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე, კონცეფცია-წესდება ითვალისწინებს სამხედრო მეცნიერების მცოდნეობის განვითარებას, რომლის ხელმძღვანელობა შტაბის უფროსის პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრთან და ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად.

საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის მიზანი და დანიშნულებაა საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარება, რომლის ძირითად ბირთვს წარმოადგენს სამხედრო ხელოვნება.

შეიარაღებული ბრძოლა წარმოადგენს ომის ძირითად ფორმას, მისი სპეციფიკური შინაარსი მდგომარეობს შეიარაღებული ძალების ორგანიზებულ გამოყენებაში განსაზღვრული პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად.

თუ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე მხარეებზე გამარჯვების მოპოვების სანინდარი იყო ხმელეთზე საცეცხლე უპირატესობის მოპოვება, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაემატა ჰაერში უპირატესობის მოპოვებაც, სადღეისოდ კი მესამე პირობის შესრულებაც გახდა აუცილებელი – მონაწილე მხარეებზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება.

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება და გამარჯვებით დამთავრება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით, რომლის ფორმებია ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლები.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, სახელმწიფო დოქტრინა თავდაცვითია და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მზრუნველობის ქვაკუთხედი უნდა გახდეს ქვეყნის საინფორმაციო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური, ინტელექტუალური სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.

სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის წინაშე რიგი მეცნიერული პრობლემები დგას, რომელთა ირგვლივ მოგვიწევს მუშაობა; ინფორმა-

ციული ომის და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტოლოგია და სამხედრო ფსიქოლოგია, სამხედრო ეკონომიკა და არმიის რეფორმირება, სამხედრო გეოგრაფია და სამხედრო ურთიერთობები, ჯარებისა და ძალების მართვის მობილურობა, არმიის სამთო მომზადების თავისებურებანი და სხვა საკითხები.

ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებში მიღწეული შედეგები გამოქვეყნებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიულ ჟურნალებში „სამხედრო აზრში“, „სტრატეგიულ კვლევებში“ და „არმიასა და საზოგადოებაში“. ამასთან, გამოიცა მონოგრაფია სამხედრო ფსიქოლოგიასა და ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნებაში.

როდესაც სამხედრო მეცნიერებათა აკადემიას ვაარსებდით, მიზნად იმასაც ვისახავდით, რომ ჩვენს ერს აქვს უდიდესი ისტორიული ტრადიცია შრომის ორგანიზაციისა და სამხედრო მშენებლობის საქმეში. სამხედრო ხელოვნების ეროვნული მოდელი არ უნდა დაიკარგოს და ის თაობიდან თაობას ესტაფეტად უნდა გადაეცეს.

სამხედრო მეცნიერების აკადემია ერთი წლისაა

21-ე საუკუნეს დამოუკიდებელი საქართველო და მისი შეიარაღებული ძალები საკუთარი სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებით შეხვდა, რომლის დაფუძნების იდეაც მომზადდა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. აკადემიის თეორიული მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა შეიარაღებული ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციაზე და მეთოდებზე.

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით, რომლის ფორმებია ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლები. ბრძოლის ამ მეთოდებზე იქნება ორიენტირებული ეს აკადემიაც.

**ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება –
ახალი აკადემიის სტრატეგია**

ნინო კაპანაძე

ჩვენი რესპოდენტი გივი იოსების ძე იასეშვილი სამხედრო-ტექნიკური დარგის მეცნიერია. იგი ინტენსიურად მუშაობს შრომის ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების თანამედროვე, ეროვნული მოდელის კონცეფციაზე, არის საინჟინრო აკადემიის წევრი. გივი იასეშვილთან საუბარი ამჟამად სამხედრო მეცნიერების აკადემიას ეხება, რომლის პრეზიდენტის მოვალეობასაც იგი ასრულებს.

– ბატონო გივი, რამ განაპირობა სამხედრო მეცნიერების აკადემიის შექმნა?

– ცნობილი ქართველი მეცნიერი ირაკლი ჯორჯაძე წერს, რომ ქართველებს მუდამ გააჩნდათ შრომის ორგანიზაციის და სამხედრო ხელოვნების ეროვნული მოდელი, ეს თაობადინ თაობას გადაეცემოდა. აკადემიის დაარსების იდეა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში მომწიფდა.

– როგორ შინაარსს ატარებს XXI საუკუნეში ეს ტრადიციული მოდელი?

– ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერების მცოდნეობის სწრაფი განვითარება სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძვლად უნდა იქცეს. ეს განაპირობებს ეკონომიკის განვითარებას თანამედროვე დონეზე და საქართველოს არმიას გახდის თავდაცვისუნარიანს – ბრძოლისუნარიანს. მისი მართვა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

დღეს სამხედრო მეცნიერების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ფორმებისა და წესების დამუშავება. დღევანდელ სამხედრო კონფლიქტებში ინფორმაციული ბრძოლის

პრობლემა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. მისი გადაწყვეტა უაღრესად მეცნიერებატევად პროცესს წარმოადგენს. ამ მიმართულებით საჭიროა, ჩამოყალიბდეს ხანგრძლივი და კომპლექსური პროგრამა.

– ამ პროცესებში თქვენი აკადემია რა მონაწილეობას იღებს?

– აკადემიის საქმიანობა განისაზღვრა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული კონცეფცია-წესებით. აკადემია ჯარებისა და ძალების მართვაზე სპეციალიზებული სამეცნიერო ორგანოა. მისი თეორიული მუშაობის ძირითადი საგანი არის ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზებაზე. დღეს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მართვის სისტემების განვითარებას, როგორც სწრაფ და ეკონომიკურ გზას ჯარებისა და ძალების საბრძოლო პოტენციალის ამაღლებისკენ. ჩვენი მუშაობის პრიორიტეტიც ეს არის.

უახლოეს მომავალში საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა 12-13 ათასი კაცი იქნება. მისი სტრუქტურა სამი სახმელეთო ბრიგადითა და ორი საჰაერო ესკადრილით განისაზღვრება. ასე რომ, ქვეყნის მწირი ბიუჯეტის პირობებში, აკადემიის პერსპექტიული გეგმა სრულ შესაბამისობაშია ქართული არმიის მომავალთან.

– ბატონო გივი, როგორია სამხედრო მეცნიერების აკადემიის მუშაობის სტრატეგია?

– პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, შეიარაღებული და ინფორმაციული ბრძოლების ფონზე აკადემიის 60-კაციანი კოლექტივის სტრატეგიულ კურსში განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა: ინფორმაციულმა იარაღმა და ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგიამ, რომელიც ორ – სახელმწიფო და სამხედრო დონეზე – ხორციელდება. სამხედრო ხელოვნებას განსაზღვრავს საბრძოლო იარაღი; ინფორმაციული იარაღი გულისხმობს სპეციალურად შერჩეული საშუალებების გამოყენებას, მათი საშუალებით მიმდინარეობს პროცესების ცვლილება ინფორმაციულ და სოციალურ სისტემებში. ეს იარაღი გამოიყენება ინფორმაციული ზემოქმედების მოსახდენად, რაც შეიძლება იყოს ინფორმაციულ-ტექნიკური ან ფსიქოლოგიური. ასევე, მნიშვნელოვანია, სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლა, რომელიც

იყოფა პირველ და მეორე თაობად. მეორე თაობის მიდგომების განვითარება და სრულყოფა მიგვიყვანს სამხედრო ძალების გამოყენების მთლიან უარყოფამდე.

– თქვენი აზრით, აკადემიის სამუშაო თემატიკიდან რომელია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აქტივობის მატარებელი?

– შევჩერდები მხოლოდ ერთზე – გადამწყვეტზე: ჩვენი მუშაობის ერთგვარი გამოცდა გახდება მომავალი არატრადიციული ომების პროგნოზირებადი მახასიათებლების გათვალისწინებით, საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინის შექმნა (ინფორმაციული უსაფრთხოება გულისხმობს ინფორმაციულ სფეროში პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას შინაგანი და გარეგანი საფრთხეებისგან).

– ბატონო გივი, ყოველივე ზემოთ ნათქვამის რეალიზება მთლიანად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

– ჭეშმარიტად, ეკონომიკური განვითარება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ხელს უწყობს თავდაცვითი საკმარისობის პრინციპის რეალიზაციას. თავის მხრივ, სამხედრო ხელოვნების განვითარება სასიკეთო გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სამხედრო აღმშენებლობისთვის მნიშვნელოვანია სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის ჩამოყალიბება. საერთოდაც, საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია, მომავლის აკადემიაა და საქართველოს კონსტიტუციასთან ანალოგიებს ბადებს: ორივეს მთელი სიმძლავრით ამოქმედებას სჭირდება თავდადებული შრომა და საყოველთაო ძალისხმევა.

სამხედრო მეცნიერების აკადემია დამკვიდრდა

გივი იოსების ძე იასეშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თადარიგის კაპიტანი, მუშაობს სამხედრო მეცნიერების განვითარებაზე. უშუალო მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიული ჟურნალის „სამხედრო აზრის“ დაარსებაში და სწავლულთა საბჭოს შექმნაში, რომლის წევრიც თვითონ არის. ინტენსიურად მუშაობს შრომის ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების თანამედროვე ეროვნული მოდელის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. არჩეულია საინჟინრო აკადემიის წევრად და ხელმძღვანელობს ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულებას. ნიადაგი მოუმზადა სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებას. ამჟამად ასრულებს საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობას.

გთავაზობთ ინტერვიუს **გივი იასეშვილთან:**

ბატონო გივი, საიდან იღებს სათავეს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების აუცილებლობა?

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში, სადაც მე ვმსახურობდი 1996-2000 წლებში. აკადემიის დაარსებას წინ უსწრებდა მთელი რიგი ორგანიზაციულ-მეცნიერული ღონისძიებები: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მეცნიერების და ტექნიკის სამეცნიერო საბჭოს შექმნა, სწავლულთა საბჭოს ჩამოყალიბება, სამხედრო-თეორიული ჟურნალის „სამხედრო აზრის“ დაარსება და მისი რამოდენიმე ნომერის გამოცემა. ამ ჟურნალის პირველ ნომერს საქართველოს პრეზიდენტმა – სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ე. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა. აკადემია დაარსდა 2001 წლის იანვარში კომპლექსურ არგუმენტებზე დაფუძნებული მიზანშეწონილობით. აკადემიის მიზანია საქართველოში სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება, ე.ი. როგორ უნდა ვიომოთ, თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ.

ვინ მიიღო აქტიური მონაწილეობა აკადემიის დაფუძნებაში?

შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ პროფესორები: გულაბერ ანანიაშვილი და კახა კაციტაძე, პოლკოვნიკი ზურაბ შენგელია, დოცენტები მაია ჭიაბრიშვილი და დედუ დოხნაძე, ფსიქოლოგი თამარ ბაკურაძე, დამოუკიდებელი ექსპერტი დავით დარჩიაშვილი და მაიორი ნუკრი მოსეშვილი. საინიციატივო ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. იუსტიციის სამინისტროში აკადემიის რეგისტრაცია მიმდინარეობს, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი.

რა იგულისხმება თქვენს წარმატებებში?

აკადემიამ არსებობის ერთი წლის მანძილზე წარმატებით გაიარა საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და პრეზენტაციის პროცესი, სამჯერ წარადგინა სამეცნიერო ანგარიში, მეცნიერულად დაასაბუთა აკადემიის მუშაობის სტრატეგიული კურსი – ჯარებისა და ძალების მართვა სამხედრო მეცნიერებისმცოდნეობის განვითარება – ახალი მეცნიერული მიღწევების დანერგვა. ნიადაგი მოუმზადა მომავალში ახალი მიმართულებების გახსნას: პოლიტოლოგიის, სამხედრო ხელოვნების, ფსიქოლოგიის, სამხედრო, გეოგრაფიისა და სხვა.

დღეს საქართველოში მეცნიერება გადარჩენას საჭიროებს და თქვენ რისი იმედი გაქვთ?

სამშობლოს სიყვარულისა და პირადი ერთუზიაზმის. დავწერეთ მონოგრაფიები: „ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციაზე და მეთოდებზე“, „სამხედრო ფსიქოლოგია“, „პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი“, „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“. გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო ნაშრომების კრებული, დიდ აუდიტორიებში ვხვდებით სამხედრო მოსამსახურეებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგულარულად ვატარებთ საქალაქო სემინარებს – ბოლო სემინარი ჩატარდა თემაზე „ნატოს სტანდარტები: მითი თუ რეალობა“, გამოვდივართ ტელევიზიით და ინტერვიუებს ვაქვეყნებთ პრესაში და სხვა.

როგორი შედეგია მოსალოდნელი მიმდინარე წელს აკადემიის მუშაობაში?

აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის პირველი კვარტალის შედეგები გვარწმუნებს, რომ მიმდინარე წელი უფრო ბევრის მთქმელი იქნება. მომავალი წლის დასაწყისში ვაპირებთ აკადემიის წევრთა საანგარიშო-საარჩევნო კრების ჩატარებას, რასაც უაღრესად დიდი და სერიოზული მომზადება სჭირდება. აკადემია სადღეისოდ აერთიანებს 60-მდე წევრს და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე მოწვეულები არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსები ივერ ფრანგიშვილი, გოჩა ჩოგოვაძე, გურამ ხარატიშვილი, მინდია სალუქვაძე, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ოთარ კვეციანიძე, შოთა ნადირაშვილი, ნუგზარ წერეთელი; პროფესორები გოგი გოგიჩაიშვილი, ზაურ ციხელაშვილი, ნოდარ ნათაძე და სხვები. მართალია სამხედრო მეცნიერების კანდიდატებისა და დოქტორების დიდი დეფიციტია, მაგრამ მართვაში გვყავს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სამოქალაქო მეცნიერები. მართვის ზოგადი თეორიული მოდელი ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში პოულობს გამოყენებას. ჩვენს გვერდით არიან აგრეთვე გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი და პროფესორი გივი ლეკიშვილი.

მიმდინარე მეცნიერული მუშაობით რა დახმარების განევა შეუძლია აკადემიას საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის?

ქართული არმია მცირერიცხოვანი და ფინანსურად შეზღუდულია. ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მართვის ხარისხის ამაღლებას. ინფორმაციული 21-ე საუკუნე ხელოვნური ინტელექტისა და ექსპერტული სისტემების ეპოქაა. სარდალს დავებმარებით გადაწყვეტილების მიღებასა და მისი შესრულების უზრუნველყოფაში მშვიდობიან, გარდამავალ და საომარ ვითარებაში. ბრძოლებში ნაცადი ნაპოლეონი ასე ბრძანებდა: ლომისთავიანი ცხვრის ფარა გაცილებით ძლიერია, ვიდრე ცხვრისთავიანი ლომების ჯოგო.

თქვენი პირადი მეცნიერული მუშაობის გეგმა მიმდინარე წელს?

მისასალმებელია საქართველოს დღევანდელი სამხედრო-პოლიტი-

კური ხელმძღვანელობის სურვილი ნატოს სტანდარტებამდე ამაღლების მიზნით. მაგრამ ნულოვანი მდგომარეობიდან, ეკონომიკური და სამხედრო გაგებით, უმაღლეს დონეზე ახტომას სჭირდება რალაც შუალედური დონის გავლა. მიმდინარე წელს რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვითი კომიტეტის თავმჯდომარემ არმიის გენერალმა ანდრეი ნიკოლაევმა წარადგინა სამხედრო რეფორმის ახალი მოდიფიცირებული ვარიანტი. მე ამ ნორმატიულ დოკუმენტებზე ვმუშაობ და მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დავასრულებ მათ მეცნიერულ სინთეზს, რომელსაც შესაძლებელია, გაითვალისწინებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

რამ განაპირობა თქვენი ლიდერობა სამხედრო მეცნიერებასა და ხელოვნებაში?

ისტორიულმა კანონზომიერებამ და მეცნიერულმა ჭეშმარიტებამ. მე საინსტიტუტო და საასპირანტო განათლებით მართვის სპეციალისტი ვარ. დავწერე მონოგრაფია „ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციაზე და მეთოდებზე“. ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მართვა – ესენია ახალი საუკუნის მახასიათებლები.

ესაუბრა გიორგი ჭელიძე

სამხედრო მეცნიერებათა აკადემია – სწორება ნატოზე!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი დღის მანძილზე იხილებოდა საკითხი „საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის ოთხი წლის შედეგები და 2003 წლის ამოცანები: მოხსენებით გამოვიდა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გივი იოსების ძე იასეშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა – ოთარ ლურსმანაშვილმა, გულაბერ ანანიაშვილმა, ბიჭიკო ცინცაძემ, პოლკოვნიკმა სოსო ბარნაბიშვილმა, სამხედრო ექსპერტმა ირაკლი ხართიშვილმა, ფსიქოლოგმა თამარ ბაკურაძემ და სხვებმა.

გთავაზობთ ინტერვიუს **გივი იასეშვილთან:**

– როგორ განსაზღვრავთ აკადემიის მიზანსა და ამოცანას?

– იგი აისახება ჩვენს მიერ მიღწეულ მეცნიერულ შედეგებში, რომლებიც ფაქტიურად ორ წელს მოიცავს, რადგან წინა პერიოდი მოხმარდა საკმაოდ რთული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. შედეგები გამჭირვალეა და მას ყველა მსურველი შეიძლება გაეცნოს. სამხედრო მეცნიერება მხოლოდ კოლექტიური შრომის შედეგი შეიძლება იყოს, სამეცნიერო ანგარიში რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში და იურიდიული მუხლების დაცვით იგი წარედგინება თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენშტაბს.

– როგორია აკადემიის მუშაობის სტრატეგიული კურსი?

– მსოფლიოში აღიარებული წესით, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ქვევიდან ზევით მიმდინარეობს, ეყრდნობა ქვეყნის კონსტიტუციას და მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტებს, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და სამხედრო დოქტრინა, რომელსაც საბოლოო ჯამში პარლამენტი ამტკიცებს მომავალი არატრადიციული ომების პროგნოზირებადი მახასიათებლების გათვალისწინებით. თანამედროვე პირობებში სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ამოცანას

წარმოადგენს ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ფორმებისა და წესების დამუშავება. დრომ მოითხოვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების შექმნა, როგორებიცაა: ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია, დოქტრინა და ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია.

– რით ხელმძღვანელობთ მუშაობაში?

– ვითვალისწინებთ დღევანდელ რეალობას: ტრადიციულმა ომებმა, საბრძოლო ოპერაციებმა ხმელეთიდან, წყლიდან და ჰაერიდან საინფორმაციო სფეროში გადმოინაცვლა. საბრძოლო მოქმედების თეატრი ორ ნაწილად გაიყო – ტრადიციულ და კიბერნეტიკულ სივრცედ. ახლა მთავარია მოწინააღმდეგეს ხელი შეუშალო ინფორმაციის შეგროვებაში, დამუშავებასა და გადაცემაში. შენი კი დაიცვა ხელყოფისაგან.

– როგორ იარაღს ეყრდნობა თანამედროვე ომი?

– არსენალი ძალზე მდიდარია: ინფორმაციული, ბირთვული, მაღალი სიზუსტის, ქიმიური, ბიოლოგიური, ეკოლოგიური და ასე შემდეგ. მიზანი – ცოცხალი არსებისა და მატერიალური ფასეულობის განადგურება. დასახელებულთა შორის ყველაზე იაფი მაინც ინფორმაციული იარაღია. დანარჩენის წარმოება ხელენიფებათ მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებს.

– როგორ განსაზღვრავთ აკადემიის უახლოეს ამოცანას?

– ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფ – ჯარებისა და ძალების მართვას და სამხედრო მეცნიერებამცოდნეობის მთლიანად ამოქმედებას. სამხედრო მეცნიერება ისეთი ამაგდარი მეცნიერების ხელშია, როგორებიცაა: ივერ ფრანგიშვილი, ოთარ კვეციტაძე, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, გივი ბარკალაია, გოგი თავაძე, სოსო ბარნაბიშვილი და სხვები. ინფორმაციული ომი განიხილება, როგორც ქვეყნის სამხედრო დოქტრინის განუყოფელი ნაწილი და მისი განვითარებისათვის ყოველწლიურად მსოფლიოში 120 მილიარდი დოლარი იხარჯება.

– სამხედრო მეცნიერებათა აკადემიაში რა პრობლემები მუშავდება ნატოს სტანდარტების დონეზე?

– გაგაცნობთ რამოდენიმე მათგანს: ხელოვნური ინტელექტი და ექსპერტული სისტემები, კომპიუტერულ მეცნიერებათა ფუნდამენტური და გამოყენებითი პრობლემები. ადამიანისეული პროცედურული თვი-

სებები უახლოვდება და გამოიყენება ინტელექტუალური სისტემების სფეროში.

– აკადემიის მუშაობის კონკრეტულ შედეგზე რას იტყვით?

– დავასახელებ ქართულ-ამერიკულ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამას, რომელიც გლობალური ხასიათისაა. მარტივად ვიტყვი, ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციების მოსამზადებლად და ჩასატარებლად სულაც არაა საჭირო სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების უახლეს მიღწევათა გამოყენება. ცნობისათვის, ჩვენი აკადემიის ორი დამაარსებელი მაიორი მაია ჭიაბრიშვილი და დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტი დავით დარჩიაშვილი ერთნაირი სამეცნიერო მივლინებით აშშ-ში იმყოფებიან. როცა ისინი დაგვიბრუნდებიან, მაშინ უფრო დაჩქარებით გადავალთ ნატოს სტანდარტებზე. მისასაღმებელია პროფესორ კახა კაციტაძის პოლიტოლოგიაში და დოცენტ დუდუ დოხანაძის მოღვაწეობა სამხედრო გეოგრაფიაში. გასულ წელს პირველად სამხედრო აკადემიის ერთი ნაშრომი წარვადგინეთ საერთაშორისო პრემიაზე.

ესაუბრა ქრისტო გოგიჩაშვილი

გივი იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი

ინფორმაციული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედი

21-ე საუკუნის სამხედრო კონფლიქტებში ინფორმაციული ბრძოლის პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი გადასაჭრელი საკითხია. ტრადიციულებისგან განსხვავებით, აუცილებელი გახდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახალი ნორმატიული აქტების ინფორმაციული უსაფრთხოების (იუ) კონცეფციის, დოქტრინისა და ომის წარმოების ტექნოლოგიის შექმნა. თავდაცვისუნარიანობის სფეროში საქართველოს დღევანდელი სტრატეგია იუ-ს მთავარ მოდელზე უნდა აიგოს.

იუ ინფორმაციულ სფეროში ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობაა, რომელიც განისაზღვრება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაბალანსებული ინტერესების ერთობლიობით. მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაცია საინფორმაციო მოღვაწეობის სფეროში.

ქვეყნის სამხედრო მშენებლობის სტრატეგიული კურსის განმსაზღვრელი უნდა გახდეს ინფორმაციული იარაღი და ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია. სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის წარმოების მეორე თაობის მიდგომების მეცნიერული განვითარება და შემდგომი სრულყოფა პერსპექტივაში მიგვიყვანს სამხედრო ძალების გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვამდე, რადგან კოორდინირებული ინფორმაციული აქციები მოგვცემს დასახული მიზნის – მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მიღწევის შესაძლებლობას.

ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია, რომელიც მეექვსე წელია წარმატებით ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სამხედრო გლობალიზაცია

გივი იოსების ქე იასუჰვილი,
ტიქენიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
თადარიგის კაპიტანი.

როგორც გლობალიზაციის პრობლემაზე მომუშავე ვეტირანი მეცნიერი, მხარს ვუჭერ ბოლო ხანს ქართულ პრესაში (ბანსაკუთრებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“) გამომქვეყნებულ საორიენტაციო სტატიებს ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე და ჩემი უხედავებით განვმარტავ, რომ გლობალიზაცია ერთიანი მსოფლიოს (მსოფლიო წესრიგის) ჩამოყალიბების ბარდუვალე კომპლექსური პროცესია. მისი ამსახველი მეცნიერება სისტემურად სწავლოვს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. მოიცავს ეკონომიკას, პოლიტიკას, თავდაცვას და ა.შ. სამხედრო გლობალიზაციის საფუძველთა საფუძველია ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია. ხასიათდება მუდმივი პროგრესით, ჰომოგენიზაციით, უნივერსალიზაციით, ნაციონალური საზღვრების წაშლით, სწრაფი განვითარებითა და ადამიანის უფლებების დაცვით.

გადათარგმნილია ინგლისურ ენაზე

**ინფორმაციული ომის საუკუნე
სამხედრო მეცნიერების განვითარების
პერსპექტივები საქართველოში**

გივი იოსების ძე იასაშვილი,
თადარიგის კაპიტანი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი.

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ არაერთი წერილი მიუძღვნა ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეფორმის პრობლემებს.

ეჭვგარეშეა, შეიარაღებული ძალების მშენებლობა უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი ქართული საზოგადოების, დემოკრატიული, დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილი. კანონად უნდა მივიღოთ პოსტულატი, – არ შედგება ქართული სამხედრო განათლების სისტემა, მით უმეტეს, უმაღლესი განათლებისა, თუ ჩვენს ქვეყანაში არ განვითარდა თვითმყოფადი ქართული სამხედრო მეცნიერება. კარგია, ქალიან სასარგებლოა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა, თანამეგობრობის ქვეყნებთან ინტეგრაცია, მაგრამ მართმის იმედად ვერ ვიქნებით.

არც ის უნდა დაგვაპინწყდეს, რომ სამხედრო-სამართლებრივი სწავლება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

თავდაცვისუნარიანობის სფეროში ქვეყნის დღევანდელი სტრატეგია ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მოდელზე უნდა აიგოს, რადგან სამხედრო ძალებით ქვეყნის დაცვა ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთ გარანტს ვეღარ წარმოადგენს.

როგორც საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, თავს ვალდებული ვთვლი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს გულწრფელად გავაცნო საქართველოს სამხედრო მეცნიერების განვითარების პერსპექტივები.

სამხედრო მეცნიერების მეთოდოლოგია, – ეს არის ახალი ცოდნის მიღების, განვითარების და ფორმირების მწყობრი სისტემა, რომელიც ასახავს შეიარაღებული ძალების მომზადების, ევოლუციის პროცესს.

სამხედრო ხელოვნების თეორია კი წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ძირითად შემადგენელ ნაწილს. მისი ერთ-ერთი ამოცანაა შეიარაღებული ძალების მართვის ორგანიზაცია.

შეიარაღებული ბრძოლის დინამიკაში, შინაარსი და ამოცანები განაპირობებს სამხედრო ხელოვნების პრინციპების სიმრავლეს, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადია ჯარებისა და ძალების უწყვეტი მართვა.

მიზანშეწონილია, მართვის ფუნქციიდან გამომდინარე ერთი სპეციფიკური ფუნქცია – ინფორმაციული, რადგანაც მართვა, მუდმივი, ჯანსაღი ინფორმაციის გარეშე უაზრობაა. შემდეგი ამოცანაა მჟღავნდება სამხედრო-ტექნიკური სისტემების ავტომატიზაციით. მათ შორის, სამხედრო დანიშნულების დიდი სისტემებისაც.

ინფორმაციზაცია და ავტომატიზაცია წარმოადგენს სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის ყველაზე არსებით მახასიათებელს. სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის არსის ასეთი გაგება შესაძლებლობას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ სამხედრო დოქტრინის საფუძვლები, ძველის სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დებულებები.

აუცილებელია გვქონდეს ძველის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოსა და ხალხის ჯეროვან უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

* * *

სამხედრო მეცნიერება შეინახავს შეიარაღებული ბრძოლის კანონზომიერებას და ხასიათდება სივრცის, დროისა და

ინფორმაციის ერთობლიობით. პირველ მსოფლიო ომში მოწინააღმდეგეზე გამარჯვების საწინდარი ხელშეწყობა საცაცხლად უპირატესობის მოპოვება იყო. მეორე მსოფლიო ომში მას ჰაერში უპირატესობის მოპოვებაც დაემატა, ხოლო, სადღეისოდ, მოწინააღმდეგეზე საინფორმაციო ომში გამარჯვება გახდა პრიორიტეტული.

პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, შეიარაღებული ბრძოლებიდან ქალისმიერმა ოპერაციებმა საინფორმაციო სივრცეში გადმოდინაცვლა. გადაწყვეტი გახდა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნების დახვეწა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკური ინფორმაციის გარანტირებულ დაცვას.

სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მოწინააღმდეგეზე საბოლოო გამარჯვების მიღწევისთვის აუცილებელია მთავარი დარტყმის მიმართულების შერჩევა, გადაჯგუფების გასაიდუმლოება და მიზანსწრაფულობა.

საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკა თავდაცვითია და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების გზავნილების ძვაკუთხედი უნდა გახდეს ქვეყნის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ერთიანი, კომპლექსური სისტემის შექმნა და ფუნქციონირება.

თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საიდუმლო ინფორმაციის საიმედოდ შენახვას, რადგან მისი გაჟონვა ან კიდევ საზღვარგარეთის დაზვერვის მხრიდან ყალბი ინფორმაციის თავსმომხვევა, დიდ ფინანსურ და მატერიალურ ზარალთან, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტებასთან, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკნინებასთან არის გაიგივებული.

ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობა „ქვევიდან ზევით“ მიმდინარეობს და კონსტიტუციიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ემყარება. სამხედრო მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ფორმებისა და მეთოდების დახვეწა. XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში სამხედრო ოპერაციის გამართვის ლოგიკური დასაწყისი იქნება ინფორმაციული ბრძოლა და მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიუ-

რი ზენოლა. ბრძოლის პირველი ეტაპი ეს არის უპირატესობის მოპოვება სანიფორმაციო სფეროში, მეორე – უპირატესობის მოპოვება ჰეარში და კოსმოსში, მესამე – უპირატესობის მოპოვება ხმელეთზე (აუცილებლობის შემთხვევაში).

* * *

სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის შექმნის მიზნით, საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, წარმოადგენს ჯარებისა და ძალების მართვაზე სპეციალური ზეპულობით სამეცნიერო სკოლას. აკადემიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნების დახვეწა. აკადემიის წესდება, ამავე დროს, ითვალისწინებს სამხედრო მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დანერგვას. მგაბლითად, ჩემი მოკრძალებული გამოკვლევა „ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში“, გენშტაბის მიერ რეკომენდებულია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დანერგად.

აკადემიის წევრებმა დავნერეთ, აგრეთვე, მონაგრაფიები: „ინფორმაციული ბრძოლა“, „სამხედრო ფსიქოლოგია“ და „კიდევაც დაიზრდებიან“ – დავამუშავეთ „სამხედრო გლობალიზაციის“ პრობლემატიკა. აკადემია ხელმძღვანელობს სისტემური მიდგომით: სამხედრო მეცნიერება – ტექნოლოგიები და წარმოება – შეიარაღებული ძალები.

სამხედრო მეცნიერების განვითარებამ ჩვენში უნდა მიიღოს სახელმწიფო პროგრამის ხასიათი, რომელსაც, უპირველესად, თავისი საკუთარი საკანონმდებლო ბაზა ესაჭიროება. აკადემიის დაარსების იდეა გენშტაბში მომნიშვნელო და ქართული ჯარის მშენებლობისა და განვითარების პერსპექტიული გეგმის შემადგენელი ნაწილი გახდა.

უკვე აღიარებულია, რომ საქართველოს სჭირდება მცირერიცხოვანი, მოზილური, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული, თავდაცვის უნარიანი არმია. სამხედრო მეცნიერება ყოველთვის იყო ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. პირველხარისხოვან მნიშვნე-

ლობას იქნენ მართვის სისტემების განვითარება, როგორც ყველაზე სწრაფი და ეკონომიკური გზა საბრძოლო პოტენციალის ასამაღლებლად.

ჩვენი საუბრე ინფორმაციის და ინტელექტის საუბრეა. ჯარებისა და ქალების მართვიდან გადავდივართ შეიარაღებული ბრძოლის მართვაზე. საქართველოს აქვს საერთაშორისო დონის მართვის მეცნიერება. ჰყავს მაღალი დონის მეცნიერები.

ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ ცნებას.

ინფორმაციული ომის მთავარი შემადგენელი ნაწილებია ინფორმაციის დაცვა, მართვის სისტემებთან ბრძოლა, მონიტორინგადგობა მონაცემების შეკრება და დამუშავება. დღეს „მოდერნი“, აგრეთვე ფსიქოლოგიური ომი, კომპიუტერული ომი, ომი ეკონომიკური ინფორმაციის სფეროში და კიბერნეტიკული ომი.

სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოს ზესახელმწიფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგა ხანია ფუნქციონირებს ინფორმაციული ჯარი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ოპტიმალური პროცესებისა და ინფორმაციის განყოფილებას შორის 1998 წლის დეკემბერში, საზოგადოებრივ საწყისებზე, სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დამუშავდა შეიარაღებული ბრძოლის ინფორმაციული უზრუნველყოფის საფუძვლები, რომლის მოდელის შემდგომი გაუმჯობესება მოხდება შეიარაღებული ძალების მდგომარეობისა და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. 1999 წლიდან გადაწყდა ინფორმაციული ბრძოლის მაძიებელი სისტემის შექმნა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გ. ხარატიშვილი და პროფესორი გ. ანანიაშვილი.

დღეს მსოფლიო ხვდება, რომ საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სისტემის განვითარება მშვიდობიან ხანაშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა. ცნო-

ბილია ისიც, რომ მართვის ინფორმაციული სისტემების შეფერხება ან მცდარი ინფორმაცია, შესაძლოა, გამოუსწორებელი ავარიების, კატასტროფების მიზეზი გახდეს.

ამიტომ ვამბობთ, რომ მიმდინარე საუკუნეში სამხედრო მხედრობის სატრატეგიული კურსის განმსაზღვრელია ინფორმაციული იარაღი და ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია.

საინფორმაციო ომის სტრატეგია კიდევ უფრო გამოიკვეთა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული ტრაგედიის შემდეგ. ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, საინფორმაციო, ლოკალური ომების კლასიკური მაგალითია. ინფორმაციულ ომს მოჰყვა ქართული „ვარდების რევოლუცია“, რომელიც, ღმერთის წყალობით, უსისხლოდ დამთავრდა. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ დღეს აშკარა საინფორმაციო ომი საქართველოს მმართველ ხელისუფლებასა და აჭარის კრიმინალურ-მაფიოზურ ხელმძღვანელებს შორის. ამ ომში მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მხარდაჭერა, პრინციპული, მამხილებელი ინფორმაციის გავრცელება გადაწყვეტი უნდა გახდეს აჭარის ურთულესი პრობლემის დარეგულირებაში.

ყოველივე ეს ორგანულად უკავშირდება საქართველოში სამხედრო ფსიქოლოგიის განვითარების აუცილებლობასაც. სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში ამ დარგსაც სათანადო ყურადღება ექცევა. საკმარისია დავასახელოთ დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მოღვაწეობა. როგორც „საქართველოს რესპუბლიკა“ ამ ცოტა ხნის წინათ წერდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის დოცენტმა თ. ბაკურაძემ ჩვენი ჯარისკაცებისთვის მშვენიერი წიგნი – სახელმძღვანელო „სამხედრო ფსიქოლოგია“ გამოსცა.

საქართველო თანმიმდევრულად, საიმიდოოდ ეუფლება თანამედროვე და მოსალოდნელი საინფორმაციო ომების სტრატეგიას და ამ თვალსაზრისითაც ნელ-ნელა უახლოვდება ნატოს სტანდარტებს.

ქვეყნის უსაფრთხოების გლობალური პრობლემა

გივი იოსების ძე იასეშვილი,
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი.

როგორც ადრე „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვწერდით, ინფორმაციული უსაფრთხოება ინფორმაციის „ზღვაში“ ეროვნული ინტერესების დაცვის მდგომარეობაა, რომელიც განისაზღვრება პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს დაბალანსებული ინტერესების ერთობლიობით. მისი დოქტრინა უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ, მეთოდურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს. მან საზოგადოებას უნდა დაანახოს ოფიციალური შეხედულებების ერთობლიობა ქვეყნის უსაფრთხოების მიზნებზე, ამოცანებსა და პრინციპებზე. ინფორმაციული უსაფრთხოების სანინაალმდეგო ღონისძიებების მაკოორდინირებელი ორგანო ქვეყნის პრეზიდენტს უნდა დაექვემდებაროს. სწორედ სახელმწიფოს უმაღლესი მთავარსარდალი უნდა აფასებდეს ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტებს. გადამწყვეტია, აგრეთვე, ქვეყნისთვის მოსალოდნელი მუქარის კომპლექსურ-სისტემური ანალიზი და მისი თავიდან აცილების ინფორმაციული, პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და შეიარაღებული ბრძოლის ეფექტიანი საშუალებების ძიება. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სამამულო საინფორმაციო სტრუქტურის სრულყოფა, საინფორმაციო სფეროში ურთიერთბრძოლის გაღვივების საშუალებების წინააღმდეგ ეფექტური მოქმედება, ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან. სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლა სამხელმწიფოების მიერ გლობალური საინფორმაციო სივრცისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებას გულისხმობს სტრატეგიული სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად.

საინფორმაციო ომის მოგება დღეს სარაკეტო და საავიაციო ომის მოგებაზე უფრო ძნელია. სწორედ საინფორმაციო ომის მოგებამ განსაზღვრა „ვარდების რევოლუციის“ ბედი.

„საქართველოს რესპუბლიკა“, N67, 23 მარტი, 2005 წელი.

სამხედრო აღმშენებლობისთვის ხელშეწყობა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა

გივი იოსების ძე იასუშვილი,
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი.

დღეს ყველა რეფორმებზე ლაპარაკობს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ბოლო ხანს ყველაზე თვალსაჩინო რეფორმები ქართულ არმიაში, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ეროვნული თავდაცვის სფეროში მიმდინარეობს. რასაც ახლა ჩვენი მეგობარი ქვეყნები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით, ნატოს სტანდარტების დონეზე ქართული არმიის მოსამზადებლად აკეთებს, სამხედრო თანამშრომლობის ანუ სამხედრო გლობალიზაციის კლასიკური მაგალითია.

საბედნიეროდ, ამ პროცესების თავისებური მეცნიერული უზრუნველყოფისთვის გულმოდგინედ იღვწის საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც ამ დღეებში განეული მუშაობის ანგარიში ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში შეკრებილ მეცნიერებს ჩააბარა.

სამხედრო მეცნიერების აკადემიის ორგანიზატორული და პრაქტიკული საქმიანობის ავ-კარგზე მსჯელობისას თავიანთი წინადადებები წამოაყენეს პროფესორებმა გულაბერ ანანიაშვილმა, ავთანდილ თომოლაშვილმა, პოლკოვნიკებმა გურგენ თოფურიამ, იოსებ ბარნაბიშვილმა, გივი ლეფონავამ და სხვ.

მათი თვალთახედვით, სამხედრო მეცნიერების აკადემია კარგად დასაბუთებულ სტრატეგიულ კურსს ფლობს, დიალექტიკურად განვი-

თარებადი პროგრამა აქვს და მონადინებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქვეყნის ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საშვილიშვილო საქმეს.

ახლახან აკადემიის ხელშეწყობით გამოიცა პროფესორების გულაბერ ანანიაშვილის და ზურაბ ყიფშიძის მონოგრაფია – „ინფორმაციის თეორია, კოდირება და სინერგეტიკა“ – თვითორგანიზაციისა და მართვის ინფორმაციული საფუძვლები.

აკადემიის მეცნიერული კვლევების პრაქტიკაში დანერგვა დაევალა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ ნიკა ჯანჯღავას.

საქართველოს მომავლის იარაღის შექმნა შეუძლია

მამუკა ხარიტონაშვილი

გივი იოსების ძე იასეშვილი მეხუთე წელია, საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატმა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ასპირანტურაც წარჩინებით დაასრულა; მინიჭებულნი აქვს ოფიცრის წოდება, საკანდიდატო დისერტაცია ინფორმაციის დაცვის პრობლემებზე დაამუშავა, რომელიც ძირითადად ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნებასა და მის მნიშვნელობაზე იყო ორიენტირებული.

ბატონი გივი, რომელიც ქართული არმიის აღმშენებლობისათვის საკმაოდ სერიოზულად იღწვის, დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია და თავისი კვლევითი საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

– საზოგადოებისთვის რომ უფრო გასაგები გახდეს, მოგვითხროთ, რას მოიცავს თქვენი კვლევა?

– პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური თუ შეიარაღებული ბრძოლების ისტორიაში ტრანსფორმაცია მოხდა. საბრძოლო ოპერაციებმა ხმელეთიდან, ჰაერიდან და წყლიდან საინფორმაციო სფეროში გადმოინაცვლა. ინფორმაციული ბრძოლა, რომლის ძირითადი მიზანი საკუთარი საინფორმაციო საშუალებების დაცვა და მოწინააღმდეგის საინფორმაციო საშუალებების დაზიანება გახლავთ, გადამწყვეტი გახდა. ინფორმაციული ბრძოლა ორი ნაწილისგან შედგება: ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური. თუ საერთაშორისო მეცნიერებისა და სამხედრო მეცნიერების განვითარებას გადავხედავთ, 2015 წლამდე არსებობს საბრძოლო ოპერაციის ჩატარების ლოგიკური დროებითი სქემა, რომლის მიხედვითაც ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება და ყველა არსებული საშუალების ერთად გამოყენება საბრძოლო ოპერაციის ჩატარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტია.

სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლა განვითარების მიხედვით ორ ნაწილად იყოფა: პირველი და მეორე თაობის ინფორმაციული იარაღი. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ პირველი თაობის ინფორმაციული იარაღის გამოყენების დროს მის პარალელურად გამოყენებოდა შეიარაღებული ბრძოლის ჩვეულებრივი საშუალებებიც, ხოლო ინფორმაციული დაპირისპირების მეორე თაობის იარაღის გამოყენების დროს ჩვეულებრივი შეიარაღებული ბრძოლა და მისი შესაბამისი საბრძოლო საშუალებები შეზღუდულია, არ გამოიყენება. ინფორმაციული აქციების გამოყენების საშუალებით ხდება მონინააღმდეგევი გამარჯვება.

– თქვენი აკადემია, სამეცნიერო კვლევის გარდა, კიდევ რა საკითხებზე მუშაობს და საგანმანათლებლო საქმიანობას თუ ეწევი?

– საქართველოს, ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, არ ჰყავს სამხედრო მეცნიერები და ამდენად, საქართველოში სასწავლო პროცესის ორგანიზება არ შეგვიძლია. საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ის სპეციალიზებულია ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნების პროგრამებზე. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სისტემა აგებული უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მოდელზე, რადგან სამხედრო ძალების სხვა მიმართულებები უსაფრთხოების არანაირ გარანტიას არ იძლევა, ვინაიდან კოლექტივი დასაქმებულია სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების საერთაშორისო თვალსაზრისით უახლეს და ურთულეს პრობლემებზე, სხვა მიმართულებებით აღარ ვმუშაობთ. დანარჩენს საქართველოში არსებული სხვა აკადემიები აკეთებენ.

– სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი საქართველოში არ არსებობს. რა პრობლემებს ქმნის ეს ხარვეზი თქვენს მუშაობაში?

– ადრე ეს კომპლექსი ერთიან სისტემაში ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ, როცა დამოუკიდებლები გავხდით, წილობრივად არაფერი შეგვხვდა. ჩვენ შეიარაღებული ბრძოლებისთვის საჭირო სამრეწველო კომპლექსი არ გვქონდა და მით უმეტეს, უახლოეს პერიოდში არ გვექნება ისეთი ურთულესი მიმართულებები, როგორც არის ინფორმაციული ტექნოლოგია. საერთოდ, საბრძოლო ოპერაციის მომზადება შედგება თავისი სავალდებულო საფეხურებისაგან: პირველი ეტაპი – შეიარა-

ღებულის ბრძოლის წარმოება. მისგან განსხვავებით, ინფორმაციული ბრძოლის წარმოების დროს გადამწყვეტია არა მონინალმდეგის ფიზიკური განადგურება, არამედ მასზე ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება. ამას კი შესაბამისი საშუალებები გააჩნია, რაც ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ იწარმოება.

აკადემია მარტო მეცნიერულ პრობლემებზე მუშაობს და ცდილობს, დაასაბუთოს სამომავლოდ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის წარმართვის სწორი კურსი.

- ტექნიკურად განვითარებად ქვეყნებში ინფორმაციული ომის წარმოების თვალსაზრისით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენთან რამე საწყისი ბაზა თუ არსებობს ამ მიმართულებით იმისთვის, რომ, რაც გვაქვს, ის მაინც შევინარჩუნოთ, თუნდაც თქვენი აკადემია? გამოსატყვევს თუ არა ხელისუფლება მზადყოფნას ამ საკითხის პრიორიტეტად ცნობისათვის?

- საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია ჩვენს ქვეყანაში სამხედრო მეცნიერების განვითარების უახლეს, ურთულეს, ფუნდამენტურ პრობლემებზე, ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნების განვითარებაზე მუშაობს, თანაც გარკვეული წინააღმდეგობების არსებობის ვითარებაში. არც გენერალურ შტაბში, არც თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, არც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, არც სამხედრო-სამრეწველო-საინჟინრო აკადემიაში ჩვენი კვლევების შედეგებს არ ითვალისწინებენ; ავინყდებათ, რომ განვითარების ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი პირობაა ინფორმაციული ბრძოლის ფორმებისა და წესების დამუშავება, დახვეწა, გაუმჯობესება, ახლის შექმნა. ყველაზე დიდი დაფინანსება სწორედ ინფორმაციული ბრძოლის საშუალებების განვითარებაზეა უნდა იყოს გათვალისწინებული. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მიერ აღებული სტრატეგიული კურსის გზით ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მომზადება და ფუნქციონირება მიმდინარეობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის მსურველი ქვეყნის სტატუსიდან გამომდინარე, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ნავთობგამტარის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დაცვასა და ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებას ემსახურება.

ანტიტერორისტული ოპერაცია, მისი ჩატარება, მომზადება და განხორციელება, შინაარსობრივი თვალსაზრისით, არ არის რთული. იყო დრო, როცა მსგავსი ღონისძიებები სამხედრო ოპერაციადაც არ ითვლებოდა.

აღიარებული ქეშმარიტებაა, რომ თავდაცვისუნარიანობის ხარისხი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პირდაპირპროპორციულია. საქართველოში, სადაც ეკონომიკა ფაქტიურად არ არსებობს, შეიარაღებული ძალების მშენებლობა და, მითუმეტეს, ისეთი უახლესი და ურთულესი დარგის განვითარება, როგორც არის ინფორმაციული ბრძოლა, სათანადოდ არ ფინანსდება.

– როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

– დაკარგული ტერიტორიების შემოერთების აუცილებელია პირობა, პირველ რიგში, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე ეკონომიკის აღორძინებაა, რაც, თავისთავად, შეიარაღებული ძალების მშენებლობის ხელისშემწყობი ფაქტორი გახდება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ინფორმაციული ზემოქმედებით შევეცადოთ, დავიბრუნოთ ჩვენი დაკარგული ტერიტორიები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე საქართველო ჩრდილოელ მეზობელთან ნებისმიერ ინფორმაციულ ბრძოლას აგებს.

– იქნებ ინფორმაციული ბრძოლის მაგალითები ჩამოგეთვალათ...

– ინფორმაციული ბრძოლის ერთ-ერთი აუცილებელი და სავალდებულო პირობაა ის, რომ ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკურ-კომერციული საიდუმლოს შესახებ ინფორმაციამ არ გაჟონოს და, თავის მხრივ, მონინალმდგვის შესახებ ანალოგიური მონაცემები მოიპოვოს.

სახელმწიფო სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა დიდ მატერიალურ ზარალთან არის დაკავშირებული და სერიოზულ საფრთხეს უქმნის დამოუკიდებლობას. გარდა იმისა, რომ დავიცვათ ჩვენი საკუთარი ინფორმაცია საიდუმლოდ, აუცილებელია, რომ ინფორმაციის გადაცემაც საიდუმლოდ მიმდინარეობდეს, რისი შესაძლებლობაც, სამწუხაროდ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნია. ყველაფერი ღიად მიმდინარეობდა როგორც აფხაზეთის, ასევე სამაჩაბლოს ომის დროს. საერთო ჯამში, საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი ჯერ არ

იმყოფება სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების იმ უმაღლეს დონეზე, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. სამწუხაროდ, საქართველოს შეიარაღებული ძალები მხოლოდ საერთაშორისო ენერგეტიკული რესურსების გატარების დაცვისა და ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელებით არიან დაკავებული. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, საქართველოს ჰყავს ალიანსში შემავალი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გამომდინარე ინტერესების დამცველი შეიარაღებული ძალები. ჩვენს არმიას კიდევ ბევრი სჭირდება, რომ ამაღლდეს სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების თანამედროვე დონეზე, მითუმეტეს, ინფორმაციული ბრძოლების ხელოვნების გათვალისწინებით.

– რა უპირატესობას მოიტანს თქვენი კვლევების შედეგების დაწერვა ჩვეულებრივ, ტრადიციულ შეიარაღებებთან შედარებით?

– საერთაშორისო ექსპერტებს მიერ დადასტურებულია, რომ ინფორმაციული ბრძოლა წარმატებულია მხოლოდ ე.წ. ინფორმაციული იარაღის გამოყენებით. კერძოდ, მხედველობაში მაქვს, რომ სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთ-ბრძოლის მეორე თაობის შესაბამისი ინფორმაციული იარაღის დამზადება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე, მაგალითად, ბირთული ან თუნდაც ეკოლოგიური იარაღი, ან მაღალი სიზუსტის საბრძოლო საშუალებები. ჩვენ ამის გათვლის საორიენტაციო შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ, რაც მოგახსენეთ, უფრო საზღვარგარეთელი მეცნიერების მიერ არის დადასტურებული. ინფორმაციული იარაღი უფრო იაფი ჯდება, მაგრამ, ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული ომის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე, მაგალითად, საავიაციო, ან საზღვაო ბრძოლისა.

ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი

გივი იოსების კი იასკევილი,
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერების
დოქტორი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატობის კანდიდატი.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დამუშავებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის (სეუკ) პროექტის ირგვლივ ქვეყნის პარლამენტში თუ მის გარეთ, კერძოდ, პრესაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით გაუთიხის „კახეთის ხმა“ პატივცემულ მკითხველებს მოგახსენებთ, რომ სეუკ-ის საერთაშორისო სტანდარტიზაციის დონეზე ასამაღლებლად საქართველოში არსებულმა დამოუკიდებელმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ – სამხედრო მეცნიერების აკადემიამ, რომელიც ძირითადად წინმსწრებ სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობს, ჩემი ხელმძღვანელობით მოამზადა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელსაც კონცეფციის სახელმწიფოებრივ განსაცნობად გთავაზობთ.

ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია

შედეგად სისტემურ კავშირში მყოფი სამი პროგრამისაგან: ინფორმაციული უსაფრთხოება – ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედი; ქვეყნის უსაფრთხოების ბლოკალური პრობლემა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი რეფორმები.

ინფორმაციული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედი.

XXI საუკუნის სამხედრო კონფლიქტებში ინფორმაციული ბრძოლის პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი გადანაჭრელი საკითხია. ტრადიციულობისგან განსხვავებით, აუცილებელი გახდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახალი ნორმატიული აქტების შექმნა:

ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია;

ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინა;

ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია.

თავდაცვისუნარიანობის სფეროში საქართველოს დღევანდელი სტრატეგია ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მოდელზე უნდა აიგოს, რადგან სამხედრო ძალებით ძვეყნის დაცვა უსაფრთხოების მთავარ გარანტს ვერ წარმოადგენს.

ინფორმაციული უსაფრთხოება ინფორმაციულ სფეროში ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობაა, რომელიც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაბალანსებული ინტერესების ერთობლიობით განისაზღვრება. მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაცია საინფორმაციო მოღვაწეობის სფეროში.

ძვეყნის სამხედრო მშენებლობის სტრატეგიული კურსის განმსაზღვრელი უნდა გახდეს ინფორმაციული იარაღი და ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია. სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის წარმოების მეორე თაობის მიღგომების მეცნიერული განვითარება და შემდგომი სრულყოფა პერსპექტივაში სამხედრო ძალების გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვამდე მიგვიყვანს, რადგან კოორდინირებული ინფორმაციული აქციები დასახული მიზნის მიღწევის – მოწინააღმდეგეზე გამარჯვების შესაძლებლობას მოგვცემს.

დანართები N1, N2, N3 (იხილეთ 255-ე, 256-ე და 257-ე გვერდები) მოცემულია ინფორმაციული ბრძოლის ურთიერთკავშირი სამხედრო საქმიანობის ძირითად სახეობებთან, ინფორმაციული იარაღის არსისა და სამხედრო სფეროში არსებული სამხედრო რესურსის შინაარსის სტრუქტურული ბლოკ-სქემები, რომლებიც ამოღებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ (პირველი ნომერი, 1999 წლის თებერვალი) გამოქვეყნებული ჩემი სამეცნიერო ნაშრომიდან „ინფორმაციული ბრძოლის არსი: იარაღი და საშუალებები“ (შინაარსი – სამხედრო თეორია და პრაქტიკა).

ქვეყნის უსაფრთხოების გლობალური პრობლემა

ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ, მეთოდურ, სამცნიერო-ტექნიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს უნდა წარმოადგინდეს. მან საზოგადოებას უნდა დაანახოს ქვეყნის უსაფრთხოების მიზნებზე, ამოცანებსა და პრინციპებზე არსებული ოფიციალური შეხედულებების ერთობლიობა, აგრეთვე ძირითადი მიმართულებები.

აუცილებელია:

- * საფრთხეების წინააღმდეგ ღონისძიებების მაკოორდინირებალი ორგანოს განთავსება ქვეყნის პრეზიდენტთან ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტებს სწორად სახელმწიფოს უმაღლესი მთავარსარდალი უნდა აფასებდეს;
- * სახელმწიფოს მთავარი როლის უზრუნველყოფა ღონისძიებების კოორდინაციაში;
- * ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტების დაუცველობის შეფასება და სხვა.

გადამწყვეტი აგრეთვე, ქვეყნისთვის მოსალოდნელი მუქარების კომპლექსურ-სისტემური სინთეზი და მათი თავიდან აცილების ინფორმაციული, პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და შეიარაღებული ბრძოლის ეფექტიანი საშუალებების, მეთოდებისა და პრაქტიკული განხორციელების გზების მუდმივი ძიება.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

- * სამამულო სანიფორმაციო სტრუქტურის სრულყოფა და დაცვა;
- * სანიფორმაციო სფეროში ურთიერთბრძოლის გაღვივების საშუალებების წინააღმდეგ მოქმედება;

* ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიოს ინტეგრაციულ სფეროში – მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან.

* სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთობრივად წარმოადგენს სახელმწიფოების მიერ გლობალური საინფორმაციო სივრცისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებას სტრატეგიული სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი რეკომენდაციები.

ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგიის მეცნიერული დამუშავება და ინფორმაციული ომის მომზადება ხდება ორ – სახელმწიფო და სამხედრო დონეზე;

სახელმწიფო დონეზე ინფორმაციული ურთიერთობრივად მიზანია მოწინააღმდეგეების ჰოზიციების დასუსტება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირის გამოთხრა, სახელმწიფო მმართველობის სისტემის მოშლა და სხვა;

სამხედრო დონეზე იგი წარმოადგენს ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც ქვეყნის შეიარაღებული ძალების, მათი სახეობების, ჯონებში გაერთიანებული სარდლობის მასშტაბით ტარდება და საბრძოლო ოპერაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეფექტური ინფორმაციული ურთიერთობრივად სარდლებსა და მეთაურებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, მოწინააღმდეგეს არსებულ მდგომარეობაზე ყალბი შეხედულება შეუქმნას, აიძულოს იგი, აწარმოოს სამხედრო მოქმედებები მისთვის არახელსაყრელ პირობებში.

სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთობრივად იყოფა პირველ და მეორე თაობად:

მეორე თაობა წარმოადგენს სტრატეგიული ურთიერთობრივად ინფორმაციული რეკონსტრუქციით გამოწვეულ პრინციპულად ახალ სახეობას და ითვალისწინებს:

ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი ორიენტაციით მანიპულირებას პოლიტიკური დაპაბულოებისა და ქაოსის შექმნის მიზნით;

ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფის დონის შემცირებას, მცდარი

მმართველი გადაწყვეტილებების ინსპირაციას;

სოციალური, პოლიტიკური, ნაციონალური და რელიგიური შეჯახებების პროვოცირებას;

პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვით და სხვა სფეროებში სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას.

სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის წარმოების მეორე თაობის მიღწეობების განვითარება და მეცნიერული სრულყოფა პრესაქტივებში სამხედრო ძალების გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვამდის მიგვიყვანს, რადგან კოორდინირებული ინფორმაციული აქციები დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას მოგვცემს.

ყოველი მეცნიერული თეორია პრაქტიკით ცოცხლობს. სახელმწიფოს მეცნიერება უნდა მართავდეს, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის – განსაკუთრებით შეიარაღებული ძალების მშენებლობის შრომის მეცნიერული ორბანიზაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რაზედაც ძველმთ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები მეტყველებს:

ძვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ უმაღლეს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული, ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი, მეცნიერულად დასაბუთებული სამუშაო გეგმის ბარეში, სადღეისოდ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის პერმანენტულ ზრდას ექვსი აკადემია „ემსახურება“: მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (თ. გამყრელიძე), სანიწინრო აკადემია (ი. ფრანგიშვილი), გენერალური შტაბის სამხედრო-სანიწინრო აკადემია (ე. მემარიაშვილი), თავდაცვის ეროვნული აკადემია (გ. თავდგირიძე), სამხედრო-სამრეწველო-სანიწინრო აკადემია (გ. ლეკიშვილი) და სამხედრო მეცნიერების აკადემია (გ. იასეშვილი).

სახელმწიფოებრივი მმართველობის თვალსაზრისით, ეს აკადემიები საერთო ბლოკში უნდა გაერთიანდეს, სამხედრო მეცნიერების აკადემიის ხელმძღვანელობით, რომელსაც, პირველ რიგში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოეყოს პროგრამულ-მიზნობრივი ფინანსირება.

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატობის კანდიდატი.

სამხედრო მეცნიერება – ტექნოლოგიები და წარმოება –

– შეიარაღებული ძალების განვითარება – ასეთი სისტემური მიდგომით ხელმძღვანელობს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია (სსმა), რომლის დაარსების (2001 წლის იანვარი) კონცეფცია-წესდება შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია;
2. ჯარებისა და ძალების მართვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების უაღრესად აქტიუალური მეცნიერული პრობლემა გახდა.
3. სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსების აუცილებლობის დასაბუთება;
4. სამხედრო მეცნიერების მცოდნეობა აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა.

მეცნიერული კვლევა ძვირადღირებული პროცესია და მხოლოდ მაღალ განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ მისი სრულფასოვანი წარმართვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფუნდამენტურ მეცნიერებებზეა ლაპარაკი, ჩვენს შემთხვევაში კი სამხედრო მეცნიერება გვაქვს მხედველობაში. ისინი დიდ კაპიტალდაბანდებებს საჭიროებენ, ხოლო რეალური უკუგება მოგვიანებით ხდება. ცხოვრებამ ბევრად დააჩქარა მეცნიერული დასკვნების რეალიზაცია, ხელი შეუწყო რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის მოქნილი სიტემების შექმნას.

დანერგვის პრობლემა მეტად რთული და მრავალმხრივია. იგი მოიცავს ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ღონისძიებების მთელ სისტემას, რომელიც მიმართულია შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ინტენსიური გამოყენებისაკენ. სიახლეთა, გამოგონებათა დანერგვა ორგანულად არის შერწყმული ერთიან სამეურნეო მექანიზმთან, რომელიც შეიცავს ეკონომიკისა და მართვის ყველა რგოლს. დაგეგმვას, ტექნოლოგიური გადანაცვეტილები შეფასებას, შერჩევის მეთოდუკას, მათი ეფექტიანობის განსაზღვრას, ფასწავრეკმნას, სამეურნეო ანგარიშს, ფინანსებს, დამნერგავ ორგანიზაციებს და სხვა.

სწორედ ამ საქმეს ემსახურება სამხედრო მეცნიერებათმცოდნეობა, რომელიც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ მიმართულებას, როგორიც საზოგადოებისა და მეცნიერების ურთიერთ დამოკიდებულებაა. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ახალი მეცნიერული აღმოჩენის, ახალი იდეის ცხოვრებაში დამკვიდრების ხერხების ძიებაა. სამწუხაროდ, საქართველოში არცერთი დარგი არ არის განვითარებული. სინამდვილეში დანერგვის მაჩვენებლები სახელმწიფო გეგმის შესრულების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლებს უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ერთ-ერთი ძირითადი და მოქმედი მიმართულება უნდა გახდეს მეცნიერებისმცოდნეობის და კერძოდ, სამხედრო მეცნიერებისმცოდნეობის, ანუ ახალი მეცნიერული მიღწევების და იდეების პრაქტიკულად სინამდვილეში – საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დანერგვის მიმართულება.

ამ მიზნით:

2004 წლის 21 სექტემბერს ვრცელი განცხადებით სარეგისტრაციო ნომერია N1 გ-855 და თანდართული მრავალრიცხოვანი დოკუმენტაციით მივმართე მაშინდელ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ბატონ გიორგი ბარამიძეს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, ბრიგადის გენერალს. ციტირება: „ჩემს მიერ წარმოდგენი-

ლი განცხადების საფუძველს წარმოადგენს გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2004 წლის 9-15 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი თქვენი სტატია „თავდაცვის მინისტრი: „ჯარებს შორის კავშირი და მართვა პრიორიტეტული გახდება. მინისტრი იწყებს მაღალი დონის კავშირგაბმულობის შექმნას, რადგან უამისოდ ჯარების მართვა შეუძლებელია“.

სსმა-ს კოლექტივი მხარს უჭერს თავდაცვის მინისტრის მიერ აღებულ მეცნიერულად დასაბუთებულ სტრატეგიულ კურსს და გთავაზობთ ჩვენს კეთილ სამსახურს და უშუალო აქტიურ თანამშრომლობას დასახული მიზნის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ექვსი წელია, წარმატებით მუშაობს სსმა, რომლის დაარსებასაც 2001 წელს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გენერალ ელგუჯა მეძმარიაშვილთან ერთად წერილობით დაუჭირა მხარი.

საერთაშორისო არენაზე ძალთა გადანაწილების ცვლილებამ და რევოლუციამ სამხედრო საქმეში დიდი გავლენა მოახდინა ჯარების მართვასა და შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ ხელმძღვანელობაზე. მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანი ქვეყნების არმიის, ავიაციის და ფლოტის შეიარაღებაში ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლების პრინციპულად ახალი საშუალებების დანერგვამ აამაღლა მართვის ეფექტურობის მნიშვნელობა ყოველ დონეზე და შეიარაღებული ძალების მართვის სისტემები გადააქცია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად, სსმა წარმოადგენს ჯარებისა და ძალების მართვაზე სპეციალიზირებულ საზოგადოებრივ-სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის თეორიული მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციისა და მეთოდებზე.

გთხოვთ, მოგვცეთ შესაძლებლობა და შეგვიქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები, რომ სსმა-ს კოლექტივმა თავისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკური გამოცდილება მოახმაროს თქვენი გეგმების განხორციელებას.

თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსმა გია კიკნაძემ გადაუგზავნა ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ქელიძეს, რომელმაც თავდაცვის მინისტრის სახელზე წარდგენილი ჩემი განცხადება თავის მხრივ გადაუგზავნა ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის კვლევის სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ გოგი თავაძეს. საფუძვლიანი წინასწარი განხილვის შემდეგ, რომელშიც სსმა-ს წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა, წერილობით გვთხოვეს სარეგისტრაციო ნომერია N14-270, 28.10.2004 წ. ციტირება.

„მოგმართავთ წინადადებით, დამატებით წარმოადგინოთ თქვენს აკადემიაში განხილული და მოწონებული კონკრეტული პროგრამა და წინადადებები წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

თქვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამა და წინადადებები განხილვება თავდაცვის სამინისტროს და გენერალური შტაბის შესაბამისი სამსახურების მიერ და მათი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე გადაცემული იქნება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკურ საბჭოზე განსახილველად.

სსმა-ს კოლექტივმა მოამზადა და მეორე განცხადების ფორმით წარმოვადგინე სსმა-ში განხილული და მოწონებული კონკრეტული პროგრამები და წინადადებები საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის სახელზე, სარეგისტრაციო ნომერია N1_გ-1079, 12.2004 წ.

ციტირება: „სსმა-ში განხილული და მოწონებული კონკრეტული პროგრამები და წინადადებები:

სსმა-ს გენერალურ პროგრამას წარმოადგენს საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარება, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2004 წლის 30 აპრილის ნომერში სახელწოდებით „ინფორმაციული ომის საუკუნე, სამხედრო მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო სამეცნიერო ცენტრის გეგმით დავამუშავე მონოგრაფია „ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და

ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე, რომელიც ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ გამოსცა, იხილეთ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილის წერილი N10-11/36, 2.02.2001 წ. ამ მონოგრაფიის შემდგომ მეცნიერულ განვითარებაზე მე ვაგრძელებ ინტენსიურ მუშაობას.

ზემოთ ხსენებულს ეხება, აგრეთვე, სსმა-ს წევრების მიერ დამუშავებული და წარმატებით დაცული დისერტაციები. გულაბერ ანანიაშვილის სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მონაცემთა აგრეგაციის ალგებრული მეთოდები მართვისა და ხელოვნური ინტელექტის ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის“, სპეციალობით „მართვა ტექნიკურ სისტემებში“.

ზურაბ ყიფშიძის საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „წონითი კონტროლი ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის სისტემებში, სპეციალობით „ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია“.

ჩემი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ინფორმაციის დაცვის თავისებურებები სპეციალური დანიშნულების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში“, სპეციალობით „ინფორმაციის გადამუშავებისა და მართვის სპეციალური დანიშნულების სისტემები“.

ჩემს დისერტაციაში მიღებული მეცნიერული შედეგები თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის პოლიტიკის დეპარტამენტის ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის კვლევის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ გოგი თავაძის წარდგინებით რეკომენდირებულია შეიარაღებულ ძალებში დანერგვაზე, რაზედაც არსებობს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის გენერალ ლეიტენანტის ზურაბ მეფარიშვილის მიერ დამტკიცებული აქტი N8/053, 16.09.1996 წ.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სპეციალური დადგენილებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ საჩქაროდ დაამუშავა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელშიც ინფორმაციული უსაფრთხოების დამუშავება სსმა-ს პროფესიონალურ მოვალეობას წარმოადგენდა. ამ მიზნით დავამუშავეთ სისტემურ კავშირში მყოფი სამი ქვეპროგრამა.

ინფორმაციული უსაფრთხოება ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების ქვაკუთხედი. გამოვაქვეყნე გაზეთ „სამხედროში“ 24 საათი, N21.

ქვეყნის უსაფრთხოების გლობალური პრობლემა. გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, N267;

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი რეფორმები, რომელიც დაზუსტებისა და კორექტირების პროცესშია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად და სავალდებულო ურთიერთკავშირით, სსმა-ს მიერ დამუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის საბოლოო ვარიანტი გამოვაქვეყნე რეგიონულ გაზეთში „კახეთის ხმა“, N28, 18.07.2005 წ. სათაურით „ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი, ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია“.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 4 ოქტომბერს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის ხელმძღვანელობით ვმუშაობთ ჯარებისა და ძალების მართვის პრობლემებზე. სამომავლოდ გათვალისწინებულია კიბერნეტიკული ომისა და კიბერნეტიკული იარაღის სამხედრო ხელოვნების პრობლემები.

სსმა-ს წევრებმა – ზურაბ ყიფშიძემ და გულაბერ ანანიაშვილმა 2003 წლის დეკემბერში გამოსცეს მონოგრაფია „ინფორმაციის თეორია, კოდირება და სინერგეტიკა“ – თვითორგანიზაციისა და მართვის ინფორმაციული საფუძვლები. ავტორები აგრძელებენ მუშაობას მონოგრაფიის შემდგომ მეცნიერულ განვითარებაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის ხელმძღვანელობით, ვმუშაობთ სამხედრო ფსიქოლოგიის პრობლემებზე. სსმა-ში მუშავდება პროგრამა „სამხედრო ფსიქოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ – ათწლიანი პერიოდით 2015 წლამდე. ინფორმაციულ ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმოების ხელოვნების შემდგომი განვითარების მიზნით მან 2002 წელს

წარმოადგინა ფსიქოლოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევების სინთეზი „განწყობის ფსიქოლოგიური მონაცემები ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობისთვის“, ხოლო როგორც პროგრამაში შემავალი ციკლის მეორე ნაშრომში გაგრძელების სახით მან წარმოადგინა 2003 წელს. მისი მეცნიერული შრომების ციკლი მომავალშიც გაგრძელდება და ამავე დროს გამოყენებული იქნება სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთობის საკითხების დასამუშავებლად, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული ურთიერთობის პრინციპიალურ ახალ სახეობას გამოწვეულს ინფორმაციული რევოლუციით. შევარჩიეთ ექვსი საკითხი, რომლებიც ითვალისწინებს:

ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი შეგნების და პოლიტიკური ორიენტაციის მანიპულირებას, პოლიტიკური დაძაბულობის და ქაოსის შექმნი მიზნით.

მოსახლეობის დეზინფორმაციას სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობაზე, მათი ავტორიტეტის შელახვას, მართვის ორგანოების დისკრედიტაციას.

სოციალური, პოლიტიკური, ნაციონალური და რელიგიური შეჯახებების პროვოცირებას.

მართვის ორგანოების მიერ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების გართულებას.

სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის, მისი სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირის გამოთხრას.

ზიანის მიყენებას სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებზე პოლიტიკურ ეკონომიკურ თავდაცვით და სხვა სფეროებში.

ფსიქოლოგმა თამარ ბაკურაძემ 2000 წელს გამოსცა მონოგრაფია „სამხედრო ფსიქოლოგია“. ავტორი ინტენსიურად მუშაობს მეორე უფრო სრულყოფილ მონოგრაფიის გამოსაცემად.

გთხოვთ, მისცეთ ოფიციალური მსვლელობა ჩემს მიერ წარდგენილ

სსმა-ს სამუშაო პროგრამებს და მათში არსებულ კონკრეტულ მეცნიერულად დასაბუთებულ მრავალრიცხოვან წინადადებებს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოს სხდომაზე განსახილველად და აკადემიის მიერ მიღებული სამეცნიერო კვლევითი შედეგების დასანერგად საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვაში და შესაბამისად, კავშირგაბმულობის სისტემის გასაიდუმლოებაში.

სსმა-ს კოლექტივი მზად არის სამუშაო ვითარებაში აქტიურად ითანამშრომლოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შესაბამის სამსახურებთან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის – ირაკლი ოქრუაშვილის სახელზე წარდგენილი ჩემი ზემოხსენებული განცხადება, რომელშიც აღწერილი იყო სსმა-ს პროგრამები და წინადადებები, ერთთვის იმის მკაცრი წინასწარი შემოწმების შემდეგ გადააგზავნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში, სადაც მათი დანერგვა დაევალა სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტს. სსმა-ს პროგრამები და წინადადებები, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ ქართული თანამედროვე სამხედრო აზროვნების ინტელექტუალურ პოტენციალს, მეცნიერული სიღრმითა და თეორიული აქტუალობით სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო გლობალურ სტანდარტებთან.

სამხედრო აკადემიის კიდევ ერთი წარმატება

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატობის კანდიდატი.

2006 წლის 3 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რეგულარული საჯარო ლექცია-სემინარი, რომელზეც მოხსენება გააკეთა სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტმა გივი იასეშვილმა. საიუბილეო მოხსენება ეხებოდა საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის სამეცნიერო და ორგანიზაციულ მუშაობას. **2006 წლის იანვარში დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის (სსმა) დაარსებიდან ხუთი წელი შესრულდა. სსმა-ს დაარსებით საინიციატივო ჯგუფმა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დაიწყო ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ახალი ეტაპი საქართველოში. XXI საუკუნე ინფორმაციული რევოლუციისა და უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაა. 2005 წლის შედეგებსა და 2006 წლის ამოცანების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაღალი რანგის ოფიცრებმა, პოლკოვნიკებმა გივი ყუფუნიაშვილმა, გურგენ თოფურიაშვილმა, გივი ლეფონავამ, პროფესორმა ბიჭიკო ცინცაძემ. აღნიშნული შეხვედრა, ორგანიზატორების თქმით, სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობების დახვეწას ემსახურებოდა.**

საქართველოს წამყვანი გაზეთების – „საქართველოს რესპუბლიკის“, „კვირის პალიტრის“, „24 საათის“, გვერდით გაზეთი „კახეთის ხმა“ ხშირად აშუქებს ხოლმე საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის მუშაობას, რომლის აქტიური წევრები არიან პოლკოვნიკები ზურაბ შენგელია, კახა კაციტაძე, აკადემიკოსები გურამ ხარატიშვილი, შოთა

ნადირაშვილი, მეცნიერების დოქტორები გულაბერ ანანიაშვილი, დავით დარჩიაშვილი. მათ მიერ განიხილება და იწერება მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომლებიც ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობისა და უსაფრთხოების ქვაკუთხედს წარმოადგენენ: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, „საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია“, „NATO-სთან თანამშრომლობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა“, „ეროვნული სამხედრო სტრატეგია“ და სხვა.

უშუალოდ ამ შეხვედრისა და საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის მიერ განუხლები მუშაობის შესახებ ინფორმაციას „კახეთის ხმის“ მკითხველი მიიღებს აკადემიის პრეზიდენტ გივი იოსების ძე იასეშვილისგან.

შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“, რომელსაც უახლოეს პერიოდში გამოვაქვეყნებ, წარმოადგენს სსმა-ს სავიზიტო ბარათს. მის შექმნაში უშუალო წვლილი შეიტანა აკადემიის თითოეულმა წევრმა. ფუნდამენტური ხასიათის თეორიული და მეთოდოლოგიური მეცნიერული მუშაობის გარდა, სსმ-ს კოლექტივი ახორციელებდა ახალი სამეცნიერო კვლევითი შედეგების შეიარაღებული ძალების მართვაში გამოყენებისა და დანერგვის ღონისძიებებსაც. სსმა-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბთან კომპლექსური თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს წარუდგინე ჩვენი აკადემიის მიერ დამუშავებული, განხილული და მოწონებული პროგრამები და წინადადებები. მინდა ვთქვა, რომ საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა როინ ფაილოძემ, ჩემ მიერ მიწოდებულ მასალებზე სამჯერ გამომიგზავნა არასერიოზული და არაკომპეტენტური წერილობითი პასუხი. არავითარი რეაგირება არ მოახდინა გენერალური შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ლევან ნიკოლაიშვილის სახელზე წარდგენილ ჩემს სპეციალურ განცხადებაზე და არ გაითვალისწინა თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფრო-

სის – გენადი ქაჩიბაიას წერილობითი რჩევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ წერილობით მოვახსენეთ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს, რეაგირება კი დაევალა პოლკოვნიკ მამუკა მუჯირს. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ჩემი მოხსენება საერთოდ დაიკარგა თავდაცვის სამინისტროს სეიფებში, რის შემდეგაც იძულებული გავხდი, მიმემართა გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილისთვის. მან რეაგირება დაავალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პირველ მოადგილეს, გიორგი პაპუაშვილს. ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული და მიმდინარეობს გამოძიება.

საანგარიშო განვლილ 2005 წელს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევდა ქართველი მეცნიერების დიდი ვნებათაღელვა, რომელიც დეკემბრის ბოლოს დამთავრდა, საქართველოს პარლამენტის მიერ „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ“ კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღებით. საქართველოს მეცნიერებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი, უდავოდ, სამხედრო მეცნიერება რჩება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმიებიდან გამომდინარე, სსმა-მ ქვეყნის თავდაცვის სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული რეფორმა განახორციელა, რომლის შეთანხმების მიზნით ორჯერ მომიხდა კახა ლომაიას სახელზე განცხადებისა და თანდართული მრავალრიცხოვანი დოკუმენტების წარდგენა 26 სექტემბერსა და 1 ნოემბერს. აღნიშნული ეხებოდა ძირითადად, ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგიას (ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური). ჩვენი რეფორმის პროექტი ითვალისწინებს:

„...თავდაცვისუნარიანობის სფეროში საქართველოს დღევანდელი სტრატეგია ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მოდელზე უნდა აიგოს, რადგან სამხედრო ძალებით ქვეყნის დაცვა უსაფრთხოების მთავარ გარანტს ვერ წარმოადგენს“. ამასთან დაკავშირებით, მინდა ვთქვა, რომ შეიარაღებული ძალების მშენებლობის მეცნიერული ორგანიზაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რაზედაც ქვემოთ მოყვანილი კონკრეტული ფაქტებიც მეტყველებს.

ქვეყნის სამხედრო პოლიტიკურ უმაღლეს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ერთიანი სამეცნიერო-კვლევითი მეცნიერულად დასაბუთებული სამუშაო გეგმის გარეშე, საქართველოს თავდაცვის უნარიანობს პერმანენტულ ზრდას ექვსი აკადემია ემსახურება. სახელმწიფოებრივი მმართველობის თვალსაზრისით, ეს აკადემიები საერთო ბლოკში უნდა გაერთიანდეს. ვინაიდან ამ მხრივ, საკმაოდ ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი არსებობს, შედეგად, სამხედრო მეცნიერებაში მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, იმის გამო, რომ რესურსები დანაწევრებულია. კონკრეტულად, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ, სპეციალური დადგენილებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ ნაჩქარევად დამუშავებული „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. მისი მოცულობა ოცი ნაბეჭდი გვერდია და შემდეგი თავებისგან შედგება:

1. შესავალი;
2. საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები;
3. საქართველოს ეროვნული ინტერესები;
4. ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები;
5. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
6. დასკვნა;

სეუკ-ის მოცულობა – ოცი ნაბეჭდი გვერდი არ შეესაბამება სათაურის უაღრესად რთულ და მრავალფეროვან შინაარსობრივ დატვირთვას. თითოეული საკითხის განხილვას ეთმობა მოცულობის ერთი მესამედი, რაც ძალიან მცირეა. ამის გამო ზოგიერთი საკითხის განხილვა ძალიან მოკლე და ზოგადია, ხოლო ზოგჯერ გაუგებარი. მთლიანობაში დოკუმენტი არ არის დახვეწილი როგორც ეკონომიკური, ასევე დიპლომატიუ-

რი სტრატეგიით.

სეუკ-ი საკონსტიტუციო და სამხედრო ვაკუუმშია. მისი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასამაღლებლად სამხედრო აკადემიამ მოამზადა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც კონცეფციის სახელწოდებით გამოქვეყნდა პრესაში, სათაურით „ინფორმაციული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედი“. სეუკ-ი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ერთმანეთთან უშუალო კავშირში იმყოფება. ერთის მხრივ სეუკ-ი აღიარებს და პრიორიტეტულად თვლის სსმა-ს პროფილს, ხოლო მეორეს მხრივ ჩვენი აკადემიის მიერ მომზადებული ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია კი პრაქტიკული გამოყენების შემდეგ საერთაშორისო დონეზე აამაღლებს მას.

2005 წლის ივლისში საქართველოს NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა IPAP-ს ოფიციალურად გაიხსნა. საქართველოს მთავრობა საზოგადოებას დოკუმენტის საჯარო განხილვაში მონაწილეობას სთავაზობს. მის განხორციელებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში განევრიანება.

IPAP ოთხი თავისგან შედგება:

პოლიტიკისა და უსაფრთხოების;

თავდაცვის უსაფრთხოებისა და სამხედრო;

საზოგადოების ინფორმირების, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის;

ადმინისტრაციული, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და რესურსების საკითხები.

თუ გავითვალისწინებთ ხუთწლიან სსმა-ის ორგანიზაციულ და მეცნიერულ მუშაობას, აღმოჩნდება, რომ ორგანიზაციას ბევრი საერთო გააჩნია IPAP-თან. მათგან ერთ-ერთი მთავარია „ინფორმაციული ომის საუკუნე, სამხედრო მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N98, 30.04.2004. საქართველოს

სამხედრო პოლიტიკური ხელისუფლების მიერ IPAP-ისთვის საიდუმლოების გრიფის მოხსნის შემდეგ, საზოგადოებას ხელში შემორჩა მისი ოთხი თავისაგან შემდგარი გეგმა, რომელიც ვერ ასახავს საქართველოს სრულ ინტელექტუალურ პოტენციალს და არ გამომდინარეობს 2010-2015 წლებში სამხედრო მოქმედების წარმოების ფორმებისა და წესების განვითარების საერთაშორისო დონესა და სტანდარტს. 2006 წლის ბოლოს საქართველო უნდა გახდეს NATO-ს წევრობის კანდიდატი ქვეყანა. ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა სამხედრო ხელოვნების ეროვნული მოდელი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

სეუკ-დან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამუშავა ეროვნული სამხედრო სტრატეგია (სესს), რომელიც 2005 წლის დეკემბერში განხილვაზე წარადგინა გუდაურში გამართულ კონფერენციაზე. სტრატეგია შემდეგი თავებისგან შედგება:

1. საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი ფუნქციები და ამოცანები; მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები.
2. საქართველოს თავდაცვის ზოგადი პრინციპები. პირდაპირი აგრესიის თავიდან აცილება და მისგან დაცვა.
3. ეროვნული სამხედრო სტრატეგიის მნიშვნელობა.
4. სტრატეგიული გარემოს ძირითადი ასპექტები; საფრთხეები და შეზღუდული შესაძლებლობები.
5. ეროვნული სამხედრო მიზნები; თავდაცვა; შეკავება და პრევენცია; მზადყოფნა; საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობა.
6. სამხედრო წარმატების აუცილებელი ფაქტორები. მოქნილობა; ერთიანი ოპერაციების წარმართვა; NATO_ სთან თავსებადობა; ქვეყნის თავდაცვისა და კრიზისების დროს მოქმედების დაგეგმვა; სამოქალაქო უწყებებისთვის დახმარების განწვევა; სადაზვერვო და ინფორმაციული შესაძლებლობები; შეიარაღებული ძალების სამომავლო ხედვა.

ამ დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ მინდა ვთქვა, რომ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა. საქმე გვაქვს ყოველგვარი მეთოდოლოგიური კვლევების გარეშე დაწერილ დოკუმენტთან. ამ დოკუმენტის შესახებ უარყოფითი რეცენზია სამხედრო ჟურნალისტმა თემურ ჩაჩანიძემ ჟურნალ „არსენალში“ დაწერა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აკადემია აპირებს ასევე უარყოფითი რეცენზიის გამოქვეყნებას.

ბოლოს მინდა, მკითხველს წარმოვუდგინო საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის 2006 წლის ამოცანები:

1. გაგრძელდეს მუშაობა წინა წლებიდან მომდინარე გარდამავალ პრობლემებზე.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბთან ერთობლივი თანამშრომლობით ჩატარდეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი სსმა-ს დაარსების ხუთი წლისთავისადმი;
3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსების მიღების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით საპროექტო წინადადებების წარდგენა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შესაბამის კონკურსზე.
4. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს, ალექსანდრე კუჭუხიძის ხელმძღვანელობით თბილისში მიმდინარე მუდმივმოქმედ საერთაშორისო სემინარზე სადისკუსიო მოხსენების წარდგენა თემაზე: „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“.

დღევანდელი

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების ნიჭისა და პატიოსნების მაღლი, სიბრძნე, გონიერება, ისტორიული ტრადიციებისადმი ერთგულება ჩვენ დაგვიბრუნებს მშვიდობიან და შინაარსიან ცხოვრებას ჭეშმარიტად განახლებულ და დამოუკიდებელ საქართველოში.

ხმა ერის გასაგონად ქართველი და აფხაზი ხალხების ბონიერება უნდა გაიმარჯვოს!

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმის მონაწილეთა მიმართვა აფხაზი და ქართველი ხალხებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში, მხოლოდ ერთიან და მძლავრ სახელმწიფოს შეუძლია დაიკავოს ღირსეული ადგილი ევროპის გამაერთიანებელ კონსტიტუციურ სივრცეში.

ისედაც პატარა სახელმწიფოს – საქართველოს დაქუცმაცება გამანადგურებელი განაჩენია არა მარტო ქართველების, არამედ აფხაზებისა და ოსებისათვისაც.

დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ, სახელდობრ, მაშინდელმა სამხედრო საბჭომ ვერ შეძლო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ღირებულებათა დაცვა და აფხაზეთი გაუგონარი და მიუღებელი გზით – ცეცხლითა და მახვილით ჩამოსცილდა მშობლიურ საქართველოს, დაიღვარა სისხლი, ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეენირა ამ საშინელებას.

დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ უმძიმესი დანაშაული იყო აფხაზი და ქართველი ხალხების დაპირისპირება. არამც და არამც, აფხაზებსა და ქართველებს ერთმანეთის სანინააღმდეგოდ

იარაღი არ უნდა აგველო! ახლა ქართველი და აფხაზი ხალხები ამას გრძნობენ და მწარედ განიცდიან კიდეც. თუმცა, იმ ავადასახსენებელ დღეებშიც ბევრმა აფხაზმა და ქართველმა იარაღს არ მოჰკიდა ხელი, განერიდა მკვლევლობებს და ბოროტებას.

მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, ჩვენ მაინც შევცდით და დღესაც გაოგნებული ვამბობთ: როგორ შეიძებოდა ჩვენს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღება?

სამწუხაროდ, რაც მოხდა მწარე სინამდვილეა და ვერაფერს შევცვლით, ახლა უმჯობესია ქრისტესმიერი მიმტევებლობა, შემწყნარებლობა გამოვიჩინოთ და შევუნდოთ ერთმანეთს.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყოფა უმძიმესია. სული იტანჯება, როცა შორსა ხარ და არ შეგიძლია იმ ადამიანების გვერდით იყო, რომლებიც შენთვის ესოდენ ახლობელი და სასურველი არიან.

ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტი მსოფლიოში პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ისტორიამ იცის არაერთი ასეთი კონფლიქტი, რომელიც მშვიდობიანი გზით მოგვარებულა.

ხალხმა უნდა აიძულოს საკუთარი მთავრობა, დაუხანებლად მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება. ამ საქმეში ნაცადი და გამართლებული ხერხია სახალხო დიპლომატია. სწორედ ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა უნდა შეძლონ საქართველოს ტერიტორიაზე დაამკვიდრონ ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის გარემო.

მოგმართავთ აფხაზ და ქართველ ხალხებს: დავდგეთ ერთმანეთის მხარდამხარ, გამოვიჩინოთ გულისხმიერება და მოვძებნოთ საერთო ენა, შევექმნათ აფხაზებისა და ქართველების ჰარმონიული ცხოვრების ატმოსფერო.

განსაკუთრებით მოგმართავთ აფხაზეთისა და საქართველოს უხუცეს ადამიანებს: თქვენი ბრძნულ გამოცდილება მოახმაროთ ჩვენს შორის კეთილი ურთიერთობის აღდგენას.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ჩვენი ხალხების წარმომადგენელთა სისტემატური შეხვედრები, დიალოგები. ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გადავწყვიტოთ!

ძვირფასო აფხაზებო! მინის გამო ნუ ვიდავებთ, საქართველო ხომ ჩვენიცაა და თქვენიც. გვერწმუნეთ, რომ საქართველოს მიწა-წყალი და-

საყოფი არ არის და იგი ქართველი და აფხაზი ხალხებისთვის სრულიად საკმარისია.

ჩვენი ერთიანი ცხოვრება ისტორიულმა ქართველებმა გარანდეს და დიდი ხანია ურთიერთობის შესანიშნავი ცხოვრებისეული გამოცდილება გაგვაჩნია, რაც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს კეთილ და ნათელ მომავალს.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების ნიჭისა და პატიოსნების მაღლი, სიბრძნე, გონიერება, ისტორიული ტრადიციებისადმი ერთგულება ჩვენ დაგვიბრუნებს მშვიდობიან და შინაარსიან ცხოვრებას ქვეყნისადმი განახლებულ და დამოუკიდებელ საქართველოში.

სრულიად საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმის სახელით:

ალექსანდრე კუჭუხიძე, ნოდარ ჭითანავა, იგორ კვესელავა, ლეო ჩიქავა, გივი კილასონია, ანზორ აბრალავა, პარმენ ლემონჯავა, დემურ ლალანიძე, გურამ ჯოლია, თამაზ იმედაძე, თამაზ დანელია, გივი კვიციანი, რომან კუჭუხიძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რევაზ გოგობია, მურმან ტურავა, გულთაზ ლაბარტყავა, თენგიზ ჭიაბრიშვილი, პავლე გარუჩავა, ლევან ბაღდავაძე, ნიკო ბაკაშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, დათო კურტანიძე, ჯემალ ჯინჯოლავა, ომარ შამათავა, ლენა ესაკია, ომარ დალაქიშვილი, ნოდარ ხუციშვილი, მანანა ასათიანი, ცისანა ბასილაშვილი, გიორგი ზღუდაძე, ჯონი ბიჭიაშვილი, პლატონ ქავთარაძე, რევაზ ფარჩულია, გიორგი შელია, გივი იასეშვილი, ივანე შენგელია.

საქართველოს ოფიცერთა კავშირის შექრებაზე

გივი იოსების ძე იასეშვილი,
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი.

ოცდამეერთე საუკუნე ინფორმაციული რევოლუციისა და უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაა და ჩვენი აკადემიის კოლექტივი მოვალეა, ამ გზას მიჰყვეს, ფუნდამენტური ხასიათის თეორიული და მეთოდოლოგიური მეცნიერული მუშაობის გარდა, თავის საქმიანობაში გამოიყენოს ახალი სამეცნიერო კვლევითი შედეგები, საკუთარი წვლილი შეიტანოს მათ დანერგვაში.

სწორედ ამაზე ილაპარაკეს ამას წინათ საზოგადოება „ცოდნის“ სხდომათა დარბაზში გამართულ საქართველოს ოფიცერთა კავშირის შეკრებაზე გენერალმა ვალერიან ქვარიამ, პოლკოვნიკებმა გივი ყუფუნიათ, იოსებ ბარნაბიშვილმა, გივი ლეფონავამ, გურგენ თოფურიამ და სხვებმა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ შეიმუშავა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (სეუკ), რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. მისი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასამაღლებლად აკადემიამ მოამზადა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, „ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი და საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია“.

სეუკ-სა და სამხედრო მეცნიერების აკადემიის მიერ დამუშავებულ საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციას შორის ორმაგი კავშირია. პირდაპირი კავშირით სეუკ-ი მხარს უჭერს ჩვენი აკადემიის სამეცნიერო პროფილს და აუცილებლად მიიჩნევს მის შემდგომ განვითარებას, ხოლო უკუკავშირით საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია სეუკ-ს ამაღლებს საერთაშორისო სტანდარტებამდე.

დაარსების საიუბილეო ხუთი წლისთავი აკადემიამ დაავიწყებინა მონოგრაფიით „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აკადემიის კოლექტივის თითოეული წევრის ინტელექტუალუ-

რი შრომითი წვლილია ჩაქსოვილი და დღეს იგი აკადემიის საერთაშორისო სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. მონოგრაფიის მოკლე ანოტაციაში საუბარია სამხედრო მეცნიერებასა და იდეოლოგიაზე, ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნებაზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესსა და სამხედრო ტექნიკურ რევოლუციაზე, ჯარების მართვის თეორიაზე...

საბრძოლო მოქმედებები გახდა უფრო დაძაბული და მაღალტემპიანი. ეს მოითხოვს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის მოქმედებათა კოორდინაციისა და ურთიერთქმედების გაძლიერებას. მათი წარმატებით განხორციელების ძირითადი პირობებია მონინალმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მიღწევა, ჯარების სტრატეგიული და ტაქტიკური მობილურობის ამაღლება და აგრეთვე ზურგის უზრუნველყოფის ეფექტურობის გაზრდა. პრიორიტეტულია მაღალი სიზუსტის შეიარაღება. მისი მოქმედება ემყარება ახალ ფიზიკურ პრინციპებსა და ინტელექტუალურ საშუალებებს.

განსვენებული აკადემიკოსი ირაკლი ჯორჯაძე ბრძანებდა, რომ უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქართველ ხალხს ყოველთვის გააჩნდა შრომის, ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების ეროვნული მოდელი, რომელიც თაობიდან თაობას ესტაფეტად გადაეცემოდა. უამისოდ ჩვენ ვერ გადავურჩებოდით ავბედით ისტორიულ ქართველებს და არც სახელმწიფოებრიობა გვექნებოდა.

ამ უკვდავი ეროვნული ბრძოლისუნარიანი ტრადიციის შემდგომ გაგრძელებასა და შემოქმედებით ინტელექტუალურ გაღრმავებაზეა შექმნილი აკადემიკოს ლეო ჩიქავას ახალი მონოგრაფია – „ინოვაციური ეკონომიკა“. ამ მონოგრაფიაში ავტორი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს აყენებს და ენერგიულად ეძებს მათი გადაწყვეტისა და თავიდან აცილების გზებს.

ძირითად მიმართულებებს შორის, რომელთაც ძალუძთ ცივილიზაციის მყარი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, აღსანიშნავია მასობრივი მოსპობის იარაღის მარაგის განადგურება, თერმობირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილება და გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან.

ზემოთაღნიშნული პირობები აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისია. უმთარესია სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის მეორე თაობის განვითარება, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციული რევოლუციით გამოწვეულ პრინციპულად ახალ სახეობას.

სასურველია, ამ გლობალურ საკაცობრიო მიზნის სამსახურში საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიაც თავის სათქმელს ამბობდეს...

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა

გივი იოსების ძე იასეშვილი,

საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის
მეცნიერებათა დოქტორი.

დღევანდელი საქართველოსთვის აქტუალურ თემაზე „საქართველო – ნატო“ ორჯერ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შედეგად შექმნილი გამოცდილებისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო პოლიტიკური კვლევების აკადემია (რექტორი – გენერალ-ლეიტენანტი იური ნებიერიძე), სამხედრო მეცნიერების აკადემიასთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ნატოში ინტეგრაციის მიზნით, ყოველთვიურად ატარებს „მრგვალ მაგიდას“, რომელიც მრავალეროვანი სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების შესანიშნავი მაგალითია.

სამხედრო მეცნიერებთან მუშაობის მეთოდებს შორის სიახლეების ძებნისა და დანერგვის მიზნით პირველი ღონისძიება თბილისის ქაღრაკის სასახლეში გაიმართა.

მეორე – 29 ნოემბერს, მორიგი, მესამე შეხვედრა კი 2009 წლის 1 თებერვალს დავეგემეთ.

„მრგვალი მაგიდის“ მიზანია, საბოლოოდ დაადგინოს, ვისთან სჯობს თანამშრომლობა – აშშ-თან თუ რუსეთთან? იქნებ ნეიტრალიტეტი? ჭეშმარიტება ხომ კამათში და აზრთა ურთიერთგაზიარება-შეჯერებაში იბადება. მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებული ვარიანტები, ანუ მოსალოდნელი ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური შედეგები გაეცნობა სამეცნიერო აკადემიების წევრებს და, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობას, მოხსენდება ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ხელისუფლებას.

სამხედრო მეცნიერების წარმომადგენელთა პოტენციური სათანადოდ არ არის შეფასებული

„სწორება ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიაზე!“ – ამ მოთხოვნით დაიწყო 24 სექტემბერს თსუ-ში რესპუბლიკური სემინარი საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა გივი იასეშვილმა, რომელმაც წარმოადგინა თემა: „სამხედრო მეცნიერების და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“ (მონოგრაფია). მას საფუძვლად დაედო გენერალსიმუსის იოსებ სტალინის განმარტება სამხედრო მეცნიერებაზე.

თამარ მარუაშვილი

ეს მონოგრაფია კოლექტიური ავტორობით წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსზე ნობელის პრემიის მოსაპოვებლად.

იუნესკოს გადანყვეტილებით, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება, რომლის პრეზიდენტია პროფესორი რაფიელ ჩიქოვანი, ა.წ. 10 ნომბერს ტრადიციულად ატარებს მეცნიერების დღეს. ამ დღეს მოხდება წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მინიჭება, სადაც საზოგადოების სამსჯავროზე ზემოთ ნახსენები მონოგრაფია განიხილება.

მონოგრაფიის თემა დღეს ძალიან აქტუალურია, რადგან ჩვენმა ქვეყანამ სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ურთულესი პერიოდი გადაიტანა, რომელიც დღესაც გრძელდება.

ავგისტოს მოვლენებმა ნათლად დაგვანახა სამხედრო ხელოვნების, სამხედრო მეცნიერების განვითარებისა და გაძლიერების უდიდესი მნიშვნელობა და საბრძოლო ოპერაციებში მისი დანერგვის აუცილებლობა. სამხედრო ხელოვნების განვითარება დამოკიდებულია ეკონო-

მიკის დონეზე, საზოგადოებრივი წყობის ხასიათზე. ომის წარმართვის ხერხები დამოკიდებულია მატერიალურ, ე.ი. ეკონომიკურ პირობებზე, ადამიანებსა და საბრძოლო იარაღზე, მაშასადამე, მოსახლეობის თვისებებსა და რაოდენობაზე, სამხედრო ტექნიკაზე.

მონოგრაფია იწყება სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის უკანასკნელი გენერალისიმუსის იოსებ სტალინის განმარტებით სამხედრო მეცნიერების თაობაზე და სავალდებულო კავშირებზე მეცნიერების სხვა დარგებთან, განსაკუთრებით კი, ეკონომიკურ მეცნიერებასთან. მასში წერია:

„არ შეიძლება სამხედრო მეცნიერების გაიგივება სამხედრო ხელოვნებასთან. სამხედრო მეცნიერება ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. სამხედრო მეცნიერება მოიცავს, აგრეთვე, სამხედრო ტექნიკასაც. ის სამხედრო მეცნიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამხედრო ხელოვნება მოიცავს ტაქტიკას, ოპერატიულ ხელოვნებასა და სტრატეგიას. ანუ სამხედრო ხელოვნება სწავლობს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო მოქმედებებისა და, საერთოდ, ომის წარმოებასთან. სამხედრო მეცნიერება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც სამხედრო ხელოვნებაში შედის, იკვლევს ასევე ქვეყნის ეკონომიკის საკითხებს, მის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. მხოლოდ სამხედრო მეცნიერების დასახელებული ყველა დარგის ცოდნისა და მისი სწორად გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი – ომში გამარჯვების იმედი ვიქონიოთ“.

წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად, მონოგრაფია, მსოფლიოში პირველად, დამუშავებულია სამხედრო მეცნიერებისა (ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება) და ეკონომიკური მეცნიერების (ინოვაციური ინფორმაციული ეკონომიკის) გადაკვეთის ზღვარზე, რომელთა შორის ორმაგი კავშირია. თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ეკონომიკის განვითარების პირადპირპროპორციულია, ხოლო გაძლიერებული სამხედრო კომპლექსი უკუკავშირით თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის დამატებით განვითარებას იწვევს.

ბატონმა გივი იასეშვილმა მოხსენება თემაზე: „დიდი სამამულო ომის და მომავალი არატრადიციული ომები“, 2005 წლის 9 მაისს, დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო რესპუბლიკურ სემინარზე წარმოადგინა.

გივი იასეშვილმა წლების განმავლობაში შეძლო დაუღალავი შრომით ირგვლივ შემოეკრიბა სამხედრო მეცნიერების ენთუზიასტები და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ამ დარგის განვითარების საქმეში.

მონოგრაფიაში მოცემულია მეორე მსოფლიო ომის შეიარაღებული ბრძოლების გრანდიოზული მასშტაბები და მისი მეცნიერულად დასაბუთებული ტრანსფორმაცია სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის მეორე თაობის ამოცანების ჩათვლით, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული სამხედრო-ინფორმაციული აღმშენებლობის პერსპექტიულ ამოცანებსაც ითვალისწინებს.

მონოგრაფიის ქვეშ გაერთიანდა სამხედრო მეცნიერების დოქტორის, გენერალ-მაიორის ელგუჯა მეძმარიაშვილის მონოგრაფია: „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“. მასში სიღრმისეულად არის წარმოდგენილი ასიმეტრიული სამხედრო დაპირისპირების თეორია. გადმოცემულია სამხედრო-საინჟინრო დარგის მთლიანი კონცეფცია საბრძოლო ხელოვნების, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, საიარალო გარემოსა და თვით საგანგებო სიტუაციების გათვალისწინებით.

გივი იასეშვილს მონოგრაფიაში შესწავლილი, გაანალიზებული და გამოყენებული აქვს აკადემიკოსების: შოთა ნადირაშვილის, ლეო ჩიქავას, ალექსანდრე კუჭუხიძის, პოლკოვნიკ გივი ლეფონავას, პროფესორების: გულაბერ ანანიაშვილისა და გამარლი დოხნაძის მონოგრაფიები, საიუბილეო გამოცემები და სამეცნიერო მოხსენებები.

სემინარს ესწრებოდნენ სამხედრო მეცნიერების დოქტორები: გივი

ბარკალაია და გამარლი დოხნაძე, რომლებმაც პირობა დადეს, რომ მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ აუცილებლად ისაუბრებენ მის შინაარსობრივ მეცნიერულ დონესა და ხარისხზე.

სემინარზე კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი, რომ საზოგადოება უფრო მეტად უნდა იყოს ინფორმირებული სამხედრო ხელოვნებისა და მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

დღეს საქართველოს სამხედრო მეცნიერებისა და თეორიის საუკეთესო სპეციალისტები ჰყავს, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას დიდი ენთუზიაზმით გადასცემენ მომავალ თაობებს, მაგრამ სამწუხაროდ, მათი მეცნიერული პოტენციალი დღესდღეობით არ არის სათანადოდ შეფასებული, რეალიზებული და საბრძოლო ოპერაციებში დანერგილი, რაც სულ ცოტა ხნის წინ დატრიალებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა.

ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი მონოგრაფია არა მარტო სამხედრო სპეციალისტების, არამედ ფართო საზოგადოების დიდ ყურადღებასა და ინტერესს გამოიწვევს და გახდება ობიექტური მსჯელობისა და სიღრმისეული შეფასებების საგანი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N 32(6133),
20 თებერვალი, 2009 წელი.

სამხედრო საქმე
კარგი ტრადიცია გრძელდება

გივი იოსების ძე იასეშვილი
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი, პოლკოვნიკი.

როგორც ეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თებერვალში თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემიის რექტორის, გენერალ-ლეიტენანტ იური ნებიერიძის და საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით შეიკრიბა მორიგი „მრგვალი მაგიდა“ თემაზე – „აშშ-ის ახალი პრეზიდენტის პოლიტიკა და საქართველოს ამოცანები“.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე იური ნებიერიძე, მისი პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი აკაკი მთიულიშვილი, პროფესორი მერაბ ჯიბლაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ფერიაშვილი, პროფესორი დავით ქევხიშვილი, პროფესორი ანატოლი მიხაილოვი, მწერალი გივი სომხიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

2008 წლის მიწურულს აშშ-ში რესპუბლიკური პარტიის მმართველობა შეიცვალა დემოკრატიული პარტიის მმართველობით. არჩევნებში გამარჯვებით ბარაკ ობამამ დაასრულა ჯორჯ ბუში-უმცროსის რვანლიანი მმართველობა და გახდა მსოფლიოს სუპერ-სახელმწიფოს ლიდერი. ასაკოვანმა და ინოვაციურმა თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეთსმა უპრობლემოდ შეინარჩუნა თანამდებობა ახალ დემოკრატიულ ხელისუფლებაში. ძალაში დარჩა ინოვაციური ეკონომიკისა და ინოვაციური

შეიარაღებული ძალების ერთდროული მშენებლობის სტრატეგიული კურსი.

როგორც აშშ-ის განვითარების მრავალწლიანი ისტორია ცხადყოფს, ქვეყნის სათავეში რესპუბლიკელი და დემოკრატიული ლიდერების ცვლილებებით ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო-პოლიტიკური განვითარების მთავარი ვექტორი არსებითად არ იცვლება. იგი უფრო იხვეწება და მობილური ხდება.

2008 წლის აგვისტოში მომხდარმა საქართველო-რუსეთის 5-დღიანმა ომმა უმძიმესი პრობლემები დაგვიტოვა, რომელთა კომპლექსური გადაწყვეტა თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად საქართველოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, N3(2085),
6 მარტი, 2009 წელი.

გადათარგმნილია ინგლისურ ენაზე

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის 2008 წლის ანგარიში

სამეცნიერო ანგარიში ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **ლეო ჩიქავას** დაბადების 80 წლის თავს. დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტმა გივი იასეშვილმა აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2008 წლის შედეგების და მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება წაიკითხა. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომის პრეზენტაცია თსუ-ში 4 თებერვალს გაიმართა. პრეზენტაციას სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრები, სამხედრო ექსპერტები და თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

ნატო ობოლაცე

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტის გივი იოსების ძე იასეშვილის 2008 წლის შემაჯამებელ მოხსენებაში გასული წლის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენა შევიდა. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო 2008 წლის აგვისტოს ომის თანმდევი მოვლენების მიმოხილვა-ანალიზი გახლდათ.

გივი იოსების ძე იასეშვილის აზრით, რუსეთ-საქართველოს ომში ქართული მხარის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი სამხედრო სისტემის შიდა სამხარეულოს მოუწესრიგებლობა გახდა და ეს პრობლემა

2009 წელს აუცილებლად უნდა მოგვარდეს. „ამ ომში გამოაშკარავდა საქართველოს არმიის ყველაზე დიდი და მთავარი პრობლემა - სხვადასხვა დონეზე მართვის ნაკლოვანებები. სწორედ საბრძოლო დანაყოფების მართვაში არსებულმა ხარვეზებმა გაართულა არათუ სტრატეგიული, არამედ ტაქტიკური გამარჯვების მიღწევა, რასაც კავშირგაბმულობის ცუდი მუშაობაც დაემატა“, – აღნიშნავს გივი იოსების ძე იასეშვილი. საქართველოს თავდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად იგი თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის გაერთიანების იდეასაც აყენებს, რასაც ქვეყნის თავდაცვის კუთხით გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მიიჩნევს.

სამეცნიერო ნაშრომში „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2008 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“, ასევე, საუბარია საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვის რამდენიმე მექანიზმის თაობაზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში, გივი იოსების ძე იასეშვილის მოსაზრებით, ქვეყნის საჰაერო თავდაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერდება. ნაშრომის ავტორს მხედველობაში აქვს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრის ამირან სალუქვაძის შედგენილი „საჰაერო თავდაცვის სისტემის ეტაპობრივი განვითარების მეთოდისა და რეკომენდაციები“, რის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორია საჰაერო თავდაცვის რამდენიმე სექტორად უნდა დაიყოს და რომლებსაც სათავეში სექტორის მეთაური ჩაუდგება. მთელი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის საკითხზე კი პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვის სარდალს დაეკისრება. საჰაერო თავდაცვის პროექტის ავტორი გამანადგურებელი ავიაციის, საზენიტო-სარაკეტო ჯარების და საჯარისო საჰაერო თავდაცვის გასავითარებლად ერთიანი სახელმწიფო პროგრამის ჩამოყალიბების იდეასაც აყენებს.

გივი იოსების ძე იასეშვილის სამეცნიერო მოხსენებაში საქართველოში 2008 წელს მომხდარი თითქმის ყველა პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელოვანი მოვლენა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის მოცემული, მათ შორის საქართველოს სამხედრო აკადემიის წევრების საქმიანობა, საქართველოს სამხედრო სფეროში მიმდინარე რეფორმის დეტალები და, ასევე, საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის გასაგ-

ლელი ეტაპები, თუმცა ავტორი სამხედრო ალიანსში განვერიანების პერსპექტივის შესახებ პროგნოზის გაკეთებისგან თავს იკავებს და ძირითადი აქცენტი ფაქტების კიდევ ერთხელ გახმინებაზე აქვს გადატანილი.

2008 წლის შემავამებელი მოხსენების პრეზენტაციაზე გივი იასეშვილიმა საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის 2009 წლის საქმიანობის გეგმაც წარმოადგინა, სადაც აკადემიის მომავალი მუშაობის მთავარი მიზნებია განერილი. საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია მიმდინარე წელს აკადემიის წევრების გივი იოსების ძე იასეშვილის, შოთა ნადირაშვილის, ლეო ჩიქავას, ალექსანდრე კუჭუხიძის, გივი ლეფონავას, გულაბერ ანანიაშვილის და გამარლი დოსნაძის კოლექტიური ავტორობით დაწერილი მონოგრაფიის „სამხედრო მეცნიერების და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგიის“ გამოქვეყნებას და ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის კონკურსზე მის წარდგენას გეგმავს. ასევე, გამოიცემა კრებული, რომელიც მიძღვნილია სამხედრო მეცნიერების აკადემიის დაარსებიდან 10 წლისთავისადმი. საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავს თემაზე: „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ორგანიზაციული და სამეცნიერო მუშაობის 1999-2009 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“, - აღნიშნულია ნაშრომში.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, რომელიც 2009 წელს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიამ შესასრულებლად დაისახა, საკანონმდებლო ფუნქციის მოპოვებაა. საკანონმდებლო სტატუსი საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიას ახალ ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს შესძენს. ამ მიმართულებით საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის წევრები უკვე აქტიურად მუშაობენ.

თავი მეექვსე

აკადემიის წევრების მიერ ჟურნალისტებისთვის მიცემული ინტერვიუები

„კვირის პალიტრა“, N9, 3-9 მარტი, 2008 წელი

კახა კაციტაძე

ეს არის სსმა-ს საერთო პოზიცია, რადგან ბატონი კახა კაციტაძე სსმა-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრია.

„ერთია პლიცკრიზის დაგეგმვა და მორე მისი განსოციალება“

სომხეთის გენერალური შტაბის უფროსის განცხადებით, ჯარის რეაქცია უღმობელი და ელვისებური იქნება მოსახლეობის ყველაზე მცირე ჯგუფის შეკრების, ყველაზე მცირე საექვო შემთხვევაშიც კი...

როდესაც ერევანში განვითარებულ მოვლენებს ვადევნებთ თვალყურს, ალბათ ბევრ ჩვენგანს გაუჩნდება განცდა, თუ რას გადაურჩა საქართველო ნოემბრის დღეებში. თუმცა ის ფაქტი, რომ თბილისში არათუ სისხლი არ დაღვრილა, არამედ საზოგადოებრივი თუ კერძო ქონებაც კი არ დაზარალებულა, უფრო მეტად თვით საზოგადოების შეგნების დამსახურება უნდა იყოს, ვიდრე ხელისუფლების თუ სამართალდამცველთა მოქმედებისა. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელთ თანამოქალაქეები დაინდეს ან მათდამი გულისხმიერება გამოიჩინეს... ერთი შეხედვით, ქართული პოლიტიკა თანდათან სტაბილიზაციის ფარგლებს უბრუნდება. თუმცა რის ფასად და როგორ, ეს კიდევ საკითხავია. საზოგადოებაში ოპოზიციისადმი თანდათან იზრდება უნდობლობა და სკეპტიციზმი, მაგრამ არ ვფიქრობთ, ამის გამო ხელისუფლების გახარება ღირდეს. პირიქით, თუ ვითარება სოციალურ და სამართლებრივ სფეროში რადიკალურად არ გაუმჯობესდა, მოსახლეობის უკმაყოფილება

კვლავაც უკმაყოფილებად დარჩება და თანაც, ოპოზიციის კოორდინაციის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მისი საპროტესტო გამოსვლები უკვე უმართავ სახეს მიიღებს.

სიტუაცია საკმაოდ დაძაბული და საგანგაშოა აფხაზეთის რეგიონშიც. როგორც ჩანს, რუსეთმა სხვაგვარი მოქმედების გეგმა არჩია. ერთი მხრივ, პუტინი და მისი მაღალჩინოსნები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ადასტურებენ და კოსოვოს პრეცედენტით შურისძიებას არ აპირებენ, მეორე მხრივ, აფხაზი სეპარატისტები პროვოკაციული ქმედებებით ცდილობენ საქართველო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრიონ. დღეს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები საარჩევნო ციებ-ცხელებაშია ჩართული, ევროკავშირი კი კოსოვოსა და სერბეთში მიმდინარე მოვლენებს შიშით აანალიზებს, საქართველოს წარმოქმნილ საომარ ვითარებაში დასავლეთის სახით მოკავშირე პრაქტიკულად არ ეყოლება.

უფრო დეტალურად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ასპექტებზე, ასევე ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე პოლიტოლოგ კახა კაციტაძეს ვესაუბრებით:

– აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველი ჟურნალისტის დაკავებამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კიდევ უფრო დიდი ესკალაცია გამოიწვია. როგორი იქნება თქვენი პროგნოზი იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდა?

– ამ საკითხს რამდენიმე ასპექტი აქვს და ვშიშობ, საქართველოს სასარგებლოდ არც ერთი არ მეტყველებს. თავდაპირველად, მინდა საყოველთაოდ ცნობილი აქსიომა შეგახსენოთ – როგორი შეიარაღებული და განვრთნილი არმიაც არ უნდა გყავდეს, თუ ომის მოგება პოლიტიკურად არ არის მომზადებული, ვერ მოიგებ. ერთ ისტორიულ ამბავს გავიხსენებ – ცნობილი სუეცის კონფლიქტის დროს, 1956 წელს, ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა ერთობლივი საბრძოლო ოპერაცია წამოიწიეს ეგვიპტის წინააღმდეგ. დამეთანხმებით და საკამათო არ უნდა იყოს, რომ თეორიული ძალთა თანაფარდობის მიხედვით, ეგვიპტეს ამ ომის მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მაშინ ისე მოხდა, რომ ეგვიპტის მხარეს ერთდროულად

აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებს მთელი ოპერაცია ბრწყინვალედ ჰქონდათ დაგეგმილი და ძალებიც საკმარისზე მეტი ჰყავდათ, იძულებულნი გახდნენ, საბრძოლო მოქმედებები შეენწყვიტათ. ამ ომის შესახებ გაერთიანებული არმიის ხელმძღვანელი, ინგლისელი ადმირალი, რომლის კოდური სახელწოდებაც „მუშკეტერი“ გახლდათ, მოგვიანებით იხსენებდა: – რაც უნდა კარგად გვეომა, ეგვიპტეს ვერ მოვუგებდით, რადგან პოლიტიკურად ომი იმთავითვე წაგებული იყო. ახლაც, ამ ომში, თუ ის დაიწყო, პლიტიკურად თავიდანვე წაგებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რადგან სამხრეთ კავკასიაში სისხლის ღვრის ახალი კერის აღმოცენება არც ამერიკის შეერთებული შტატებისთვისა ხელსაყრელი და არც ევროგაერთიანებისთვის. ბუნებრივია, არც რუსეთს წაადგება აფხაზი სეპარატისტების საბოლოო მარცხი. ამგვარად, გამოდის, რომ საქართველოს ამ ომში მოკავშირე არ ეყოლება, მონინალმდევე კი რამდენიმე და სხვადასხვაგვარი... ევროპა-ამერიკის პოლიტიკურ მხარდაჭერას დავეკარგავთ, რუსეთი კი აფხაზებს ტრადიციული მეთოდით – ინსტრუქტორებითა და შეიარაღებით დაეხმარება. ამას დაუმატეთ ზოგადად ჩრდილო კავკასიის ფაქტორი. ასე რომ, თუ დღეს ვინმეს სურს საქართველო საომარ მოქმედებამდე მიიყვანოს, პირდაპირ გეტყვი, ის ან ბრიყვია, ან მოლაღატე...

– შესაძლებელია, ვინმეს ამ ომის ბლიცკრიგით მოგება სურდეს... გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთში გაითიშა სატელეფონო კავშირი, შეფერხებით მუშაობს ფიჭური კავშირგაბმულობაც... რამდენად აქვს ქართულ მხარეს ასეთი შესაძლებლობები და რესურსები – უმოკლეს დროში ომის ელვისებურად დამთავრებისა?

– რადიოელექტრონული ჩახშობა ალბათ შესაძლებელია. რა თქმა უნდა, არა ისეთი, ერაცს რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუკეთა – მაშინ იმხელა სიმძლავრის ჩახშობები განხორციელდა, ტელეფონები როსტოვამდე გაითიშა... მაგრამ ბლიცკრიგი მხოლოდ ამას არ ნიშნავს. რაც სიღრმისეულია, კონფიდენციალური და ექსპერტისთვის თვალსაჩინო, ბუნებრივია, ყველაფერს ვერ გეტყვი, თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ ძალზე მარტივად, ზედაპირზევია. ზოგადად, ბლიც-

კრიგი ძალზე რთული დასაგეგმია, რადგან ეს უნდა იყოს ელვისებური და ერთობლივი მოქმედება სხვადასხვა სახეობის ჯარებისა – ანუ აქ ზეაღმატებულ კოორდინაციასთან უნდა გვექონდეს საქმე, რადგან შეტევები ერთობლივად და ერთნაირად სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიმართულებებით უნდა განხორციელდეს. თანაც, ეს ყველაფერი ძალიან დიდი სიღრმეში და რაც მთავარია, რთულ გეოგრაფიულ პირობებში უნდა წარიმართოს. რასაკვირველია, ცალკეულ პირთა კომპეტენციას ეჭვქვეშ არ დავაყენებ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შტაბს რამდენად ხელენიფება ასეთი გეგმის განხორციელება, ამის კომენტარებისგან მაინც თავს შევიკავებდი... არაფერს ვამბობ მის ცხოვრებაში გატარებაზე, თუგინდ, დაგეგმვის დონეზეც რომ განხორციელდეს ეს ბლიცკრიგი. ჩვენს მოსახლეობას რომ გამოწყობილ და შეიარაღებულ ჯარებს აჩვენებენ, რეალური საბრძოლო მოქმედებებისთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ასეთ სიტუაციაში უზარმაზარი მნიშვნელობა საბრძოლო გამოცდილებას ენიჭება. რამდენადაც მახსოვს, ჩვენს არმიას ასეთი გამოცდილება ჯერჯერობით არ გააჩნია, გარდა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობისა.

– ამ ტექნიკური, რეალური შესაძლებლობების მიღმა, პოლიტიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, რამდენად რეალურია შანსი იმისა, რომ საქართველოს ბლიცკრიგში მიღწეული სტატუსკვო „შერჩეს“ იმავე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან?

– ესეც ცალკე საკითხია. ჯერ ერთი, რომც გავიდეთ ფსოუზე, რას ვიზამთ, აფხაზებს გენოციდს მოვუწყობთ? ასეთ დაპირისპირებას არც ერთი დასავლური ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია არ მოგვითმენს. ესე იგი, რალაცნაირად უნდა შევთანხმდეთ. **გამოდის, რომ ერთია ომის პოლიტიკურად მომზადება, მეორეა თავად ომის დაგეგმვა და წარმართვა და მესამე ამ შეთანხმების მიღწევა, ანუ ომის შემდგომი სიტუაციის მონესრიგება, რაც არანაკლები სირთულისა იქნება, ვიდრე წინა ორი ეტაპი.** როგორც ვთქვით, გენოციდი ყოვლად გაუმართლებელი და მიღებულია. თუ ცოცხალი დატოვე და წინააღმდეგობა გაგრძელდა, მაშინ იქ დიდი ჯარი უნდა დატოვო, იმავე აშშ-ის გამოცდილებით რომ ვიმსჯელოთ, პარტიზანული ომის წარმატებული

განვითარება არათუ საქართველოს, ზესახელმწიფოებსაც უჭირთ – არა მხოლოდ ფიზიკური რესურსები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არამედ ფინანსური რესურსების თვალსაზრისითაც.

– კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მისი აღიარების შემდეგ საქართველოში შიშნარევი პროგნოზები გამოითქმოდა. თუმცა რუსეთმა პირდაპირი კონფრონტაციისგან თავი შეიკავა. როგორც ჩანს, ქართველი ჟურნალისტის დაკავება და საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობაც ჩრდილოეთიდან წამოსული გეგმის ნაწილია.

– თუ ასეა, მით უფრო მეტი თავშეკავებისა და პასუხისმგებლობის გამოჩენაა საჭირო. რა მნიშვნელობა აქვს, ვერაგი მტერი დააზარალებს ქვეყანას თუ სულელი მოკეთე? შესაძლებელია, სამივე მხარეს იყოს ძალები, ანუ – რუსეთშიც, საქართველოშიც და აფხაზეთშიც, რომელთაც ომის გაჩაღება სურთ...

– თქვენი აზრით, რით შეიძლება დასრულდეს ეს ამბავი?

– მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ უდანაშაულო ჟურნალისტს, ბოლოს და ბოლოს, უვნებელს გამოუშვებენ აფხაზები და კონფლიქტიც ამით ამოიწურება.

– რაც შეეხება ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არსებულ ვითარებას – თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობს ხელს ოპოზიციის არჩევნებში წარმატებას რესპუბლიკელთა გამოსვლა ეროვნული საბჭოდან?

– არა მგონია, ამან ოპოზიციის წარმატებას შეუწყოს ხელი. ჩემი მხრიდან ამაზე კომენტარი შესაძლოა, გარკვეულწილად, არაკორექტული იყოს, მაგრამ ჩემი, როგორც პოლიტოლოგის მოსაზრება, რომ რაც უფრო კონსოლიდირებული იქნებოდა ოპოზიცია, მით უფრო მეტი იქნებოდა წარმატების შანსი. საპრეზიდენტო არჩევნების დროს მე სხვაგვარი მოსაზრებები მქონდა – იქ ყველანაირ და ყველა ტიპის ამომრჩევლისა და ელექტორატისთვის ბრძოლა იყო საჭირო. ამ შემთხვევაში კი ოპოზიციისთვის ხმათა უმრავლესობის მოპოვება ძალზე ძნელი იქნება...

– ბოლოხანს ქართულ პრესაში ოპოზიციისადმი გამოთქმული

საყვედურები მომრავლდა იმასთან დაკავშირებით, რომ ნაკლებად კრიტიკულები არიან და უარს ამბობენ მანიფესტაციებზე. მეტიც, გასულ კვირაში მოქალაქეთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა საპროტესტო მსვლელობაც გამართა, რაც ბოლოს რესპუბლიკის მოედანზე სიმბოლური კარვის დადგმითა და ნაგვის ყუთის დატოვებითაც დასრულდა. მავანთა აზრით, ეს ხელისუფლების მიერ ორგანიზებული აქცია იყო, რაც ოპოზიციის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად...

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ოპოზიციისადმი ხალხში ზომიერად მეტი მოლოდინი იყო. ჯერ კიდევ ნოემბრის აქციების დროსაც კი, ხალხს კარგად არ ჰქონდა გააზრებული, რა უნდა ექნა. მივიდოდა ასი ან ორასი ათასი კაცი რუსთაველზე და ხელისუფლება ნავიდოდა? იანვრის ბოლოს კიდევ უფრო დიდი მოლოდინი იყო, მაგრამ აქცია დაიშალა და ხალხი ბევრად უფრო რადიკალურად განწყობილი აღმოჩნდა, ვიდრე ოპოზიცია იყო. ამას შედეგად დიდი იმედგაცრუება მოჰყვა. ბუნებრივია, ხელისუფლება ცდილობს, ეს ფაქტორი გამოიყენოს და ყველანაირად შეუწყოს ხელი ოპოზიციის დისკრედიტაციას მოსახლეობის თვალში.

– მით უმეტეს, თუ იმედგაცრუება კიდევ უფრო გაიზარდა, ხალხის განწყობაც ხელისუფლებისადმი უცვლელი დარჩება – თუ კიდევ უფრო არ დამძიმდა და გაუარესდა. ასეთ შემთხვევაში, თუ ოპოზიციას ნდობა აღარ ექნება, ხომ შეიძლება პროცესები უმართავი გახდეს და ხალხი სპონტანურად გამოვიდეს ქუჩაში?

– ცუდია, რომ ეს კითხვა ხელისუფლებაში არავის უჩნდება. სპონტანურად პროტესტი ყოველთვის უფრო საშიშია, ვიდრე ორგანიზებული, რადგან ასეთ შემთხვევაში რალაც კომპრომისზე მოლაპარაკება მაინც შეიძლება. მაგრამ როდესაც მოვლენები ქაოსურად ვითარდება, ბუნებრივია, მოლაპარაკებათა გამართვაც შეუძლებელი იქნება. ეს მეზობელი სომხეთის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა. იქ თავიდან პროცესები თითქოს ოპოზიციისთვის დათმობებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კონტროლიდან გამოვიდა და დღეს უაღრესად რთული ვითარებაა. სხვათა შორის, ერევანს რომ ვუყურებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ჩვენი ხალხის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ სიმწიფეში – მიუხე-

დავად დიდი დაძაბულობისა და საფრთხისა, საამაყო, რომ შესაშური თავშეკავება გამოიჩინეს და ქალაქში ერთი ვიტრინაც არ ჩამსხვრეულა, არაფერს ვამბობ მანქანების დალენვაზე. ბელგრადიდან ერევნამდე კარგად ვხედავთ, რა ხდება. თუმცა პოლიტიკური სიტუაციების გათვალისწინებით, კალაპოტიდან ამოვარდნის საფრთხე საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს. სომხეთის მაგალითმა გვაჩვენა, რომ რაც უფრო დიდხანს ითმენს საზოგადოება, მით უფრო სასტიკია შემდეგ მის მიერ აღშფოთებისა და პროტესტის გამოხატვის ფორმები. გასაკვირია ჩვენი ხელისუფლების ინდიფერენტულობაც. ნუთუ არავისა აქვს შესაბამის ანალიზის უნარი, რომ ეს საფრთხე წინასწარ განჭვრიტონ და შესაბამისად იმოქმედონ – თუნდაც, დათმობებისა და კომპრომისების სახით? ნუთუ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში არ შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, რაც შემდეგ, ნოემბერში მოხდა? ახლა რომ დადიან და უკვე მართლა დასანგრევ გარაჟებს აკანონებენ, ეს არის საქმე? **საუბრის დასაწყისში აფხაზეთთან ომის შესაძლო შედეგებზე მეკითხებოდით. რა ომის დაგეგმვაზეა საუბარი, როცა ხელისუფლებას ელემენტარული სოციალური საკითხების დაგეგმვა და ანალიზი ვერ გაუკეთებია?**

დაჩი გრძელიშვილი

რამაზ საყვარელიძე

**„გაზაფხული პოლიტიკურად ქალზე თბილი,
ზაფხული კი ქალიან ცხელი გვიქმნება“**

ახალ წელს, ტრადიციულად, ახალი იმედებითა და ოპტიმისტური განწყობით ვხვდებით. თუმცა საფრთხის შეგრძნებაც არ გვტოვებს – როგორ აისახება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოსა და შესაბამისად, თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობაზე... ჯერჯერობით, კრიზისმა თავისი კვალი მეზობელ რუსეთს უფრო დაატყო, მაგრამ არც ეს გვაძლევს თავის დამშვიდების საფუძველს. ლოგიკური მიდგომით ხომ ვერასდროს გაიგებ, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს რა უნდა და რას აკეთებს. კრემლის მესვეურთა საახალწლო განცხადებები იმით დაიწყო, რომ უკრაინას „გაზის ქურდობა“ დააბრალეს, აქაოდა, მის ტერიტორიაზე გამავალი აირსადენიდან გაზს არაკეთილსინდისიერად განკარგავს და ევროკავშირს ბუნებრივი აირი იმიტომაც აკლდებაო. თუმცა, ეს ოფიციალური განცხადებებიდან არც ჩანს. არაოფიციალურად კი, კაცმა არ იცის, რა გაცხოველებული ვაჭრობა თუ მოლაპარაკებები შეიძლება ჰქონდეთ მოსკოვსა და ევროკავშირს – მათ შორის, საქართველოს თემზეც. საქართველოში ომამდელი სტატუს-კვო ჯერჯერობით აღდგენილი არ არის – რუსი ჯარისკაცები ისევ იქ დგანან, სადაც იდგნენ და ისევ ისე, როგორც იდგნენ – მშვირები და უჯამაგროები...

ახალი წლის პროგნოზებსა და პერსპექტივებზე საუბარი ბატონ რამაზ საყვარელიძესთან რუსული „ენერგოაქცენტებით“ დავიწყეთ:

– ახალი წელი რუსეთმა ახალი სტრატეგიით დაიწყო, თუმცა ხელწერა კვლავაც ძველი დარჩა – „ენერგოაქცენტები“. რუსული გაზომარაგების მსხვერპლი ამჯერად უკვე ევროკავშირია...

– როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა ენერგომატარებლების მორიგი ომი წამოიწყო. ქართველებს კარგად გვეცნო მისი ეს ნაბიჯები, რადგან ანალოგიური ქმედებები თავის დროზე საქართველოსა და უკრაინის მიმართაც გატარდა. რაც შეეხება ამ ტიპის „ენერგომებს“, სა-

ხელმწიფოთა შორის აგრესიის გამოსახატავად თოფი საჭირო აღარ იქნება – ყოველ შემთხვევაში, დიდ სახელმწიფოთა შორის... მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ომებში ყველაზე დიდი გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. რუსეთი, რომელიც ამ ტიპის დაპირისპირებას სულ რამდენიმე წელია, მიმართავს, სავარაუდოდ, ბევრად უფრო გამოცდილ მეტოქეს გადააწყდება. არის სერიოზული ეჭვი, რომ ნავთობზე ფასების ტოტალური დაგდება მთლად შემთხვევითი და კანონზომიერი მოვლენა არ გახლავთ და არც სრულიად დამოუკიდებელი აშშ-ის ეკონომიკისაგან. ისიც ცხადია, რომ ეკონომიკური კრიზისი, რაშიც მთელი მსოფლიო აღმოჩნდა ჩათრეული, ამერიკისთვის გაცილებით იოლი დასაძლევია იქნება, ვიდრე რუსეთისთვის. ასე რომ, ეს ბრძოლები სხვადასხვა ფრონტზე და მათ შორის, გაზსა და ნავთობზეც, მაღალი აქტივობითა და საგრძნობი შედეგებით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.

– არცთუ დიდი ხნის წინ, ერთ ბარელ ნავთობზე ფასის ვარდნა 140 დოლარიდან დაიწყო და 38-ზე ჩამოვიდა. ექსპერტთა მოსაზრებით, არც ეს არის საბოლოო და ყველაზე ქვედა ნიშნული, რაკილა პროცესი გრძელდება. ცნობილია, რომ რუსეთის ბიუჯეტი, რომლის უმსხვილეს შემოსავალს სწორედ ნავთობის რეალიზაცია შეადგენდა, 90 დოლარის პირობებშია დაგეგმილი... სავარაუდოდ, სადამდე გაგრძელდება ეს პროცესი და რა პოლიტიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას?

– თავის დროზე, ნავთობზე ფასის გაზრდა ზესახელმწიფოთა სანქციით მოხდა. შეგახსენებთ, კონდოლიზა რაისის „ალიარებით განცხადებას“ – ვიცოდით, რომ ეს ფაქტორი მოსკოვს გააძლიერებდა, მაგრამ ვიმედოვნებდით, რომ იგი რუსეთს დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ჩამოაყალიბებდაო...

– თუნდაც აგვისტოს მოვლენებმა მთელი მსოფლიო დაარწმუნა, რომ საპირისპირო შედეგი მივიღეთ...

– სამარცხვინოც სწორედ ეს არის. ამ დონის პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ ქვეყანაში დიდი თანხების შედინებას და რაში გამოიყენებს უეცრად გაზრდილ ეკონომიკურ პოტენციალს ესა თუ ის ქვეყანა... ასე რომ, თუ რუსეთის გაძლიერებას

სუპერსახელმწიფოთა შეცდომად და დანაშაულად ჩავთვლით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნავთობზე ფასის დაცემით, იგივე სუპერსახელმწიფო, ანუ ამერიკის შეერთებული შტატები ამ დანაშაულის გამოსწორებას ცდილობს, აქვე ობამას განცხადებასაც შეგახსენებთ იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გრძნობს თავის პასუხისმგებლობას რუსეთის გაძლიერების გამო. აქედან გამომდინარე, გვაქვს მტკიცე საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ამ წლიდან ბევრად უფრო მოქნილ და ამავე დროს, ანტირუსული პოლიტიკის გატარებას დაიწყებს.

– რუსეთი რომ ნორმალური ქვეყანა იყოს, ბევრად უფრო ლოიალური და მეზობლებისადმი კეთილგანწყობილი იქნებოდა, მაგრამ რაკილა საქმე ასე არ არის, ალბათ რაც უფრო დამძიმდება მისი ეკონომიკური მდგომარეობა, აგრესიულ ქმედებათა ზრდასაც უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, თუ საქართველო-ამერიკის ქარტიას გავითვალისწინებთ...

– უკვე დავინახეთ რუსეთის პირველი რეაქცია უკრაინის ქარტიაზე, რაც ევროკავშირისთვის გაზის მიწოდების შეზღუდვაში გამოიხატა. ასე რომ, რუსეთი აგრესიული თავისი ბუნებით არის და არა პრაგმატულობით. ცხადია, პრაგმატული მოტივიც აქვს, როდესაც ცდილობს ხოლმე მოწინააღმდეგეები ძალის დემონსტრირებით დააშინოს. მაგრამ ამას კრემლი მაშინაც მიმართავს, როცა საამისო რეალური ძალა არ შესწევს. სწორედ ამაში მდგომარეობს რუსული პოლიტიკის ბუნება და ალბათ კარგა ხანს გააგრძელებს ამ გზით სიარულს. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ რუსეთის სათავეში პუტინი იქნება...

– გამოდის, რომ ეს წელი ჩვენთვის საკმაოდ რთული იქნება...

– არა მხოლოდ ეს წელი – საქართველოსთვის კიდევ რამდენიმე წელი იქნება საკმაოდ რთული. ჩვენ ხომ გარესამყაროზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ. ძალიან ხშირად ჩვენი თანამოქალაქენი წუხან, – თუ საქართველოს ბედი ადრე მოსკოვში წყდებოდა, დღეს ვაშინგტონში წყდებაო. გავიხსენოთ, რომ ისტორიულად, საქართველოს ბედი მართლაც ხან სპარსეთში წყდებოდა, ხან ოსმალეთში და ხანაც, მონღოლეთში... პატარა ქვეყნის ისტორია ამგვარად ვითარდება. სამწუხაროდ, ის თავის ბედს ყოველთვის დამოუკიდებლად ვერ განკარგავს. მით უმეტეს,

იმ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია.

- რაკილა ისტორიული პარადიგმები ვახსენეთ, საქართველოს გააჩნია არცთუ სასიამოვნო გამოცდილება ევროპასთან ისტორიული თანამშრომლობისა – სულხან-საბათი დაწყებული და 1921 წლით დასრულებული, როდესაც ევროპამ ბოლშევიკურ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები ამჯობინა ახალგაზრდა საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერას. რას უნდა ველოდოთ წელს იმავე ევროპისგან?

- თუკი ევროპა ასეთი არჩევანის წინაშე დადგება, დიდი იმედი არ უნდა გექონდეს იმისა, რომ საქართველოს სასარგებლოდ საკუთარ ინტერესებზე იტყვის უარს, რაკილა პრაგმატიზმი პოლიტიკაში სწორედ ევროპის მოგონილია. მაგრამ მეორე მხრივ, ევროპა თვითონვე აკვირდება, რომ ერთწლიან პრაგმატიზმსა და გრძელვადიან პრაგმატიზმს შორის კარდინალური განსხვავებაა. ის, რაც შეიძლება ერთ წელში ევროპამ რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობით მოიგოს, რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელია უზარმაზარი წაგების სათავედ და მიზეზად ექცეს – გნებავთ, პოლიტიკური, გნებავთ, ეკონომიკური დივიდენდების სახით. დღევანდელი პრობლემაც, რასაც გაზის პრობლემა ჰქვია, ამის ყველაზე ნათელი და ხელშესახები მაგალითი გახლავთ საიმისოდ, რომ ევროპამ ალტერნატიული გზების ძიება დაიწყო.

- იანვარში ობამას ინაუგურაცია შედგება და დემოკრატებს ლიდერი საბოლოოდ გადაიბარებს შეერთებული შტატების მართვის სადავეებს. ექსპერტთა პროგნოზით, რუსეთი ამის შემდეგ აშშ-ის ახალ პრეზიდენტს კიდევ ერთ „გამოცდას“ მოუწყობს საქართველოს მაგალითზე... რამდენად მოსალოდნელია ამ პროგნოზის ასრულება?

- თუ რუსეთმა გააგრძელა ემოციური პოლიტიკა, რაც, მაგალითად, დღეს უკრაინის შემთხვევაში ხდება (შეგახსენებთ, რომ კრემლმა ენერგომატარებლების ალტერნატიული გზების მშენებლობაზე დაიწყო საუბარი მაშინ, როდესაც ამის ფული მას ნამდვილად აღარ აქვს); თუ რუსეთი ამ სტილში გააგრძელებს პოლიტიკას, „გაიქაჩოს“ იმაზე, რისი თავიც არ ექნება, მაშინ მიმდინარე წელს ბევრ მოულოდნელობასთან მოგვიწევს შეხვედრა. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთს ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი რესურსები საკუთარი სახელმწიფოებრიობის შესანარ-

ჩუნებლად. როგორც თავად რუსი ეკონომისტები აცხადებენ, უახლოესი ექვსი თვე რუსეთს ეკონომიკური კრიზისი აშკარად და მთელი სიმძიმით არ დაეტყობა. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ უკვე ძალზე მძიმე ვარდნას ვარაუდობენ. ჩანს, კრემლი ცდილობს, სწორედ ამ პირობით ექვს თვეში მოახერხოს პოზიციების განმტკიცება, შემდეგ კი უკვე ბაქიბუქიც კი არარეალური იქნება. ასე რომ, რუსეთის წამოწევა საერთაშორისო პოლიტიკის წამყვან პოზიციებზე პირადად მე მაინც დროებით მოვლენად მიმაჩნია. მით უმეტეს, რომ როგორც უკვე გითხარით, რუსეთი ამ ეკონომიკურ ომში თავისზე ბევრად გამოცდილ და დიდი რესურსების მქონე კონკურენტებს ერკინება...

– რაც შეეხება საქართველოს შიდაპოლიტიკურ სიტუაციას – ძალზე გააქტიურდა ვადაძვე არჩევნების საკითხი... თუმცა რა საკანონმდებლო არგუმენტით უნდა მოხდეს ეს მოვლენა, ან არის თუ არა ამისთვის მორალურად მზად ხელისუფლება, ძნელი სათქმელია...

– ძალიან რთული და საინტერესო საკითხია... რთულია იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ, ხელისუფლება აცხადებს, – რა არჩევნები, რის არჩევნებით და მეორე მხრივ, მას წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული აქვს. ჩვენ იმდენი არჩევნები და საარჩევნო კამპანია ვნახეთ მოკლე დროის განმავლობაში, რომ ასეთ რამეს უბრალოდ ობიექტული თვალის ერთი შევლებით ხედავს და ხვდება. რასაც ვხედავთ და რა ღონისძიებებსაც ბოლო დროს ხელისუფლება და უშუალოდ პრეზიდენტი ატარებს, ამას საარჩევნო კამპანია ჰქვია. ეს იქნება რეგიონებში გასვლითი ღონისძიებები, ახალი ქუჩებისა და სანარმოების გახსნა და ა.შ., თუმცა, ეს მხოლოდ ერთი ნაწილი გახლავთ საარჩევნო აქტიურობისა. ბევრი ისეთი ელემენტი, რომელზეც ოპოზიცია საუბრობს (როგორცაა კორექტივები საარჩევნო კოდექსში, მედიის თავისუფლება...), ჯერჯერობით შეცვლას არ ექვემდებარება. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ამ მხრივ არ ჩქარობს. ამიტომაც, არჩევნების მოწყობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დიდი შანსია ხელისუფლებამ იგივე გააკეთოს, რაც არაერთხელ გაუკეთებია – გამოაცხადოს და დანიშნოს არჩევნები, მაგრამ ისეთ ვადებსა და ისეთ პერიოდში, როცა მზად ამისთვის მის გარდა არავინ იქნება. საამისო რესურსები ხელისუფლებას ნამდვილად გააჩნია... არსებობს კიდევ ერთი გარემოებაც – გამორიცხული არ არის,

ხელისუფლებამ სტრატეგია შეცვალოს და დათანხმდეს პრეზიდენტის შეცვლაზე იმ პირობით, თუ ხელისუფლების სათავეში იგივე მმართველი გუნდი დარჩება. ამ ეჭვის საფუძველს ბოლო დროს მერაბიშვილის საზოგადოებრივი გააქტიურება მძლევეს. ამ პერსონას გააჩნია საკმარისი ადმინისტრაციული რესურსი საიმისოდ, რომ არჩევნებში დამაჯერებლად გამოსვლა შეძლოს...

– მაგრამ ამ შემთხვევაში, რამდენად შეძლებს მერაბიშვილი ისეთ კანდიდატს გაუწიოს კონკურენცია, როგორიც ალასანიას?

– ვინც უნდა იყოს ოპოზიციის მხრიდან წარმოდგენილი, მას მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი ექნება მხოლოდ. ხელისუფლების შემთხვევაში კი ადმინისტრაციულ რესურსთან გვექნება საქმე. რომელი უფრო ქმედითი აღმოჩნდება, არც ისე იოლი სათქმელია. ნუ დაგვაზინყდება, რომ გასულ არჩევნებში იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის ნაწილი 20 ლარად აძლევდა ხმას. ნურც „მაზანდის“ აწევას გამოვრიცხავთ... რაც შეეხება ალასანიას, მას ბევრი საინტერესო თვისება გააჩნია. თუნდაც ის, რომ უფრო ბევრს ისმენს, ვიდრე ლაპარაკობს. ალასანიას ქართველ ექსპერტთა კლუბთან ჰქონდა შეხვედრა, მაგრამ პოლიტოლოგებმა მისი გეგმების შესახებ ბევრი ვერაფერი შევიტყვეთ, რაკილა ძირითადად, ჩვენს მოსაზრებებს ისმენდა. ასეა თუ ისე, ყველაფრიდან ჩანს, რომ გაზაფხული პოლიტიკურად ძალზე თბილი, ზაფხული კი ძალიან ცხელი გვექნება. რაც შეეხება პოლიტიკური აქტივობის ტენდენციებს, – უკვე გვაქვს გამოცდილება. დასავლეთი მხოლოდ იმ პოლიტიკოსებს თანაუგრძნობს, რომლებიც ქუჩის მანიფესტაციებს კონსტრუქციულ პოლიტიკურ ბრძოლას ამჯობინებენ. სავარაუდოდ, ქართული პოლიტიკური სპექტრიც, რესპუბლიკელებისა და მემარჯვენეების გაერთიანების ჩათვლით, სწორედ ამ გზას აირჩევს. ასე რომ, წინ საკმაოდ საინტერესო წელი გველის. ღმერთმა ქნას, 2009 წელი გასულ, 2008-ზე პროდუქტიული ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისთვის – მეტ სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ!

დაჩი გრძელიშვილი

თავი მეშვიდე

ფრაგმენტი ლეო ჩიქავას საიუბილეო წიგნიდან
„განვლილი ცხოვრების შტრიხები“. 2008 წ.

13. ჟურნალისტი ნატო ცისკარიშვილი – სამაგიდო ნიშნი

დღეს, როცა ქვეყნის ეკონომიკურ აღმასვლაზე ხმამაღლა საუბრობენ, როცა ჩვენი საზოგადოების წინაშე ერთდროულად სერიოზული პერსპექტივები იშლება და არანაკლებ საჭირობოროტო პრობლემები გადაწყვეტის აუცილებლობაც დგება, ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მენტალიტეტის შეცვლა და საკითხის არსის გარკვევა.

ცოტა ხნის წინ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა საქართველოს პრეზიდენტის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მიერ დასახული საქართველოს ეკონომიკის განვითარების მეორე საფეხურთან დაკავშირებული სემინარების ციკლის შესახებ.

მართალია, საქართველოს ეკონომიკა, საერთაშორისო თვალსაზრისით, მოცულობით პატარაა, მაგრამ იგი შეადგენს მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობის გზაზე მდგარმა ქვეყანამ უნდა ააშენოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკა, ეს არის ინოვაციური ეკონომიკა. სწორედ ამ აქტუალურ, უაღრესად სახელმწიფოებრივ საკითხს ეძღვნება საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას ახალი მონოგრაფია – „ინოვაციური ეკონომიკა“, თბ., 2006 წ.

ეკონომიკა ის ძირითადი ბაზისია, რომელზედაც შენდება მთელი სახელმწიფო, განსაკუთრებით მისი თავდაცვისუნარიანობა. წიგნში მოცემულია ღრმა მეცნიერული ანალიზი ინოვაციური ეკონომიკისა როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული და გამოყენებითი თვალსაზრისით.

ამ საკითხებზე გვესაუბრება „კახეთის ხმის“ დღევანდელი სტუმარი – საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პოლკოვნიკი გივი იოსების ძე იასეშვილი.

– როგორც ცნობილია, მონოგრაფია უკვე განიხილეს. როგორი

შეფასება დაიმსახურა წიგნმა როგორც საერთაშორისო დონისა და სტანდარტების სამეცნიერო ნაშრომმა?

მონოგრაფიის პრეზენტაცია 2006 წლის 20 აპრილს შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ნაშრომმა მეცნიერთა მხრივ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

წიგნი 450 გვერდისგან შედგება. იგი მოიცავს შემდეგ თავებს:

წინასიტყვაობა;

ინოვაციური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;

ცოდნის ეკონომიკა;

ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა;

მომსახურების სფეროს არსი და განვითარების ტენდენციები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში;

ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და მისი პერსპექტივები საქართველოში;

ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები.

თან ერთვის რუსულ ენაზე რეფერატი და გლოსარიუმი, რომელიც მოიცავს ამ პრობლემასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებას.

წიგნის მეცნიერ-რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როზეტა ასათიანი.

– ვიდრე ამ წიგნის ღირსების განხილვას შევუდგებოდეთ, თვით ავტორის შესახებ მოგვახსენეთ რამდენიმე სიტყვით.

– იგი დამსახურებული მეცნიერი, აკადემიკოსია. მან დიდი ამაგი დასდო ქართველ მეცნიერთა პლეადის აღზრდას, მათ შორის ერთ-ერთი მეც ვარ. მინდა მას დიდხანს სიცოცხლე და კიდევ ბევრი საერთაშორისო დონისა და სტანდარტების სამეცნიერო ნაშრომის შექმნა ვუსურვო.

იგი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი,

სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მას ორასამდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ეს წიგნი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია.

– როგორ დაახასიათებდით ამ წიგნის პრაქტიკულ მნიშვნელობას?

– იგი ეხება ინოვაციურ ანუ ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკას, რომელიც ცივილიზაციის ახალი ეტაპია. მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ცვლის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პარადიგმას. იგი მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ქვეყანაში არსებული ექსტენსიური ფაქტორებისგან.

აქტუალური ეკონომიკურ-მეცნიერული პრობლემებისადმი მიძღვნილი სემინარის გეგმა შედგება როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე გამოყენებით-პრაქტიკული ხასიათის საკითხებისგან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ინოვაციურ პოლიტიკას, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

ინოვაციური პოლიტიკა წარმოგვიდგება როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ დონეზე ფართომასშტაბიანი ინოვაციური საქმიანობის წასახალისებლად გამიზნული მეცნიერულ საწყისებზე შემუშავებული და ყოველმხრივ დასაბუთებული ღონისძიებათა სისტემა. იგი განსაზღვრავს ინოვაციების სფეროში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მიზნებს, ამოცანებს, მიმართულებებსა და ფუნქციებს, ასევე, მათი რეალიზაციის გზებსა და მეთოდებს. თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური საკუთრების, ტექნიკისადა ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად, მაგალითად, მაკროეკონომიკურ დონეზე გასატარებელ ღონისძიებათა შორის უნდა დავა-

სახელოთ ინოვაციური დანიშნულების საიმპორტო საქონელზე შეღავათიანი საბაჟო განაკვეთების დაწესება. მიკროეკონომიკურ დონეზე ინოვაციური პოლიტიკა, წესისამებრ, აისახება ფირმის ბიზნესგეგმაში.

– იმ შემთხვევაში, თუ ფირმა არ დაუთმობს ცენტრალურ ადგილს ინოვაციურ საქმიანობას, მოსალოდნელია გაკოტრება?

– ფირმა, რომელიც თავის ბიზნეს-გეგმაში ცენტრალურ ადგილს არ დაუთმობს ინოვაციურ საქმიანობას, ადვილი სავარაუდოა, კონკურენტებთან ბრძოლაში დამარცხდეს, გაკოტრდეს.

– რას მოიცავს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა?

– სამხელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა ისეთ ძირითად მიმართულებებს მოიცავს, როგორცაა ინოვაციურ საქმიანობაში ბიზნესის თავისუფალი მოქმედების მატერიალური სტიმულირება და ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი უზრუნველყოფა. ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია რესურსების მიზანსწრაფული კონცენტრაცია და სხვ. მისი მნიშვნელოვანი ელემენტია ინოვაციური პროგნოზირება, რომელიც მოიცავს პერსპექტივაში მოსალოდნელ შედეგებს, წინასწარ განჭვრეტას. ინოვაციური პროგნოზი საფუძვლად ედება ინოვაციურ სტრატეგიას.

– ინოვაციური პროგრამა სახელმწიფოთაშორისია?

– ინოვაციური პროგრამა შეიძლება იყოს სახელმწიფოთაშორისი, რეგიონული, რეგიონთაშორისი, დარგობრივი და სხვ.

– ინოვაციური ინფრასტრუქტურის შესახებ რას იცოდით?

– ინოვაციური ინფრასტრუქტურა არის ინოვაციური საქმიანობის განვითარების ხელშემწყობი გარემო პირობების შემქმნელი კომპონენტების ერთობლიობა. ინოვაციური ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციას სიახლის რეალიზაციისთვის; როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მოზიდვას და ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკაში ინოვაციური პროცესების გააქტიურებას.

ნოოსფერო არის ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების სფერო, რომელშიც კაცობრიობის შეგნებული საქმიანობა სულ უფრო მზარდი ოდენობით იქცევა არა მარტო საზოგადოების თანმიმდევრული

განვითარების, არამედ, აგრეთვე, თვით ბუნების შემდგომი ევოლუციის გადამწყვეტ ფაქტორად. ნოოსფეროს ცნებაში იგულისხმება ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედება, რომელსაც საბოლოოდ მივყავართ, ერთი მხრივ, პლანეტის ბიოსფეროს რესურსების შეზღუდულობასა და, მეორე მხრივ, ამ რესურსებზე საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებს შორის წინააღმდეგობის გადაჭრამდე. ეს ტერმინი მეცნიერულ ბრუნვაში 1927 წელს შემოიტანა ფილოსოფოსმა ჟ. ლერუამ. რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ვერნადსკიმ, თავისი ბიოქიმიური გამოკვლევების განზოგადების საფუძველზე, გვიჩვენა, რომ ბუნება მასზე აქტიური ზემოქმედების შედეგად განიცდის კოლოსალურ ცვლილებებს და ადამიანი იქცევა გარდამქმნელ ძალად, რომელიც განსაზღვრავს ბიოლოგიური ევოლუციის მიმართულებებს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანისა და ბიოსფეროს ურთიერთობა იქნეს გლობალურ ხასიათს, წარმოშობს ნივთიერებათა ცვლის ახალ ტიპებს, რომელთა შედეგადაც ბიოგენეზი გადადის ნეოგენეზში. ბიოსფეროს ნოოსფეროდ თანმიმდევრული გარდაქმნა დამოკიდებულია არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალზე, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

ნოოსფეროს კონცეფცია იმთავითვე გულისხმობს საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ინტეგრაციის აუცილებლობას, რამდენადაც უამისოდ შეუძლებელია ნოოსფეროსთან დაკავშირებული პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

ინოვაციურ პოლიტიკაში გამოყოფენ ორ მხარეს – სტრატეგიულსა და ტაქტიკურს. სტრატეგიული ანუ ჩვეულებრივი, გრძელვადიან, შედეგებით მსხვილმასშტაბურ ამოცანებს ისახავს და გულისხმობს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. ტაქტიკური კი მოიცავს მნიშვნელოვანწილად ისეთი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას, რომელსაც ძალუძს დასახული მიზნების მაღალეფექტიანი განხორციელება.

„კახეთის ხმა“ მომავალ ნომრებში შემოგთავაზებთ სტატიის გაგრძელებას, რომელიც ზემოაღნიშნული წიგნის ცალკეული თავების განხილვას მიეძღვნება.

ჟურნალისტი **ნატო ცისკარიშვილი**
იხ. გაზ. „კახეთის ხმა“, 26.09.2006.

14. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი V

იბეჭდება საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გივი იოსების ძე იასეშვილის ინიციატივით.

2001 წლის იანვარში საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩემი ხელმძღვანელობით დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის – საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის (სსმა) დაარსებით ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ახალი ინფორმაციული ეტაპი, რომელიც ემყარება 21-ე საუკუნის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის უახლესი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებას.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი მისი ეკონომიკური განვითარების დონის პირდაპირპროპორციულია. ინოვაციური ეკონომიკა უნდა განაპირობებდეს ინოვაციურ თავდაცვით სისტემას, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში არ ხდება. 2005 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა თავი ვერ გაართვა სსმა-ს კოლექტივის მიერ დამუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული და რეკომენდებული ახალი პროგრამებისა და წინადადებების დანერგვის დაწყების ისტორიულად აუცილებელ პროცესს.

ამ მიზნით, სსმა ახლო მეგობრობს და მჭიდროდ თანამშრომლობს დიდი მეცნიერული ტრადიციების მქონე საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიასთან (სემა), რომლის პრეზიდენტია აკადემიკოსი ლეო ჩიქავა. ეს აკადემია 13 წელია არსებობს და დაკომპლექტებულია 50-მდე მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებისგან. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სტანდარტების შესაბამისად, სემა ახორციელებს სსმა-ს სამოქალაქო საზოგადოებრივ კონტროლს.

სემამ, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, 2005 წელს გამოსცა ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული მეხუთე ტომი, რომელშიც განხილულია თანამედროვე მრავალნახნაგოვანი ეკონომიკის მწვავე პრობლემები. მასში, თეორიულ საკითხებთან ერთად, გაშუქებულია საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების რთული პროცესი. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დასახულია არ-

სებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გზები.

კრებული წინასიტყვაობაში აკადემიკოსი ლ. ჩიქავა წერს: – ...ჩვენი ნაფიქრალ-ნააზრების არამარტო პრაქტიკული რეალიზაციით, არამედ მეცნიერულ-თეორიულ დონეზე განხილვა-შეფასებითაც არავინ დაინტერესებულა. ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრივ ასეთმა ინდეფერენტულმა დამოკიდებულებამ დადებითად იმოქმედა ქართველ ეკონომისტთა გუნება-განწყობაზე, მაგრამ იგი არც ხელის ჩაქნევის საფუძველი გამხდარა. ჩვენ – სწავლული ეკონომისტები კვლავ ერთგულად ვდგავართ ქართული ეკონომიკური მეცნიერების სადარაჯოზე და, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვეული კეთილსინდისიერებით განვაგრძობთ პროფესიული მოვალეობის შესრულებას“.

წინა კრებულების ანალოგიურად, მე-5 ტომიც ქვეყნის აქტუალური ეკონომიკური პრობლემების საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს. მისი შინაარსი აი როგორ გამოიყურება:

- წინასიტყვაობა;
- **ლეო ჩიქავა** – ინოვაციური ეკონომიკის განვითარების აწმყო და მომავალი საქართველოში;
- **როზეტა ასათიანი** – ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია;
- **ნუგზარ სანთელაძე** – საქართველოში სანარმოთა ანტიკრიზისული მენეჯმენტის საკითხისთვის;
- **რევაზ კაკულია** – გლობალური ეკონომიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ფინანსური ასპექტები;
- **გიორგი მალაშხია** – დაგროვილი სიმდიდრე როგორც ცხოვრების ეკონომიკური დონის რესურსი;
- **ევგრაფ კანდილაკი** – ინსტიტუციური თეორიის ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების საკითხები;
- **ჯამლეთ შათირიშვილი** – საქართველოს ეკონომიკური კრიზისი-

დან გამოსვლის ფინანსური ღონისძიებები;

- **ედუარდ ცირამუა** – მოსაზრებები საქართველოში სამეურნეო აღრიცხვის მომავალზე;
- **გიორგი შუბლაძე** – ბიზნესის განვითარებისა და პრივატიზაციის ურთიერთკავშირის შესახებ;
- **მურმან ცარციძე** – ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში.
- **გიორგი პაპავა** – ინდიკატური გეგმის მექანიზმი და როლი ეკონომიკის პოლიფონიურ განვითარებაში;
- **ჯამლექ შათირიშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე** – გადასახადების რაობისა და მნიშვნელობის საკითხისთვის;
- **თეიმურაზ კანდილაკი** – საქართველოს ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდები, პრინციპები და ძირითადი მაჩვენებლები;
- **დემურ ჩომახიძე** – ენერგეტიკის რეგულირება საქართველოში: პირველი შედეგები და ამოცანები;
- **ნოდარ ბიჭიაშვილი** – ფირმის პროდუქციის მულტიპლიკაციური ღირებულებითი ელემენტების მოქნილი დიაფრაგმის მართვის საკითხისთვის;
- **ომარ ვაშაკიძე** – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რეფორმირების საკითხები;
- **ამირან ჯიბუტი** – კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და ათვისების პრობლემები.

რეგიონულ გაზეთ „კახეთის ხმის“ პატივცემულ მკითხველებს გასაცნობად და შემდგომ შრომით საქმიანობაში გამოსაყენებლად გთავაზობთ ფრაგმენტებს ზემოთჩამოთვლილ ცნობილ სწავლულ ეკონომისტთა უახლესი სამეცნიერო ნაშრომებიდან.

15. ინოვაციური ეკონომიკის ანგეზო და

მომავალი საქართველოში

(ფრაგმენტები ლ. ჩიქავას სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია სემა-ს შრომების V ტომში)

აკად. ლ. ჩიქავას მართებული დასკვნით, საქართველოში ინოვაციური საქმიანობის განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობა. 1990-2002 წლებში მთლიანი შიგა პროდუქტი ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად საშუალოდ 3.9%-ით მცირდებოდა, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%-ობით) შეადგენდა: ჩინეთში – 8,6; ირლანდიაში – 6,8; სამხრეთ კორეაში – 4,7; ჩილეში – 4,4; პოლონეთში – 4,2; სინგაპურში – 3,8; ნორვეგიაში – 3,0 და ა.შ. მსოფლიოში საშუალოდ კი – 1,2.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ნორმალურად განვითარება წარმოუდგენელია ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სათანადო მხარდაჭერისა და ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნის გარეშე. წარმოებას, მის განვითარებასა და სრულყოფას, ანუ მიწოდებას, უზინარეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, მოთხოვნა განსაზღვრავს. საქართველოში სწორედ ამ უკანასკნელის – მეცნიერულ ცოდნაზე მოთხოვნის დეფიციტი იგრძნობა, როგორც ვ. კელე წერს, როცა რადიოსადგურ „მოსკოვის ექოს“ წამყვანმა ჰკითხა აშშ-ს (იმდროინდელ) პრეზიდენტს, ბილ კლინტონს, „თვლის თუ არა იგი რუსეთს განვითარებად, ანუ მესამე სამყაროს ქვეყნად?“ მან უყოყმანოდ უპასუხა: „არა, რამდენადაც ამ ქვეყანაში მეცნიერთა და ინჟინერთა ინტელექტუალური პოტენციალი მაღალია“... იგივე ითქმის საქართველოზე, რადგან მისი მთავარი სიმდიდრე ინტელექტუალური პოტენციალია.

თუმცა, პოტენციალს ამოქმედება, გამოყენება სჭირდება. ამ რეზერვის ამოქმედებისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი ინოვაციური საქმიანობის სწრაფი ტემპებით განვითარებასა და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებადამკვიდრებას უკავია.

რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

– აკადემიკოს ლ. ჩიქავას აზრით, მიზანშეწონილია;

– საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნას სპე-

ციალური სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც, თანამედროვე მოთხოვნებისა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავებს ეროვნულ პრინციპებზე დამყარებული ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციას და წარუდგენს მთავრობას ცხოვრებაში გასატარებლად.

– მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ საკონსტრუქციო დამუშავებაზე დანახარჯების ხვედრითი წონა მშპ-ში პირველ ეტაპზე ავიყვანოთ მსოფლიო საშუალო დონეზე მაინც (2,5%). მომდევნო ეტაპზე კი ეკონომიკური ზრდისა და შესაძლებლობათა გაფართოების კვალობაზე, თანდათანობით მივუახლოვოთ ამ მხრივ დანინაურებული ქვეყნების მაჩვენებლებს (4-5%). უნდა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო ამ სფეროში კერძო ინვესტიციების მაქსიმალური ოდენობით მოსაზიდად;

– განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წონა მშპ-ში პირველ ეტაპზე ავიყვანოთ 4%-მდე, ხოლო მომდევნო ეტაპზე თანდათანობით მივუახლოვოთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების მაჩვენებელს – 5%. რაც შეეხება სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურაში განათლებაზე დანახარჯების ხვედრით წონას, იგი პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია ავიყვანოთ 15%-მდე (რომლისგანაც ძალიან შორს არც ახლა ვართ), ხოლო შედარებით შორეულ პერსპექტივაში გავზარდოთ კიდევ 1-2%-ით. უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ ინვესტიციები კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში, საბოლოო ანგარიშით, გაცილებით მაღალმომგებიანია, ვინემ კაპიტალდაბანდებები ნებისმიერ სხვა სფეროში. თანაც, ინოვაციური საქმიანობის განვითარება (მაღალი ტექნოლოგიები, ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია, კომპიუტერიაზაცია, ინტერნეტიზაციის დონის ამაღლება და ა.შ.) წარმოუდგენელია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ ინფორმაციას დაუფლებული, განათლებული კადრების გარეშე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სფერო, სადაც ხდება ცოდნის შექმნა და გავრცელება, უაღრესად პრიორიტეტულია. ამის პრაქტიკული დადასტურება იქნება ინვესტიციების უფრო სწრაფად გაზრდა ცოდნის შექმნისთვის, ვინემ ძირითადი კაპიტალის გადიდებისთვის. ასეთი კურსის განხორციელებით დავაჩქარებთ ჩამორჩენილი ეკონომიკიდან ინტელექტუალურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს;

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში განათლებისა და ცოდნის როლის გასაძლიერებლად აუცილებელია ისეთ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, როგორცაა:

– სპეციალისტთა კადრებზე (სპეციალობათა მიხედვით) მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნის განსაზღვრა ეკონომიკის განვითარების არა მარტო უახლოესი, არამედ, აგრეთვე, შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით და ამის საფუძველზე (ყველა აუცილებელი კომპონენტის შეჯერებით) მათი მომზადების ორგანიზაცია;

– უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნა, როგორც მეცნიერების და ტექნიკის განვითარებაა შეუჩერებელი, მუდმივგანვითარებადი პროცესი, ასევე, მუდმივი და უწყვეტია მოთხოვნა ახალ, მეცნიერულ ცოდნაზე, აქედან გამომდინარე, უწყვეტი უნდა იყოს თვითგანათლებისა და ცოდნის დონის ამაღლების პროცესიც. ეს ეხება უკლებლივ ყველა მუშაკს, განურჩევლად ასაკისა, ცენზისა, პროფესიისა, დამსახურებისა და თანამდებობისა;

– ეკონომიკური ცოდნით აღჭურვა. ვერ ვიტყვით, რომ ეკონომიკური განათლების გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია, მაგრამ უპირიანი იქნება ასეთი ადამიანის შედარება უკომპასოდ ოკეანეში გასულ გემთან, რომელიც ზედმეტი დაყოვნებისა და მრავალი გაუთვალისწინებელი დაბრკოლების გადალახვის გარეშე ვერ აღწევს დანიშნულების პუნქტს.

აუცილებელია ნებისმიერ სფეროში ხელმძღვანელ მუშაკთა, განსაკუთრებით, ინჟინერ-ტექნიკური და სხვა წამყვანი სპეციალისტების, ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლება, ახალი ტიპის ეკონომიკური აზროვნების ფორმირება, მოვლენათა სწრაფი განალიზებისა და ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღების უნარის გამომუშავება, ეკონომიკის ძირეულ საკითხებში საფუძვლიანად გარკვეული სპეციალისტებისა და სხვა მუშაკთა შემოქმედებით მონაწილეობა ეკონომიკურ ექსპერიმენტში, რომელთა მიზანია მეურნეობრივი მექანიზმის სრულყოფა, ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა სრულად რეალიზაციის უზრუნველყოფა;

– სპეციალისტთა კადრების პროფილით (სპეციალობის მიხედვით) დასაქმება. ამის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს შეუწ-

ყოფს არაპროფილით მომუშავეთათვის, პროფილით მომუშავეებთან შედარებით, ხელფასის საგრძნობლად (20-25%-ით) შემცირებული ოდენობით დაწესება;

მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურის ჯეროვან დონეზე დაყენება, ყველა მუშაკის მიერ (ვისაც ეხება) ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ მისი გავლის პრაქტიკული უზრუნველყოფა. მსმენელთა აუდიტორიების დიფერენცირებულად დაკომპლექტება განათლების ცენტრისა და სპეციალობათა გათვალისწინებით. კვალიფიკაციის ამაღლების უაღრესად პასუხსაგები საქმის განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის მინდობა;

– სპეციალისტთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანულად დაკავშირება პრაქტიკასთან (ცხოვრებასთან). სასწავლო ლაბორატორიების, კაბინეტებისა და საცდელი ექსპერიმენტული ბაზების აღჭურვა თანამედროვე უახლესი ტექნიკით (კომპიუტერი, ინტერნეტი, E-Mail) და ა.შ.;

ინოვაციური საქმიანობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავება;

ავტორს გამართლებულად არ მიაჩნია დისკუსია იმის თაობაზე, ამ მიმართულებებიდან თუ რომელია ჩვენთვის მისაღები და რომელი – არა. მისი შეხედულებით, შეიძლება გამოვიყენოთ სამივე სტრატეგია, ოღონდ, კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით, შეიძლება ერთგვარი უპირატესობა მიენიჭოს რომელიმე მათგანს.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით მიზანშეწონილია გამოიყოს შემდეგ სახელმწიფო პრიორიტეტები:

ა) მენარმეობის განვითარება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროში;

ბ) ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარე-

მოს შექმნა, რომელშიც წარმატებით განვითარდება ინოვაციური პროცესები;

გ) ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

რაც შეეხება ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებებისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, ასეთებად შეიძლება გამოვყოთ:

ინფორმაციული ტექნოლოგიები;

ბიოტექნოლოგიები;

ენერგეტიკის არატრადიციული ტექნოლოგიები;

ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები;

ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები;

მაღალეფექტიანი მანქანა-დანადგარების, რობოტტექნიკის, მიკროელექტრონიკის გამოყენებით მომუშავე ტექნოლოგიები;

ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები.

იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს ძალიან გაუჭირდება მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიების იმპორტზე ორიენტაცია, ფრიად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში ადრე ათვისებული, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოსადეგი ტექნოლოგიების იმპორტი, რისთვისაც აუცილებელია ტექნოლოგიების მატარებელი მატერიალური ნაწარმის – მანქანა-დანადგარების, მეცნიერულ-ტექნიკური და წარმოებრივი დანიშნულების მონყობილობების, აგრეთვე, ტექნოლოგიური ხაზების იმპორტის ნახალისება (მოქნილი საბაჟო პოლიტიკის გამოყენებით).

ეკონომისტთა ერთი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდდამხლოდ ღია ვაჭრობის პოლიტიკას და მანკიერად თვლის მფარველობითი პოლიტიკის გატარებას, განვითარებული ქვეყნებისთვის, მართლაც,

თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაა მისაღები, მაგრამ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის მეტწილად დამლუპველია, რამდენადაც ვერ უძლებს კონკურენტთა მეტოქეობას და ზარალდება. განვითარებული ქვეყანა მის ტერიტორიაზე შემოიტანს ლამაზად გაფორმებულ და შედარებით იაფფასიან, მაგრამ დაბალხარისხიან (ზოგჯერ ფალსიფიცირებულ) საქონელს და საფუძველს გამოაცლის ანალოგიური პროდუქციის ადგილზე წარმოებას.

პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას ზოგჯერ არც განვითარებული ქვეყნები ერიდებიან. შეიძლება გავიხსენოთ აშშ-სა და იაპონიას შორის „სავაჭრო ომი“ ავტომობილების რეალიზაციასთან დაკავშირებით. აშშ იძულებული გახდა საკუთარი წარმოება დაეცვა იაპონური საქონლის შემოტევისგან, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე დამზადების შედეგად, უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. აშშ-მა მას მფარველობითი პოლიტიკა დაუპირისპირა და საბაჟო განაკვეთების მოქნილი სისტემის გამოყენებით შესძლო რთული ვითარებიდან გამოსვლა.

დროდადრო ამავე ხერხს მიმართავს იაპონიაც, იგი სხვებს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისკენ მოუწოდებს, თვითონ კი რიგ შემთხვევაში ცალკეული საქონლის იმპორტის შესაჩერებლად სხვადასხვა ბარიერს იყენებს.

ამრიგად, ისე როგორც ჩვილ ბავშვს სჭირდება წამოჩიტებამდე აღზრდა-დახმარება, მეტწილად ასეა ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიკაც.

და კიდევ ერთი არგუმენტი: აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო ერთგულად მიჰყვება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. ასევე მოუვიდათ ბრაზილიას, მექსიკას და ა.შ.

სხვა ქვეყნების ანალოგიურად, მიზანშეწონილია, საქართველოშიც შეიქმნას სახელმწიფო ინოვაციური ფონდი. იგი ხელს შეუწყობს ინოვაციური საქმიანობის თაობაზე ინფორმაციული სისტემის შექმნას, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებას, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური (მათ შორის რისკიანი) პროექტების საკონკურსო წესის გამოყენებით დაფინანსებას, რესურსდამზოგველი და მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვას, ბიზნეს-გეგმების საერთაშორისო მოთხოვნების დონე-

ზე მომზადებას, მენეჯერთა და სპეციალისტთა მატერიალურ სტიმულირებას და ა.შ.

ინოვაციურ საქმიანობაში კრედიტის გამოყენების მეტად საინტერესო და მდიდარი გამოცდილება აქვს იაპონიას. ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით, მან ფართო მასშტაბით გამოიყენა შეღავათიანი (დაბალპროცენტიანი) კრედიტის პოლიტიკა. ასეთმა ღონისძიებამ საგრძნობლად დააჩქარა ინვესტიციების მოზიდვის პროცესი.

გარკვეული კორექტირების შეტანით, ამ გამოცდილებათა გამოყენება არც ჩვენს ქვეყანას აწყენდა. ინოვაციური ფონდის წყარო, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებთან ერთად, შეიძლება იყოს სამინისტროების, ბანკების, სანარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების, მოქალაქეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების ნებაყოფლობითი შენატანები. ასევე გრანტები, ფონდის მონაწილეობით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების ნაწილი და სხვა.

აუცილებელია ინოვაციური საქმიანობების კვალობაზე მიღებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური შედეგების კომერციალიზაცია, რომელიც დღეისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს. სანამ საფუძვლიანად არ შევისწავლით და არ დავეუფლებით ინოვაციური საქონლის რეალიზაციის პრაქტიკას და არ შევექმნით ინოვაციური საქონლის საკმაოდ ტევად ბაზარს, ვერ შევძლებთ ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის ამაღლებას, ამასთან დაკავშირებით, აი, რა საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს უნმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: „უნდა დაარსდეს იდეების ბანკი, ისეთი დანესებულება, ისეთი ადგილი, სადაც აღმოჩენები, ახალი აზრები შეიკრიბება. ჩვენ – ქართველებს გვახასიათებს ახალი იდეების, აღმოჩენების უნარი. სამწუხარო ის არის, რომ გვიჭირს ახალი აზრების განხორციელება“.

ქართული ეკონომიკური აზრის რაციონალური მარცვლების საერთაშორისო მასშტაბის მკითხველთათვის (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) გაცნობისა და მომავალში კომერციალიზაციის პირველ ცდას ჩაუყარა საფუძველი ერთ-ერთი უაღრესად ნიჭიერი და განათლებული სწავლული ეკონომისტის – მერაბ გველესიანის ინიციატივით და ძალისხმევით დაარსებულმა ჟურნალმა – „კომენტარმა“.

სპეციალისტები, საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ინოვაციურ სამუშაოთა კომერციალიზაციის ყველაზე ეფექტიან გზად მიიჩნევენ ინტეგრაციული ფორმის მცირე ინოვაციური ფირმების (ტექნოპარკები, ბიზნეს-სათბურები, ინოვაციური კოოპერატივები და სხვ.) განშტოებულ ქსელზე დაყრდნობას, რომელსაც აქვს უნარი შემჭიდროებულ ვადებში და მინიმალური დანახარჯებით გამოუშვას მეცნიერებატევადი კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ამგვარი ბიზნესის მთელი რიგი უპირატესობით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთის მეცნიერული პოტენციალის 20%-ზე მეტი მცირე ინოვაციურ საწარმოებშია თავმოყრილი.

მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების კომერციალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად უნდა ვაღიაროთ მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტებში მენეჯერ-დირექტორის თანამდებობის შემოღება, რომელიც მეცნიერების შესახებ კანონითაა გათვალისწინებული.

მართვის თანამედროვე კულტურის დამკვიდრებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზაცია, საკუთარი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების სახსრების მოზიდვა ტრენინგის სპეციფიკური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციისთვის.

ასეთი პროგრამები სასურველია მომზადდეს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ერთობლივი მონაწილეობით. მათი მომზადებისა და რეალიზაციის კოორდინაცია ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უნდა განახორციელოს. ამ საქმეში მონაწილეობა, სახელმწიფო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, შეიძლება კერძო ბიზნესმაც მიიღოს.

ამრიგად, საქართველო საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან ინტელექტუალურ პოტენციალს ფლობს. მთავარია მისი სრულად ამოქმედება და საზოგადოების სამსახურში ჩაყენება. ამ დიდი მიზნის განხორციელებისკენ სწრაფვა ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა.

იხ. გაზ. „კახეთის ხმა“, 8.11.2006.

თავი მერვე

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიულ ჟურნალში
„სამხედრო აზრი“ გამოქვეყნებული შრომები.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება N333

თავდაცვის სამინისტროს
სამხედრო-თეორიული ჟურნალის „სამხედრო აზრის“
დაარსების შესახებ

ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე სამხედრო მეცნიერების როლი მკვეთრად გაიზარდა. სამხედრო მეცნიერება ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის მნიშვნელოვან ნაწილს და მის ქმედით მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სამხედრო-სამეცნიერო მუშაობის შედეგია სპეციფიკური სამეცნიერო პროდუქცია – გამოქვეყნებული სამხედრო-სამეცნიერო სტატიები, ნარკვევები და შრომები.

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო-სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების მიზნით

ვბრძანებ:

1. დაარსდეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“.
2. ჟურნალის ძირითად ამოცანებად დაისახოს:
 - ეროვნული სამხედრო კადრების და სამხედრო საწარმოო კომპლექსის სპეციალისტთა ინტელექტუალური პოტენციალის მთლიანი მობილიზაცია ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად;

- სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების, სამხედრო მშენებლობის, სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის წინამსწრები სამხედრო-თეორიული ნამუშევრებით უზრუნველყოფა: შეიარაღებული ძალების გამოყენების ფორმებისა და ხერხების სრულყოფა; საბრძოლო, ოპერატიული და სამობილიზაციო მზადყოფნის ამაღლება;
 - მსოფლიო სამხედრო მშენებლობის გამოცდილების ყოველმხრივი გაშუქება;
 - ხელსაყრელი პირობების შექმნა ეროვნული სამხედრო აზროვნების ფორმირებისა და სამამულო სამხედრო მეცნიერების სკოლის ჩამოყალიბებისათვის.
3. ჟურნალი გამოიცეს ყოველ კვარტალში. ჟურნალის პირველი ნომერი გამოიცეს 1999 წლის 31 იანვრამდე.
 4. ჟურნალის მომზადების და გამოცემის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს გენერალური შტაბის უფროსს. თავდაცვის მინისტრის მოადგილეებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჟურნალის მომზადებასა და გამოცემას.
 5. ჟურნალის გამოცემა განახორციელოს სამხედრო გამომცემლობა „ჩირალდანმა“.
 6. ბრძანება დაყვანილ იქნას შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობამდე.

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი
 თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
 გენერალ-მაიორი **ჯ. ფირცხალაიშვილი**

სამეცნიერო ნაშრომების ციკლის აღწერილობა

8. თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის განვითარების ძირითადი ტენდენციები (შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N1, 1999 წ., ქ. თბილისი.
9. გ. ი. იასეშვილი, ინფორმაციული ბრძოლის არსი: იარაღი და საშუალებები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N1, 1999 წ., ქ. თბილისი.
10. სამხედრო სამეცნიერო კადრების პირველი თაობის გენერაცია (შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის შეხედულებები). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N2, 1999 წ., ქ. თბილისი.
11. ნ. კაიშაური, გ.ი.იასეშვილი. ჯარების მართვა. მართვის მობილურობა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამხედრო-თეორიული ჟურნალი „სამხედრო აზრი“. N2, 1999 წ., ქ. თბილისი.

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროსი ოფიცერის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, კაპიტან გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის პრობლემებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებულ სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებზე. შინაარსი – სამხედრო თეორია და პრაქტიკა.

გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო ნაშრომი:

1. ინფორმაციული ბრძოლის არსი: იარაღი და საშუალებები. „სამხედრო აზრი“, N1, 1999 წლის თებერვალი, 6 ნაბეჭდი გვერდი;
2. ჯარების მართვა. მართვის მობილურობა. „სამხედრო აზრი“, N2, 1999 წლის დეკემბერი, 5 ნაბეჭდი გვერდი. თანაავტორია ვიცე-პოლკოვნიკი ნ. კაიშაური.

ამ მეცნიერული შრომების უწყებრივი კუთვნილებაა შეიარაღებული ძალები.

ჟურნალ „სამხედრო აზრის“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გ. იასეშვილს ბრძანებით გამოეცხადა მადლობა ჟურნალის მომზადებასა და გამოცემაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
გენერალური შტაბის შეიარაღებული
ძალების რეფორმების, დაგეგმარებისა
და კვლევითი ცენტრის უფროსი,
პოლკოვნიკი **გივი ლეფონავა**

10.05.2000 წ.

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის რეფორმების, დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის უფროსი ოფიცერის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, კაპიტანი გივი იოსების ძე იასეშვილის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისად და საკუთარი პროფესიონალური ცოდნით (საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მეთოდები, ფორმები და წესები) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებულ სამხედრო-თეორიულ ჟურნალში „სამხედრო აზრი“ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის შეხედულებების გამომხატველ სამეცნიერო ნაშრომებში უშუალო მონაწილეობაზე.

შინაარსი სამხედრო თეორია და პრაქტიკა.

მონაწილეობა მიიღო ორი სამეცნიერო ნაშრომის მომზადებასა და გამოქვეყნებაში:

1. თანამედროვე შეიარაღებული ბრძოლის განვითარების ძირითადი ტენდენციები. „სამხედრო აზრი“, N1, 1999 წლის თებერვალი. 10 ნაბეჭდი გვერდი;
2. სამხედრო-სამეცნიერო კადრების პირველი თაობის გენერაცია. „სამხედრო აზრი“, N2, 1999 წლის დეკემბერი. 4 ნაბეჭდი გვერდი.

ამ მეცნიერული შრომების უწყებრივი კუთვნილებაა შეიარაღებული ძალები.

ჟურნალ „სამხედრო აზრის“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გ. იასეშვილს ბრძანებით გამოეცხადა მადლობა ჟურნალის მომზადებასა და გამოცემაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
გენერალური შტაბის შეიარაღებული
ძალების რეფორმების, დაგეგმარებისა
და კვლევითი ცენტრის უფროსი,
პოლკოვნიკი **გივი ლეფონავა.**

20.05.2000 წ.

სადისკუსიო ტრიბუნა

ინფორმაციული ბრძოლის არსი; იარაღი და საშუალებები

კაპიტანი **გ. იასეშვილი**,
შეიარაღებული ძალების რეფორმების,
დაგეგმარებისა და კვლევითი ცენტრის
უფროსი ოფიცერი, ტექნიკურ
მეცნიერებათა კანდიდატი

თანამედროვე პირობებში, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, მონინააღმდეგე მხარეზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა უმეტესად ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები. ეს ტენდენცია აისახება ინფორმაციული ბრძოლის კონცეფციებში, რომლებიც თანამედროვე პერიოდში მუშავდება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში. აღნიშნული კონცეფციების ცალკეული დებულებები უკვე ხორციელდება სახელმძღვანელო დოკუმენტებში, რომლებიც ითვალისწინებს:

- სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის ინფრასტრუქტურის ელემენტების დახშობას;
- საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური სისტემების ელემენტებზე ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებას;
- სადაზვერვო ინფორმაციის მიღებას;
- საინფორმაციო რესურსებზე არასანქცირებული დაშვების განხორციელებას;
- დეზინფორმაციის გავრცელებას მონინააღმდეგის საინფორმაციო არხებში ან მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში.

ინფორმაციული ბრძოლა ფართო გაგებით თავისთავად გეოპოლიტიკურ სახელმწიფოთაშორისო მეტოქეობაა, ხოლო უფრო ვიწრო მნიშვნელობით შეიარაღებული ბრძოლის სფეროში პოულობს გამოყენებას.

ამ გავებით ინფორმაციული ბრძოლა – ეს არის ზომების კომპლექსი მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით საბრძოლო მოქმედებების (ოპერაციების) მომზადებისა და ჩატარების წარმოებისას იგი გულისხმობს აგრეთვე ინფორმაციულ წინააღმდეგობას და ინფორმაციულ დაცვას. ეს განაპირობებს საერთო სამხედრო-პოლიტიკური და კერძო სამხედრო მდგომარეობის უფრო სრული, ზუსტი, საიმედო ინფორმაციით უზრუნველყოფას, ვიდრე მოწინააღმდეგე და ამ უპირატესობის რეალიზაციას საბრძოლო მოქმედებებში. ამასთან, ინფორმაციის გავლენით შეიარაღებული ბრძოლაში ჩაბმული ძალები და საშუალებები მნიშვნელოვნად იცვლიან ტრადიციულ შინაარსს და ხასიათს.


სამხედრო საქმის ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე ინფორმაცია წარმოადგენდა მძაფრი ბრძოლების ობიექტს. ინფორმაციული ბრძოლა პრაქტიკულად წარმოებდა წარსულის ყველა ომებში. მის შანაარსს ხანგრძლივად წარმოადგენდა ურთიერთდაპირისპირებული მხარეების მოქმედებები დააზვერვის საწარმოებლად და მის წინაღობად. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება ინფორმაციულმა ბრძოლამ განიცადა რადიოელექტრონული ბრძოლის განვითარების შედეგად შეიარაღების სისტემებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით. თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობა და დასასრული განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმატებებით.

შეიარაღებული ბრძოლისაგან განსხვავებით ინფორმაციული ბრძოლა წარმოებს როგორც საომარ, ისე მშვიდობიან დროს. ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ფაქტი და შედეგები ყოველთვის არ არის ნათელი, არ ჩანს, თუ რისთვის და ვის წინააღმდეგაა მიმართული, მეორე მხარისთვის ძნელად მისახვედრია ისიც, თუ რა წარმოადგენს ინფორმაციული ზემოქმედების ობიექტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინფორმაციული ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების დონით, არსებითად ჩამორჩენასთან გვაქვს საქმე.

საკმარისია გავიხსენოთ ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“ (1991 წ.) სპარსეთის ყურეში, როდესაც ერაყის საჰაერო თავდაცვის მართვის სისტემაში საზღვარგარეთის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ საბრძოლო მდგომარეოში გამოიწვია მისი ბლოკირება. ამის გამომწვევ მიზეზად მიაჩნიათ „ლოგიკური ბომბების“, სპეციალური პროგრამული „ჩანადების“ გამოყენება, რაც წინასწარ, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს იყო ჩადენილი.

ამიტომ ინფორმაციული ბრძოლის კანონზომიერებისა და პრინციპების შემეცნება, მისი მეცნიერული თეორიის აქტიური განვითარება სულ უფრო ხდება აქტუალური პრობლემა, რომელიც მოითხოვს სამხედრო კადრების ფართო წრის ყურადღებას.

ინფორმაციული ბრძოლა იმ ფორმით, რომელშიც ის ყალიბდება თანამედროვე პირობებში, შედის მჭიდრო ორგანულ ურთიერთკავშირში სამხედრო საქმიანობასთან. ეს ურთიერთკავშირი სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ: (იხ. სქემა 1).



ინფორმაციული ბრძოლის ურთიერთკავშირი სამხედრო საქმიანობის ძირითად სახეობებთან


შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურებაა მათი მოღვაწეობის ყველა სფეროს ფართო ინფორმატიზაციის აუცილებლობა. ინფორმაციული რესურსების ხარისხი და მოცულობა დღესდღეობით თავდაცვითი პოტენციალის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. წარმატება ბრძოლაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება მხარეთა ინფორმაციული ბრძოლის შედეგებზე, ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება ინფორმაციის საშუალებების ეფექტიანი გამოყენება ჯარების (ძალების) მართვის პროცესში.

შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების პროგნოზირებამ მათი გამოყენების ეფექტიანობამ სამხედრო კონფლიქტებში დაა-

დასტურა, რომ საბრძოლო სისტემების სრულყოფის პერსპექტიულ მიმართულებებს წარმოადგენს ძალებისა და საშუალებების მართვის ხარისხის ამაღლება და კომპლექსური, ბალანსირებული გამოყენება ჯარების (შეიარაღების) განადგურების, დაზვერვის და მართვის საშუალებების ერთიანი სადაზვერვო-დამრტყმელი სისტემის შემადგენლობაში.

მართვის პრობლემები გადასაწყვეტად მოითხოვენ ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების დასაბუთებას. ერთ-ერთი მათგანია განჭვრეტის (პროგნოზირების) ფუნქციის და გადანყვებილების მიღების პროცესის ავტომატიზაცია. ინფორმატიზაციის პროცესის მთავარი შემადგენელია ინტელექტუალიზაცია. ეს კი თავის მხრივ საჭიროებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიის დანერგვას, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებმაც კარგად იციან მართვის თეორიის საფუძვლები.


ინფორმაციულმა ბრძოლამ, მისი წარმოების ფორმებმა წარმოშვა ინფორმაციული იარაღი და მისი გამოყენების სისტემები. სამხედრო თეორეტიკოსები განიხილავენ სამხედრო კონფლიქტებში „არამომაკვდინებელი პროგრამულ-ინფორმაციული იარაღის“ გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს (იხ. სქემა 2).



ინფორმაციული ბრძოლის ურთიერთკავშირი სამხედრო საქმიანობის ძირითად სახეობებთან

შეიარაღებული ძალების ინფორმატიზაციის გაღრმავებასთან ერთად ინფორმაციული ბრძოლის კანონზომიერების მთავარი არსი მისი როლის ამალღებაა საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტაში. ინფორმაციული საშუალებებისა და სისტემის გამოყენება დიდმნიშვნელოვნად აძლიერებს ჯარების საბრძოლო შესაძლებლობებს, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან ერთად იზრდება შეიარაღებული ძალების დაუცველობა ინფორმაციული ბრძოლისაგან, მისი წარმატებული გავლენა საომარი მოქმედებების მსვლელობასა და შედეგებზე მატულობს ინფორმაციულ ბრძოლაში მოზიდული ძალებისა და საშუალებების რაოდენობა. პრინციპში დაბალ დონეზე ინფორმატიზებული შეიარაღებული ძალები არ შეიძლება იყოს ეფექტიანი ინფორმაციული ბრძოლის ობიექტები.

შეიარაღებული ძალების ინფორმატიზაციის ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება ინფორმაციულ რესურსებს. საქართველოს შეიარაღებული ძალების ინფორმაციული რესურსი შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად (იხ. სქემა 3).



ამასთან ერთად, მსოფლიოს ინფორმაციულ ურთიერთქმედებაში გამოკვეთილად უნდა წარმოვიდგინოთ ისიც, რომ გარდა ინფორმა-

ციული ბრძოლისა, წამყვანი ადგილი უკავია ინფორმაციულ თანამშრომლობასაც, რომელიც სულ უფრო გლობალურ ხასიათს იღებს. ეს თანამშრომლობა ხორციელდება ინფორმაციული გაცვლით და ინფორმაციული ინტეგრაციით.

გამოყენებული წყაროები:

Журнал «Военная мысль», 3-4, 1996; 3-4-5-10, 1997 г.; 2-5, 1998

г.

Журнал «Радиопромышленность», 2, 1994 г.

Журнал «Зарубежное военное обозрение», 2, 1998 г.

Журнал «Международная жизнь», 10, 1997 г.

ჯარების მართვა

მართვის მობილურობა

ვიცე-პოლკოვნიკი **ნ. კაიშაური,**

კაპიტანი **გ. იასეშვილი** – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ჯარების მობილურობა ბევრადაა დამოკიდებული მათი მართვის მეთოდებზე. მართვის მობილურობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მეთაურებისა და შტაბების უნარი სწრაფად და ღრმად გაერკვნენ რთულ მდგომარეობაში, შეუფერხებლად მიიღონ ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილება, უმოკლეს დროში დაიყვანონ იგი ხელქვეითებად, უწყვეტად და მდგრადად წარმართონ ჯარების მოქმედება საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

მათემატიკური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია მართვის მობილურობის რაოდენობრივი შეფასებები. ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება კრიტიკული დროის T კრ ცნების შემოყვანით, რომლის ქვეშ იგულისხმება დრო. მისი გასვლის შემდეგ ჯარების მოქმედება საერთოდ არ მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე იმ ეფექტიანობით, რასაც გეგმა ითვალისწინებდა. ოპერატიული მართვა ნიშნავს მივალნივით, რომ დროის ჯამი, დახარჯული მართვის ციკლზე T მარ და ნამდვილი დრო T ნამ, რომელიც აუცილებელია ჯარებისათვის მიღებული ბრძანებების შესასრულებლად, ნაკლები იყოს კრიტიკულ დროზე:

$$T_{\text{მარ}} + T_{\text{ნამ}} < T_{\text{კრ}}$$

აქედან გამომდინარე ვღებულობთ მართვის ოპერატიულობის ფორმულას:

$$T_{\text{მარ}} < T_{\text{კრ}} - T_{\text{ნამ}},$$

თუ ეს ტოლობა სრულდება, შეიძლება ითქვას, რომ მართვა ხორციელდება ოპერატიულად. თუ უტოლობა დარღვეულია

$$T_{\text{მარ}} > T_{\text{კრ}} - T_{\text{ნამ}},$$

შეიძლება მოიძებნოს საჭირო დონემდე მისი ამაღლების გზა. სინამდვილეში,

$$T_{\text{მარ}} = T_1 + T_2 + T_3$$

სადაც, T_1 , T_2 და T_3 შესაბამისად ინფორმაციის მიღების, გადამუშავების და გადაცემის დროა, ერთ-ერთი მათგანის შემცირებით შეიძლება მივალნოთ $T_{\text{მარ}}$ ისეთ მნიშვნელობას, რომლის დროსაც შესრულდება მართვის ოპერატიულობის უტოლობა.

დიდი რაოდენობის ჯარების მოქმედებათა გაერთიანება სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკითა და შეიარაღებით, მათი წარმართვა საერთო ამოცანების შესასრულებლად შესაძლებელია მხოლოდ ჯარების ცენტრალიზებული მართვით. თანამედროვე პირობებში მართვის მკაცრი ცენტრალიზაცია ზემდგომ მეთაურს შესაძლებლობას აძლევს საჭირო მომენტში ცეცხლის, სხვა ძალებისა და საშუალებების თავმოყრით მთლიანად გადანყვიტოს ბრძოლის ბედი.

საუკეთესო შედეგებს შეიძლება მივალნოთ მართვის ცენტრალიზაციით მკაცრად განსაზღვრულ ზღვრებში, შედარებით ფართო დეცენტრალიზაციით, ქვედანაყოფებისა და ნაწილების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის ამაღლებით, თუმცა ბრძოლის კრიტიკულ მომენტებში უთუოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯარების მკაცრად ცენტრალიზებული მართვის შესაძლებლობა.

მართვის ოპერატიულობაზე უშუალო გავლენას ახდენს მისი განხორციელების ხერხებიც. ისინი სრულიად უნდა პასუხობდნენ ჯარების გაზრდილ საბრძოლო და სამანევრო შესაძლებლობებს და გამოიყენებოდეს შექმნილი ვითარების პირობების, შესასრულებელი ამოცანების ხასიათის და მოქმედების ხერხების შესაბამისად, ამიტომ აქცენტი გადაიტანეს ხელქვეითებზე პირადი ურთიერთობის ნაცვლად მანძილიდან მართვის პუნქტებისა და შტაბების საშუალებით ხელმძღვანელობაზე.

მართვის მობილურობის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს შესაბა-

მისი ტექნიკური საშუალებებით შტაბების აღჭურვა, არსებული მართვის სისტემის სრულყოფა; თამამად დაინერგა ტექნიკა, რომელმაც გაიარა შემონმება და სავსებით საიმედოა. კერძოდ, მოიძებნა მეთაურებისა და შტაბების მუშაობის ეფექტიანი ოპერატიული მეთოდები, მიღწეულია ბრძოლის და ოპერაციის ორგანიზაციისა და მომზადების დროის შემცირება, ოფიცერთა შემადგენლობას გამოუმუშავდა თანამედროვე ბრძოლებისათვის აუცილებელი ჩვევები და ხარისხი. ყოველივე ეს მკაფიოდ გამოვლინდა თავდაცვის სამინისტროს ჯარების მრავალრიცხოვან სამეთაურო-საშტაბო სწავლებებისა და საშტაბო წვრთნების დროს.

საბრძოლო მოქმედებათა მომზადების დროის შემცირება შესაძლებელია გადაწყვეტილების შემუშავების, მისი გაფორმებისა და ჯარებისთვის გაცნობის მეთოდების გაუმჯობესებით, შინაარსის გამარტივებით და დოკუმენტების რაოდენობის შემცირებით. გარდა ამისა, ამას ხელს უწყობს მატერიალური და ტექნიკური საშუალებების წინასწარი მომზადება, რომელიც აუცილებელია ბრძოლის სანარმოებლად. დროის სავარძნობ მოგებას იძლევა რამდენიმე ინსტანციაში ერთდროული დაგეგმვა.

დიდად მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ ხელქვეითებისათვის განკარგულებების სწრაფი გაცნობა შეტევის პროცესში, განსაკუთრებით ჯარების წინაშე დასმული ამოცანების მკვეთრი შეცვლის აუცილებლობისას, რაც თანამედროვე პირობებში არცთუ იშვიათი მოვლენა იქნება.

ამასთან ერთად ჯარების მართვის მობილურობა განაპირობებს ინფორმაციული მონაცემების თავისდროულობის, საიმედოობის და უსაფრთხოების მაღალ ხარისხს.

თავისდროულობა ახასიათებს კავშირგაბმულობის უნარს უზრუნველყოს დოკუმენტური შეტყობინებების გადაცემა (მიტანა) ან მოლაპარაკებების წარმოება მოცემულ დროში.

თავისდროულობაზე მოთხოვნის არსს განსაზღვრავს, უპირველესად ის, რომ ინფორმაცია, რომელიც შემოდის მართვის ორგანოში წყაროდან, დროის გასვლასთან ერთად კარგავს თავის ღირებულებას და შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც მისი ღირებულება ნულს გაუტოლდება. ეს შეიძლება ასე ჩაინეროს:

ინფორმაციის ღირებულება = $\begin{cases} 1, & \text{როდესაც } t\text{მოს (სს)} \leq T\text{მოს (სს)} \text{ დას;} \\ 0, & \text{როდესაც } t\text{მოს (სს)} > T\text{მოს (სს)} \text{ დას} \end{cases}$

სადაც t მოს – შეერთების მოლოდინის დროა (სატელეფონო ქსელისათვის);

t სს – შეტყობინების ყოფნის დროა კავშირგაბმულობის სისტემაში (დოკუმენტური კავშირისათვის);

T მოს დას – შეერთების მოლოდინის დასაშვები დროა;

T სს დას – კავშირგაბმულობის სისტემაში შეტყობინების ყოფნის დასაშვები დროა.

ამრიგად, კავშირგაბმულობის თავისდროულობის ძირითადი მაჩვენებელია დრო, ამ დროის კრიტერიულ გამოსახვას წარმოადგენს

$$\begin{aligned} t \text{ მოს} &\leq T \text{ მოს დას,} \\ t \text{ სს} &\leq T \text{ სს დას,} \end{aligned}$$

სადაც, T მოს დას; T სს დას განსაზღვრავენ კავშირგაბმულობის მოთხოვნის დონეს თავის დროულობაზე.

თავისდროულობაზე მოთხოვნის მისაღწევად აუცილებელია:

- კავშირგაბმულობის საშუალებების მუდმივ მზადყოფნაში შენარჩუნება;
- პირადი შემადგენლობის მაღალი კვალიფიკაცია და მორიგეობის მკაფიო ორგანიზაცია კავშირგაბმულობის კვანძებსა და ხაზებზე;
- კავშირგაბმულობის სისტემისა და ჯარების უწყვეტი და ოპერატიული მართვა.

შეტყობინება მაშინ ითვლება მიტანილად, როდესაც მიმღებ პუნქტზე ის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირდება ორიგინალთან. სხვა

სიტყვებით, მასში შეტანილი არ უნდა იყოს ისეთი რამ, რასაც შეუძლია შეცვალოს ინფორმაციის აზრი.

საიმედოობა ახასიათებს კავშირგაბმულობის უნარს უზრუნველყოს გადასაცემი შეტყობინების აღწარმოება მიმღებ პუნქტებში მოცემული სიზუსტით.

სატელეფონო კავშირისათვის საიმედოობის ძირითადი მაჩვენებელია გარჩევითობა (არტიკულაციის კოეფიციენტი):

$$A = \frac{M_o}{M_o + M_{\text{დამ}}}$$

სადაც M_o მეტყველების სწორად მიღებული ელემენტების რაოდენობაა.

M დამ – მეტყველების დამახინჯებულად მიღებული ელემენტების რაოდენობაა.

სატელეგრაფო მეტყველებისათვის მიღებული მონაცემების გადასაცემად საიმედოობის მაჩვენებლად მიღებულია შეტყობინების სწორი მიღების ალბათობა P .

$$P = \frac{M_{\text{სწ}}}{M_{\text{სწ}} + M_{\text{დამ}}} \text{ ანუ}$$

$$M = M_{\text{სწ}} + M_{\text{დამ}},$$

სადაც, M დამ დამახინჯებული შეტყობინების რაოდენობაა, ხოლო M სწ სწორი შეტყობინების რაოდენობაა ფაქსიმალური კავშირისათვის:

$$P_{\text{ონ}} = \frac{O_{\text{ნ}}}{O}$$

სადაც $O_{\text{ნ}}$ რეპროდუქციის სახის სწორად გამოცნობის რიცხვია; O ცდების რაოდენობაა გამოცნობაზე.

კავშირგაბმულობის საიმედოობა მიიღწევა:

- ყველაზე მნიშვნელოვანი შეტყობინებების გადასაცემად საუკეთესო ხარისხის კავშირგაბმულობის არხების გამოყენებით;
- შეტყობინების განმეორებით გადაცემით;
- საიმედოობის ამალღების სპეციალური აპარატურის გამოყენებით;
- კავშირგაბმულობის არხებისა და საშუალებების მახასიათებლების შენარჩუნებით დადგენილი ნორმის ფარგლებში.

განვითარებული სახელმწიფოების არმიების რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით თანამედროვე მაღალ ტექნიკური აღჭურვის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კავშირგაბმულობის ისეთი თვისება, როგორცაა მისი უსაფრთხოება.

უსაფრთხოება ახასიათებს კავშირგაბმულობის უნარს უზრუნველყოს გადასაცემი (მისაღები) შეტყობინებების შინაარსის საიდუმლო შენახვა და წინ აღუდგეს ყალბი ინფორმაციის შეყვანას.

კავშირგაბმულობის უსაფრთხოების რაოდენობრივი მახასიათებელია დახურვის კოეფიციენტი K დ, რომელიც წარმოადგენს დახურული კავშირების რაოდენობის ფარდობას (N დ) საერთო რაოდენობასთან (N დ+N არდ) ანუ

$$K_{\text{დ}} = \frac{N_{\text{დ}}}{N_{\text{დ}} + N_{\text{არდ}}}$$

ძირითად ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს კავშირგაბმულობის უსაფრთხოების მოთხოვნების მისაღწევად წარმოადგენს:

- კავშირგაბმულობის გამასაიდუმლოებელი აპარატურის გამოყენება და მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა;
- ინფორმაციის წინასწარი შიფრაცია და კოდირება, სახმობების ცხრილისა და ჯარების ფარული მართვის დოკუმენტების გამოყენება;
- საიდუმლოებების რეჟიმის მოთხოვნების შესრულება ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვისას მართვის ავტომატიზებულ სისტემებში, კავშირგაბმულობის კვანძებში, სადგურებსა და სააპარატუროებში.

მაღალი დონის დაცული კავშირგაბმულობის შექმნა, რომელიც ადრე მსოფლიოს სამხედრო მეცნიერთა და ექსპერტთა შორეულ ოცნებას წარმოადგენდა, დღეს უახლესი სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების კომპლექსური გამოყენების მეოხებით უკვე რეალობად იქცა.

ლიტერატურა

Военная мысль №4, 1996, №5, 1997, №№2-5, 1998.

თავი მეცხრა

გადათარგმნილია ინგლისურ ენაზე

გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით.

ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის სატრანსპორტო დერეფანის პირობებში – ნავთობის ტრანზიტის მატალითობა.

სამეცნიერო მოხსენების ფორმით წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია.

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატი, პოლკოვნიკი.

მეცნიერ-ხელმძღვანელები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ნ.ვ. გაბაშვილი და ა.ე. საზონოვი

ამოცანის დასმა.

ნავთობი და ტრანზიტები ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემის და ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია საერთაშორისო ურთიერთობებში. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთიან სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითად ამოცანებს. ნავსადგურებიდან საზღვაო სატანკერო ფლოტით ნავთობის გადაზიდვის რთულ პროცესში უნდა შევამციროთ არამწარმოებლური მოცდენები ტვირთის მოლოდინის მიზეზით, პრაქტიკულად განვახორციელოთ სტრატეგიუ-

ლი მიდგომა „ხმელეთი ფლოტისათვის“, მეცნიერულად განვსაზღვროთ ნავთობის მოპოვების, წარმოება-გადამუშავების, შენახვის და ნავსადგურში სპეცტრანსპორტით-მილსადენით და რკინიგზით შემოზიდვის კანონზომიერება. ტრანსპორტელთა წინაშე დგას რთული ამოცანა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რთული სატრანსპორტო მექანიზმის ყველა რგოლში, და მთლიანად, მეცნიერულად დასაბუთებული მართვის თანამედროვე მეთოდების შემუშავებით და გამოყენებით. ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები – მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის საფუძველთა საფუძველია.

მსოფლიოს ნავსადგურებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა ნავთობის საზღვაო ტანკერებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვის (ჩასხმა-გადმოსხმის) პროცესს და კერძოდ ბათუმის ნავსადგურში, რეალური მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო და დაგვარწმუნა, რომ დასამუშავებლად ყველაზე აქტუალური ამოცანა იყო – სატანკერო ფლოტის ოპტიმალური მომსახურება და ნავთობის მარაგების მართვა. ანუ სისტემური მიდგომა და მართვა კომპლექსური ობიექტის საზღვაო სატანკერო ფლოტი – საზღვაო ნავსადგური – ნავთობგადამზიდი ბაზა (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა) – ნავთობის მოპოვება [1; 12;].

საერთაშორისო თვალსაზრისით ასეთი სისტემური მართვის მათემატიკური ამოცანა ჯერ არ იყო გადაწყვეტილი და დამუშავებული. ხოლო საზღვაო სატანკერო ფლოტის ექსპლოატაციის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვარწმუნებდა ასეთი სისტემური ამოცანის გადაწყვეტისა და დამუშავების აქტუალობასა და აუცილებლობაში.

საზღვაო სანაოსნოს მართვის ავტომატიზებული სისტემა სტრუქტურის მიხედვით შედგება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების კომპლექსისაგან, მართვის ფუნქციის რეალიზაციის ალგორითმებისა და მათი ინფორმაციული, მათემატიკური და ტექნიკური უზრუნველყოფისაგან. საზღვაო სანაოსნოს მართვის ავტომატიზებული სისტემის ძირითადი მიზნობრივი ფუნქციაა საზღვაო ფლოტის ოპერატიული მოძრაობის ორგანიზაცია და ნავსადგურების გეგმაზომიერი დატვირთვა, რაზედაც არიტმულ ზემოქმედებას ახდენს ნავთობის ტვირთების მოძრაობის ნაკადების შემთხვევითი ცვალებადობა, განპირობებული საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკურო-

ბით, საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის ცვლილების გავლენითა და საოკეანო ტრასებზე ჰიდრომეტეოროლოგიური მდგომარეობის პრონოზირების სიძნელით [2; 3].

1. განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმები

საზღვაო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტიული გეგმა პირობითად იყოფა ორ დონედ – ზედა დონე (საერთო ხელმძღვანელობა) და ქვედა დონედ – რომლის ფუნქციებშიც შედის ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და კონტროლი დარგის საერთო პერსპექტიული გეგმის ცალკეული, ანუ კერძო ნაწილების შედგენის მიმართ [3].

საზღვაო სანაოსნოს განვითარების პერსპექტიული გეგმა ზემოთ მოყვანილ სტრუქტურაში მიეკუთვნება ქვედა დონეს და ამიტომ ვიყენებთ მოდიფიცირებულ სტოქასტიკურ ქსელურ მოდელებს, რადგან საზღვაო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტიული გეგმის ცალკეული უბნებისა და ეტაპების დამუშავების დროს, როგორც წესი, ერთდროულად ხორცილდება რამოდენიმე ვარიანტის გაანგარიშება, მათ შორის უმჯობესის თანმიმდევრული ამორჩევით. ე.ი. განვითარების პროცესს ჩვენ ავსახავთ ცვლადი სტრუქტურის მქონე ქსელური მოდელით.

პროცესის ცვლადი სტრუქტურის ქსელური მოდელით ასახვა ხდება მასში განშტოების ადგილებზე ალტერნატიული ხდომილებების გამოყენებით, რომლებშიც გვიხდება დამუშავების შემდგომი გაგრძელების მიმართულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ანუ ამორჩევა ვარიანტების სიმრავლიდან. ამოცანის არსი მდგომარეობს სტოქასტიკური ქსელური მოდელის შედგენაში, რომელიც ითვალისწინებს განვითარების პერსპექტიული გეგმის დამუშავების პროცესის ალბათურ ხასიათს, რომელშიც არსებობს „განუსაზღვრელი“ სიტუაციები, სადაც შესაძლებელია ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა ამოვირჩიოთ მოდელის სტრუქტურა და რიცხვითი მახასიათებლები ისე, რომ იგი უკეთესად ასახავდეს გეგმის დამუშავების პროცესს და ამავე დროს დაკავშირებული არ იყოს რთულ გამოთვლით ოპერაციებთან.

საზღვაო სანაოსნო განვითარების პერსპექტიული გეგმის სტოქასტიკური ქსელური მოდელი შედგენილია „სამუშაოების“ ტერმინებში.

საზღვაო სანაოსნო განვითარების პერსპექტიული გეგმის შესადგენად მიზანშეწონილი და აუცილებელია სამუშაოების ცნებაში შედგენილი ცვლადი სტრუქტურის სტოქასტიკური ქსელური მოდელის გამოყენება, რომლის გაანგარიშება თანამედროვე გამომთვლელ მანქანაზე პრაქტიკულად განხორციელებულია.

საზღვაო ტრანსპორტის განვითარების წლიური გეგმა პერსპექტიულ გეგმასთან შედარებით დეტერმინირებული სისტემაა სტრუქტურის მიხედვით, და ამ შემთხვევაში ძირითადი მიზანია თითოული იერარქიული დონის ტიპური ქსელური მოდელის შექმნა და დამუშავება.

მოდელიზირებულ ქსელურ მოდელში დაგეგმვის ოპტიმალური ნაწილების შერჩევა და თანამიმდევრული შეერთება საბოლოოდ გვაძლევს საზღვაო სანაოსნოს განვითარების წლიური გეგმის ოპტიმალური თანამიმდევრობის მიღების შესაძლებლობას, იგივე შეეხება ნავსადგურებს და მათი განვითარების წლიურ გეგმებს. განვითარების წლიური გეგმის ქსელური მოდელის შედგენა შესაძლებლობას გვაძლევს მცირე დანაკარგებით და უმოკლეს დროში მოვახდინოთ გამოთვლის მექანიზაცია საგეგმო გაანგარიშებების შესრულების დროს და გამოვიყენოთ ქსელური მოდელები როგორც წლიური გეგმის მათემატიკური მოდელები და გამომთვლელი მანქანის დახმარებით გავიანგარიშოთ მათი სხვადასხვა ვარიანტები მათგან უმჯობესის ამორჩევით [3].

საზღვაო სანაოსნოსა და ნავსადგურებში წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესები რთული პროცესებია და წარმოადგენს ციკლურად განმეორებად პროცესებს. აქედან გამომდინარე დამუშავდა ქსელური მოდელების სპეციფიკური სახე ე. წ. ციკლურად განმეორებადი პროცესებისათვის. აღნიშნული სახის ქსელური მოდელების შედგენაც ხორციელდება „სამუშაოების“ ცნებებში.

2. გემების ოპტიმალური დაყენების ამოცანა ხაზებისა და მიმართულებების მიხედვით.

ნავსადგურში გემების ოპტიმალური დაყენების ამოცანა ხაზებისა და მიმართულებების მიხედვით ყალიბდება როგორც განზოგადოებული სატრანსპორტო ამოცანა და დაისმება სამ ვარიანტში [3]: საკაბოტაჟო, საზღვარგარეთ და კომბინირებული ცურვისათვის.

გემების დაყენების დროს კომბინირებული ცურვისათვის, რაც გულისხმობს საკაბოტაჟო და საზღვარგარეთ ცურვას ერთად, უნდა შეევასრულოთ გადაზიდვის მოცულობა საკაბოტაჟო ხაზებზე და უზრუნველყოთ მაქსიმალური სავალუტო შემოსავალი საზღვარგარეთ ცურვაში, ე.ი. საჭიროა მოცემული წრფივი ფორმის მაქსიმუმის პოვნა:

$$\sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n X_{ij} F_{ij} = \max$$

სადაც X_{ij} არის i სახის გემების რაოდენობა, გამოყოფილი ნავთობ-პროდუქტების გადასაზიდად j -ურ ხაზზე, F_{ij} – i -ური ტიპის გემებისაგან მიღებული სავალუტო შემოსავალი მის j -ურ ხაზზე მუშაობის დროს საგემო პერიოდის განმავლობაში შემდეგი პირობების შესრულებით:

ა. გადაზიდვის მოცულობა ყოველ საკაბოტაჟო ხაზზე უნდა შესრულდეს საკუთარი საზღვაო სანაოსნოს გემებით:

$$\sum_{i=1}^m X_{ij} P_{ij} = A_j (j = 1, 2, \dots, l)$$

სადაც l არის საკაბოტაჟო ხაზების რაოდენობა $l < n$;

ბ. გადაზიდვის მოცულობა (გამოსახული სავალუტო შემოსავლით), რომელსაც ასრულებს საკუთარი საზღვაო სანაოსნოს გემები საზღვარგარეთ ცურვაში არ აღემატება შესაძლო გადაზიდვის მოცულობას:

$$\sum_{i=1}^m X_{ij} F_{ij} \leq F_j (j = 1+1, 2, \dots, n)$$

გ. i -ური ტიპის გემების რაოდენობა, რომელიც გამოყოფილია j -ურ ხაზებზე, არ უნდა აღემატებოდეს რეალურად არსებულს:

$$\sum_{i=1}^m X_{ij} F_{ij} \leq K_{ij}$$

დ. დადებითობის პირობა $X_{ij} \geq 0$.

აღნიშნული ამოცანები ამოიხსნება წრფივი პროგრამირების ცნობილი მეთოდებით.

3. გემების ოპტიმალური დატვირთვისა და ნავთობის მარაგების მართვის ამოცანა.

საერთო კომპლექსში განხილულია ნავსადგურში საზღვაო ტანკერების ოპტიმალური მომსახურებისა და ნავთობის მარაგების მართვის ავტორისეული სისტემური ამოცანა.

საზღვაო ტანკერის ნავსადგურში ყოფნის საერთო დრო შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან [1; 4; 12]:

- სუფთა სატვირთო დრო,
- ნორმირებული დამხმარე ოპერაციები,
- არანორმირებული დამხმარე ოპერაციები და
- არამნარმოებლური მოცდენები.

ნავსადგურში ყოფნის დრო ფლოტის საექსპლოატაციო პერიოდის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მისი სტრუქტურის ანალიზს, გამომწვევ მიზეზებს და მათ ხანგრძლივობას აქვს დიდი მნიშვნელობა ტანკერების მუშაობის სრულყოფისათვის, არამნარმოებლური მოცდენების შემცირების მიზნით ღონისძიების შემუშავებისათვის და აგრეთვე ფლოტის მუშაობის წლიური და პერსპექტიული დაგეგმვის ნორმატივების უზრუნველყოფისათვის.

დამხმარე ოპერაციების ხანგრძლივობა დიდმნიშვნელოვნად დამოკიდებულია ნავსადგურის-ტერმინალის სპეციალიზაციაზე. ის უმნიშვნელოა იმ ნავსადგურებში, სადაც ადგილი აქვს ერთგვაროვანი ტვირთის გადამუშავებას და იზრდება 1,5-ჯერ იმ ნავსადგურებში, რომელთაც ტვირთბრუნვის რთული სტრუქტურა გააჩნიათ (მაგალითად ბათუმის ნავსადგური). ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს ნავთობბაზის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებისას, აგრეთვე ოპტიმალური კავშირის დამყარებისას თხევადი საწვავის წარმოების რაიონებსა და საზღვაო ტრანსპორტით მისი გადაზიდვის პუნქტებს (ნავსადგურებს) შორის.

ნავთობბაზების სანაპირო რეზერვუარების არასაკმარისი მოცულობა დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ნავსადგურებში ტანკერების მომსახურებაზე, საიდანაც ხორციელდება ნავთობის ექსპორტი. ტვირთმიმღებების მოთხოვნები ნავთობის ნედლეულის მიწოდების პარტიულობისადმი უფრო მკაცრია თხევადი ტვირთების სხვა სახეობებთან შე-

დარებით და ნაკარნახევია ძირითადად რეზერვუარების მოცულობით და ნავსადგურში, არხებსა და სრუტეებში არსებული სიღრმით. ამ გარემოებამ განაპირობა საერთაშორისო გემთმშენებლობაში სუპერტანკერების ინტენსიური მშენებლობა.

ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერული გამოკვლევები ოპტიმალური დამოკიდებულების დასამყარებლად ნავთობბაზების ტექნიკურ პარამეტრებსა და საზღვაო ტანკერებს შორის, მათი კომპლექსური დასაბუთება. გადაწყვეტას მოითხოვდა მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხი ფლოტის მუშაობის წლიური დაგეგმვისათვის, ნავსადგურში გემის ყოფნის დროის ნორმატივების შემუშავება და ამ ნორმატივების პროგნოზირება პერსპექტიული დაგეგმვისათვის. აღნიშნული სამუშაოების შესრულება განაპირობებს ნავთობის გადაზიდვების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებას.

4. ნავსადგურში საზღვაო ტანკერების ოპტიმალური მომსახურების მათემატიკური და ქსელური მოდელები.

ნავსადგურში საზღვაო ტანკერების ოპტიმალური მომსახურების ამოცანა განიხილება და დაისმება პატარა (ერთ თვიანი) და დიდი (ერთ თვეზე მეტი) პერიოდისათვის [1; 3; 4;].

როდესაც ჩვენ განვიხილავთ ნავსადგურში ტანკერების ოპტიმალური მომსახურების ამოცანას პატარა (ერთ თვიანი) პერიოდისათვის ჩვენ ვთვლით, რომ განსახილავი პროცესი – ნავსადგურში ტანკერების ნავთობით ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესი დეტერმინირებულია, ე.ი. დასამუშავებელი ტანკერების რაოდენობა დროში, საერთაშორისო მოთხოვნა ნავთობზე, ნავთობგადამზიდი ბაზის სიმძლავრე, რეზერვუარებში ნავთობის დონე, ნავსადგურის ტექნიკური არსენალი და ა.შ. ჩვენ წინასწარ ვიცით.

ხოლო როდესაც ჩვენ განვიხილავთ ნავსადგურში ტანკერების ოპტიმალური მომსახურების ამოცანას დიდი (ერთ თვეზე მეტი) პერიოდისათვის, განსახილავი პროცესი – ნავსადგურში ტანკერების ნავთობით ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესი სტოქასტიკურია.

პირველ შემთხვევაში დასმული ამოცანა ემყარება დეტერმინირებუ-

ლი ქსელური მოდელების გამოყენებას. ჯერ ვადგენთ ნავთობით თითოეული გემის დატვირთვის დაწვრილებით ქსელურ გრაფიკს, რომელშიც შედის:

ნავთობის გატანის შემთხვევაში: რეიდიდან სალოცმანო გაცილება ნავსადგურში, გემისადგომზე დაყენება, შემონმება მოსვლაზე, ბალასტის გადმოსხმა, გემის ნავთობსათავსების მომზადება და მიღება, ნავთობის ჩატვირთვა, ტვირთის რაოდენობის განსაზღვრა, შემონმება გასვლაზე, გემისადგომიდან გაყვანა, სალოცმანო გაცილება რეიდზე. ანალოგიურია ნავთობის შემოტანის შემთხვევაშიც.

ვინაიდან, თითოეული ნავთობჩამომსხმელი ტერმინალი ქმნის თავის საკუთარ გემების ნაკადს, ამის საფუძველზე ვადგენთ ნაკადური დატვირთვის ცნობით მათემატიკურ და ქსელურ გრაფიკს. ცნობით ქსელურ გრაფიკზე თითოეული ხდომილება აღნიშნულია სამნიშნიანი რიცხვით, რომელთაგან პირველი ციფრი მიუთითებს ნაკადის ნომერს, მეორე – გემის ნომერს ამ ნაკადში, მესამე კი – ხდომილების ნომერს ამ გემზე. აღნიშნული ნაკადური ქსელური გრაფიკების ერთმანეთთან შერწყმა გვაძლევს კომპლექსურ ნაკადს.

რადგან ჩვენ განვიხილავთ ერთმანეთისაგან განსხვავებული გემების დატვირთვის პროცესს, ამიტომ კომპლექსურ ნაკადის ნაცვლად ვსარგებლობთ საუბნო ქსელური გრაფიკით, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნავთობის, მუშების, მექანიზმებისა და მოწყობილობების თანაბრად და უწყვეტად გამოყენება ნავსადგურის ნავთობჩამომსხმელი უბნის მიხედვით და არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას, თუ როგორ გადანაწილდება იგი ცალკეული გემების მიხედვით.

დავამუშავეთ ამ ამოცანის ალგორითმი და გამომთვლელი მანქანის პროგრამის ბლოკ-სქემა. ალგორითმი ემყარება არა კრიტიკულ გზებზე მდებარე სამუშაოების დროის რეზერვების გამოყენებას და ამა თუ იმ სამუშაოს ინტენსიურობის სხვადასხვა ვარიანტებს. პროგრამის მოქმედების შედეგად გამოსავალზე ვღებულობთ საძიებელ მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ყოველი სამუშაოს ოპტიმალურ განაწილებას.

მეორე შემთხვევაში ამოცანა ემყარება სტოქასტიკური ქსელური მოდელების გამოყენებას. მათემატიკური დამუშავების საფუძველზე

იგი იძლევა შესაძლებლობას განვსაზღვროთ შესაძლო ალტერნატიული სანციების განხორციელების დრო, რომელიც, როგორც წესი, წამოიჭრება ხოლმე ნავსადგურში ფლოტის ნავთობით დატვირთვა-გადმოტვირთვისას.

შესასრულებელ ოპერაციათა კომპლექსის სტოქასტიკური ქსელური მოდელის განსხვავება არა სტოქასტიკურისაგან მდგომარეობს იმაში, რომ იგი მხედველობაში იღებს არა მარტო რომელიმე შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობის არცოდნას, არამედ მისი გამოჩენის ალბათობასაც. ამრიგად, მიღებული სტოქასტიკური, მათემატიკური და ქსელური მოდელი ასახავს ნავსადგურში ფლოტის ნავთობით დატვირთვის პროცესს სანციების სიმრავლით, რომლის საფუძველზედაც გადაიჭრა პროგნოზირების ერთ-ერთი რთული პრობლემა – ნავსადგურში ფლოტის ნავთობით დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესის პროგნოზირება თითოეული მიმართულების ალბათობის შეფასებით და მისი რეალიზაციის დროით.

ნავსადგურში ტანკერების ოპტიმალური მომსახურების სტოქასტიკური ქსელური მოდელის პარამეტრების გათვლა და განსაზღვრა გამომთვლელ მანქანაზე ხორციელდება სტატისტიკური მეთოდის (მონტე-კარლოს მეთოდის) დახმარებით სპეციალური ალგორითმის გამოყენების საფუძველზე. სტატისტიკური მოდელირების პროცესი, რომელიც წარმოადგენს შემხვევითი სიდიდეების მრავალჯერად რეალიზაციას, იძლევა შესაძლებლობას შევაფასოთ ქსელური მოდელის დროებითი პარამეტრები ფაქტორების სიმრავლის გასაშუალებული გავლენის გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებენ თითოეული სამუშაოს ხანგრძლივობაზე, მათ შორის მართვის ფაქტორზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა დამუშავებულ მათემატიკურ და ქსელურ მოდელში სამუშაოების ხანგრძლივობის ოპტიმისტური და პესიმისტური შეფასებების განსაზღვრისას.

ორივე შემთხვევაში სარეგულირებელი სიდიდეა ტანკერების მომსახურების დრო, ხოლო კრიტერიუმია არსებული რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების გეგმაზომიერი, თანაბარი გამოყენება ნავსადგურის ნავთობჩამომსხმელი უბნის მასშტაბით მთლიანად.

5. სატრანზიტო-საექსპორტო ნავთობის წარმოების მართვის კანონზომიერების განსაზღვრა.

ნავსადგურში ნავთობით ფლოტის ოპტიმალური მომსახურების ამოცანა პარალელურად წარმოქმნის ამოცანას, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: რა რაოდენობის მარაგი უნდა ჰქონდეს ტერმინალს და როგორ უნდა შემოზიდოს მილსადენით და რკინიგზით, როცა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ბაზრის მოთხოვნილება ნავთობზე მოულოდნელად გადააჭარბებს წინასწარ გათვალისწინებულ მოცულობას – დონეს [1; 2; 3; 4; 12].

ნავთობის მარაგების რეზერვუარებში შენარჩუნების ამოცანა დაიყვანება შემდეგზე – უნდა მოვძებნოთ მართვის ისეთი კანონი ნავთობმილსადენის, სარკინიგზო ტრანსპორტის, ნავთობგადამზიდი ბაზის რომ მოთხოვნილების S_j შენარჩუნებული იქნას მუდმივ დონეზე ცნობილ დასაშვებ ზონაში.

ამ პროცესის ანალიზი სრულდება შემდეგი თანამიმდევრობით:

- ა. ხდება მართვის ფორმულის შერჩევა სისტემისათვის სატანკერო ფლოტი – საზღვაო ნავსადგური (ტერმინალი) – ნავთობგადამზიდი ბაზა – ნავთობმილსადენი – სარკინიგზო ტრანსპორტი

$$P_j = P(S_j, J_j)$$

სადაც P არის ნავთობის შემოზიდვა და წარმოება.

- ბ. ამ სისტემის მართვის ფორმულა გადაიქმნება Z გამოსახვაში და დაიხაზება გრაფის ტოტის სახით, რომელიც შემდგომ შეუერთდება ნავთობის მარაგების განტოლების გრაფს და საბოლოოდ მიიღება ნავთობის მარაგების მართვის გრაფის ფორმა.

- გ. მიღებული გრაფიდან ვპოულობთ საძიებელ სიდიდეებს ჯერ Z გამოსახვაში, ხოლო შემდგომ n , i (n) და $P_j(n)$ ფუნქციაში.

მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დამტკიცდა ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევაში ნავთობმილსადენი, სარკინიგზო ტრანსპორტი და ნავთობგადამზიდი ბაზა უნდა მუშაობდეს სარეგულირებელი სიდიდის – რეზერვუარებში ნავთობის მარაგების დონის გადახრის ინტეგრალის მიხედვით:

$$P_j(t) = \int_0^t \Delta J_j dt$$

ამ დროს გამოიყენება ავტომატური რეგულირების, კერძოდ ასტატიკური რეგულირების პრინციპები და წყვეტილი ფუნქციების მეთოდები გრაფების თეორიით წრფივი სისტემების ანალიზთან შერწყმით.


საზღვაო სანაოსნოს მართვის ავტომატიზირებული სისტემის მნიშვნელოვანი ამოცანებია:

- გემებიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის ავტომატიზირებული გადამუშავება,
- ფლოტის პოზიციის პროგნოზირება,
- ნავსადგურში გემების ოპტიმალური მომსახურების ოპტიმალური ნორმების განსაზღვრა,
- საზღვაო სანაოსნოს გემების სარემონტოდ დაყენების ოპტიმალური განრიგის ამოცანა,
- სასაწყობო მეურნეობის რაციონალური გამოყენების ამოცანა და სხვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვაო ფლოტის პერსპექტიული განვითარების მათემატიკურ მეთოდებს.

6. ნავთობის წარმოებისა და ერთიანი სატრანსპორტო სისტემით გადაზიდვის პროცესის მათემატიკური და გრაფიკული ანალიზი.

საექსპორტო ნავთობის წარმოებისა და ერთიანი სატრანსპორტო სისტემით გადაზიდვის პროცესის მათემატიკური და გრაფიკული ანალიზის არსი შემდეგში მდგომარეობს [12].



ნავთობის გადაზიდვისა და წარმოების პროცესი
ნახ. 1.

სისტემის შესავალზე, რომელსაც დინამიკური ხასიათი გააჩნია, მოქმედებს ორი შემთხვევითი ფუნქცია $X(t)$ და $Y(t)$. $X(t)$ არის n რაოდენობის შემთხვევითი ფუნქციების ჯამი, დამოკიდებულია საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, წარმოადგენს დისკრეტულ შემთხვევით სიდიდეს. ხოლო $Y(t)$ არის m რაოდენობის შემთხვევითი ფუნქციების ჯამი, დამოკიდებულია კლიმატზე და წარმოადგენს უწყვეტ შემთხვევით სიდიდეს. ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების რაციონალური შერჩევის და გამოყენების მიზნით აუცილებელია სისტემის რეაქციის $Z(t)$ შესწავლა – ნახ. 1. $Z(t)$ მიეკუთვნება შერეული ტიპის შემთხვევით ფუნქციას.

შემთხვევითი ფუნქციების თეორიის გამოყენებით ისმება შემთხვევითი ფუნქციების შეკრების ამოცანა. ანუ ჯამის $Z(t)$ – შემთხვევითი ფუნქციის მახასიათებლის განსაზღვრის ამოცანა შესაკრებების $X(t)$ და $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციების მახასიათებლის მიხედვით. საბოლოოდ ვღებულობთ:

$$Z(t) = \sum_{i=1}^n X_i(t) + \sum_{i=1}^m Y_i(t)$$

$$M_Z(t) = \sum_{i=1}^n M_{X_i}(t) + \sum_{i=1}^m M_{Y_i}(t)$$

$$K_Z(t, t') = \sum_{i=1}^n K_{X_i}(t, t') + \sum_{i=1}^m K_{Y_i}(t, t')$$

$Z(t)$ – შემთხვევითი ფუნქცია მიახლოების მაღალი სიზუსტით ხასიათდება ნორმალური განაწილების კანონით, ძირითად მახასიათებლებად ვიხილავთ მის მათემატიკურ მოლოდინს და კორელიაციურ ფუნქციას. $X(t)$ შემთხვევითი ფუნქციაც ემორჩილება ნორმალური განაწილების კანონს. ნორმალური განაწილების კანონების კომპოზიციით ვღებულობთ ისევ ნორმალური განაწილების კანონს. ასე, რომ უფლება გვაქვს $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციის ჩვენთვის უცნობი რეალური განაწილების კანონი შევცვალოთ მიახლოებით ნორმალური განაწილების

კანონით საკუთარი რიცხული მახასიათებლების გათვალისწინებით.

ნავთობის წარმოებისა და გადაზიდვის პროცესის ეფექტურობის მათემატიკური და გრაფიკული ანალიზის და ეფექტური და მაღალიმედიანი კომპლექსური ტექნიკური და სატრანსპორტო სისტემის შექმნის მიზანია ჯამური მაჩვენებლის $Z=X+Y$ ალბათობის უზრუნველყოფა მოცემულ (დასაშვებ) ინტერვალში. ალბათობა იმისა, რომ შემთხვევითი სიდიდე Z მოხვდება დასაშვები მონაკვეთის (α , β) საზღვრებში აინერება შემდეგი ფორმულით:

$$P(\alpha < Z \leq \beta) = \Phi^* \left(\frac{\beta - M_Z}{\sigma_Z} \right) - \Phi^* \left(\frac{\alpha - M_Z}{\sigma_Z} \right)$$

სადაც M_Z და σ_Z Z სიდიდის მათემატიკური მოლოდინი და საშუალო კვადრატული გადახრაა. Φ^* – ნორმალური განაწილების ფუნქციაა.

სხვა ავტორების მიერ სხვა დარგებში ალბათობის თეორიისა და შემთხვევითი ფუნქციების ზოგადი ანალიზი კონკრეტიზირებული აქვთ ორ განზომილებიან სიბრტყეზე. ამ შემთხვევაში კი ზოგადის კონკრეტიზაცია ნავთობის წარმოებისა და საერთაშორისო ბაზარზე ერთიანი სატრანსპორტო სისტემით გადაზიდვის პროცესის ეფექტურობის მაჩვენებლების დასაშვებ საზღვრებში მოხვედრის მიზნით განხორციელებულია სამგანზომილებიან სივრცეში.

7. ურთიერთმოქმედი მართვის ავტომატიზირებული სისტემების დამუშავების მეთოდოლოგია.

სახელმწიფოს მართვის ავტომატიზებულ სისტემას აქვს ოთხი იერარქიული სტრუქტურა. შესაბამისად არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა, შედგება ტერიტორიული, ფუნქციონალური და დარგობრივი მართვის ავტომატიზებული სისტემებისაგან. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სახელმწიფოს ერთიანი ტრანსპორტის საზღვაო, ნავთობ-მილსადენის, სარკინიგზო, საავტომობილო, საავიაციო და სპეცტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც სტრუქტურულად შედგება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისაგან, მართვის ფუნქციის რეალიზაციის ალგორითმისაგან და მათი ინფორმაციული, ტექნიკური, მათემატიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფისაგან.

მართვის ძირითადი ფუნქციებია: დაგეგმვა, ოპერატიული რეგულირება, კონტროლი, აღრიცხვა და ანალიზი. თითოეული ეს ფუნქცია იყოფა ქვეფუნქციებად, ხოლო შემდგომ კი მართვის ამოცანებად.

ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემების ეფექტურობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მათი შეთანხმებული ფუნქციონირების ხარისხზე. ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემების ურთიერთქმედების სისტემის დამუშავების მიზანია მოძრავი შემადგენლობის მუშაობის ეფექტურობის მაქსიმალურად ამაღლება გარეშე მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან განხილული მართვის ფუნქციების ოპტიმალურად ავტომატიზებული შესრულების გზით [5; 6; 7].

სახელმწიფოს ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარების თანამედროვე ეტაპის ძირითადი ამოცანაა მათი ერთიანობის და ურთიერთქმედების უზრუნველყოფა, აგრეთვე შექმნისა და შემდგომი განვითარების ინტეგრირებული ხასიათი – ურთიერთშეთავსებადობა. ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემების ურთიერთქმედების ძირითადი მოთხოვნები გარეშე მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან შემდეგია: სისტემებს შორის კავშირების რაოდენობა; ამ სისტემებს შორის შვიდი სახის შეთავსებადობა: მეთოდური, ინფორმაციული, ორგანიზაციული, სამართლებრივი, საკადრო, მათემატიკური და ტექნიკური.

მეთოდური შეთავსება ითვალისწინებს:

მართვის საერთო ფუნქციის დადგენას;

ცალკეული მართვის ამოცანების განსაზღვრას და მათ განაწილებას შესაბამის დონეებზე;

ცალკეული მაჩვენებლების დადგენას და განაწილებას, დუბლირების მოვლენის გამორიცხვას;

გეგმების შესრულების კონტროლისა და ანალიზის ფუნქციების განაწილებას;

მართვის ერთგვაროვანი ამოცანების გადაწყვეტას ერთგვაროვანი ინფორმაციის გამოყენებით;

ერთგვაროვანი მაჩვენებლები უნდა განისაზღვროს ერთიანი მეთოდით;

ყოველ დონეზე ოპტიმიზაციის მეთოდის გამოყენების დროს საჭიროა გათვალისწინებული იყოს ერთიანი კრიტერიუმები.

ინფორმაციული შეთავსების ქვეშ იგულისხმება:

შემაჯავლი და გამომავალი დოკუმენტების, რაოდენობისა და შინაარსის (მაჩვენებლების) განსაზღვრა და შეთანხმება;

გამოყენებული კლასიფიკატორების, ინფორმაციის ტექნიკური მატარებლების ფორმების, მონაცემების მიღებისა და გადაცემის თანმიმდევრობისა და დროის დადგენა;

მონაცემების ავტომატიზებული ბანკის ორგანიზაცია, რომლის გამოყენება ყოველ დონეზე იქნება შესაძლებელი;

იგი ემყარება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ერთიანი სისტემის, დოკუმენტაციის ერთიანი უნიფიცირებული სისტემის და მაჩვენებლების კლასიფიკაციის და კოდირების ერთიანი მეთოდების გამოყენებას.

ორგანიზაციული შეთავსება შედგება შემდეგი ღონისძიებებისაგან:

ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები, მართვის ფუნქციის მკვეთრი განაწილება,

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ფორმების უნიფიცირება, სისტემის შექმნის სამუშაოების ორგანიზაცია –

ძირითადი ამოცანაა ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა დონის მართვის ავტომატიზებული სისტემების პროექტირების და დანერგვის ქსელური მოდელის შექმნა.

სამართლებრივი შეთავსება მოითხოვს:

სახელმწიფოებრივი კანონიერების დაცვის კონტროლს;

ინფორმაციის შეკრების, რეგისტრაციის, გადაცემის, დამუშავების და ანალიზის დროს დამოკიდებულებების რეგულირებას;

ურთიერთქმედი სისტემების სამსახურებისა და ქვეგანაყოფების საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას;

მონაცემების მომზადება სამართლებრივი ინფორმაციის ფორმირებისათვის; ნორმატიული ბაზის დამუშავებას;

დამკვეთს, შემსრულებელსა და თანამემსრულებელს შორის საქმიანი ურთიერთ დამოკიდებულების განსაზღვრას;

მშრომელთა შრომის რეგულირებას, კონტროლს და წახალისებას მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის შემდეგ.

საკადრო შეთავსების ძირითადი მიზანია:

სისტემურობა, თანამიმდევრულობა და ღრმა მეცნიერული დასაბუთება;

მის პრაქტიკულ განხორციელებას უნდა აწარმოებდეს ქვეყნის სამეურნეო კადრების მომზადებისა და გადამზადების ერთიანი საკორდინაციო სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, შესაბამისი უფლებებითა და გამომთვლელი მანქანების გამოყენებით.

მათემატიკური შეთავსების მიზნით გამოყენებული უნდა იყოს:

უახლესი თაობის გამომთვლელი სისტემების მათემატიკური უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ოპერატიული სისტემების კრებულს, გამოყენებითი პროგრამების პაკეტებს და ტექნიკური მომსახურების პროგრამების კომპლექსებს; ფართო გამოყენებას პოულობს მონაცემების ბაზების ორგანიზაციისა და მართვის სისტემები, მონაცემების ტელედამუშავების სისტემები, მონაცემების შეყვანისა და გამოყვანის სისტემები და ტიპიური პროგრამული სისტემები.

ტექნიკური შეთავსების ძირითადი საკითხებია:

ერთგვაროვანი გამომთვლელი მანქანების გამოყენება,
ერთგვაროვანი ორგტექნიკის და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენება,
მანქანური ენების შეთავსება,
ინფორმაციის გადამუშავების საშუალებების და კავშირგაბმულობის საშუალებების შეთავსება,
ინფორმაციის მანქანური მატარებლების შეთავსება,
კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრის შექმნა.

ტრანსპორტის მართვის ურთიერთმოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემები ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით: მართვის ხარისხით, მართვის მდგრადობით და მართვის მგრძნობიარობით.

გარეშე მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან კავშირში ტრანსპორტის მართვის ურთიერთქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემების აგებისა და ფუნქციონირების დროს განიხილება მართვის ფუნქციის მთლიანი ერთობლიობა შემდეგი ძირითადი საწარმოო პროცესების კომპლექსური მართვის უზრუნველსაყოფად: **ტექნიკური, უზრუნველყოფადი და აღდგენითი.**

ტრანსპორტის მართვის ურთიერთმოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემების შეთავსებადობა, როგორც ერთმანეთს შორის, ასევე გარეშე მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან უნდა იქნეს უზრუნ-

ველყოფილი მათი ფუნქციონირების ყველა რეჟიმში, დამუშავების ყველა ეტაპზე, პროექტირებისა და დანერგვის პროცესში – ეს უწყვეტად განვითარებადი პირობების ერთობლიობაა, რომელიც იცვლება სისტემის გაუმჯობესებასთან ერთად.

ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემების ურთიერთმოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობაა, როგორც ერთმანეთს შორის, ასევე გარეშე მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან, მათი შეთავსებადობა, ანუ შეუღლება და შეთანხმებულობა. შეუღლების ქვეშ იგულისხმება პირაპირებზე სისტემების სასაზღვრო ელემენტების ურთიერთ შესაბამისობა, რაც იძლევა მათი ერთმანეთთან შეერთების საშუალებას შესავლების და გამოსავლების გაერთიანებით. შეთანხმებულობა განსაზღვრავს სისტემების ფუნქციონირების შესაძლებლობას კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტის დროს ერთიან რეჟიმში.

ჭარმონიული ურთიერთმოქმედება მოითხოვს არა მარტო ცალკეულ შეთავსებადობას თითოეული ურთიერთქმედი სისტემისაგან, არამედ ყველა მართვის ავტომატიზებული სისტემისაგან მართვის ერთი და იგივე დონის საზღვრებში, ამავე დროს სხვადასხვა მართვის ავტომატიზებული სისტემებისაგანაც, ანუ გამჭოლ ერთიანობას მართვის ყველა სისტემისაგან. მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობებში არის შესაძლებელი ყველა მართვის ავტომატიზებული სისტემის ინტეგრაცია.

მართვის განხორციელება არის ღონისძიებების კომპლექსი მიმართული სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაციული სტრუქტურის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ, გადაზიდვების პროცესის შეუფერხებლად ფუნქციონირებისაკენ, დანახარჯების ერთეულზე შედეგების მაქსიმუმის მიღწევის მიზნით. ტრანსპორტის მართვა არა მარტო ორგანიზაციულ-ტექნიკური, არამედ სოციალური მოვლენაცაა [10; 11].

დასკვნა

სადოქტორო სადისერტაციო თემა უაღრესად აქტუალურია და შეესაბამება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს – წარმოადგენს საპრეზიდენტო პროგრამას;

დისერტაციის საბოლოო სახით ფორმირებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი – 40 წლიანი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ციკლი და მი-

ღებული შედეგები სრულად არის ასახული გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან შრომებში;

თეორიულ ნაწილში აღსანიშნავია მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტილი ნავსადგურში საზღვაო ტანკერების ოპტიმალური მომსახურების (დატვირთვა-გადმოტვირთვის) და ნავთობის მარაგების სისტემური ამოცანა და ურთიერთმოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემების დამუშავების მეთოდოლოგია;

წარმოდგენილი მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი და სადისერტაციო ნაშრომის იდეოლოგია ემყარება ძირითად სტრატეგიულ მოთხოვნას – საერთაშორისო ვაჭრობაში მაქსიმალური სავალუტო მოგების მიღებას ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ურთიერთმეთანხმებულ ფუნქციონირებით და საზღვაო სატანკერო ფლოტის არამწმარაოებლური მოცდენების შემცირებით;

დისერტაციაში მიღებული თეორიული შედეგები პრაქტიკულად რეალიზირებულია საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში საგეგმო მაჩვენებლების ფუნქციონალური მართვის ავტომატიზებული სისტემის სახით და მისი გამოყენება შეიძლება „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ძირითადი საექსპორტო მილსადენის 21-ე საუკუნის პროექტში.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები დაიწყო 1965 წელს ქ. ლენინგრადში, რომელიც სრულდებოდა საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე – ასპირანტურაში სწავლის დროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის თეორიულ განყოფილებაში, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს გამოთვლით ცენტრში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტოტრანსტექნიკაში“, საქართველოს სამხედრო-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარში“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში.

1996 წელს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარის“ გენერალურმა დირექტორმა აკადემიკოსმა გ. დათიაშვილმა ეს სადოქტორო დისერტაცია საჯარო დაცვაზე წარადგინა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე.

დისერტაციის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ სამეცნიერო შრომებში:

1. გ. იასეშვილი. მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მართვაში. მე-4 საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებების თეზისები საზღვაო ტრანსპორტზე მათემატიკური მეთოდების და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების გამოცდილების გაზიარების მიზნით, ლენინგრადი, 1970 წ;
2. გ. იასეშვილი. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მართვის ავტომატიზებული სისტემების დამუშავების ძირითადი საკითხები. მე-5 საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებების თეზისები მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლელი მანქანების გამოყენების მიზნით საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის მართვაში და მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნა. ლენინგრადი. 1972 წ;
3. გ. იასეშვილი. საზღვაო ფლოტის მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავების ძირითადი საკითხები (საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მაგალითზე). საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი. ტექნიკური ინფორმაცია N1; 1973 წ;
4. გ. იასეშვილი. სატანკერო ფლოტის ოპტიმალური დამუშავების და ნავთობპროდუქტების მარაგების მართვის ამოცანა. მე-6 საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებების თეზისები საზღვაო ტრანსპორტის მართვის სრულყოფა. ლენინგრადი. 1974 წ;
5. გ. იასეშვილი. სხვადასხვა დონის მართვის ავტომატიზებული სისტემების ურთიერთქმედება ოპტიმიზაციური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საფუძველია. მე-7 საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებების თეზისები საზღვაო ტრანსპორტის მართვის სრულყოფა. ლენინგრადი. 1976 წ;

6. გ. იასეშვილი. ურთიერთმოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემების დამუშავების ძირითადი საკითხები. მეთოდური მასალა მართვის ავტომატიზებული სისტემების დამპროექტებელთა დასახმარებლად. საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი. 1981 წ;
7. გ. იასეშვილი. ტრანსპორტის მართვის ურთიერთმოქმედი ავტომატიზებული სისტემების შექმნისა და დანერგვის გამოცდილება. ლექტორთა საკავშირო სემინარის მოხსენებების თეზისები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის განვითარება. ოდესა. 1989 წ;
8. გ. იასეშვილი. ინფორმაციის დაცვის თავისებურებები პერსონალური გამომთვლელი მანქანების ქსელში საერთო სარგებლობის კომპუტირებადი სატელეფონო ხაზების გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალი „Радиопромышленность“ N7, მოსკოვი, 1992 წ;
9. გ. იასეშვილი. ინფორმაცია უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები – საზოგადოების ინფორმატიზაციის პირობებში. ჟურნალი „Радиопромышленность“, N2, მოსკოვი, 1994 წ;
10. გ. იასეშვილი. დიდი ამოცანების წინაშე ვდგავართ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლი. მეთოდური ბიულეტენი N3, 1975 წ;
11. გ. იასეშვილი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეკონომიკური ეფექტურობა. მონოგრაფია. საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი. 1983 წ;
12. გ. იასეშვილი. ნავთობის წარმოებისა და გადაზიდვების პროცესის მათემატიკური და გრაფიკული ანალიზი. წარდგენილია ჟურნალში „Радиопромышленность“, მოსკოვი. 1996 წლის იანვარი.

**სამხედრო მეცნიერების და ინოვაციურ-ინფორმაციული
აკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია.
მონობრაფია – მიმოხილვა.**

„არ შეიძლება სამხედრო მეცნიერების გაიგივება სამხედრო ხელოვნებასთან. სამხედრო მეცნიერება ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. სამხედრო მეცნიერება მოიცავს აგრეთვე სამხედრო ტექნიკასაც, ის სამხედრო მეცნიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამხედრო ხელოვნება მოიცავს ტაქტიკას, ოპერატიულ ხელოვნებასა და სტრატეგიას. ანუ სამხედრო ხელოვნება სწავლობს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო მოქმედებებისა და საერთოდ ომის წარმოებასთან. სამხედრო მეცნიერება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც სამხედრო ხელოვნებაში შედის, იკვლევს აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის საკითხებს, მის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. მხოლოდ სამხედრო მეცნიერების დასახელებული ყველა დარგის ცოდნისა და სწორად გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი ომში გამარჯვების იმედი ვიქონიოთ“.

გენერალისიმუსი იოსებ სტალინი.

ცნობილი ისტორიკოსი იური ემალიანოვი თავის წიგნში „ათი სტალინური დარტყმა. გენერალისიმუსის ტრიუმფი“ იოსებ სტალინს, როგორც გამოჩენილი მხედარმთავრისა და დიდი პოლიტიკოსის ფიგურას წარმოადგენს, რომელმაც გარდა სამხედრო ოპერაციების სარდლობისა, მოკავშირე სახელმწიფოების არაფორმალური ლიდერის როლიც საუცხოოდ მოირგო და ყოველივე ამის შედეგად, მეორე მსოფლიო ომში მრავლისმომცველ გამარჯვებას მიაღწია.

2005 წლის 9 მაისს დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო რესპუბლიკურ სემინარზე გავაკეთე მოხსენება თემაზე

„დიდი სამამულო ომი და მომავალი არატრადიციული ომები“.

სხდომის წამყვანები იყვნენ: ქეთევან მანჯგალაძე-ხაჭაპურიძე და

ნათელა ფოფხაძე. ოპონენტები იყვნენ: პოლკოვნიკი გივი ყუფუნია – საქართველოს ვეტერანთა საბჭოს წევრი და სამხედრო ექსპერტი ირაკლი ხართიშვილი – საქართველოს პარლამენტის სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის მთვარი სპეციალისტი.

ეს ისტორიული ღონისძიება ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე კორპუსი, 126 აუდიტორია. რეგულარული საჯარო ლექცია-სემინარი ან საუბარი ცოცხალი სჯა-ბაასითა და შესატყვისი დიალოგით. კოორდინატორია პროფესორი ვლადიმერ (ბიჭიკო) ცინცაძე.

მეორე დღეს რუსეთის ფედერაციის დედაქალაქის მოსკოვის გავლით თბილისს თვითმფრინავით ესტუმრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბატონი ჯორჯ ბუში, რომელიც თავისუფლების მოედანზე გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე საერთაშორისო ღონის და დანიშნულების ვრცელი მოხსენებით გამოვიდა.

ამ საერთაშორისო პროცესში უშუალო აქტიური მონაწილეობისას ურთულესი აქტუალური სისტემური პრობლემის გადასაწყვეტად კოლექტიურად დაგვებადა იდეა შეგვექმნა კომპლექსური მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის შეიარაღებული ბრძოლების წარმოების გრანდიოზული მასშტაბები და ინოვაციურ-ინფორმაციული ეკონომიკის ფონზე მისი ინფორმაციული შემდგენელის მეცნიერულად დასაბუთებული ტრანსფორმაცია სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის მეორე თაობის ამოცანების ჩათვლით დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული სამხედრო (ინფორმაციული) აღმშენებლობის პერსპექტიული ამოცანების გათვალისწინებით. (ჩათვლით).

რაც წარმოადგენს მონოგრაფიის – მიმოხილვის მთავარ დედააზრს და გადასაწყვეტ პრობლემას. რომელიც მსოფლიოში დამუშავებული არ არის – ყოველ შემთხვევაში ღიად არ არის გამოქვეყნებული.

მეორე მსოფლიო ომის მეცნიერულმა ანალიზმა და სინთეზმა სამხედრო მეცნიერების – ხელოვნების და ეკონომიკის სისტემური კავშირით ცხადყო, რომ:

გერმანიის მმართველმა წრეებმა წინასწარ შეიმუშავეს და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ პოლიტიკური, დიპლომატიური და

სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების მთელ სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შენიღბვას ემსახურებოდა, რათა ომის დაწყება რაც შეიძლება მოულოდნელი ყოფილიყო ჩვენთვის.

მეორე მსოფლიო ომში ვერმახტის უცაბედი თავდასხმის მსხვერპლად იქცნენ: პოლონეთი, დანია, ნორვეგია, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი, საბერძნეთი, იუგოსლავია. სამყაროს მეორე მხარეს კი – აშშ, რომელმაც თავისი სამხედრო ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, როცა იაპონიამ პერლ-ჰარბორზე საჰაერო დარტყმა განახორციელა.

პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, იოსებ სტალინმა ვეებერთელა შრომა გასწია საბჭოთა ეკონომიკის მართვის რეორგანიზაციის განსახორციელებლად, სამხედრო ყაიდაზე მის გადასაცვანად. ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ მთავრობამ მიიღო საომარი დროის პირველი გეგმა – „სამობილიზაციო სახალხო-სამეურნეო გეგმა 1941 წლის მესამე კვარტალისათვის, რომელსაც სოციალისტური ეკონომიკა სამხედრო ეკონომიკის ლიანდაგზე უნდა გადაეყვანა.

1941 წლის 7 ნოემბერს ქ. მოსკოვში წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმი გაიმართა. და ეს მაშინ, როცა მოსკოვს გარს ერტყა გერმანულ-ფაშისტური ჯარების 51 დივიზია, რომელიც 1,8 მილიონ კაცს, 14 ათასზე მეტ ავტომატსა და ყუმბარმტყორცნს, 1,7 ათას ტანკს, 1,4 ათასამდე თვითმფრინავს, ანუ – მთელ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავმოყრილი ადამიანების 42%-სა და ტანკების 75%-ს აერთიანებდა. სადღესასწაულო მარშის შემდეგ ჯარები პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ.

თუ 1940 წლის დასაწყისში, როცა გერმანიამ თავისი აგრესია საფრანგეთის წინააღმდეგ (ოპერაცია „გელბი“) წარმართა, მას დასავლეთის ფრონტზე 136 დივიზია ჰყავდა (მათგან 17 სატანკო და მოტორიზირებული), საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის (ოპერაცია „ბარბაროსა“) გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა უკვე 190 დივიზიას მოუყარეს თავი (მათგან 33 სატანკოს და მოტორიზებულს). ძალების ასეთი მკვეთრი ზრდა მოხდა სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც. საბჭოთა კავშირი ამ ძალას მარტოდმარტო დაუპირისპირდა. მაშინ, როცა 1940 წელს საფრანგეთის მხარეს, მისი მოკავშირეებიც იბრძოდნენ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იქნა განადგურებული გერმანული არმიისა და მისი მოკავშირეების ძირითადი ძალები და საუკე-

თესო დივიზიები. დანაკლისი ვერმახტის პირად შემადგენლობაში 4-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის საომარ მოქმედებათა ფრონტებზე განეულ დანაკლისს. საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ერთდროულად მოქმედებდა ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების 190-დან 270-მდე ყველაზე ბრძოლისუნარიანი დივიზია, მაშინ, როდესაც ინგლისურ-ამერიკულ ჯარებს ჩრდილოეთ აფრიკაში წინ აღუდგა მოწინააღმდეგის 9-დან 26-მდე დივიზია, იტალიაში 7-დან 26-მდე, დასავლეთ ევროპაში – 56-დან 75-მდე. მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა საერთო რაოდენობა ან, რაც გერმანიამ მეორე მსოფლიო ომში დაკარგა, 72% აღმოსავლეთის ფრონტზე მოდის.

მტრის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც სტალინგრადის მიმართულებით 1 მლნ-ზე მეტ კაცს, 10290 ერთეულ იარაღსა და ტყვიამფრქვევს, 675 ტანკსა და საიერიშო ერთეულ იარაღს, 1216 საბრძოლო თვითმფრინავს აღწევდნენ, მოქმედებდნენ საბჭოთა ჯარის ნაწილები, რომელთა შემადგენლობაშიც 1 მლნ კაცი, 15 ათასზე მეტი ერთეული იარაღი და ტყვიამფრქვევი, 1463 ტანკი და 1350 საბრძოლო თვითმფრინავი შედიოდა. 15 ნოემბერს იოსებ სტალინმა აღჭურვა გიორგი ჟუკოვი უფლებამოსილებით დაენიშნა წითელი არმიის შეტევაზე გადასვლის დღე.

ათი სტალინური დარტყმის ოპერაციებში მონაწილეობდნენ იმ დროს არსებული 12-ვე ფრონტის ჯარები, ჩრდილოეთის, ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტები, ასევე მთელი რიგი სამდინარო და ტბის ფლოტილიები. მათი მოქმედების შედეგად გერმანელ ფაშისტთა ჯარების ყველაზე ბრძოლისუნარიანი ძალები განადგურდა.

ბერლინის აღება კაცობრიობის ისტორიის მანძილზე წარმოებული ომებისაგან სრულიად ახალი, განსაკუთრებული იყო. წითელი არმიის მიერ განხორციელებული ოპერაცია გამოირჩეოდა შეტევის არნახული გაქანებითაც, საომარ მოქმედებათა უზარმაზარი სცენის თვალსაზრისით და სამი ფრონტის – ბელორუსიის მე-2, ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტების, ჯარების სხვადასხვა სახეობის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, პოლონეთის არმიის ჯარების ურთიერთქმედებითაც და აგრეთვე მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების ალყაში მოქცევის და კიდევ, მჭიდროდ დასახლებულ დიდ ქალაქში საომარი მოქმედებების წარმოების უნარისა და თვით ოპერაციის ვადების თვალსაზრისითაც. ოპერაცია 1945 წლის 16 აპრილიდან 8 მაისამდე გაგრძელდა.

სამი ფრონტის შემადგენლობაში სულ მოქმედებდა 19 საერთო საჯარისო, 4 საჰაერო და 4 სატანკო არმია. საბჭოთა ჯარებმა ბერლინის ოპერაციის დროს გაანადგურეს – 70 ქვეითი, 12 სატანკო, 11 მოტორიზირებული დივიზია და ვერმახტის ავიაციის დიდი ნაწილი.

ბერლინის ოპერაციაში საბჭოთა ჯარების აუნაზღაურებელმა დანაკლისმა 78 ათასზე მეტი ადამიანი შეადგინა. გერმანია ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებდა ტოტალურ ომს. დაახლოებით 11 მილიონი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაგან თითქმის 7 მილიონი მშვიდობიანი მცხოვრები იყო, მათ შორის მოხუცები და ქალები, და 4 მილიონი სამხედრო ტყვე, ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობის შედეგად დაიღუპნენ.

დიდი სამამულო ომის დროს საბრძოლო ტექნიკის სიმძლავრემ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ომმა ტოტალური ხასიათი მიიღო, უკომპრომისო, უკიდურესად დაძაბული დინამიკური ბრძოლა მიმდინარეობდა. ამას არმიათა მთელი პირადი შემადგენლობა ისეთ ნერვულ-ფსიქოლოგიურ დაძაბულობამდე მიჰყავდა, როგორც წინა ომებში არავის ენახა. სწორედ ამ პირობებში უხდებოდათ მოქმედება ჯარისკაცებს, ნაწილებისა და შენაერთების მეთაურებს, მხედართმთავრებს და უმაღლეს მთავარსარდალს.

დიდი სამამულო ომის მსვლელობისას, საბჭოთა კავშირმა ვებერთელა განმათავისუფლებელი მისია იტვირთა. მისი ჯარები, რომლებიც 7 მილიონზე მეტ მებრძოლს ითვლიდა 15 თვის განმავლობაში 13 ქვეყნის ტერიტორიაზე აწარმოებდა დაძაბულ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. მათ გაანადგურეს მტრის 667 დივიზია, ტყვედ აიყვანეს 2,5 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა 1942 წლის აპრილში აღნიშნა: „რუსეთის არმიები ანადგურებდნენ და ანადგურებენ ჩვენი მტრების უფრო მეტ შეიარაღებულ ძალებს, ვიდრე ყველა სხვა გაერთიანებული ქვეყანა ერთად აღებული“. ასე იყო მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში.

ცივი ომის პერიოდი ორმოცი წელი გაგრძელდა, რომელიც დაასრულა ბირთვული იარაღის შექმნამ. 1962 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ნიკიტა ხრუშოვს კუბაზე შემტევი ბირთვული იარაღის გადამტანი ბალისტიკური რაკეტებისა და ბომბდამშენების გან-

თავსების საშუალება არ მისცა. მაგრამ მაშინ მოსკოვმა მიახერხა და აშშ-ის თეთრ სახლს თურქეთიდან გაატანინა „სერჟანტის“ ტიპის ბალისტიკური რაკეტები, რომელთა ბირთვული ქობინები საბჭოთა კავშირის სამხრეთს, მათ შორის საქართველოსაც ემუქრებოდა.

სამხედრო და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა, საერთაშორისო და საქართველოს აკადემიების აკადემიკოსმა, გენერალ-მაიორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა 2007 წელს გამოსცა საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია **„საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“**.

მონოგრაფია განიხილავს თეორიას საქართველოში საომარი და სარძოლო მოქმედებების, ბრძოლების წარმოებისა და დაუგეგმავი ოპერაციების შესახებ. მასში გადმოცემულია სამხედრო-საინჟინრო დარგის მთლიანი კონცეფცია სარძოლო ხელოვნების, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, საიარალო გარემოსა და თვით საგანგებო სიტუაციების გათვალისწინებით. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა სამხედრო ხელოვნებისა და სამხედრო-საინჟინრო დარგის ახალი და პრინციპული საკითხების განსხვავებულ ხედვას, რაც არა მარტო სამხედრო ხელოვნებისათვის არამედ საზოგადოდ საქართველოსთვის არის მეტად მნიშვნელოვანი.

ზოგადი სამხედრო თეორიის საბაზოდ არჩეული იქნა აშშ-ის იდეოლოგია და წესდებები. სახელმწიფოთა შორის და ასევე თვით სახელმწიფოს შიგნით ისტორიულად და განსაკუთრებით კი ახლა, ძალიან ხშირია ასიმეტრიული სამხედრო დაპირისპირებები, რაც გულისხმობს სიდიდით, ინტენსივობით და რესურსებით განსხვავებულ ძალთა დაპირისპირებას. ირჩევენ არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიებსა და ტაქტიკას. მონოგრაფიაში ამ საკითხების განხილვა დაეფუძნა არაპირდაპირი მოქმედებების ახალი, პრინციპულად განსხვავებული მოდელის შექმნას. შემუშავებულია ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნების და სტრატეგიის ურთიერთ დამოკიდებულების ახალი სქემა.

ნინო მამუკაძე. რამდენად აუცილებელია სამხედრო-საინჟინრო დოქტრინა. ჟურნალი „არსენალი“, N7, 2008 წ.

შენიშვნა. არ სჩანს ინფორმაციული მხარე.

პოლკოვნიკმა გივი ლეფონავამ გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს ოპერატიული ხელოვნება“. საქართველოს შეიარაღებული ძალები-

ბის გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, თბილისი, 2002 წ. მოცულობით 181 ნაბეჭდი გვერდი.

მოცემულია თანამედროვე მოთხოვნები და რეკომენდაციები საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებაში, ოპერაციების ჩატარებაში, საბრძოლო მოქმედებებში და ოპერატიული გამოყენების სხვა ფორმებში, ომის საწყისი პერიოდისათვის აგრესორის მოგერიებისას შეიარაღებული ბრძოლის ნაციონალური და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

გამოიყენება სასწავლო სახელმძღვანელოდ ოპერატიულ ხელოვნებაში უფროსი და უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობისათვის და მაგისტრანტებისთვის.

ხოლო 2008 წლისათვის გამოსაცემად მოამზადა ახალი მონოგრაფია „სამხედრო ხელოვნება“. ომების ისტორია და გეოგრაფია, შეიარაღებული ბრძოლის ამერიკული, რუსული და სხვა ვარიანტები. მოცულობით 250 ნაბეჭდი გვერდი.

სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია – ეს არის ახალი ცოდნის მიღების, განვითარების და ფორმირების წესებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც ასახავს შეიარაღებული ძალადობის ხასიათს, მომზადებას და წარმოების ევოლუციის პროცესს მათ სარეალიზაციოდ მისი გამოყენების პროგნოზირებად პირობებში. საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობისა და ომის მომზადებისა და წარმოების წარმატების საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხელოვნება, რომელიც არ უნდა ჩამორჩებოდეს სავარაუდო მონინალმდევის პოლიტიკურ ხელოვნებას [1].

პირველი საწყისი ცოდნის მისაღებად დასაბამს წარმოადგენს კვლევის საგნობრივ სივრცეში უკვე არსებული ცნობები, რომელთა საფუძველზე წარმოიქმნება იდეებიც. მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარებაში იდეოლოგიის ესოდენ მნიშვნელოვანი როლი საჭიროებს ურთიერთ დაკავშირებულ მიდგომას მათი ფორმირებისადმი და მისი რეალიზაციის პირობის ღრმა ანალიზს. ასე, რომ ახალი სამხედრო იდეოლოგიის შექმნის აუცილებლობა განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით:

ცვლილებებით სახელმწიფოს განვითარების გეოპოლიტიკურ პირობებში;

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით, რომელსაც მივყავართ შეიარაღებული ბრძოლის შესაძლო ხასიათის ცვლილებამდე, როგორც შეიარაღებული ძალადობის საბაზისო ელემენტისა.

თუ პირველი დამოკიდებულია სახელმწიფო საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და მის შესაძლებლობაზე შექმნას ხელსაყრელი გეოპოლიტიკური პირობები, მეორე კი – შიდა პოლიტიკურ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელი სამხედრო ძლიერების არსებობას.

იდეოლოგიის სისტემაში საბაზისოა:

სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური წყობის განვითარების საფუძვლების იდეოლოგია;

შიდა პოლიტიკური მოღვაწეობის განვითარების იდეოლოგია;

საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის განვითარების იდეოლოგია.

სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის ასპექტების განვითარება გადმოიცემა სპეციალიზებულ იდეოლოგიებში.

საერთო სისტემაში სამხედრო იდეოლოგია წარმოადგენს სპეციალიზებულს, მასში აისახება მისი საბაზისო ნაწილი – პროგნოზირებული შეიარაღებული ბრძოლის ხასიათის, მისი მომზადების და წარმოების განვითარება, სამხედრო ხელოვნების საფუძვლები, აგრეთვე შეიარაღებული ძალების მშენებლობა და გაშლა. იდეოლოგიის საბაზისო ნაწილი მუშავდება არა მარტო შეიარაღებული ბრძოლის შესაძლო ხასიათის ცოდნის გათვალისწინებით, არამედ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის განვითარების იდეოლოგიის საბაზისო ნაწილის საწყისი მონაცემების, მისი საგარეო და შიდა პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზეც.

თვით სამხედრო იდეოლოგია კი წარმოადგენს ისეთი რთული საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენის იდეების მონესრიგებულ ერთობლიობას, როგორცაა შეიარაღებული ძალადობა და მისი საბაზისო ნაწილი გარდა ამისა შეიცავს სპეციალიზირებული იდეოლოგიების ორ ურთიერთდაკავშირებულ ქვესისტემას:

პირველი ხსნის სხვადასხვა დონეების სამხედრო ხელოვნების განვითარების იდეოლოგიას;

მეორე კი – საერთო ასპექტებს შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობების და სპეციალური ჯარების განვითარებისა და მშენებ-

ლობის საფუძვლებისა, მათი მომზადებისა და გაშლის შესაბამის დაჯგუფებებში.

სამხედრო მეცნიერების საბაზისო თეორიას ეკუთვნის: **ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნების**, შეიარაღებული ბრძოლის სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, საერთო საჯაროსო და სხვა თეორიები. იგი ასახავს შეიარაღებული ძალების ძირითად შემადგენელ ელემენტებს, რომელსაც იკვლევს სახედრო მეცნიერება და წარმოადგენს საწყისს თითოეულ მათგანში შესაბამისი კერძო თეორიის ფორმირებისთვის.

სამხედრო ხელოვნების თეორია, წარმოადგენს რა სამხედრო მეცნიერების ძირითად შემადგენელ ნაწილს, იკვლევს და შეიცნობს ხასიათს, კანონზომიერებებს, პრინციპებს ფორმებსა და წესებს ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში მასშტაბებისა და ხასიათის მიხედვით სხვადასხვა ოპერაციების, ბრძოლების მომზადებასა და წარმოებაზე. შეიარაღებული ბრძოლის ეს ასპექტები წარმოადგენს მოცემული თეორიის საგანს. სამხედრო ხელოვნების თეორია ეყრდნობა ომის ობიექტურ კანონებს, კანონზომიერებებს, ითვალისწინებს სამხედრო მეცნიერების სხვა ნაწილებსაც საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებისა. მისი დებულებები გათვალისწინებულია და გამოიყენება ცოდნის ყველა სფეროში, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებულ ბრძოლასთან და მთლიანად ომთან.

სამხედრო ხელოვნების თეორიის შინაარსის ფორმირებაში პირველი რიგის როლს ასრულებს პოლიტიკური ფაქტორები, განსაზღვრავს რა ომის მიზნებს, პოლიტიკა აფუძნებს შეიარაღებული ბრძოლის მიზნებისა და ამოცანების შინაარსსაც. სახელმწიფოს პოლიტიკა წინასწარ წყვეტს ომის წარმოშობისა ან აცილების საკითხებს, წინასწარ განსაზღვრავს საომარი მოქმედებების წარმოების საშუალებებს, ხერხებს და თავისებურებებს, მათ გაქანებას და ხანგრძლივობას, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. ახალმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, რომელიც გვთავაზობს არ გამოვიყენოთ სამხედრო ძალა სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის გადასაჭრელად, სამხედრო ხელოვნების თეორიის წინაშე წინ წამოსწია არა მარტო შეიარაღებული ბრძოლის მომზადებისა და წარმოების წესების მოძებნის ამოცანა, არამედ თვით ომის თავიდან აცილების წესე-

ბისაც [2].

სამხედრო ხელოვნების თეორიის განვითარებაზე და შინაარსზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. 2004 წლის დეკემბერში საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სხდომაზე, მიძღვნილს აკადემიის დაარსების 10 წლისთავისადმი აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ლეო ჩიქავამ თავის საანგარიშო მოხსენებაში ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია და საერთაშორისო განვითარების კანონზომიერებას უნდა დაემორჩილოს. დამოუკიდებელ საქართველოში უნდა აშენდეს ინოვაციური, შერეული, საბაზრო ეკონომიკა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების აქტიური მაკორექტირებელი ზემოქმედებით.

აკადემიკოსმა ლეო ჩიქავამ გამოსცა მონოგრაფია „ინოვაციური ეკონომიკა“. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“. თბილისი, 2006 წელი. მოცულობით 450 ნაბეჭდი გვერდი.

მეცნიერ-რედაქტორი – როზეტა ასათიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეცენზენტი – ნუგზარ სანთელიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

შენიშვნა, მონოგრაფიაში მოცემული რეკომენდაციები და გაკეთებული დასკვნები არარეალურია.

ბატონმა ლეო ჩიქავამ 2008 წელს საკუთარი დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი გამოსცა „განვლილი ცხოვრების შტრიხები“, მოცულობით 551 გვერდი, რომელშიც სხვა ავტორებთან შედარებით ყველაზე დიდი მოცულობა ჩემს სტატიებს უკავია.

რედაქტორები:

მიხეილ ჯიბუტი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გიორგი შუბლაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფე-

სორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

2008 წლის 9 ივლისს ილია ჭავჭავაძის სახ. საქართველოს მწიგნობართა ასოციაციაში გაიმართა აკადემიკოს ლეო ჩიქავას საიუბილეო წიგნის „განვლილი ცხოვრების შტრიხების“ პრეზენტაცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ნოდან ჭითანავამ, მარიკა ლორთქიფანიძემ, ავთანდილ სილაგაძემ, გურამ ყუფუნიაშვილმა და სხვებმა.

ბატონი ლეო ჩიქავა 21-ე საუკუნეში ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქია, მის ფენომენი რამოდენიმე საყრდენზე დაფუძნებული: დემოგრაფია, ინოვაცია და ა.შ.

ბატონმა ლეო ჩიქავამ 2008 წლის 27 ივნისს აკადემიის მორიგ ტრადიციულ სხდომაზე, რომელსაც ვესწრებოდი საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ბატონი იური ნებიერიძე და მე, წარმოადგინა მისი მთავარი რედაქტორობით გამოცემული საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული N6. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2008 წელი, მოცულობით 302 ნაბეჭდი გვერდი.

კრებულში გამოქვეყნებულია აკადემიკოსების ლეო ჩიქავას, ვლადიმერ პაპავას, ნოდარ ჭითანავას, გიორგი მაღაშხიას, რევაზ კაკულიას, ავთანდილ სილაგაძის, მიხეილ ჯიბუტის, ნუგზარ პაიჭაძის და სხვების საერთაშორისო დონის უახლესი მეცნიერული შრომები.

კრებულში გაშუქებულია თანამედროვეობის მწვავე ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ზოგადსაკაცობრიო ტენდენციები. როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე განალიზებული პოსტკომუნისტური საქართველოს გარდამავალი პერიოდის ზოგიერი აქტუალური პრობლემა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს და მისი დაძლევის გზებს.

მეცნიერულ ტექნოლოგიური პროგრესი (მ.ტ.პ.), რომელიც უშუალო ზეგავლენას ახდენს ინფორმაციული და შივარდნის ბრძოლის საშუალებების განვითარებაზე, იწვევს ღრმა რეკონსტრუქციულ ცვლილებებს სამხედრო ხელოვნებაში. ეკონომიკური განვითარება მტპ-ს ბაზაზე ხელს უწყობს თავდაცვითი საკმარისობის პრინციპის რეალიზაციას,

რომელიც გამომდინარეობს სამხედრო დოქტრინიდან და სამხედრო ხელოვნებისათვის ქმნის აუცილებელ წინა პირობებს მონინააღმდგვის შესაძლო აგრესიის მოგერიების ამოცანების გადანყვეტის ეფექტური ხერხების გამოსამუშავებლად.

ფრაგმენტები სააღდგომო ეპისტოლედან

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს რომ ამ ჩამოვრჩეთ, საჭიროა ინფორმაციის ფლობა და ანალოგიური აზროვნება, მით უმეტეს, დიდი სახელმწიფოების დაინტერესების სფეროში მყოფი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ერი მტერთან გამუდმებულ ომებში მხოლოდ ღვთის იმედით იყო, რადგან არც სხვათა მსგავსად გვყავდა სადმე თანამოძმე ან მუდმივი სტრატეგიული მოკავშირე და არც მრავალრიცხოვანი და ეკონომიკურად შეძლებული დიასპორა გვიმაგრებდა ოდესმე ზურგს. მიუხედავად ამისა XIX საუკუნემდე სუვერენული სახელმწიფოებრივი მმართველობა და ეკლესიის ავტოკეფალია შევინარჩუნეთ.

შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა – ესაა ჩვენი არჩევანი. სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო, რომ მიუხედავად დაპირისპირებისა და ომებისა, ქართველები ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ არაბების, სპარსელების, მონღოლების, ოსმალების პოლიტიკურ წრეებში. იგივე იყო მიზეზი იმისაც, რომ წმინდა მინაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროშებით, ცხენზე ამხედრებულნი, ბაჟის გადაუხდელად შესულიყვნენ წმინდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელნიც ქართველები ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია, იგი იყო ქართული დიპლომატიის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა.

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ეკლესია დღესაც ცდილობს შეასრულოს ე.წ. „სახალხო დიპლომატიის“ მისია და იყოს

მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი,
უნმინდესი და უნეტარესი **ილია II**
აღდგომა ქრისტესი, 8 აპრილი, 2007 წ.

სამხედრო ხელოვნების თეორიის და დებულებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია სულიერ ფაქტორს, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის ზოგად და სამხედრო-პროფესიულ მომზადებას, მის მორალურ-პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, სახელმწიფოს თავგანწირული დაცვისთვის მზადყოფნა გააჩნიათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტაში და გათვალისწინებული უნდა იყოს სამხედრო ხელოვნების თეორიის მიერ.

01.10.06 წელს სულიერი კოორდინაციისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ინსტიტუტის სხდომაზე გავაკეთე მოხსენება თემაზე „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“. მოეწონათ. დავსახეთ ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო სამუშაო გეგმა. 2006 წლის დეკემბრის ბოლოს სათათბიროს ხელმძღვანელი აკადემიკოსი გურამ კოპაძე წარმოგვიდგენს სამეცნიერო ანგარიშს თემაზე „თავდაცვა და სულიერება“, რომელიც მოხვდება სსმა-ს ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის წლიურ სამეცნიერო ანგარიშში.

სამხედრო ხელოვნების თეორიის განვითარების საფუძველში ძვეს საკუთრივ სამხედრო ფაქტორი, რომელიც შეიცავს:

თავისი სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის დებულებას;

აგრესორის სამხედრო კონცეფციებსა და შესაძლებლობებს;

ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების მდგომარეობას და განვითარების პერსპექტივებს;

ხელოვნებაში დაგროვილ ცოდნას.

სახელდობრ ეს ბაზა წარმოადგენს ძირითად საფუძველს სამხედ-

რო ხელოვნების ძირეული დებულებების გამოსამუშავებლად სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტექნიკურ ასპექტებში, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის მოთხოვნების დასაბუთებაში.

სსმპ-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრმა პროფესორმა გულაბერ ანანიაშვილმა რუსულ ენაზე 2007 წელს გამოსცა ახალი მონოგრაფია „დანაშაულებრივი „გეორგიევსკის ტრაქტატის“ და „მშვიდობიანი თანამშრომლობის“ სამარცხვინო დასასრული“, საქართველო და რუსეთი ბორის გოდუნოვიდან ბორის ელცინამდე და ვლადიმერ პუტინამდე. მოცულობით 196 გვერდი.

სამხედრო ხელოვნების თეორიის დებულებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია სულიერ ფაქტორს, ხოლო გეოგრაფიული ფაქტორები განუყოფლადაა დაკავშირებული მასთან.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრმა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა გამარლი დოხნაძემ გამოსცა მონოგრაფია „კვლევის მეთოდები სამხედრო გეოგრაფიაში“. გამომცემლობა „ლეგა“. თბილისი, 2007 წელი. მოცულობით 76 ნაბეჭდი გვერდი.

რედაქტორები: აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა და პოლკოვნიკი გივი ლეფონავა.

რეცენზენტები: პროფესორი დავით კერესელიძე და პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი.

სამხედრო ხელოვნების თეორიის ძირითადი ამოცანებია:

ომის, ოპერაციისა და ბრძოლის შესაძლო ხასიათის განსაზღვრა და ომის აცილების სამხედრო ტექნიკური გზებისა და შესაძლებლობების დადგენა;

კანონზომიერებების შემეცნება, კატეგორიების, ცნებების, პრინციპების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებასთან;

სხვადასხვა მასშტაბის საომარი მოქმედებების მომზადებისა და წარმოების სახით, ფორმისა და ხერხის გამომყლავნება. მთლიანად შეიარაღებული ძალების მაღალი საბრძოლო და სა-

მობილიზაციო მზადყოფნის შენარჩუნების ხერხების დამუშავება და გზების გახსნა;

ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის მატერიალური ბაზის სრულყოფის გზების განსაზღვრა, მოთხოვნების დამუშავება იარაღისა და სამხედრო ტექნიკის პერსპექტიული სისტემის მიმართ;

შეიარაღებული ძალების მართვის ორგანიზაციის და მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფის თეორიული ბაზის სრულყოფა.

მოთხოვნებისა და რეკომენდაციების დამუშავება შეიარაღებული ძალების მშენებლობაზე, ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობის და ტერიტორიის მომზადებაზე აგრესიის მოსაგერიებლად და სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის დიაპაზონის სიგანე, შინაარსის სახესხვაობები და ამოცანების მასშტაბები განაპირობებენ სამხედრო ხელოვნების პრინციპების სიმრავლის არსებობას, რომელთა შორის ძირითადებია:

შეიარაღებული ძალების მუდმივი მზადყოფნა თავდასხმის მოსაგერიებლად და აგრესორის გასანადგურებლად;

მოქმედებების მაღალი აქტიურობა და გადამწყვეტობა;

შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, ჯარებისა და ძალების გვარეობების შეთანხმებული, ერთიანი გამოყენება;

ძალისხმევის გადამწყვეტი თავმოყრა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე გადამწყვეტ დროს მთავარი ამოცანების შესასრულებლად;

საბრძოლო მოქმედებების უწყვეტობა, მათი წარმოება ზღვრული დაძაბულობით, რომელიც აუცილებელია ამოცანების შესასრულებლად;

თამამი და თავისუფალი მენეჯირება ჯარებით, ძალებით, სა-
შუალებებით, დარტყმებით და ცეცხლით;

რეზერვების წინასწარი შექმნა, მათი მოხერხებული გამოყენე-
ბა და აღდგენა;

მოქმედების მოულოდნელობის უზრუნველყოფა, ამოცანების
შესრულებისას მონინააღმდგისათვის მოულოდნელი ხერხე-
ბის გამოყენება;

სულიერი ფაქტორის გათვალისწინება და სრულად გამოყენება
დასმული ამოცანების ინტერესების შესასრულებლად;

ოპერაციების და საბრძოლო მოქმედებების ყოველმხრივი უზ-
რუნველყოფა, ჯარების, ძალების ბრძოლისუნარიანობის აღ-
დგენა;

ჯარების, ძალების მედგარი და უწყვეტი მართვა,
შეუდრეკელობა, დასახული მიზნების მიღწევაში, მიღებული
გადანწყვეტილებების და დასმული ამოცანების შესრულებაში
შეუდრეკლობა.

ისინი მუდმივს არ წარმოადგენენ მთელი რიგი ფაქტორების გავ-
ლენით სერიოზულ ცვლილებებს განიცდიან ფორმისა და შინაარსის
მიხედვით.

სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევად პირველხარისხოვანი
მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო მეცნიერების განვითარებას. იგი ვალ-
დებულია არა მარტო გაითვალისწინოს ახალი იარაღის გავლენა სტრა-
ტეგიაზე, ოპერატიულ ხელოვნებაზე და ტაქტიკაზე, არამედ უფრო მე-
ტად და კონკრეტულად და არსებითად მოახდინოს გავლენა შეიარაღე-
ბისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე.
**ახალი იარაღის შექმნა განსაზღვრავს სამხედრო ხელოვნების გან-
ვითარებას.** შეიარაღება გახდა უფრო ძვირადღირებული, ხოლო მისი
შექმნისა და წარმოების ეკონომიკური შესაძლებლობა კი შეზღუდული,
უფრო მეტად იზრდება სამხედრო მეცნიერების როლი.

სამხედრო ხელოვნების მატერიალური საფუძველია სამხედრო ტექ-

ნიკა, რომელიც ყოველთვის იყო და დღესაც არის სამხედრო მეცნიერების შემეცნების ობიექტი, რამდენადაც ტექნიკა უწყვეტად ვითარდება და ხდება მისი სრულყოფა რთულდება მისი გამოყენებაც.

სამხედრო საქმის განვითარების ისტორია გვასწავლის, რომ შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა ვითარდება სამი ფაქტორის გავლენით:

შეიარაღებული ძალების მოთხოვნით;

მტკ-ით;

ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობით.

პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, შეიარაღებული და ინფორმაციული ბრძოლების სისტემურ კავშირში მიმდინარე მეცნიერულად დასაბუთებული, კანონზომიერი, პერმანენტული ტრანსფორმაციის შედეგად საბრძოლო ოპერაციებმა ხმელეთიდან, წყლიდან, ჰაერიდან და კოსმოსიდან საინფორმაციო სფეროში გადაინაცვლა. გადამწყვეტი გახდა ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება – ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური, რომელიც შედგება საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული ინფორმაციის გარანტირებული დაცვისაგან და ითვალისწინებს მოწინააღმდეგის საიდუმლო ინფორმაციის ათვისებასა და განადგურებას.

მტკ-ის შემადგენელი ნაწილი და მისი განსაკუთრებული გამოვლენა სამხედრო-ტექნიკური რევოლუცია (სტრ).

სტრ-ისთვის პირველი რიგის არსი გამომდინარეობს სოციალურ მთლიანობასთან შეპირისპირებიდან, რომელიც წარმოქმნის სამხედრო ტექნოსფეროს. ეს მახასიათებელი გულისხმობს სტრ-ის „ვერტიკალურ“ განვითარებას, ასახავს იმ ფაქტს, რომ სტრ განჭოლავს სამხედრო ტექნოსფეროს ყოველ დონეს და ქვესისტემას მოიზიდავს რა თავისი გავლენის სფეროში არა მარტო საკუთრივ სამხედრო ტექნიკას, არამედ სამხედრო-პროფესიონალური მომზადების, სამხედრო მეცნიერების ორგანიზაციის და სამხედრო წარმოების მართვის სისტემებსაც.

მეორე რიგის არსის დონეზე ფიქსირდება ორი რევოლუციის სინქრონულობა და განუწყვეტელი ურთიერთკავშირი: სამხედრო-სამეც-

ნიეროსი და სამხედრო-ტექნიკურის.

სტრ-ს მესამე რიგის არსი განისაზღვრება მეცნიერების გარდაქმნით უშუალო საბრძოლო ძალაში.

სტრ-ის მეოთხე რიგის არსი მჟღავნდება სამხედრო მოღვაწეობის ანალიზის პროცესში. მიზანშეწონილია მართვის ფუნქციიდან გამოვყოთ კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქცია – ინფორმაციული. იგი მჟღავნდება სამხედრო-ტექნიკური სისტემების ავტომატიზაციით, მათ შორის სამხედრო დანიშნულების დიდი სისტემებისაც.

სტრ-ის არსის მეხუთე დონე გამოისახება რევოლუციური გადატრიალების კავშირით სამხედრო ტექნიკის განვითარებაში იმ სუბსტრუქტის სპეციფიკით, რომლის დახმარებითაც განხორციელდება საბრძოლო ფუნქცია.

ინფორმატიზაცია და ავტომატიზაცია წარმოადგენს სტრ-ის ყველაზე არსებით მახასიათებლებს. მართვის ფუნქციის ავტომატიზაცია იწვევს შეიარაღების „ინტელექტუალიზაციას“, „ჭკვიანი იარაღის“ შექმნას, რომელიც ისტორიულად ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც რაკეტულ-ბირთვული. მას ეკუთვნის მაღალი სიზუსტის იარაღის (მსი) არსებული და დამუშავებაში მყოფი ნიმუშები. იარაღის ინტელექტუალიზაციის მეთოდები გვაძლევს შესაძლებლობას მიზანმიმართულად ვმართოთ საბრძოლო საშუალებები მათი გამოყენების მთელი ციკლის განმავლობაში. მთავარი გახდა მართვის ფაქტორი.

საერთაშორისო არენაზე ძალთა გადანაწილების ცვლილებამ და რევოლუციამ სამხედრო საქმეში დიდი გავლენა მოახდინა ჯარების მართვისა და შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ ხელმძღვანელობაზე. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების არმიის, ავიაციის და ფლოტის შეიარაღებაში ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლების პრინციპიალურად ახალი საშუალებების დანერგვამ აამაღლა მართვის ეფექტურობის მნიშვნელობა ყოველ დონეზე და შეიარაღებული ძალების მართვის სისტემები გადააქცია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

სსმა წარმოადგენს ჯარებისა და ძალების მართვაზე სპეციალიზირებულ საზოგადოებრივ სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის თეორიული მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ინფორმაციული ბრძოლის

ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე. ხოლო მეორე მთავარი მიმართულებაა სამხედრო მეცნიერების მცოდნეობის, ანუ დანერგვის მიმართულება.

სამხედრო საქმეში შედეგი დიდადაა დამოკიდებული იარაღის ხასიათზე. გამალებული შეიარაღება ასრულებს მორიგ ხვეულს და უზრუნდება ჩვეულებრივი იარაღის ყოფილ სისტემებს, რომლებიც, თითქოსდა, რაკეტულ-ბირთული იარაღის განვითარებით უნდა ჩამკვდარიყო. რაკეტულ-ბირთული იარაღისთვის სისტემების წარმომქმნელ ელემენტს წარმოადგენს ბირთვული მუხტი, როგორც განადგურების საშუალება, მსი-სთვის მას წარმოადგენს მართვისა და კავშირგაბმულობის სისტემა.

სამხედრო-ტექნიკური განვითარების მიმდინარე ეტაპი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ახალი, მეორე სტრ. პირველი სტრ – მე-20 საუკუნის 50-70-იანი წლები – რაკეტულ-ბირთული რევოლუცია მეორე სტრ – მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი – 21-ე საუკუნის დასაწყისი – სამხედრო ინფორმაციულ-კომპიუტერული რევოლუცია. მისი არსია ჯარებისა და საბრძოლო იარაღის მართვის ფუნქციის ავტომატიზაცია და საბრძოლო იარაღის ახალი ტიპის – მაღალი სიზუსტის სისტემების ფორმირება. ამ ტენდენციის მატერიალიზაცია ხდება მართვის პროცესების კომპიუტერიზაციით.

ამრიგად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ადგილი ჰქონდა ორ სტრ-ს, რომელთა განსხვავება ფორმირდება მისი არსის მეოთხე და მეხუთე დონეებით, რომლებიც განსაზღვრავენ საბრძოლო ფუნქციის გამართლების კონკრეტულ წესს და მათ შედარებით იერარქიას. გვაძლევს შესაძლებლობას მოვახდინოთ პროგნოზირება სამხედრო-ტექნიკური განვითარების სხვადასხვა მიმართულების ურთიერთ დაკავშირებული ტენდენციებისა და ამ ბაზისზე ჩამოვაყალიბოთ სამხედრო დოქტრინის სამხედრო-ტექნიკური საფუძვლები, ქვეყნის სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დებულებები.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ მომზადებული საქართველოს პარლამენტის სპეციალური დადგენილებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ ნაჩქარევად დაამუშავა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (სეუკ), რომელიც ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა

2005 წლის 8 ივლისს, ხოლო მისი პრეზენტაცია მოხდა 4 ოქტომბერს. მისი მოცულობაა ოცი ნაბეჭდი გვერდი და შემდეგი თავებისაგან შედგება:

შესავალი;

საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები;

საქართველოს ეროვნული ინტერესები;

ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამონკვევები;

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;

დასკვნა [4].

სეუკ-ის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასამაღლებლად საქართველოში არსებულმა დამოუკიდებელმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ – სამხედრო მეცნიერების აკადემიამ, რომელიც ძირითადად წინმსწრებ სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობს, ჩემი ხელმძღვანელობით მოამზადა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც კონცეფციის სახელწოდებით საზოგადოებისათვის გასაცნობად გამოვაქვეყნეთ პრესაში. იხილეთ რეგიონალური გაზეთი „კახეთის ხმა“ N28, 18.07.05 წ., პირველი და მეორე გვერდები გივი იოსების ძე იასეშვილი „ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი. საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც სამი თავისაგან შედგება:

ინფორმაციული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედი;

ქვეყნის უსაფრთხოების გლობალური პრობლემა;

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი რეფორმები [3].

სეუკ-სა და ჩვენს მიერ დამუშავებულ საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციას შორის ორმხრივი კავშირია – პირდაპირი და უკუკავშირი. სეუკ შეიცავს სსმა-ის პროფილს – განსაკუთრებით სახელმწიფო, სამხედრო და ეკონომიკურ-კომერციული დანიშნულების საიდუმლო ინფორმაციის გარანტირებული დაცვის ხაზით, აღიარებს ამ ფუნდამენტალური პროცესის აუცილებლობას ქვეყნის დამოუკიდებელი უსაფრთხო არსებობისა და შემდგომი განვითარების გარდაუვალ ისტორიულ პროცესში, ხოლო სსმა-ის მიერ დამუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები ანუ საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია კი სეუკ-ს ამალღებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

თავდაცვისუნარიანობის სფეროში საქართველოს დღევანდელი სტრატეგია ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მოდელზე უნდა აიგოს, რადგან სამხედრო ძალებით ქვეყნის დაცვა უსაფრთხოების მთავარ გარანტს ვერ წარმოადგენს.

21-ე საუკუნის დასაწყისში სამხედრო მოქმედებების წარმოების ფორმებისა და წესების განვითარებამ განაპირობა:

შეიარაღებული ძალების ყველა სახეობების უფრო მეტად მჭიდრო ურთიერთქმედება;

უკანასკნელი ტექნოლოგიებით დამზადებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის და ავტომატიზირებული საბრძოლო საინფორმაციო-მმართველი სისტემების ფართო გამოყენება [5].

განზოგადებულად ხასიათდება შემდეგი ტენდენციებით:

– მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება წარმოადგენს სამხედრო მოქმედებების წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას. ამალღდა ინფორმაციული უზრუნველყოფის როლი, რომელიც გახდა შეიარაღებული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი;

– 2010-2015 წლებამდე სამხედრო ოპერაციის ლოგიკურ-დროებითი აგების ტრანსფორმაცია ანუ თანამედროვე ეტაპზე კამპანიის (ოპერაციის) პრინციპიალური ლოგიკურ-დროებითი აგებაა:

ინფორმაციული ბრძოლა და ფსიქოლოგიური ოპერაციები მთელი

კამპანიის (ოპერაციის) პერიოდში;

პირველი ეტაპი – უპირატესობის მოპოვება საინფორმაციო სფეროში;

მეორე ეტაპი – უპირატესობის მოპოვება საჰაერო-კოსმოსურ სფეროში;

მესამე ეტაპი – უპირატესობის მოპოვება ხმელეთზე (აუცილებლობის შემთხვევაში).

- სამხედრო მოქმედებების ჩატარების სივრცული სფეროს გაფართოება.
- ოპერაციის შემცირება, როგორც სამხედრო მოქმედებების ნარმოების მთავარი და ძირითადი ფორმისა, მისი ახალი სახეობების გაჩენა: კოსმოსური, რაკეტსაინანაღმდეგო, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, რადიოელექტრონულ-საცეცხლე, რობოტიზირებული და სხვა;
- საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ და მათი მსვლელობისას საბრძოლო შესაძლებლობების შეფარდების გათვლის კრიტერიუმის შემდგომი ცვლილება მიმართული რაოდენობრივი პარამეტრებიდან ხარისხობრივისაკენ, როდესაც პრიორიტეტი მიეცემა მაღალი სიზუსტის შეიარაღებას, იარაღს, რომელთა მოქმედება ემყარება ახალ ფიზიკურ პრინციპებს, აგრეთვე ინტელექტუალურ საშუალებებს;
- სამხედრო მოქმედებების მიზნების მიღწევაში სახმელეთო ძალების როლის შემცირება შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების როლის ერთდროულად ამაღლებით;
- შეტევითი მოქმედებების ხასიათისა და შინაარსის ცვლილება, რომელთა საფუძველს შეადგენს არა ჯარების სივრცული გადაადგილება, არამედ მონინაღმდეგეზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებები;

– შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების მონინაალმდეგეზე მაღალი ეფექტურობის ზემოქმედებით ოპერაციის ჩატარების საერთო დროისა და საბრძოლო ამოცანების შესრულების ხანგრძლივობის შემცირება და სხვა.

მთლიანობაში, საბრძოლო მოქმედებები გახდა უფრო დაძაბული და მაღალტემპიანი, რაც საჭიროებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობების მოქმედებათა კოორდინაციასა და ურთიერთქმედების გაძლიერებას. მათი წარმატებით განხორციელების ძირითადი პირობები გახდა მონინაალმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მიღწევა, ჯარების სტრატეგიული და ტაქტიკური მობილურობის ამაღლება და აგრეთვე მათი საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის ეფექტურობის ხარისხის გაზრდა.

2003-2006 წლებში სსმა-ს კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ საერთაშორისო დისკუსიებში:

„გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი“;

„გლობალიზაცია და სუვერენული სახელმწიფოები“;

„მტრობა, ბოროტება, შურისძიება, ძალმომრეობა კაცობრიობას კატასტროფისაკენ მიაქანებს“.

მე და პოლკოვნიკმა მამუკა გოგიტიძემ წარვადგინეთ სადისკუსიო მოხსენებები:

„გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“;

„გლობალიზაცია და ეროვნული უსაფრთხოება“.

გამოვაქვეყნეთ საკონკურსო განმარტება „რა არის გლობალიზაცია?“

„გლობალიზაცია ერთიანი მსოფლიოს (მსოფლიო წესრიგის)

ჩამოყალიბების გარდაუვალი კომპლექსური პროცესია. მისი ამ-სახველი მეცნიერება სისტემურად სწავლობს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს. მოიცავს: ეკონომიკას, პოლიტიკას, თავდაცვას და ა.შ. სამხედრო გლობალიზაციის საფუძველია ინფორმაციული ომის წარმოების ტექნოლოგია. ხასიათდება: მუდმივი პროგრესით, ჰომოგენიზაციით, უნივერსალიზაციით, ნაციონალური საზღვრების წაშლით, სწრაფი განვითარებით და ადამიანის უფლებების დაცვით“. გივი იოსების ძე იასეშვილი „სამხედრო გლობალიზაცია“. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N263, 2.10.03 წ.

მე მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე საერთაშორისო დისკუსიების მუშაობაში, დავესწარი ყველა სხდომას, შევასრულე დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტის მოვალეობა, წინასწარ გავეცანი გაზეთებში სა-დისკუსიო მოხსენებებს, მომხსენებლებს გავუგზავნე ბევრი წერილობითი შეკითხვა. ორ სადისკუსიო სხდომაზე კამათში მივიღე მონაწილეობა. პირველ პლენარულ სხდომაზე ჩემი მოხსენების თემა იყო „თავდაცვისუნარიანობის ხარისხი ეკონომიკის პირდაპირპროპორციულია“. სადისკუსიო მოხსენებებისა და კამათში მონაწილეთა გამოსვლების მეცნიერული სინთეზით დავამუშავეთ თემა „გლობალიზაცია და სამხედრო მეცნიერება“.

სსმა-ს წევრმა აკადემიკოსმა ალექსანდრე კუჭუხიძემ 2007 წელს გამოსცა კრებული „დრო გადის: მატულობს ცოდნა, გამოცდილება ოდაბადედან წაუსვლელი სურვილი“, მოცულობით 542 გვერდი. სარედაქციო საბჭო ნოდარ ჭითანავა, გიორგი კვიციანი, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, თამაზ იმედაძე და თამაზ დანელია.

ხოლო 2009 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო სამყაროს ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს“, რომელიც 20 მაისს აკადემიის სხდომაზე განვიხილეთ.

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ N41, 05.03.2008 წ. ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს მიუძღვნა ერთგვერდიანი სტატია სახელწოდებით „მართვის ხელოვნების მენცარი“.

დიდი ჩინელი მხედართმთავარი სუნ ძი ამბობდა, რომ ჭეშმარიტი მთავარსარდალი ომს მის დაწყებამდე იგებს. ბრძენი ასახელებდა ხუთ ძირითად პრინციპს, რომელთა დაცვას გამარჯვებამდე მივყავართ.

გაიმარჯვებს:

„ის, ვინც იცის, როდის უნდა იბრძოლო და როდის – არა“;

„ის, ვინც იცის, როგორ გამოიყენოს დიდი და მცირე ძალები“;

„ის, ვინც დაბალ და მაღალ ფენებს ერთი სურვილით აანთებს“;

„ის ვინც კარგად არის მზად და ელოდება მოუმზადებელს“;

„ის ვისაც ნიჭიერი მთავარსარდალი ჰყავს და მმართველი (ხელი-სუფალი) მის საქმეში არ ერევა“.

ომი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სხვა ქვეყნის ანალოგებთან დაპირისპირება – შეჯიბრება. შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხელისუფლებების ან იდეოლოგიების ბრძოლა, მაგრამ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხედართმთავრების სტრატეგიული ნიჭის დაპირისპირებაც.

თანამედროვე პირობებში სამხედრო მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ფორმებისა და წესების დამუშავება.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლის აქტუალური პრობლემები

უკანასკნელ ხანებში ელექტროტექნიკურ საშუალებათა მკვეთრმა განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას. კაცობრიობა წარმატებით ახორციელებს თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ ადამიანთა თანამშრომლობა, მათი ურთიერთობა ასეთივე ტემპით არ ვითარდება. განსხვავებულ ეროვნულ სახელმწიფოებს, განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებს შორის ჯერ კიდევ არსებობს მტრული დამოკიდებულება და ადამიანები დიდ ენერჯიას ხარჯავენ ერთმანეთის დასამარცხებლად და დასამორჩილებლად. მსოფლიოში დღემდე გრძელდება მტრობა სხვადასხვა ქვეყნებსა და ერებს შორის, რაც მათი ურთიერთთან შეუთავსებელი ინტერესებითა და იდეოლოგიით არის გამოწვეული. ეს ქვეყნები ერთმანეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში წარმა-

ტებით იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ამის გამო მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემები ადამიანთა წინააღმდეგ დანაშაულებრივ საქმიანობაშია ჩართული.

მაღალგანვითარებულ დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის მომავალ შესაძლო ომებში აქამდე უცნობი მძლავრი საშუალებები იქნება გამოყენებული. საერთაშორისო ინფორმაციულ საშუალებებში უკვე ლაპარაკია ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენების შესახებ. ასევე ფართოდ არის გაშუქებული თემა ფსიქოლოგიური ომის თაობაზე, რაც ადამიანზე ფარული ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით არის შესაძლებელი.

ცნობილი ხდება, რომ ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ისეთი ელექტრომაგნიტური ველის შექმნა, სადაც მოხდება კომპიუტერების და მსგავსი ელექტრომონობილობების პარალიზება და ლიკვიდაცია. ეს პროცესი ისე უხმაუროდ და შეუმჩნევლად შეიძლება მოხდეს, რომ დამარცხებულმა მხარემ ვერ მოასწროს ცნობის მიღება ომის დაწყების შესახებ.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ აღნიშნული სახის იარაღის დამზადებაზე რამდენიმე ტექნოლოგიური თვალსაზრისით განვითარებული სახელმწიფო მუშაობს. ისიც ცნობილია, რომ ამავე ქვეყნებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს ასეთი იარაღისაგან ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო მექანიზმების შესამუშავებლად.

ელექტრომაგნიტური იარაღისა და მათგან თავის დაცვის საშუალებებზე მუშაობა მრავალ მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვს; მათ გადასაწყვეტად ინტენსიურად მუშაობენ განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ყურადღების გარეშე დაგვეტოვებინა ომისათვის მზადების ის პროცესებიც, რომლებიც მხოლოდ მონინაალმდეგის მატერიალური ღირებულებებისა და ადამიანთა სიცოცხლის განადგურებას არ ემსახურებიან, მაგრამ არანაკლებ საშიშროებას უმზადებენ დაპირისპირებულ ქვეყნებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე.წ. „ფსიქოლოგიური ომი“, რომელიც მონინაალმდეგე ქვეყნის მცხოვრებლების ფსიქიკური წყობის შეცვლას და ნგრევას გულისხმობს. ასეთი ზემოქმედების შედეგად მონინაალმდეგე ქვეყნის მცხოვრებთა შეხედულებები, იდეოლოგია, განწყობები შეიძლება შეიცვალოს ისე, რომ მო-

სახლეობამ შეწყვიტოს წინააღმდეგობა დამპყრობელი ქვეყნის მტრული მიზნებისა და ამოცანების მიმართ; ნებით ჩადგეს მის სამსახურში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მონინააღმდეგე ქვეყნის არა ნერვული სისტემის მოშლა, რის შედეგადაც ის შეწყვეტს ნორმალურ ფუნქციონირებას, არამედ ის, რომ მას შეეცვლება თავისი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის ღირებულებებთან, კულტურასთან, ისტორიასთან და გამოუმუშავდება დადებითი დამოკიდებულება მონინააღმდეგე ქვეყნის ღირებულებებთან და დაემორჩილება მის მიზნებსა და ამოცანებს. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ქვეყნის ხალხს შეუქმნიან დადებითი დამოკიდებულებების, განწყობების სისტემას მონინააღმდეგე ქვეყნის ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების მიმართ, ის წინააღმდეგობის გარეშე მიიღებს აგრესორი ქვეყნის შეხედულებებს, ამოცანებს და თავად საკუთარი სურვილით ითანამშრომლებს და ჩადგება აგრესორი ქვეყნის სამსახურში.

ასეთი სურათის დახატვის შემდეგ მაშინვე ჩნდება შემაშფოთებელი კითხვა – ნუთუ შესაძლებელია ერთი სახელმწიფოს მეორეზე ისეთი ფსიქოლოგიური გავლენა, რომლის შედეგად ეს სახელმწიფო უბრძოლველად დანებდება მას? **ირკვევა, რომ გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია ერთი ქვეყანა დანებდეს მეორეს. ასეთი ფსიქოლოგიური ომები ყოველთვის ხორციელდებოდა და დღესაც მიმდინარეობს, მაგრამ ის ფარულად და ხშირად შეუმჩნეველად ხდება.**

ისტორიაში ცნობილია ერთი ეროვნული სახელმწიფოს მიერ სხვა ერების და ეთნოსების ასიმილაცია, რაც მსოფლიოს აშკარა დაპყრობითი ომების საფუძველზე არ განხორციელებულა. აშკარა დაპყრობითი და ფსიქოლოგიური ომები ხშირად ავსებენ ერთმანეთს, რის შედეგადაც იქმნებოდა დიდი, პოლიეთნიკური სახელმწიფო; ისინი სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხთა ასიმილაციის შედეგად ერთიანდებოდნენ ერთ ეროვნებაში, ერთ ეროვნულ სახელმწიფოში და ერთვებოდნენ ერთი ერის კულტურისა და სულიერების განვითარების პროცესში.

ფსიქოლოგიური ომები დღეს ახალ იმპულსებს იძენს, რადგან სახელმწიფოთა თანამშრომლობა და ურთიერთანგარიშგანევა ძირითადად იმ ნიშნით ხდება, თუ რამდენად იცავენ ისინი ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებას. დღეისათვის სახელმწიფოთა მიერ ერის უფლებებსა და

თავისუფლებას ნაკლები ღირებულება ენიჭება. ეს ტენდენცია ორმა გარემოებამ განაპირობა.

გასულ საუკუნეში გარკვეული ძლიერი სახელმწიფოები თავისი სახელმწიფოებრიობის საფუძვლად თავის ერს მიიჩნევდნენ. ადამიანს ნაკლები ღირებულება ენიჭებოდა და ირღვეოდა პიროვნების უფლებები. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკაში დაინერა ადამიანთა უფლებების დაცვის ქარტია, რომელშიც პირიქით – ადამიანის უფლებები და თავისუფლება იყო გამოცხადებული სახელმწიფოთა საქმიანობის საფუძვლად და არაფერი იყო ნათქვამი ერის უფლება-მოვალეობათა შესახებ. ეს პოზიცია გასაგები იყო, რადგან ამერიკა, როგორც სახელმწიფო, შეიქმნა თავის ეროვნული სახელმწიფოებიდან ემიგრირებული ადამიანების მიერ; ისინი იცავდნენ თავიანთ პიროვნულ და არა ეროვნულ უფლებებს და თავისუფლებას. ამან განაპირობა რენე კარენისა და მარგარიტა რუზველტის პოზიცია; მათთვის აქტუალური არ იყო ამერიკის, როგორც ერის დამცველი სახელმწიფოს ფუნქცია. ამერიკის გავლენით მოხდა ისიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც ერების, ეროვნული სახელმწიფოების უშიშროების მიზნით ჩამოყალიბდა, თავის ძირითად პრინციპად პიროვნების უფლებების დაცვა მიიჩნია. ჩვენ საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოველმა ეროვნულმა სახელმწიფომ თავის ძირითად პრინციპად პიროვნების და ერის უფლება-მოვალეობების დაცვა უნდა აღიაროს: ყოველმა სახელმწიფომ პიროვნების უფლებებთან ერთად უნდა დაიცვას ეროვნული ღირებულებები: ენა, კულტურა, ეროვნული ცნობიერება, წეს-ჩვეულებები და სხვ.

ფსიქოლოგიური ომი ძირითადად, ქვეყნის ერის, მისი თავისებურებების წინააღმდეგ არის მიმართული. გლობალიზაცია ქვეყნების ეროვნულ თავისებურებათა, ერის, ეროვნულ თავისებურებათა მოსპობის ამოცანას ისახავს.

ფსიქოლოგიური ომი ძირითადად ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ეროვნების ეროვნულ თავისებურებათა ნიველირებას ცდილობს. ამ დროს საომარი მოქმედების გარეშე მისი ეროვნული ამოცანების და მიზნების ნიველირებას ახდენს, ჩაანაცვლებს რა მას საკუთარი მიზნებითა და ამოცანებით, ბუნებრივია, რომ ამ დროს ასიმილირებული ქვეყანა, უარს ამბობს რა საკუთარ, ეროვნულ მიზნებზე, უცხო ქვეყნის ინტერესებს სამსახურში დგება. ფსიქოლოგიური ასიმი-

ღირების გზით დამორჩილებული ქვეყნის მოსახლეობა მოხმარებისა და მომსახურების საქმიანობით იფარგლება, რაც ადამიანთა ქცევის ფორმების პალიტრას მნიშვნელოვანწილად ავინროებს; ლოგიკურია, რომ ქვეყნის მოქალაქეთა ძირითადი საქმიანობა აღარ იქნება მატერიალურ და სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებული.

ფსიქოლოგიური ომი იყენებს ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე საშუალებებს, რომელიც მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობაში იმ განწყობების ფორმირებას ახდენს, რომელიც თავსებადია აგრესორი ქვეყნის სოციალურ-დისპოზიციურ განწყობებთან და ეწინააღმდეგება საკუთარი ქვეყნის ეროვნულ განწყობებს. მათში კონფლიქტური, არათავსებადი განწყობათა სისტემის ფორმირება არის წინაპირობა ამ ხალხის დამორჩილებისა. ასეთი ერი, ასეთი ხალხი ეთანხმება, ელოდება მოწინააღმდეგე ძალების შემოსვლას, გაბატონებას მათ ქვეყანაში. მძლავრი საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფილი ზემოაღნიშნული არათავსებადი განწყობათა სისტემების ფორმირების ტექნოლოგია მკაცრ კანონზომიერებებს ექვემდებარება, რაც ცალკე განხილვის საგნად შეიძლება იქცეს.

განწყობის თეორიის განვითარების თანამედროვე დონე, რომელიც ძირითადად ასახულია „განწყობის ანტროპული თეორიის“ ფარგლებში, საშუალებას იძლევა ადამიანის განწყობების სისტემების ჩამოყალიბება თეორიის მიერ დადგენილი კანონზომიერებების ტერმინებში აღინეროს.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური საბრძოლო ხელოვნების ფუძემდებელი და ხელმძღვანელი აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი.

აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა 2001 წელს გამოსცა მონოგრაფია „განწყობის ანტროპული თეორია“, მოცულობით 207 გვერდი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამ მონოგრაფიის გადამუშავებული და გაუმჯობესებული ვარიანტი გამოვა 2009 წლის ბოლოს.

გამოვიდა საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე 2008, №1, რომლის საკონსულტაციო საბჭოს წევრიც თვითონ არის და რომელშიც დაბეჭდილია მისი შრომა „განწყობის ორი სახე და სამი დონე“. დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

ამონაწერი

სსმა-ს წლიური სამეცნიერო ანგარიშიდან ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2002 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დავალებით შესრულდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელთა მიზანი იყო:

ინფორმაციული იარაღის გამოყენების ძირითადი მახასიათებლების და თავისებურებების განსაზღვრა;

მისი შესაძლო გავლენის განსაზღვრა ეროვნულ უსაფრთხოებაზე;

ინფორმაციულ ურთიერთბრძოლაში მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების გამომჟღავნება;

ეროვნული უსაფრთხოების გამაგრება და ტექნოლოგიური უპირატესობის გაძლიერება ინფორმაციული იარაღის შექმნაში;

სამეცნიერო და სამრეწველო ორგანიზაციების მოღვაწეობის კოორდინაცია ეროვნული ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას.

სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლა წარმოადგენს სახელმწიფოების მიერ გლობალური საინფორმაციო სივრცისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებას სტრატეგიული სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად და საკუთარ საინფორმაციო რესურსზე ზემოქმედების შესამცირებლად. იგი იყოფა პირველ და მეორე თაობად.

პირველი თაობა განიხილება ურთიერთბრძოლის ტრადიციული საშუალებების გვერდით. მან გაითავისა ინფორმაციული ომის ძირითადი მეთოდები და გამოიყენა სახელმწიფო და სამხედრო დონეებზე.

მეორე თაობა წარმოადგენს სტრატეგიული ურთიერთბრძოლის პრინციპიალურ ახალ სახეობას, გამოწვეულს ინფორმაციული რევოლუციით, რომელსაც ურთიერთბრძოლის შესაძლო სფეროთა წრეში შემოყავს ინფორმაციული სივრცე და სხვა შესაძლო სფეროები, უპირველესად ეკონომიკური. საბრძოლო მოქმედებების თეატრი ორ ნაწილად გაიყო ტრადიციულ და კიბერნეტიკულ სივრცეებად, თანაც უკა-

ნასკნელს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განხორციელება და გამარჯვებით დამთავრება განისაზღვრება ინფორმაციული ბრძოლის წარმოების ხელოვნებით, რომლის ფორმებია ინფორმაციულ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური. აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა შეისწავლა, დაამუშავა და წარმოადგინა ფსიქოლოგიური მეცნიერების უახლოესი მიღწევების სინთეზი სახელწოდებით „განწყობის ფსიქოლოგიური მონაცემები ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობისათვის“.

ბატონი შოთა ნადირაშვილის ღრმა ფსიქოლოგიური მეცნიერული ნაშრომი საქართველოსთვის შემდეგში განვითარებული და ამავე დროს გამოყენებული იქნება სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის მეორე თაობის ამოცანების დასამუშავებლად, რომელთაგან მისი რეკომენდაციით უპირველესია:

ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი შეგნებისა და პოლიტიკური ორიენტაციის მანიპულირება პოლიტიკური დაძაბულობისა და ქაოსის შექმნის მიზნით;

მოსახლეობის დეზინფორმაცია სახელმწიფო ორგანოების მუშაობაზე, მათი ავტორიტეტის შელახვა, მართვის ორგანოების დისკრედიტაცია;

სოციალური, პოლიტიკური, ნაციონალური და რელიგიური შეჯახებების პროვოცირება;

მართვის ორგანოების მიერ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების გართულება;

სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის, მისი სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირის გამოთხრა;

ზიანის მიყენება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვით და სხვა სფეროებში; და სხვა.

სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლა წარმოადგენს სტრატეგიული ურთიერთბრძოლის დამოუკიდებელ პრინციპულად

ახალ სახეობას, რომელსაც შეუძლია კონფლიქტების მოგვარება შეიარაღებული ძალების გამოყენების გარეშე. სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთბრძოლის წარმოების მეორე თაობის მიდგომებისა და ამოცანების განვითარება და სრულყოფა პერსპექტივაში მიგვიყვანს სამხედრო ძალების (შეიარაღებული ბრძოლის) გამოყენების მთლიან უარყოფამდის, რადგან კოორდინირებული ინფორმაციული აქციები მოგვცემს დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას ამ უკიდურესი ძალის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. გივი იოსების ძე იასეშვილი. ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარების და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე. მონოგრაფია, 2000 წ.;
2. გივი იოსების ძე იასეშვილი. ინფორმაციული ომის საუკუნე. სამხედრო მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N98, 30.04.04 წ.;
3. გივი იოსების ძე იასეშვილი. ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი. საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია. გაზეთი „კახეთის ხმა“ N28, 18.07.05 წ.;
4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს უშიშროების საბჭოს მიერ და დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 8 ივლისს;
5. ალექსანდრე მედინი. 21-ე საუკუნეში საბრძოლო მოქმედებების წარმოების ფორმებისა და წესების განვითარება, ჟურნალი „საზღვარგარეთის სამხედრო მიმოხილვა“ N4, 2003 წ.

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატი, პოლკოვნიკი.

რეცენზია

სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ვიცე-პოლკოვნიკის **გივი იოსების ძე იასეშვილის** ნაშრომზე - „სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციულ ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“ (23 გვერდი)

საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია მსოფლიოში, რომელმაც თავის არსებობის 32 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანა სამხედრო ხელოვნების განვითარებაში. სამხედრო მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ისეთი მთავარი პრინციპები როგორცაა:

მცირერიცხოვანი ძალებით გაცილებით მრავალრიცხოვანი ძალების დამარცხება ან სრული განადგურება,

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ოპტიმალური გამოყენება,

მოულოდნელობის ფაქტორით სარგებლობა,

სტრატეგიული გეგმებისა და ჩანაფიქრების უზადოდ (უნაკლოდ) განხორციელება,

მონინააღმდეგისათვის ფლანგიდან (ან ფლანგებიდან) შემოვლა და ალყაში მოქცევა,

ქვეითი და ცხენოსანი ჯარის სწორი ურთიერთთანამოქმედება,

შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლების დროს მდიდარი და მრავალფეროვანი სამხედრო ტექნიკური ფორმების გამოყენება,

საერთაშორისო მნიშვნელობის მაშტაბური ომების გამარჯვებით დამთავრება,

ციხე-სიმაგრეებისა და თავდაცვითი — საფოტიფიკაციო ზღუდეების მშენებლობა,

ჯარში განვევის სამობილიზაციო ღონისძიებები,

სტრატეგიული და საერთოდ მოკავშირის საკითხის მოგვარება,

დაზვერვა და მრავალი სხვა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და სრულყოფის დონემდე იხვეწებოდა.

მიუხედავად სამხედრო ხელოვნების ჩვენს მიერ ჩამოთვლილი პრინციპების მაღალ დონეზე განვითარებისა, სამხუხაროდ, ჩვენში სამხედრო თეორიისა და საერთოდ სამხედრო მეცნიერების განვითარება ვერ მოხერხდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია.

სამხედრო მეცნიერების განვითარების (მისი ზოგიერთი დარგი გვაქვს მხედველობაში) თვალსაზრისით გარკვეული ძვრები მოხდა საქართველოში მე-20 საუკუნის უკანასკნელ წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში. სამხედრო მეცნიერების დარგში დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მდგომარეობის გაუმჯობესების საიმედო პირობები გაჩნდა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ადიუნქტურის გახსნით და გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის დაარსებით. თუმცა ამ მიმართულებით საქმე ბოლომდე ვერ განვითარდა – ხელისუფლებამ აკადემია გააუქმა.

ამიტომ მისასალმებელია სამხედრო მეცნიერების ამა თუ იმ დარგში შესრულებული ნაშრომი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პოლკოვნიკის ბ-ნი გივი იოსები ძე იასეშვილის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი „სამხედრო მეცნიერებისა და ინოვაციურ-ინფორმაციულ ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგია“.

სარეცენზიო ნაშრომი მართალია მოცულობით დიდი არაა (იგი მხოლოდ 23 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს) მაგრამ მასში გლობალური მნიშვნელობის საკითხებია დასმული. ავტორი საინტერესო თემას ეხება. კერძოდ ე. მეძმარიაშვილის, გ. ლეფონავას, ლ. ჩიქავას, გ. ანანიაშვილის, გ. დონაძის, ა. კუჭუხიძის და თვით გ. იასეშვილის ნაშრომების მოკლე მიმოხილვა გაშუქებულია სამხედრო მეცნიერების ამა თუ იმ ასპექტით, ძირითადად კი — ინოვაციურ-ინფორმაციური ეკონომიკის მეთოდოლოგიის თვალსაზრისის კუთხით.

ავტორი საუბრობს სამხედრო იდეოლოგიაზე, მისი შექმნის და ძირითად ფაქტებზე, სახელმწიფო განვითარების ცვლილებებზე გეოპოლიტიკური პირობების შესაბამისად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამხედრო მეცნიერების საბაზისო თეორიებს, სამხედრო ხელოვნების თეორიასა და მისი ფორმირების ფაქტორებს, როგორც ეკონომიკურს, ასევე

პოლიტიკურს. სარეცენზიო ნაშრომში ხაზგასმითაა წარმოჩენილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების განვითარებაზე, აქვეა გაშუქებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, როგორც უშუალო ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის საშუალების განვითარებაზე. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „ინფორმაციული და შეიარაღებული ბრძოლის დიაპაზონის სიგანე, შინაარსის სახესხვაობანი და ამოცანების მასშტაბები განაპირობებენ სამხედრო ხელოვნების პრინციპების სიმრავლის არსებობას“ (სულ დასახელებულია 11 პრინციპი), რომლებიც მუდმივს არ წარმოადგენენ. მთელი რიგი ფაქტორების გავლენით სერიოზულ ცვლილებებს განიცდიან ფორმისა და შინაარსის მიხედვით სწორადაა გააზრებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეტაპები მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში. ამ საკითხთან მიმართებაში ავტორისეული პოზიცია გასაზიარებელი და მისაღებია, ისევე, როგორც მისაღებია მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების სამეტაპოვანი მიდგომა. მოწინააღმდეგეებს იმსახურებს აგრეთვე ძველი ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსის სუნ ძის მიერ ჩამოყალიბებული მტერზე გამარჯვების ხუთი პრინციპი.

სარეცენზიო ნაშრომის ბოლო ნაწილი (17-23 გბ.) მთლიანად ეთმობა ფსიქოლოგიური ომის პრობლემებს და იმ ნაშრომების მიმოხილვას, რომლებიც ამა თუ იმ ასპექტით აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა.

როგორც ვხედავთ, ბ-ნ გ. იასეშვილის ნაშრომში დასმულია მრავალი საკვანძო პრობლემა, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა და მეცნიერული დამუშავება და ანალიზი მთლიანად სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და სპეციალურ ლაბორატორიებში უნდა ხდებოდეს. ასეთ და ანალოგიურ მსგავს ფუნდამენტურ პრობლემებზე უნდა მუშაობდეს რამდენიმე მსხვილი სამეცნიერო დაწესებულება და არა ერთი ან თუნდაც რამდენიმე პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქტუალური საკითხების დასმაც თავისთავად მისასალმებელია...

ისტორიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი:

ელვერ კუპატაძე

18. 11. 2008

თავი მათე

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის (სსმე) წლიური სამეცნიერო ანგარიშები.

სსმე-ს ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2006 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები

სსმე-ს ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2006 წლის სამეცნიერო ანგარიში ერთის მხრივ 2005 წლის სამეცნიერო ანგარიშის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ შინაარსობრივად 2007 წლის პერსპექტიულ ღონისძიებებსაც ითვალისწინებს. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში ჩემი მუშაობის დროს ჩემს მიერ დანერგილი მონოგრაფიის „ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება და მისი გავლენა ჯარებისა და ძალების მართვის ორგანიზაციასა და მეთოდებზე“ 2000 წელს დასრულებულ ვარიანტში, 2005 წლისთვის განვახორციელე მისი მთავარი თავის „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“ გადამუშავება და სრულ შესაბამისობაში მოვიყვანე 21-ე საუკუნის უახლოეს მიღწევებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.

მონოგრაფიის ახალი ვარიანტი წარვადგინე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში გადასაცემად, სულიერი კოორდინაციისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ინსტიტუტში – სადაც მოხსენება გავაკეთე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში – პრეზიდენტის სხდომაზე მოხსენების გასაკეთებლად, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში – პირადად გენერალ გივი ლობჯანიძეს და 2006 წლის 3 ნოემბერს, თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებულ სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ ქვეყანაში სათანადო მართვის ახალის სისტემის დამყარების გადასაწყვეტად შექმნილი ზე-პარტიულ ორგანო-ორგანიზაციაში „საქართველოს ხსნის

ეროვნულ ფრონტში“. თითქმის ერთნაირი განხილვების პროცესში მონოგრაფიის მიმართ არავითარი შენიშვნა არ გამოთქმულა, საყოველთაო მონონება დაიმსახურა.

სამხედრო ხელოვნების თეორიის შინაარსის ფორმირებაში პირველი რიგის როლს ასრულებს პოლიტიკური ფაქტორები. საანგარიშო პერიოდში მე ჩემი მონოგრაფია „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“ მეცნიერული თვალსაზრისით განვავითარე და გავაღრმავე ორი აქტუალური მიმართულებით:

1. სამხედრო ხელოვნების თეორიის განვითარებაზე და შინაარსზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ ინოვაციური ეკონომიკა;
2. სამხედრო ხელოვნების თეორიის დებულებების პრაქტიკულ რეალიზაციაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია სულიერ ფაქტორს.

2006 წლის იანვარში შესრულდა სსმა-ს დაარსების საიუბილეო ხუთი წლისთავი. 3 იანვარს წერილობითი განცხადებით მივმართე საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ირაკლი ოქრუაშვილს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ლევან ნიკოლეიშვილს სარეგისტრაციო N1_ გ-1, 3.01.06 ნ., რომელიც თავდაცვის სამინისტროს კანცელარიაში წარმოადგენს 2006 წლის პირველ განცხადებას. ციტირება: „სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სასარგებლო და მონინავე გამოცდილების გათვალისწინებით, გთხოვთ, რომ ოფიციალური წერილობითი ბრძანებით შექმნათ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩაატარებს თქვენთან საიუბილეო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციას, მიძღვნილს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სსმა-ს დაარსებიდან ხუთი წლისთავისადმი.

ჩემს მიერ წარმოდგენილი იქნება ორი მოხსენება:

1. სსმა-ს 2001-2005 წლების ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის შედეგები და მომავალი ამოცანები – საანგარიშო მოხსენება;

2. სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია (გადამუშავებული ვარიანტი) – თეორიული მოხსენება.

წარდგენილი განცხადება 9.01.06 წელს განიხილა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბატონმა დავით სიხარულიძემ და შესასრულებლად გადაუგზავნა გენერალური შტაბის უფროსს პოლკოვნიკს ლევან ნიკოლეიშვილს. გენერალური შტაბის კანცელარიის სარეგისტრაციო N10-6/3, 10.01.06 წ., დაევალა J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსს პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას, რომელმაც გამოგვიგზავნა არასერიოზული წერილობითი პასუხი.

3 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაკეთე საანგარიშო მოხსენება „სსმა-ს ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2005 წლის შედეგები და 2006 წლის ამოცანები“, რომელიც ვრცლად დაიბეჭდა გაზეთში „კახეთის ხმა“ N6, 20.02.06 წ. სათაურით „სამხედრო აკადემიის კიდევ ერთი წარმატება“. მკითხველის საერთო მოწონება დაიმსახურა.

ცივილიზაციის პერმანენტული, დიალექტიკური, ეპოქალური განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე მიმდინარე 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩემი ხელმძღვანელობით საინიციატივო ჯგუფის მიერ ინფორმაციული – 21-ე საუკუნის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სსმა-ს დაარსებით დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ურთულესი ისტორიაში ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ახალი, ინფორმაციული აღმასვლის საფეხური დაიწყო.

21-ე საუკუნე ინფორმაციული რევოლუციისა და უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაა. ფუნდამენტური ხასიათის თეორიული და მეთოდოლოგიური მეცნიერული მუშაობის გარდა, სსმა-ს კოლექტივი ახორციელებდა ახალი სამეცნიერო კვლევითი შედეგების საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვაში გამოყენებისა და დანერგვის ღონისძიებებსაც. იხილეთ გაზეთი „კახეთის ხმა“ N43, 28.11.2005 წ. გივი იოსების ძე იასეშვილი „სამხედრო მეცნიერება – ტექნოლოგიები და წარმოება-შეიარაღებული ძალები“.

საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ მომზადებული საქართველოს პარლამენტის სპეციალური დადგენილებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ ნაჩქარევად დაამუშავა „სა-

ქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (სეუკ), რომელიც ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა 2005 წლის 8 ივლისს, ხოლო მისი პრეზენტაცია მოხდა 4 ოქტომბერს. მისი მოცულობაა ოცი ნაბეჭდი გვერდი და შემდეგი თავებისაგან შედგება:

შესავალი;

საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები;

საქართველოს ეროვნული ინტერესები;

ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები;

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;

და დასკვნა.

სეუკ-ის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასამაღლებლად სსმა-მ, რომელიც ძირითადად წინმსწრებ სამეცნიერო პრობლემებზე მუშაობს, ჩემი ხელმძღვანელობით მოამზადა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც კონცეფციის სახელწოდებით საზოგადოებისათვის გასაცნობად გამოვაქვეყნეთ პრესაში სახელწოდებით „ეროვნული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი, საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც სამი თავისაგან შედგება: ინფორმაციული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედაა, ქვეყნის უსაფრთხოების გლობალური პრობლემა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი რეფორმები. სეუკ-სა და ჩვენს შორის ორმაგი კავშირია. პირდაპირი კავშირით სეუკ მხარს უჭერს სსმა-ს სამეცნიერო პროფილს და აუცილებლად მიიჩნევს მის შემდგომ განვითარებას, ხოლო უკუკავშირით ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია სეუკ-ს ამაღლებს საერთაშორისო სტანდარტებამდე.

დაარსების საიუბილეო ხუთი წლისთავი სსმა-მ დაავიწყებინა მონოგრაფიით „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აკადემიის კოლექტივის თითოეული წევრის ინტელექტუალური

შრომითი წვლილია ჩაქსოვილი და დღეს აკადემიის საერთაშორისო სავი-
ზიტო ბარათს წარმოადგენს. მონოგრაფიის მოკლე ანოტაცია ითვალის-
წინებს შემდეგი საკითხების მეცნიერულ განხილვა-დასაბუთებას:

სამხედრო მეცნიერება და იდეოლოგია;

სამხედრო ხელოვნების თეორია;

ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნება;

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და სამხედრო ტექნიკუ-
რი რევოლუცია;

ჯარების მართვის თეორია და სხვა.

21-ე საუკუნის დასაწყისში სამხედრო მოქმედებების წარმოების ფორმებისა და წესების განვითარებამ განაპირობა: შეიარაღებული ძალების ყველა სახეობების უფრო მეტად მჭიდრო ურთიერთქმედება, უკანასკნელი ტექნოლოგიებით დამზადებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის და ავტომატიზირებული საბრძოლო საინფორმაციო-მმართველი სისტემების ფართო გამოყენება. განზოგადებულად ხასიათდება ძირითადი ტენდენციებით, რომელთაგან აღსანიშნავია სამხედრო მოქმედებების ჩატარების სივრცული სფეროს გაფართოება.

მთლიანობაში, საბრძოლო მოქმედებები გახდა უფრო დაძაბული და მაღალტემპიანი, რაც საჭიროებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობების მოქმედებათა კოორდინაციისა და ურთიერთქმედების გაძლიერებას. მათი წარმატებითი განხორციელების ძირითადი პირობები გახდა მონინალმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მიღწევა, ჯარების სტრატეგიული და ტაქტიკური მობილურობის ამაღლება და აგრეთვე მათი საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის ეფექტურობის ხარისხის გაზრდა. პრიორიტეტულია მაღალი სიზუსტის შეიარაღება, რომელთა მოქმედება ემყარება ახალ ფიზიკურ პრინციპებს, აგრეთვე ინტელექტუალურ საშუალებებს.

განსვენებული აკადემიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი ბატონი ირაკლი ჯორჯაძე ბრძანებდა, რომ უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქართველ ხალხს ყოველთვის გააჩნდა შრომის ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების ეროვნული მოდელი, რომელიც თაობიდან

თაობას ესტაფეტად გადაეცემოდა. უამისოდ ჩვენ ვერ გადაურჩებოდით ავბედით ისტორიულ ქართველებს და არც სახელმწიფოებრიობა გვექნებოდა. ამ უკვდავი ეროვნული ბრძოლისუნარიანი ტრადიციის შემდგომ გაგრძელებას და შემოქმედებით ინტელექტუალურ გაღრმავებას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ ახალი მონოგრაფიის დამუშავება და გამოცემა სახელწოდებით „ინოვაციური ეკონომიკა“. მიმდინარე წლის 20 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ამ უაღრესად საინტერესო და აქტუალური მონოგრაფიის პრეზენტაცია-განხილვა. განხილვის ყველა მონაწილე ხაზს უსვამდა იმას, რომ მონოგრაფიაში ორიგინალურად და დახვეწილ აკადემიურ სტილში გაშუქებულია საკვლევი პრობლემების საკვანძო საკითხები. მოპოვებული წარმატება გააშუქა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“.

აკადემიკოს ლეო ჩიქავას მონოგრაფიის მოცულობაა 450 ნაბეჭდი გვერდი. მეცნიერ რედაქტორია როზეტა ასათიანი, ხოლო რეცენზენტია ნუგზარ სანთელაძე – ორივე აკადემიკოსი. მონოგრაფიის შინაარსი შედგება წინასიტყვაობისაგან, გლოსარიუმისაგან და ექვსი თავისაგან:

ინოვაციური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;

ცოდნის ეკონომიკა;

ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა;

მომსახურების სფეროს არსი და განვითარების ტენდენციები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში;

ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და მისი პერსპექტივები საქართველოში;

ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები.

აკადემიკოსი ლეო ჩიქავა ამ ეპოქალურ მონოგრაფიაში ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს აყენებს და ენერგიულად ეძებს მათი გადაწყვეტის და თავიდან აცილების გზებს;

ციტირება:

„საინფორმაციო ტექნოლოგიების დღევანდელი ტემპებით განვითარება არც თუ შორეულ მომავალში გარემოს სტაბილურობის დარღვევას გამოიწვევს“... გვ. 321.

„გლობალური ეკოლოგიური კატასტროფისაგან კაცობრიობის ხსნაც მნიშვნელოვან წილად სწორედ მეცნიერებისა და განათლების შემდგომი განვითარების დაგროვილი ცოდნის გონივრულ, მიზანსწრაფულ გამოყენებას ძალუძს. თუ გვინდა, რომ ესოდენ ტრაგიკული ფინალი თავიდან ავიცილოთ და გადავრჩეთ, მას უნდა დაუპირისპიროთ ცივილიზაციის მდგრადი განვითარების იდეა... მოძღვრება ნოოსფერული რევოლუციის შესახებ.

ნოოსფეროში იგულისხმება ბიოსფეროს თვისებრივად ახალი მდგომარეობა – ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედების სფერო, რომელშიც ადამიანთა გონივრული, ღრმად გააზრებული მოქმედება წარმოგიდგება განვითარების მთავარ გადამწყვეტ ფაქტორად... ნოოსფერო განიხილება როგორც ბიოსფეროს უმაღლესი სტადია, რომელიც დაკავშირებულია მასში ადამიანთა საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან. საზოგადოება, შეიცნობს რა ბუნების კანონებს და უზრუნველყოფს რა ტექნიკისა და ტექნოლოგიის სწრაფი ტემპებით განვითარებას, ბიოსფეროს ყველა პროცესზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს და ძირეულ ცვლილებებს იწვევს მასში“... გვ. 323.

„ძირითად მიმართულებებს შორის, რომელთაც ძალუძთ ცივილიზაციის შემდგომი მყარი განვითარებისათვის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი პირობების შექმნა, აღსანიშნავია:

მასობრივი მოსპობის იარაღის მარაგების განადგურება და თერმობირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილება, რადგან ასეთ ომში არ შეიძლება რომელიმე მხარე გამარჯვებული გამოვიდეს. ეს, როგორც სპეციალისტები ასკვნიან თვით კაცობრიობის დასასრული იქნება...

მოსახლეობის აღწარმოების პროცესის დარეგულირება და მთელ მსოფლიოში მისი რიცხოვნობის სტაბილურობის მიღწევა...

გარემოს დაცვა დაბინძურებისაგან...; გვ. 324, 325, 326.

ავტორის აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ მეცნიერულად დასაბუთებული ზემოთ აღნიშნული სამი პირობის შესრულება აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისია. აუცილებელია მეოთხე პირობის შესრულებაც – სტრატეგიული ინფორმაციული ურთიერთობის მეორე თაობის განვითარება, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციული რევოლუციით გამოწვეულ პრინციპულად ახალ სახეობას.

„...იმისათვის, რომ გადარჩეს, აუცილებელია პლანეტის მრავალმილიარდიანმა მოსახლეობამ იმოქმედოს, როგორც ერთიანმა ორგანიზმმა, გონივრულად განჭვრიტოს თავისი ბუნებათგარდამქმნელი მოქმედება და ისე მართოს პროცესები. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კაცობრიობა პრიორიტეტს მიანიჭებს ინფორმაციას, როგორც განვითარების მთავარ რესურსს და მასზე დაყრდნობით გამოიმუშავებს ერთიან ინტეგრალურ ინტელექტს...“ გვ. 335.

პოლიტიკური, ნაციონალური, რელიგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით რთული და ძნელი მისაღწევია. დასახული მიზნის მიღწევას დიდი დრო დასჭირდება.

„...ცივილიზაცია სრული სვლით მიექანება თავისი ტრაგიკული დასასრულისაკენ – გლობალური ეკოლოგიური კატასტროფისაკენ...“ გვ. 335.

„...მჯერა, რომ საზოგადოება საფუძვლიანად გააცნობიერებს კაცობრიობის არსებობა-არარსებობის საკითხის ასეთი კატეგორიულობით დასმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სიცოცხლის გადასარჩენად ყოველნაირად იზრუნებს ნოოსფერული მეცნიერების წინმსწრები ტემპებით განვითარებისათვის...“ გვ. 335.

ჟურნალში „ნადირობა“ N1(23) – იანვარი 2007 წელი ბატონი ნუგზარ ზაზანაშვილი სტატიაში „რა არის ეკოსისტემა“ წერს, ციტირებები:

„...ეკოსისტემა, ეკოსისტემები მეცნიერულ-ეკოლოგიების შესწავლის ძირითადი ობიექტია... „ეკოლოგია“ ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა – ეკო (ოიკოს) ნიშნავს საცხოვრებელს, ადგილსამყოფელს. ლოგიკა (ლოგოს) აზრს, სწავლებას. ეკოლოგია ახალგაზრდა მეცნიერებაა და შეისწავლის ურთიერთობებს ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საარსებო გარემოს, ადგილსამყოფელს შორის. ამდენად ეკოლოგიას, როგორც მეცნიერებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბუნების დაცვის დიდ საქმეში.

ტერმინი „ეკოსისტემა“ პირველად ტბათმცოდნე ვოლტერეკმა გა-

მოიყენა, ხოლო მისი პირველი განსაზღვრება მოგვცა ინგლისელმა მეცნიერმა თენსლიმ 1935 წელს. ეკოსისტემები არის როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური. დიდი ეკოსისტემები მოიცავს უფრო მცირე ზომის ეკოსისტემებს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ კიდევ უფრო წვრილ ეკოსისტემებად იყოფა და ა.შ....“.

„...ცნობილმა ავსტრიელმა ეკოლოგმა ვ. ლარხერისმა შექმნა ეკოსისტემის ზოგადი მოდელი, რომელიც იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რა ერთნაირი ნიშნები აქვს გარეგნულად განსხვავებულ ეკოსისტემებს. ...მოდელზე ასახულია ის კავშირურთიერთობანი, ნივთიერებისა და ენერჯის ნაკადები, რომლებიც ახასიათებს ხმელეთის ნებისმიერ ეკოსისტემას...“

„...დასკვნა ასეთია: ეკოსისტემა არის ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი საარსებო გარემოს ერთიანობა, რომელიც ხასიათდება ენერჯისა და ნივთიერებების წრებრუნვით...“

„...შევეჩვიოთ სისტემურ აზროვნებას, შევისისხლხორცოთ ჭეშმარიტება: ბუნება მრავალი ეკოსისტემების ერთიანობაა და საათის მექანიზმივითაა „ანყობილი“. მსხვილი ეკოსისტემები, თავის მხრივ, ჰარმონიული მექანიზმებია, რომლებიც უფრო წვრილი ეკოსისტემებისაგან შედგება...“

„...თანდათან მივდივართ ჩვენი გარემომცველი ბუნების რღვევის საკენ და აი, ამიტომ ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს ბუნების ყოველ, ერთი შეხედვით, ყველაზე უმნიშვნელო სულდგმულს თუ წარმონაქმნს. ღრმად შეისწავლოს მოცემულ ეკოსისტემაში არსებული პროცესები, კავშირები და მხოლოდ შემდეგ მოახდინოს ზემოქმედება, რათა არ დაარღვიოს ეკოსისტემის საუკუნეებს მანძილზე ჩამოყალიბებული ნონასწორობა.“

ეს პრობლემა დანვრილებით გააშუქა ჟურნალისტმა ნატო ცისკარიშვილმა ჩემთან ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში „კახეთის ხმა“ N28, 26.07.06 წ. მეექვსე გვერდზე სათაურით „ინოვაციური ეკონომიკა“.

ხოლო, როგორც დასმული მეცნიერული პრობლემის განხილვის შემდგომი შინაარსობრივი და ლოგიკური გაგრძელება, ამავე გაზეთში მე გამოვაქვეყნე სტატიების ციკლი საერთო სახელწოდებით „ინოვაციური ეკონომიკა“, იხილეთ:

1. გაზეთი „კახეთის ხმა“ N33, 8.11.06 წ. პირველი და მეოთხე გვერდები;

2. გაზეთი „კახეთის ხმა“ N1, 17.01.07 წ. მერვე გვერდი. და სხვები.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი ეკონომიკის პირდაპირ-პროპორციულია. ინოვაციური ეკონომიკა უნდა განაპირობებდეს ინოვაციურ თავდაცვით სისტემას, რაც სამწუხაროდ საქართველოში არ ხდება. 2005 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა თავი ვერ გაართვა სსმა-ს კოლექტივის მიერ დამუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული და რეკომენდირებული ახალი პროგრამებისა და წინადადებების დანერგვის დაწყების ისტორიულად აუცილებელ პროცესს.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ანხორციელებს სსმა-ის სამოქალაქო-საზოგადოებრივ კონტროლს. ამ აკადემიამ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით გამოსცა სამეცნიერო ნაშრომების მე-5 ტომი (კრებული). მასში უწინარეს ყოვლისა გაშუქებულია ინოვაციური ეკონომიკის ანმყო და მომავალი. 21-ე საუკუნის ეკონომიკა არის ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა. რაც წარმოადგენს ჩემს მიერ გამოქვეყნებული სტატიების და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის პერმანენტული განმტკიცების მეცნიერულ საფუძველთა საფუძვლებს.

განსაკუთრებით დიდი აქტუალობით ხასიათდება პროფესორების ახალი შემდეგი მეცნიერული ნაშრომები:

ლეო ჩიქავა „ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ანმყო და მომავალი საქართველოში“,

როზეტა ასათიანი „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია“,

რევაზ კაკულია „გლობალური ეკონომიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ფინანსური ასპექტები“,

გიორგი მალაშხია „დაგროვილი სიმდიდრე, როგორც ცხოვრების ეკონომიკური დონის რესურსი“,

ევგრაფ კანდელაკი „ინტიტუციური თეორიის ეკონომიკურ პო-
ლიტიკაში გამოყენების საკითხები“,

ჯამლეთ შათირიშვილი „საქართველოს ეკონომიკური კრიზისი-
დან გამოსვლის ფინანსური ღონისძიებები“,

გიორგი შუბლაძე „ბიზნესის განვითარებისა და პრივატიზაციის
ურთიერთობის შესახებ“,

მურმან ცარციძე „ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების თა-
ვისებურებები საქართველოში“,

თეიმურაზ კანდილაკი „საქართველოს ტყის რესურსების ეკონო-
მიკური შეფასების მეთოდები, პრინციპები და ძირითადი მაჩვენ-
ებლები“,

დემურ ჩომახიძე „ენერგეტიკის რეგულირება საქართველოში
პირველი შედეგები და ამოცანები“,

ომარ ვაშაკიძე „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის
რეფორმების საკითხები“,

ამირან ჯიბუტი „კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და ათვისე-
ბის პრობლემები“,

ნუგზარ სანთელიძე „საქართველოში სანარმოთა ანტიკრიზისური
მენეჯმენტის საკითხისათვის“ და სხვები.

12 აპრილს სსმა-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრმა,
„ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ პრეზიდენტმა ბატონმა და-
ვით დარჩიაშვილმა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე დაინ-
ყო საზოგადოებრივი მაუწყებლობის სპეციალური პროექტი „მსოფლიო
დღეს“. მან როგორც წამყვანმა პირველი გადაცემა მაღალ დონეზე ჩაა-
ტარა. გადაცემები შედგება ოთხშაბათობით 22 საათზე.

25 ნოემბერს გადაცემა მიეძღვნა 7 ნოემბერს აშშ-ში გამართულ
არჩევნებს, რომელიც არის შუალედური არჩევნები საპრეზიდენტო და
საპარლამენტო არჩევნებს შორის, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ამ არ-
ჩევნებში გაიმარჯვეს დემოკრატებმა, რაც რუსეთისათვის სასურველი

არ იყო. გადაცემაში მონაწილეობდნენ პროფესორები დოდონა კიზირია აშშ-დან და ვასილ კაჭარავა თბილისიდან. ჩართვა მოხდა აშშ-დან ქალბატონ დემურასთან.

აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი ცენტრალური სადაზვერვო დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა რობერტ გეთსიმ შეცვალა. დემოკრატებმა გამარჯვება მოიპოვეს კონგრესის წარმომადგენლობით პალატაშიც, სადაც უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში რესპუბლიკელები დომინირებდნენ. მათ 169 ადგილი აქვთ, დემოკრატებს – 209. უმრავლესობის შექმნისათვის 218 ადგილია საჭირო. კონგრესის ზედა პალატაში, სენატში დემოკრატებს 50 წარმომადგენელი ჰყავთ, ქვეყნის მმართველ ძალას – რესპუბლიკელებს კი 49.

აშშ-ის ამომრჩეველთა 28% უპირატესობას ანიჭებდა ქვეყნის ეკონომიკას, ხოლო 25% კი ერაყის საომარი პრობლემების მოგვარებას. აშშ-ს უზარმაზარი საერთაშორისო ვალი აქვთ, ერაყში ომი უჯდება 1 მილიარდი დოლარი კვირაში. არჩევნებში რესპუბლიკელთა დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო საომარი კომპანია. აშშ-ში დაახლოებით 20 მილიონი ემიგრანტია, ეს პრობლემა მოსაგვარებელი აქვთ. 2008 წელს შედგება საპრეზიდენტო არჩევნები, დემოკრატებმა მდგომარეობა გაიუმჯობესეს. რუსულ-ამერიკული ურთიერთობა ძლიერ რთული და აქტუალურია.

სსმა-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრმა პროფესორმა თამარ ბაკურაძემ დაამუშავა და თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა ახალი 200 გვერდიანი მონოგრაფია „მუსიკის სემანტიკური მნიშვნელობის აღქმის ფსიქოლოგიური დახასიათება“, ქალბატონი თამარ ბაკურაძე სსმა-ს წევრთან აკადემიკოს შოთა ნადირაშვილთან ერთად ჩვენს აკადემიაში წარმატებულად ხელმძღვანელობს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლის მიმართულებას.

სსმა-ს წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი ბატონი გურამ ხარატიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. ხოლო შემდგომ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონის საფუძველზე ინსტიტუტის აკადემიიდან გამოყოფის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების გამო, ბატონი გურამ ხარატიშვილი განთავისუფლდა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან. აკადემიკოსი

გურამ ხარატიშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ გულაბერ ანანიაშვილთან ერთად ჩვენს აკადემიაში წარმატებულად ხელმძღვანელობს ინფორმაციულ-ტექნიკური ბრძოლის მიმართულებას.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მსგავსად, მე სსმა-ს ვხელმძღვანელობ კოლექტიურობისა და გუნდურობის მეთოდით, ძირითადი ბირთვია საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც ჩემი ხელმძღვანელობით დააარსა სსმა 2001 წლის იანვარში საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებიდან ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების გამოყოფით. შემდგომი მისი განვითარება მოხდა თსუ-სთან, ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიებთან და სკისი-თან აქტიური თანამშრომლობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე

1. 6 მარტს შევიტანე მესამე განცხადება N3227;
2. 24 ივლისს შევიტანე მეოთხე განცხადება N13060;
3. 8 ნოემბერს შევიტანე მეხუთე განცხადება N23548;

შენიშვნები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებულ წერილობით პასუხებზე:

სსმა-ს და სამინისტროს შორის ურთიერთობის დამყარების დასაწყისიდანვე მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა ალექსანდრე დიდებულძემ და ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარმა სპეციალისტმა ბატონმა თედო დოლიძემ არ მომცეს შესაძლებლობა, რომ სსმა-ს სხვა წევრებიც ჩამერთო განხილვის პროცესში და მთელი სიძიმე პასუხისმგებლობისა მე დამანვა მხრებზე. ასე სპეციალურად მაიძულა ბატონმა თედო დოლიძემ, რაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უხეში შეცდომაა. მეცნიერება ხომ კოლექტიური შრომის შედეგია;

ჩემი საქმიანი ვრცელი განცხადებების და თანდართული უამრავი ოფიციალური დოკუმენტების განხილვის დროს, როგორც წესი, სამინისტროს ხელმძღვანელობა თავს არიდებდა ჩემს წერილობით მოთხოვნებს, რომ ჩემს განცხადებებში დაფიქსირებული პრობლემები გაეხადათ ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი პრესითა და ტელევიზიით. რომელიმე პასუხისმგებელი შემსრულებლის (თედო დოლიძე,

შუქრი ჯაფარიძე) მიერ ჩემთან გამოსაგზავნი წერილობითი პასუხის პროექტს მინისტრის მოადგილე (ალექსანდრე დიდებულისძე, ბელა ნიფურია) მხოლოდ საკუთარი გემოვნებით შტამპავდა, რის გამოც უშვებდა უხეშ შეცდომებს:

1. მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე შეტანილ ჩემს მესამე განცხადებაზე, რომლის შედეგებიც დიდად ესაჭიროებოდა სსმა-ს კოლექტივს და რომლის პასუხისმგებელი შემსრულებელიც იყო ბატონი თედო დოლიძე, მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა ალექსანდრე დიდებულისძემ ბიუროკრატიულად დიდად გააჭიანურა წერილობითი პასუხის გაფორმება და მხოლოდ ნახევარწლიანი ჩვენი განვალების შემდეგ გვალირსა წერილობითი პასუხი N01-12-08/13291, 15.08.06 წ.;
2. მინისტრის მოადგილის ქ-ნ ბელა ნიფურიას მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ წერილობით პასუხში N01-16-13-3/15695, 26.09.06 წ.; არა სწორად არის გაგებული ჩემს მიერ მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე შეტანილი ჩემი შესაბამისი მეოთხე განცხადების შინაარსი. განცხადებაზე პასუხისმგებელი შემსრულებელი იყო სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი ბატონი შუქრი ჯაფარიძე, რომელთანაც ჩემი წინასწარი სატელეფონო საუბრებით ჩემი განცხადება სამინისტროს უნდა გადაეგზავნა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და იქიდან მომხდარიყო ჩემი შრომების ციკლის წარდგენა. სამინისტროს ამის უფლება აქვს, მაგრამ სამწუხაროდ არ გააკეთა;
3. მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე შეტანილ ჩემს მეხუთე განცხადებაზე მივიღე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ჩიორა თაქთაქიშვილის სამარცხვინო წერილობითი პასუხი, რომელიც არ შეესაბამება ჩემი განცხადების შინაარსს, რაც მან მომწერა მის გარეშეც წინასწარ ვიცოდი, ხოლო, მთავარს ყურადღება არ მიაქცია. ალბათ ისტორიაში არ მოიძებნება უსამართლობის ანალოგიური ფაქტი, მე დამინიშნეს მინიმალური ასაკობრივი პენსია თვეში 28 ლარი.

საიუბილეო საანგარიშო პერიოდში ოთხჯერ მივმართე ოფიციალური წერილობითი განცხადებებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოსს თამაზ გამყრელიძეს. ჩემი პირველი და მეორე განცხადება გადაუგზავნა სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსს ბატონ შოთა ნაკაიძეს, რომელთანაც ორჯერ ვიყავი მიღებაზე და რომლისგანაც მივღე ორი მწირი წერილობითი პასუხი.

ციტირება ჩემი პირველი განცხადებიდან:

„გთხოვთ გაეცნოთ ჩვენი აკადემიის მიერ მოპოვებულ მეცნიერულ მიღწევებს და სამხედრო მეცნიერებას განუსაზღვროთ კუთვნილი ღირსეული ადგილი მეცნიერების საერთო სისტემაში“.

ციტირება ჩემი მეორე განცხადებიდან:

„ამ განცხადების მიზანია, რომელიც წარმოადგენს თქვენს სახელზე შემოტანილი ჩემი პირველი განცხადების ლოგიკურ გაგრძელებას, საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლითაც განმტკიცდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროექტი და შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა საერთო სისტემაში სამხედრო მეცნიერების დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარების აუცილებელი ღირსეული ადგილი“.

ციტირება ჩემი მესამე განცხადებიდან, რომელიც გადაუგზავნეს ბატონ გენერალ ელგუჯა მექმარიაშვილს:

„ჩემს მიერ თქვენს წინაშე უკვე წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით გთხოვთ ნება დამართოთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე გავაკეთო მოხსენება თემაზე „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია (მონოგრაფია)“ რეგლამენტი 30 წუთი“.

ციტირება ჩემი მეოთხე განცხადებიდან:

„გთხოვთ, რომ საერთაშორისო პრემიის მოპოვების მიზნით მეცნიერების დარგში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარადგინოთ ჩემი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ციკლი

საერთო სახელწოდებით „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“.

ამ განცხადების შესრულება დაავალა თანაშემწეს ბატონ ლევან მგალობლიშვილს. 25 დეკემბერს აკადემიაში საინფორმაციო ფურცლები დაურიგე: ვიცე-პრეზიდენტებს: გურამ ხარატიშვილს, გურამ თევზაძეს და ფრიდონ თოდუას; აკადემიკოს მდივნებს: ოთარ კვესიტაძეს, გურამ გველესიანს, მინდია სალუქვაძეს, ოთარ ნათიშვილს და დევი ღარიბაშვილს.

ივნისში სათანამშრომლოდ მიმინვია სულიერი კოორდინაციისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (სკისი) ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა გურამ კოპაძემ. სხდომები იმართებოდა კვირაობით 13 საათზე.

სახელმძღვანელო დოკუმენტებად შევარჩიე საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის „სააღდგომო ეპისტოლე“ და გაზეთი „ნათება“ N1(26) 2006 წ., რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს სამხედრო ხელოვნების თეორიის მიერ.

25 ივნისს მოვისმინეთ გურამ კოპაძის მოხსენება „საზოგადოების განვითარების აქტუალურ პრობლემებზე“; 2 ივლისს მოვისმინეთ ვლადიმერ ჩუბინიძის მოხსენება, რომელიც დაუპირისპირდა ბატონ გურამ კოპაძეს; 23 ივლისს მე კამათში მივიღე მონაწილეობა და განხილვაზე წარვადგინე აკადემიკოს ლეო ჩიქავას მონოგრაფია „ინოვაციური ეკონომიკა“.

ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმებით 1 ოქტომბერს სკისის სხდომაზე გავაკეთე სამეცნიერო მოხსენება თემაზე „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“, რეგლამენტით 30 წუთი. აუდიტორიას წარდგენილი მოხსენება მოეწონა, შევთანხმდით მომავალში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაზე. 2006 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში აკადემიკოსი გურამ კოპაძე გადმომცემს ახალ სამეცნიერო ანგარიშს-ნაშრომს თემაზე „თავდაცვა და სულიერება“, რომელსაც საქმიანად გავითვალისწინებთ სსმა-ს მოღვაწეობაში.

15 ოქტომბერს მოვისმინეთ ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, პენსიონერის გია წერეთლის მოგონებები მის დიდ წინაპარზე, განვიხილეთ 2002 წელს გამოცემული წიგნი მიძღვნილი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი „მეცნიერე-

ბის ქეშმარიტი რაინდი“. მის სიცოცხლეში გენეტიკურმა მეცნიერებამ აყვავება განიცადა საზღვარგარეთ, კერძოდ გერმანიაში და ამერიკაში. საქართველოს გენეტიკური ფონდი იკარგება, ითქვიფება სხვა ერებში.

ციტირება „სააღდგომო ეპისტოლედან“:

...საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს... გვ. 7.

ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა. ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით. ვფიქრობთ, მომავალმა თაობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს, რომ ჩვენი ქვეყანა სრულფასოვან სახელმწიფოდ იქცეს ... ჩვენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალი...” გვ. 9.

„...21-ე საუკუნე რელიგიის საუკუნე უნდა გახდეს ... იმ ავადმყოფობას კი, რომელიც დღეს მსოფლიოს მოსდებია, ქვია სულიერების დეფიციტი. სამყაროს გადარჩენისათვის აუცილებელია ადამიანები მიუბრუნდნენ უფალს ... მთავარი ისაა, რაც სულშია ... დღეს, როგორც არასდროს, ადამიანთა სულები დანაგვიანდა უამრავი ყოველდღიური საზრუნავითა და ცხოვრების წესად იქცა ორმაგი სტანდარტები.

...რელიგია ეს უდიდესი ღირებულებაა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს. ჩვენ უნდა შევიმეცნოთ ყოველივე ეს. რელიგიამ შექმნა კაცობრიობის ცივილიზაცია. ბიბლია ხომ პირველი შედეგია თავისი ამოუწურავი სიბრძნით და კიდით. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ღვთისმოსიში ადამიანი არც მკვლელი იქნება და არც ქურდი. მხოლოდ ღმერთს ძალუძს თითოეული ადამიანი სიკეთის, სიყვარულის და ქეშმარიტების მსახურად აქციოს, მხოლოდ ეს გადაარჩენს ჩვენს სამყაროს“.

რელიგიამ შექმნა ცივილიზაცია, ოდენ სულიერება თუ გადაგვარჩენს!.. ექსკლუზიური ინტერვიუ ზურაბ წერეთელთან. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N243, 12.12.06 წ.

ყოველივე ზემოთქმულის სინამდვილეში გარდაქმნის მიზანს ისახავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ახლად დაარსებული ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი სულიერების, მეცნიერების და კულტურის აღორძინება.

2007 წლის იანვრიდან სკისი-ს ხელმძღვანელი ბატონი გურამ კოპაძე, ჩემი რეკომენდაციით და მისი თანხმობით, გახდა სსმა-ს წევრი. მისი ძირითადი მოვალეობაა ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში თემაზე „თავდაცვა და სულიერება“, რომელიც გათვალისწინებული იქნება სსმა-ს წლიურ სამეცნიერო ანგარიშებში და საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვაში კონკრეტული სამეცნიერო პროგრამების და ინოვაციების დანერგვასა და პრაქტიკული რეალიზაციის პროცესებში.

ტრადიციულად ვესწრებოდი აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ ჩატარებულ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომებს:

24 თებერვალს მოვისმინეთ პროფესორ გიორგი მალაშხიას მოხსენება „დაგროვილი სიმდიდრე, როგორც ადამიანური კეთილდღეობის რესურსი“.

3 ივნისს მიმიღო ბატონმა ლეო ჩიქავამ, ერთსაათიანი საუბარი შეეხო პრობლემას „ინოვაციური ეკონომიკა და თავდაცვა, რომლის საფუძველი გახდება მისი ახალი მონოგრაფია „ინოვაციური ეკონომიკა“, რომელშიც მე 19 შესწორება შევიტანე და რომლებიც ავტორმა წინააღმდეგობის გარეშე მიიღო. აღმოვაჩინე ერთი კურიოზული ფაქტიც. აკადემიკოსი ლეო ჩიქავა ასაბუთებს, რომ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევითი პროცესი რაოდენობრივი მაჩვენებლებით ვერ აღინერება, არადეტემინებულია ე.ი. სტოხასტიკური პროცესია, რასაც მე ვეთანხმები, ხოლო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემა, სახელმძღვანელო ცნობარი, თბილისი 2006 წელი კატეგორიულად მოითხოვს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევითი პროცესის რაოდენობრივი მაჩვენებლების სამწლიან ინტერვალში პროგნოზირებას ყოველწლიური და კვარტალური დიფერენცირებით, რაც ჩემი ღრმა რწმენით შეუძლებელია და ავტორთა ჯგუფის მიერ დაშვებულ უხეშ მეთოდოლოგიურ შეცდომას წარმოადგენს.

30 ივნისს მოვისმინეთ აკადემიკოს ომარ ვაშაყიძის მოხსენება „ეკონომიკის განვითარების აქტუალური პრობლემები“ საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა – ბრძანა აკადემიკოსმა ლეო ჩიქავამ კამათში მონაწილეობისას.

29 სექტემბერს მოვისმინეთ პროფესორ გიორგი დოლონაძის მოხსენება „ქვეყნის აგრალური პოლიტიკა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“.

24 ნოემბერს მოვისმინეთ აკადემიკოს გიორგი მალაშხიას მოხსენება „მოგების მეტათორიის ასპექტები“. ცხარე კამათი გაიმართა.

27 ოქტომბერს მოვისმინეთ აკადემიკოს ლეო ჩიქავას მოხსენება დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე, რომელიც იყო ინფორმაციული ხასიათის. განსაკუთრებით ემოციური იყო აკადემიკოს ევგრაფ კანდელაკის კამათში მონაწილეობა. ამ სხდომაზე ახლოს გავეცანი აკადემიკოს გიორგი პაპავას და დავსახეთ ურთიერთ თანამშრომლობის სამომავლო გეგმა.

ამავე დღეს მაძიებელმა ვანო შუშუტაკაშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „საქართველოს ოჯახების დემოგრაფიული ევოლუცია მეორე დემოგრაფიული გადასვლის ფონზე“. ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში. მეცნიერ-ხელმძღვანელია ავთანდილ სულაბერიძე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ანზორ თოთაძე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ალექსანდრე ვადაჭკორია, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ციტირება ავტორეფერატიდან:

„მსოფლიოს დემოგრაფთა აზრით, დემოგრაფიული ევოლუციის პროცესში ყველა ქვეყანას დემოგრაფიული განვითარების ერთიანი საერთო სქემა გააჩნია. მიუხედავად ამისა, ამ სქემაში, ხშირად, მაინც აშკარად გამოიკვეთება თითოეული ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი. ამ უკანასკნელს კი არსებითად განაპირობებს ოჯახში დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაციის არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ცვლილებების ტემპი“.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება საქართველო. იგი მომაკვდავი ქვეყნების სიაშია შეყვანილი. მიუხედავად სავალალო მდგომარეობისა საქართველოში ხელისუფლება არავითარ დემოგრაფიულ ღონისძიებას არ ანხორიელებს, რაც დიდ უარყოფით გავ-

ლენას მოახდენს საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. და საერთოდ კი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე.

აქტიურ მონაწილეობას ვლერბულობდი აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის მიერ ჩატარებულ საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სხდომებში:

24 მარტს ერთდროულად მოვისმინეთ ორი მოხსენება:

გენერალ გივი ლობჯანიძის „ადამიანის უფლებები და გენდერული ძალადობა“.

პროფესორ დემურ ლალანიძის „საქართველოს წმინდანები“.

მე კამათში მივიღე მონაწილეობა და მომხსენებელს შევუსწორე, რომ ადამიანის უფლებები საკონსტიტუციო კრიტერიუმი იყო, რაზეც ხმამაღლა დამეთანხმა პროფესორი გივი კილასონია.

23 მაისს მოვისმინეთ პროფესორ ანზორ აბრალავას მოხსენება ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 29 მაისს გაიმართა აკადემიკოს როზეტა ასათიანის წიგნის „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს“ პრეზენტაცია, რომლის ერთი ეგზემპლარი ავტორმა სამახსოვრო წარწერით აჩუქა ჩვენს სამხედრო მეცნიერების აკადემიას.

16 ივნისს საზოგადოება „ცოდნის“ სხდომათა დარბაზში სამხედრო ვეტერანების კრება ჩატარდა. დაიწყო „ოფიცერთა კავშირის“ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. გამოვედი მოხსენებით „იუბილარი სსმა მოგესალმებათ“. „ოფიცერთა კავშირის“ ლიდერის გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის ბატონ იური ნებიერიძის ხელმძღვანელობით 16 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია საქართველო-რუსეთის უაღრესად გამწვავებული ურთიერთობის თემაზე – მომხსენებელი ვახტანგ გოგუაძე, ხოლო 20 დეკემბერს ჩატარდა საზეიმო სხდომა მიძღვნილი იოსებ სტალინის დაბადების დღისადმი – მომხსენებელი ავთანდილ მარგიანი.

საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ლადო რამიშვილმა გადმომცა მოსანვევი ბარათი 27 ოქტომბრისთვის დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თემაზე „სრულიად საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღორძინების შუქჩრდილები ანუ პრობლემები“.

ციტირება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ N184, 20.09.06 წ. განცხადებიდან:

„იუნესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება 2006 წლის 10 ნოემბერს მეორედ ატარებს მეცნიერების დღეს. ამ დღეს მოხდება წლის საუკეთესო მეცნიერის ნოდების მინიჭება შემდეგ დარგებში: საბუნებისმეტყველო (ფუნდამენტურ), ტექნიკის და ბიოაგრაღურ მეცნიერებებში, აგრეთვე მეცნიერების ისტორიაში. ამავე დღეს დასახელდება მასმედიის წარმომადგენელიც, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში“.

მე ამ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და წარვადგინე სტატიების ციკლი (8 სტატია) საერთო სახელწოდებით „სამხედრო მეცნიერება“. საკონკურსო პირობების თანახმად ბრწყინვალე დახასიათება-რეკომენდაცია მომცა გენერალ-მაიორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა. ამ კონკურსში მონაწილეობა სსმა-ს დიდი წარმატების აღიარება იყო.

როგორც ლოგიკური გაგრძელება, საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საშუამდგომლოდ მივმართე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მეცნიერების განვითარების საქართველოს საზოგადოებას, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და სკისი-ს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის ბატონ ალექსანდრე დიდებულის ინიციატივით, სსმა-სთან სათანამშრომლოდ, ჩემს მიერ შედგენილი ჩემი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ციკლი „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“ წარმოადგენს ლოგიკურად ურთიერთკავშირში მყოფი ექვსი დიდი ნაშრომის ერთობლიობას.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მჭიდრო ურთიერთობა NATO-სთან 1994 წლიდან დაიწყო პარტნიორობა მშვიდობისათვის“ – PPP-ის პროგრამაში მონაწილეობით. ზუსტად მეთავე წლისთავეზე, 2004 წელს, საქართველომ NATO-ს წარუდგინა და დაამტკიცა „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ – IPAP-ი. 2006 წლის 21 სექტემბერს კი ნიუ-იორკში საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის 26-ივე ქვეყნის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საქართველოსთან ID _

„ინტენსიური დიალოგის“ პროგრამის დაწყებას.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ბატონ გიორგი ბარამიძეს მივმართე მესამე წერილობითი განცხადებით – საქართველოს მთავრობის კანცელარია N06_ შ-907, 20.12.06 წ. ციტირება:

„...თქვენთვის კარგად ცნობილია, რომ სსმა-ს კოლექტივმა უშუალო აქტიური წვლილი შეიტანა საქართველოს NATO-ში განწევრიანების ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის IPAP-ის განხორციელებაში. ვიდრე საქართველოს გენერალური პროკურატურა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია ჩემს განცხადებებზე დაყრდნობით დაასრულებს სრულმასშტაბიან, კომპლექსურ, სისტემურ, გაჭიანურებულ გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში არსებულ დარღვევებზე და კორუფციაზე, განსაკუთრებით კი ჯარების მართვაში და სამხედრო მეცნიერების განვითარება-გამოყენებაში, გთხოვთ, რომ სსმა-ს კოლექტივი აქტიურად ჩართოს საქართველოს NATO-ში განწევრიანების ინტენსიური დიალოგის ID და განწევრიანების სამოქმედო გეგმის MAP-ის პროგრამების განხორციელების პროცესებში სამხედრო მეცნიერებისა და უსაფრთხოების საკითხებზე...“

გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ N52, 25-31 დეკემბერი, 2006 წ. გამოაქვეყნა სსმა-ს წევრის აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უალრესად აქტუალური სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინტერვიუ „ფიზიკურად ძლიერი მოწინააღმდეგის ჭკუასუსტობა ვერაფერი შელავათია“, „თავისი რომ აღარ ექნება, უკვე სხვას ნაართმევს, რომ გაყიდოს“. ციტირება:

„...ხელისუფლება ხშირად თავს არიდებს არა მხოლოდ ხალხთან შეხვედრას და მისი აზრის გაზიარებას, არამედ მოსმენასაც კი. საბოლოო ჯამში, ესა თუ ის მას ყოველთვის ისე აცხადებენ, როგორც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეს...“

„...ოქრუაშვილი ხალხში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და წარმატებული მინისტრის იმიჯიც ჰქონდა. მაგრამ ქართულ სახელმწიფოებრიობას უფრო და უფრო ნაკლებად სჭირდება ასეთი ლიდერები და მმართველები. არა იმიტომ, რომ ოქრუაშვილი ხაზგასმულად ნეგატიური პიროვნებაა და ცუდი პროფესიონალი. არსი მისსავე მონოდებაში მდგომარეობს – ყოფილი თავდაცვის მინისტრი იყო კარგი და-

მანგრეველი ცუდისა, სადაც მივიდა, საკმაოდ წარმატებულად დაშალა ძველი, დრომოჭმული სტრუქტურები. მაგრამ ყველა სახელმწიფოში, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ნგრევის ეტაპს ენაცვლება მშენებლობისა – ამ ეტაპისათვის კი ოქრუაშვილის ფიგურა სუსტი აღმოჩნდა. თუ ჯანსაღ, ეროვნულ და კონსოლიდირებული სახელმწიფოს მშენებლობასთან გვაქვს საქმე, განსაზღვრული ეტაპის შემდეგ საზოგადოების, ხალხის მიმართ რეპრესიული და აგრესიული მიდგომა ხელისუფლებას აღარ უნდა ჰქონდეს – უნდა გააჩნდეს განცდა იმისა, რომ ხელისუფლებაც, პარლამენტიც, ჯარიც, პოლიციაც და პროკურატურაც ემსახურება არა კონკრეტულად ერთ და ორ პირს, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს...”

„...ნღები გადის და ქვეყნის ბიუჯეტი არა წარმოების ამუშავებით, მეცნიერების განვითარებით ან ვაჭრობისა და სხვა ნორმალური ქვეყნისათვის დამახასიათებელი მოვლენების წყალობით ივსება, არამედ ქონების გაყიდვით...”

...ამიტომ შეიქმნა ეს ჩუქების მექანიზმი – უნდა გამოჩნდეს, რომ ამ შემთხვევაშიც, ხალხს რაიმეს კი არ ართმევენ, უბრალოდ, თანამშრომლობა მიმდინარეობს – სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე...”

„...სანამ ამა თუ იმ ნაბიჯს გადადგამდეს ადამიანი და განზოგადოებულად სახელმწიფოც, ჯერ საკუთარი ძალები უნდა მოზომოს და იმაზე იფიქროს, თუ რას მოუტანს მას...”

...კულტურული მეგობრებისაგან განსხვავებით, რუსეთის პოლიტიკური მტრობა საქართველოს მიმართ ოდითგანვე ცნობილია...”

აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის 2006 წლის ამ ზემოთმოყვანილ დამაგვირგვინებელ ინტერვიუს წინ უსწრებდა უაღრესად აქტუალური პუბლიკაციები:

„კანონმორჩილება იმისათვის არ არის მოგონილი, რომ სავარაუდო მონინალმდეგეთა განადგურებისათვის გამოიყენო“. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 20-26 თებერვალი;

„გიგა ბოკერია დღევანდელი ლუი მეთოთხმეტეა“, „ხელისუფლება ფიქრობს, რომ ის განსაკუთრებული და ხალხისაგან გამორჩეულია“ გაზეთი „კვირის პალიტრა“ N14, 3-9 აპრილი.

„ერის მოსპობა მეცნიერების, განათლების, უნივერსიტეტის განადგურების გზით ხდება“. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 მაისი;

„სააკაშვილის გუნდი ვერ არის პოლიტიკურად ძლიერი“, გაზეთი

„კვირის პალიტრა“ N28, 10-16 ივლისი;

„მოაზროვნეები და პროფესიონალები მოქმედებისა და ძალის მქონენის წინააღმდეგ“. „დღეს ყველა მედია საშუალებას ეტყობა ხელისუფლების რიდი“. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 25 სექტემბერი – 1 ოქტომბერი და სხვა.

საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა თავი ვერ გაართვეს ინოვაციების გამოყენებას, სსმა-ს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შეიარაღებული ძალების მართვაში დანერგვა-გამოყენების დაწყებას. მათი ამ დიდი სახელმწიფოებრივი დანაშაულის იურიდიულ მტკიცებულებას წარმოადგენს მათ სახელზე შეტანილი ჩემი ორი განცხადება: N1-გ-1079, 23.12.04 წ. და N1-გ-429, 14.07.05 წ., რომელთა გამოძიებაც გენერალურმა პროკურატურამ და სამხედრო პოლიციამ უსაშველოდ გააჭიანურა.

ცნობილმა სამხედრო ექსპერტმა, სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალი“ რედაქტორმა ბატონმა ირაკლი ალადაშვილმა ყოველკვირეულ გაზეთში „კვირის პალიტრა“ N52, 25-31 დეკემბერი, 2006 წლის ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი შემაჯამებელი სტატია თემაზე „რა საფრთხეების წინაშე იდგა საქართველო 2006 წელს და როგორი იქნება 2007 წელი ქართული სამხედრო ძალებისათვის“. ციტირება:

„...გასული 2006 წელი მნიშვნელოვანი იყო, რადგან მთელი წლის განმავლობაში მუდმივად არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების განახლების საფრთხე“.

„...მთელი 2006 წლის განმავლობაში მოსკოვი ცდილობდა თბილისი როგორმე ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვას, საამისოდ აქტიურად იყენებდნენ ცხინვალელი და სოხუმელი სეპარატისტების პროვოკაციებს...“

„...რალა დასამალია და, ზოგჯერ თბილისიდანაც გაისმოდა ომის რიტორიკა...“

„...2006 წელი იმიტომ გახდა მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით, რომ საქართველომ NATO-სკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა – „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმიდან“ – IPAP-იდან „ინტენსიური დიალოგზე – ID-ზე გადავიდა...“

„...გასავლელია მთავარი ეტაპი „განვერიანების სამოქმედო გეგმა“

– MAP-ი, მაგრამ ისე ჩანს, რომ საქართველო თავს ამ სირთულეებსაც გაართმევს, რადგან ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ჩვენზე ნაკლებად როდი არიან დაინტერესებული საქართველოს მიღებით.

აქ ორივე მხარის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს – საქართველო NATO-ს „ქოლგის“ ქვეშ უფრო უსაფრთხოდ იგრძნობს თავს, მაგალითად, იმავე რუსეთისაგან, ისევე როგორც ალიანსი საქართველოდან უკეთ გააკონტროლებს სამხრეთ კავკასიას და შუა აზიას, ამასთანავე არც რუსეთის ფედერაციის სამხრეთ საზღვრებს დაივინყებს...“

„...ემზარ კვიციანის ურჩობა ოფიციალური თბილისისათვის სერიოზულ გამოწვევად იქცა, პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობამ იმოქმედა ძალიან ოპერატიულად და გადამწყვეტად, რაც გამართლებულიც იყო, რადგან კვიციანმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა – ხელში იარაღი აიღო...“

„...2006 წელს ქართულ მიწაზე დასრულდა რუსული სამხედრო ჩექმის ორსაუკუნოვანი ბატონობა – საქართველოს ტერიტორიიდან გაიტანეს რუსული შეიარაღების დიდი ნაწილი...“

„...საქართველოს ხელისუფლებას ეყო გამბედაობა, საქვეყნოდ ემხილებინა და გაეძევიბინა რუსეთის სამხედრო მზვერავები...“

„...2006 წლის მიწურულს თავდაცვის მინისტრისა და გენშტაბის უფროსის პოსტებზე ახალი სახეები გამოჩნდნენ, თუმცა ამას არ მოჰყოლია ისეთი გრანდიოზული საკადრო ცვლილებები (ყოველ შემთხვევაში, წლის ბოლომდე), რაც მოხდა ზუსტად ორი წლის წინ, თავდაცვის მინისტრის პოსტზე ბარამიძის ოქრუაშვილით შეცვლის დროს.

მთავარი სამხედრო უწყება, სამწუხაროდ, კვლავ რჩება ჩაკეტილი საზოგადოებისა და მასმედიისთვის...“

„...ქართულ ჯვარში ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი არასანესდებო ურთიერთობები, ე.წ. „დედოვჭმინა“ და კუთხურობა. ამის ფაქტები 2006 წელს გულმოდგინედ იმალებოდა, ისევე როგორც დაიმალა ორფოლოს პოლიგონზე გამართულ ფართომასშტაბიანი სწავლებების დროს დაღუპულ სამხედროთა რაოდენობა და გვარები...“

ასეთი ინფორმაციის დამალვით და საზოგადოებიდან დისტანცირებით თავდაცვის სამინისტრო სცილდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრებელ სტანდარტებს.

საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილო დარჩა თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით – სავალდებულო სამხედრო სამსახურში გან-

ვევის გადავადების საფასური 10-ჯერ – 200-დან 2000 ლარამდე რომ გაიზარდა...”

„...საექვსოა, რომ ტოტალური რეზერვის შესაქმნელად დახარჯული ასევე უზარმაზარი საბიუჯეტო თანხები რამენაირად წაადგეს მთლიანად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესაბამისი დონით განმტკიცებას, თუნდაც იმიტომ, რომ დღემდე არ არსებობს ამ ტოტალური რეზერვის სათანადო მომზადების გააზრებული და დამტკიცებული პროგრამა.

2006 წელი ერთგვარად გარდამტეხი იყო საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ცნობიერებაში. ამ მხრივ უფრო დაძაბული და მნიშვნელოვანი – მომავალი 2007 წელი იქნება, ხოლო ამ გარდატეხის აპოგეა 2008 წელს დადგება“.

გაზეთმა „24 საათი“ N292, 30.12.06 წ. და სამხედრო-ანალიტიკურმა ჟურნალმა „არსენალი“ N1, იანვარი 2007 წ. გამოაქვეყნა უალრესად საყურადღებო სტატიები, შესაბამისად, „2007 წლის ბიუჯეტიდან ლომის წილს თავდაცვა მიიღებს“ და „წელი, რომელშიც ომს გადავურჩით“ – 2006 წლის სამხედრო-პოლიტიკური მიმოხილვა. ციტირებები:

„...საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის 2006 წელი განსაკუთრებულად გამორჩეული იყო, რადგან სამხედრო მიზნებისათვის 600 მლნ-ზე მეტი ლარი დაიხარჯა. ასეთი სამხედრო ბიუჯეტი საქართველოს მანამდე არ ჰქონია.

2006 წელს ასევე პიკს მიაღწია საზღვარგარეთ საბრძოლო ტექნიკის, იარაღისა და საჭურვლის შექმნის ტემპმა, რის გამოც დასავლელმა სამხედრო ექსპერტებმა საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე დააყენეს იარაღის შესყიდვის ზრდის მაჩვენებლით...”

„...ამასთან, არ არსებობდა კარგად გათვლილი და დამტკიცებული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს რთული და ძვირად ღირებული საბრძოლო ტექნიკით ქართული არმიის ეტაპობრივი გადაიარაღება...”

„...საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის სასესიო მუშაობა მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვით დაასრულა.

2007 წლის ბიუჯეტი დეფიციტურია. მისი ხარჯვითი ნაწილი 4 მილიარდ 68 მლნ, 817 ათასი ლარი, ხოლო შემოსავალი 3 მლრდ 203 მლნ 294 ათასი ლარია. დეფიციტის დაფარვას მთავრობა საშინაო და საგარეო სესხებით შეეცდება...”

„...სამაგიეროდ, 120 მილიონით არის გაზრდილი თავდაცვის სამი-

ნისტროს დაფინანსება...”

„...კვლავ უცვლელია ქვეყნის პრიორიტეტებად გამოცხადებული სფეროები: თავდაცვა, განათლება, ენერგეტიკა და სოციალური საკითხები...”

„...ბიუჯეტი გათვლილია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 7,5 პროცენტთან ზრდაზე, ხოლო 2007 წლის ბიუჯეტში ინფლაცია განსაზღვრულია 6 პროცენტით...”

„...2007 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, ოპოზიციის ძირითადი შენიშვნები თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების 120 მილიონით გაზრდას შეეხებოდა...”

„...გამყრელიძემ მოითხოვა მთავრობის განმარტება, თუ რაში დაიხარჯა ეს 120 მილიონი...”

„...ოპოზიციამ კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ უმრავლესობამ ბიუჯეტი უპრობლემოდ დაამტკიცა...”

სამწუხაროა, რომ ქვეყნის თავდაცვისათვის დამტკიცებული გაზრდილი ბიუჯეტიდან არაფერია გათვალისწინებული სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის (და არც განვლილ წლებში დახარჯულა თუნდაც მისი მცირე ნაწილი) რაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბიუჯეტის სინამდვილეში გამოყენების პერსპექტიულ სახელმწიფოებრივ ეფექტიანობას. ქვეყნის თავდაცვითი სისტემის მშენებლობაში უაღრესად საშიში მიდგომაა გამეფებული სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ. ეს არის მეცნიერული დეფიციტი და ინოვაციების უგულვებელყოფა, რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება საერთაშორისო მოწინავე გამოცდილებასა და მიღწევებს, სტანდარტებს და ცივილიზაციის დიალექტიკურ განვითარებას.

სამხედრო მიზნებისათვის მსოფლიოში ყველაზე მეტს კვლავინდებურად აშშ ხარჯავს. ახალ საფინანსო წელს, რომელიც 2006 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო, პენტაგონს 448 მილიარდი დოლარი გამოუყო – წინა წელთან შედარებით 19 მილიარდით მეტი. ერაყისა და ავღანეთის კამპანიებზე კიდევ 70 მილიარდი დოლარია გამოყოფილი. ენერგეტიკის სამინისტროს სამხედრო ხარჯების გათვალისწინებით, რომელიც ბირთვული იარაღის უსაფრთხოებისა და ბირთვული იარაღის არსენალის სრულყოფას უკავშირდება, აშშ სამხედრო მიზნებით იმდენს ხარჯავს, რასაც მსოფლიოს სხვა ქვეყნები ერთად აღებული. 75,7 მილიარდი დოლარი სამხედრო-საკ-

ვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს მოხმარდება.

2007 წელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის საქართველოს მთავრობა 392 მილიონ დოლარს დახარჯავს.

სსმა-ს კოლექტივის სახელით სიამაყის განცდით ვაღიარებ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების სარდალმა ბატონმა ამირან სალუქვაძემ სამხედრო მეცნიერების უახლოესი საერთაშორისო მიღწევების კარგი ცოდნის დემონსტრირება მოახდინა საზოგადოების წინაშე. იხილეთ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“ N1, იანვარი, 2007 წელი „საჰაერო თავდაცვის უსაფრთხოების პრობლემები“ 2003-2005 წ.

ციტირებები:

„...ბოლო ათწლეულების ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქტიური მოქმედებების ფაზას წინ უძღვის ყველა სახის დეტალური დაზვერვა მოწინააღმდეგის შესახებ სრული (მაქსიმალური) ინფორმაციის მოსაპოვებლად, რათა გამოვლენილ იქნას მისი ძლიერი და სუსტი ადგილები. შესწავლილ იქნეს მართვის სისტემა, ჯარების დაჯგუფებები (მათ შორის აეროდრომების ქსელი, საჰაერო თავდაცვის პოზიციები), ლოჯისტიკის სისტემა და სხვა. პირველი დარტყმები კი სახელმწიფო და სამხედრო მართვის პუნქტებზე, საჰაერო თავდაცვის პოზიციებზე, აეროდრომებსა და კომუნიკაციებზე იქნება მიტანილი.

როგორც საბრძოლო მოქმედებების აქტიურ ფაზამდე, ისე მისი მსვლელობისას, გამოყენებული იქნება დაზვერვის ყველა სახეობა. კოსმოსური, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო...“

„...ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ინფორმაცია საქართველოს კოსმოსურ სივრცეში ხელოვნური თანამგზავრების გაფრენის შესახებ იმ პერიოდისთვის, როდესაც უნდა გატარდეს შენიღბვის ღონისძიებები. ეს საკმაოდ პრობლემატური საკითხია, რაც ჩვენს პარტნიორ მეგობარ ქვეყნებთან თანამშრომლობით უნდა გადაიჭრას...“

„...მოწინააღმდეგის დაზვერვის წინააღმდეგ ეფექტიანი მოქმედებებისათვის საჭიროა სამხედრო საიდუმლოებების მკაცრად შენახვა და შენიღბვის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

შენიღბვა არის საბრძოლო მოქმედებების და ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველყოფის სახეობა: ჯარების შემადგენლობის, განლა-

გების, მდგომარეობისა და მოქმედებების ჩანაფიქრის თაობაზე მონი-
ნაალმდეგის შეცდომაში შესაყვანი ღონისძიებათა კომპლექსი.

შენილბვის მიზანია ჯარების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნე-
ბა და საბრძოლო მოქმედებებისას მოულოდნელობის ეფექტის მიღწევა.
შენილბვა ხდება მუდმივად, როგორც მშვიდობიანობის, ასევე საომარი
მოქმედებების დროს.

შენილბვის მთავარი ამოცანაა ჯარების მოქმედებების ფარულობა
და მონინაალმდეგის შეცდომაში შეყვანა. ყოველივე ეს მიიღწევა სახელ-
მნიფო და სამხედრო საიდუმლოებათა შემცველი ინფორმაციის გაჟონ-
ვის სანინაალმდეგო ღონისძიებების გატარებით. ჯარების საქმიანობის
შენილბვით ყველა სახის დაზვერვისაგან.

ფარულობა სხვადასხვა ხერხით ხორციელდება...“

„...მონინაალმდეგის შეცდომაში შესაყვანად გატარდება ღონისძიე-
ბათა კომპლექსი, რომლის მიზანია მონინაალმდეგეს მიენოდოს დეზინ-
ფორმაცია ჯარების შემადგენლობის, მდგომარეობისა და მოქმედებე-
ბის რეჟიმების შესახებ...“

„...შენილბვა და საინფორმაციო უსაფრთხოება განსაკუთრებულ
მნიშვნელობას შეიძენს NATO_ ს საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტე-
მაში ჩართვის შემდეგ. ამ მხრივ საკმაოდ მაღალ სტანდარტებთან მიახ-
ლოება მოგვიწევს, რაც დღეს უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა
ხვალ არ მოგვინიოს შექმნილი სისტემის გადასაკეთებლად რესურსების
არარაციონალურად გამოყენება და დამატებითი ხარჯების განწევა.“

საქართველოში სამხედრო მეცნიერების შემდგომი აღორძინება-
განვითარების მიზნით მიზანშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნია სა-
ქართველოს შეიარაღებული ძალების საჰაერო სარდლის ბატონ ამირან
სალუქვაძის მოწვევა სსმა-ს წევრად.

2006 წლის 13 მაისს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩატარდა
საბრძოლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი. საქართველოს
სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, სამნუხაროდ, ვერ უზ-
რუნველყო მდიდარი ქართული საბრძოლო ხელოვნების და ტრადიციე-
ბის კიდევ ერთხელ წარმოჩენა საერთაშორისო არენაზე ამ ფესტივალ-
ში მონაწილეობის მისაღებად ეროვნული დელეგაციის მომზადებისა და
გაგზავნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუდმივმოქმედ სემინა-
რებზე:

17 თებერვალს მოვისმინეთ ბატონ გივი ღვინჯილიას მოხსენება „კირი როგორც სამშენებლო მასალა“. მე მომიხდა ოპონენტის მოვალეობის შესრულება.

3 ივნისს ირაკლი ხართიშვილმა ჩაატარა სემინარი „რუსეთ საქართველოს ურთიერთობის შესახებ“. სხდომის წამყვანები რაფიელ ჩიქოვანი და ლამარა ასათიანი. ოპონენტები გივი იოსების ძე იასეშვილი და ია მაჭავარიანი.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ბატონ რაფიელ ჩიქოვანის თხოვნით, ირაკლი ხართიშვილმა 9 ივნისს გააგრძელა სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვითონ ბატონი რაფიელ ჩიქოვანი. მე, როგორც ოპონენტმა ია მაჭავარიანთან ერთად შევაჯამე და შევაფასე დადებითად.

საანგარიშო პერიოდში ექვსჯერ წარვადგინე განცხადება საქართველოს გენერალური პროკურორის ბატონ ზურაბ ადვიშვილის სახელზე. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი დავადანაშაულე კორუფციაში, მოვითხოვე გენერალური პროკურატურის გამომძიებლის გამოყოფა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ჩემი განცხადებები გადააგზავნეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციაში, სადაც თავი არ შეინუხეს, იძულებული გავხდი გენერალურ პროკურატურას ცხელი ხაზით დაგვკავშირებოდი დახმარებისათვის რამოდენიმეჯერ. სამსუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გენერალურმა პროკურატურამ ვერ გაამართლა თავისი სახელმწიფოებრივი მისია, ფუნქცია და პირდაპირი დანიშნულება, თავისი უმოქმედობით მან შეასრულა სილაში თავჩარგული სირაქლემას როლი. სინამდვილეში ფაქტიურად დაადასტურა, რომ ფორმალურად არსებობდა გენპროკურატურაში მოქალაქეთა განცხადებების და წინადადებების განხილვის განყოფილება.

ავგისტოში სამხედრო პოლიციამ დააპატიმრა:

1. გენერალი თემურ ლორია, რომელიც ადრე იყო გენშტაბის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი. ძველი კორუფციული ცოდვები გაუხსენეს. პირველ რიგში დასასჯელი იყო გენშტაბის ყოფილი უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი;
2. თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე. თანამდებობრივი უფლებამოსილების გა-

დაჭარბებისათვის და კორუფციისათვის. მან ხალხი ფიქტიურად გააფორმა აკადემიაში სამუშაოდ და ბიუჯეტს წაგლიჯა დიდი თანხები.

6 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ხსნის ფრონტმა ჩაატარა კონფერენცია. მთავარი მოხსენებით გამოვიდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი აკაკი ჯორჯაძე „ერის ნება უზენაესია, გადარჩენა მხოლოდ ჩვენს ხელშია“. მე კამათში მივიღე მონაწილეობა.

2006 წლის 3 ნოემბერს, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს მეორე ეროვნული ყრილობა. ყრილობის ჩატარების საფუძველი გახდა ხელმოწერები სიებში „გადარჩენისათვის“, რომლის ხელმოწერათა საერთო რაოდენობამ გადააჭარბა საქართველოს საერთო ამომრჩეველთა 50%-ს. მე ამ ეროვნულ ყრილობაზე დაუსწრებლად და ერთხმად ამირჩიეს 17 კაციანი პრეზიდენტის წევრად.

6 ნოემბერს გაიმართა პრეზიდენტის პირველი სხდომა. თავმჯდომარედ ავირჩიეთ პროფესორი ჯონი ბიჭიაშვილი, ხოლო მოადგილედ კი დენიზა სუმბაძე.

10 ნოემბერს პრეზიდენტის მეორე სხდომაზე მოხდა ფუნქციების განაწილება პრეზიდენტის წევრებს შორის. მე დამევალა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა ბატონ ნუგზარ ბარდაველიძესთან ერთად.

18 ნოემბერს სხდომაზე პრეზიდენტის ახალ წევრად ავირჩიეთ ბატონი როინ ლიპარტელიანი.

საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულ პრეზიდენტს დაევალა აღასრულოს სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის 2006 წლის 3 ნოემბრის გადანყვეტილებანი და შედეგები მუდმივად აცნობოს ქართველ ერს, საქართველოში მცხოვრებ ყოველ მოქალაქეს, საზღვარგარეთის ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო საზოგადოებრიობას.

19 დეკემბერს გამართულ აუდიენციაზე ბატონმა აკაკი ჯორჯაძემ დანერვილებით გამაცნო საზოგადოებრივი მართვის სისტემის საქართველოში შეცვლის აუცილებლობის საკუთარი ასტრო-ფიზიკური კონცეფცია.

1. წინა წლებიდან მომდინარე გარდამავალ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება;
2. ქვეყნის უმაღლესი კანონის – საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადებაში, დემოკრატიული ღირებულებებისა და კრიტერიუმების შემდგომ განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;
3. საქართველოს NATO_ ში განწევრიანების ინტენსიური დიალოგის ID_ ს პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება;
4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენების გაკეთება თემაზე „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია (მონოგრაფია)“ (გადამუშავებული ვარიანტი);
5. საქართველოს საინჟინრო აკადემიის 2007 წლის მარტის თვის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოხსენებით გამოსვლა თემაზე „სსმა-ს 2001-2006 წლების ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის შედეგები და მომავალი ამოცანები“.
6. მონოგრაფიის „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“ გადამუშავება ინოვაციური ეკონომიკისა და სულიერების თანამედროვე აქტუალური პრობლემების შემდგომი გაღრმავებით;
7. საერთაშორისო კონკურსზე ჩემი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ციკლის წარდგენა საერთო სახელწოდებით „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“.
8. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ჩავატარებინო კომპლექსური, სისტემური, სრულმასშტაბიანი გამოძიება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში არსებულ დარღვევებზე;
9. საქართველოში სამხედრო მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შევ-

ქმნა აკადემიკოსების ჯგუფი.

10. სსმა-ს 2006 წლის სამეცნიერო ანგარიში გავაცნო ქვეყნის ფართო საზოგადოებას;
11. საქართველოს პრეზიდენტს – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბატონ მიხეილ სააკაშვილის სახელზე წარდგენილი ჩემი განცხადების საფუძველზე დავასრულოთ სსმა-ს რეგისტრაციისა და ფინანსირების პროცესი;
12. გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგიონალური სემინარების ციკლის ხელმძღვანელობის გაგრძელება თემაზე „ინოვაციური ეკონომიკა“.
13. აქტიურად დაუჭიროთ მხარი ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებს კუთვნილი შეღავათების აღდგენაში და ახალი დახმარებების მიღებაში.

P.S. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით 2007 წლის 2 თებერვალს პარასკევს 14 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუდმივმოქმედ საქალაქო სემინარზე მეექვსედ გავაკეთე საანგარიშო მოხსენება თემაზე „სსმა-ს ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2006 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“. სხდომის წამყვანი იყო პროფესორი ქალბატონი ეთერ ციციშვილი, ხოლო ოპონენტი იყო პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ოფიცერთა კავშირის“ თავმჯდომარე გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ბატონი იური ნებიერიძე. სემინარი ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე, აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებსა და კრიტიკულ მემბრის მკაცრ მოთხოვნებს და წარმოადგენდა სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობის ერთ-ერთ კარგ ქართულ ნიმუშს.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი. ტექნიკის მეცნიერებათა
ლოქტორი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატობის კანდიდატი **გივი იოსების ძე იასეშვილი**

5. 02. 2007 წ.

**სსმ-ს ორგანიზაციული და მაცნიერული
მუშაობის 2007 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები.**

სამეცნიერო ანგარიში ეძღვნება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური საბრძოლო ხელოვნების ფუძემდებლის აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის დაბადების 80 წლისთავს. დაიბადა 1926 წლის 26 ივნისს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში 2007 წლის თებერვალში (დაგვიანებით) გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია აკადემიის პრეზიდენტის ბატონ თამაზ გამყრელიძის თავმჯდომარეობით. მისასალმებელი მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი გურამ თევზაძე. სსმ-ს კოლექტივის სახელით მე კამათში მივიღე მონაწილეობა.

გაზეთმა „საქართველოს ვეტერანმა“ N1 2007 წ. დაბეჭდა ჩემი სტატია „საქართველოს ოფიცერთა კავშირის შეკრებაზე“.

ჟურნალში „არსენალი“ N5, 2007 წ. დაიბეჭდა თამაზ ჟორჯოლიანის სტატია „გამოუცხადებელი ომი“, რომელიც წარმოადგენს სსმ-ს სწორი სტრატეგიული კურსის მტკიცებულებას. მონაცემთა გადაცემის ქსელები მომავლის ბრძოლის ველად გადაიქცა. აშშ დიდი ხანია ამზადებს კიბერჯარისკაცებს. იხილეთ აგრეთვე ჟურნალი „არსენალი“ N1, 2008 წ. ბესიკ ალადაშვილი. „სპეცსამსახურები კიბერსივრცეში“.

საანგარიშო პერიოდში აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი პრესის საშუალებით ხშირად გამოხატავდა სსმ-ს კოლექტივის აზრს:

1. ჟურნალი „რეიტინგი“, N17, 30.04.07 წ. პოზიცია. „ინტელიგენციამ პრეზიდენტისაგან მადლობის შემდეგ უნმანური ეპითეტები დაიმსახურა“;

2. გაზეთი „კვირის პალიტრა“. 28 მაისი-3 ივნისი, 2007 წ. „უნდა ვაღიაროთ, რომ გურამ შარაძის მკვლელობამ გაანელა ეკლესიის დანგრევის გამო დაწყებული ვნებათაღელვა“, პრეზიდენტს ძალიანაც უნდა შეასრულოს ის დაპირებები, რაც ხალხს მისცა, მაგრამ არ შეუძლია;
3. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 30 ივლისი – 5 აგვისტო, 2007 წ. „არც მოსახლეობა და არც საზოგადოება, ჩვენ ერი უნდა ვიყოთ“, ძალიანაც უნდა დაყრდნობილი სახელმწიფოს შექმნა ვერ მოხერხდება და საბოლოოდ ყველაფერს ნათელი მოეფინება;
4. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 8-14 ოქტომბერი, 2007 წ. „საქართველოში ყველა პრეზიდენტი ძალზე დემოკრატიულად იწყებდა ხოლმე“, პირიქით, უნდა ვთქვათ, ჩვენ გვეშინია იმის გამო, რაც დღეს ქვეყანაში ხდება;
5. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 3-9 სექტემბერი, 2007 წ. „განგაშის ზარს მხოლოდ საქართველოს პატრიარქი რეკს“, ყველაზე დიდი დანაშაული სახელმწიფოსა და ხელისუფლების გაიგივებაა, ნაციონალური დაირქვა და ამავე დროს ეროვნულობა დაივიწყა.

ფრაგმენტები სააღდგომო ეპისტოლედან:

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რომ არ ჩამოვრჩეთ, საჭიროა ინფორმაციის ფლობა და ანალოგიური აზროვნება, მით უმეტეს, დიდი სახელმწიფოების დაინტერესების სფეროში მყოფი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ათასწლეულების მანძილზე ჩვენი ერი მტერთან გამუდმებულ ომებში მხოლოდ ღვთის იმედით იყო, რადგან არც სხვათა მსგავსად გყავდა სადმე თანამოძმე ან მუდმივი სტრატეგიული მოკავშირე და არც მრავ-

ვალრიცხოვანი და ეკონომიკურად შეძლებული დიასპორა გვიმაგრებდა ოდესმე ზურგს. მიუხედავად ამისა XIX საუკუნემდე სუვერენული სახელმწიფოებრივი მმართველობა და ეკლესიის ავტოკეფალია შევინარჩუნეთ.

შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა. – ესაა ჩვენი არჩევანი. სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო, რომ მიუხედავად დაპირისპირებისა და ომებისა, ქართველები ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდნენ არაბების, სპარსელების, მონღოლების, ოსმალების პოლიტიკურ წრეებში. იგივე იყო მიზეზი იმისაც, რომ წმინდა მინაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში, იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროშებით, ცხენზე ამხედრებულნი, ბაჟის გადაუხდელად შესულიყვნენ წმინდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელნიც ქართველები ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია, იგი იყო ქართული დიპლომატიის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა.

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ეკლესია დღესაც ცდილობს შეასრულოს ე.წ. „სახალხო დიპლომატიის“ მისია და იყოს მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა.

ილია II

აღდგომა ქრისტესი, 8 აპრილი, 2007 წ.

14 ნოემბერს პირველ აუდიენციაზე ვიყავი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან ბატონ თამაზ გამყრელიძესთან. ხანგრძლივი დიალოგი შეეხო სსმა-ს მიერ დამუშავებული მონოგრაფიის „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“ 2008 წლის ნობელის საერთაშორისო პრემიაზე წარდგენას. შოთა ნადირაშვილის, ლეო ჩიქავას, გივი ლეფონავას, გულაბერ ანანიაშვილის და გამარლი დოხნაძის ჩემთან თანაავტორობით. შევთანხმდით სამომავლო რეგულარულ აუდიენციებზე დასახული მიზნის დასაგვირგვინებლად.

19 ნოემბერს ბატონ თამაზ გამყრელიძის სახელზე შევიტანე განცხადება N7-341/116, რომელიც მან პირადად წაიკითხა და საკუთარი რეზოლუციით გადაუგზავნა აკადემიკოსს-მდივანს ბატონ ოთარ ნათიშვილს.

29 ნოემბერს შედგა ჩემი მორიგი აუდიენცია ბატონ თამაზ გამყრელიძესთან, რომელსაც დაესწრო ბატონი ოთარ ნათიშვილი. შევთანხმდით, რომ ჩემი განცხადების განხილვას დაიწყებენ 2008 წლის 5 იანვარს დანიშნული საქართველოს ვადამდელი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ. პირველი განხილვა მოხდება აკადემიკოს მინდია სალუქვაძის მართვის განყოფილებაში, ხოლო მეორე განხილვა შედგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე.

დანართი

საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, პროფესორი **გივი იოსების ძე იასეშვილი**
როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ბატონი გივი იოსების ძე იასეშვილი დამამახსოვრდა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტში მისი სწავლის პერიოდიდან. ეს იყო წლები, როდესაც ვმუშაობდი ამ ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ და მის თაობას ვუკითხავდი პოლიტიკური ეკონომიის კურსს. მაშინ იგი გამოირჩეოდა არა მარტო ბეჯითი სწავლითა და მაღალი აკადემიური წარმატებებით, არამედ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში აქტიური მონაწილეობითაც. ბ-მა გვიმ იმთავითვე გამოამჟღავნა მეცნიერების ღრმად დაუფლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დაუოკებელი სწრაფვა და უშრეტი ენერჯია.

ამ დროიდან მოყოლებული სისტემატურად ვადევნებ თვალს მის მოღვაწეობას. ხშირად ვკითხულობ ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მის უაღრესად საყურადღებო პუბლიკაციებს. ვიცნობ მის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებულ ნაშრომსაც (რომლის დაცვა, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო დაცვის ახალ წესებზე გადასვლის გამო), განსაკუთრებით ამ ნაშრომის ეკონომიკურ ასპექტებს, რომელიც მკითხველის ყურადღებას იქცევს თავისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ფრიად ანგარიშგასაწივი დასკვნებით.

ბ-ნი გივი ამჟამად საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია. იგი, თავისი ინიციატივითა და სურვილით, სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სადისკუსიო კლუბის მუშაობაში, რომელიც იმართება ყოველი თვის ბოლო პარასკევს და ეძღვნება ეკონომიკური მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, მ.შ. ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მტკივნეულ საკითხებს. ამ პრობლემატური საკითხების განხილვაში მონაწილეობისას ნათლად ჩანს მისი ფართო ერუდიცია, მაღალი ინტელექტი და მრავალმხრივი განსწავლულობა.

ჩემთვის, როგორც მისი ყოფილი მასწავლებლის და ამჟამად კოლეგისთვის, ძალიან სასიამოვნოა ბ-ნი გ. იასეშვილის წარმატებული აღმასვლა მეცნიერების სარბიელზე და სულ უფრო დამშვენებული ავტორიტეტით წარსდგომა მაღალმომთხოვნი საზოგადოების წინაშე.

მე დიდი კმაყოფილებით დავუჭერ მხარს პროფ. გ. იასეშვილის ღრმაშინაარსიანი მოღვაწეობის ღირსეულად დაფასებისთვის მიმართულ ყველა ღონისძიებას.

აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მენც.
დამსახ. მოღვაწე, ე.მ.დ. პროფესორი **ლ. ჩიქავა**

20.02.07 წ.

2007 წლის ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემიის რექტორმა გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ბატონმა იური ნებიერიძემ 24 ნოემბრისთვის დაგეგმა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საქართველო – ნატო: + და -“. მან ოფიციალურ მომხსენებლებად წერილობით მიიწვია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე კუჭუხიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ლეო ჩიქავა, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ლიდერი დავით დარჩიაშვილი, ეროვნული ხსნის ფრონტის ლიდერები აკაკი ჯორჯაძე და ჯონი ბიჭიაშვილი და მე.

ამ კონფერენციაზე ოფიციალური წერილებით და მოსაწვევებით მომხსენებლებად მე მოვიწვიე 12 კაცი, რომელთა შორის იყო რამაზ საყვარელიძეც, რომელიც საბოლოოდ დათანხმდა სსმა-ში აქტიურ თანამშრომლობაზე. თ. გამყრელიძემ მომხსენებელი არ გამოაგზავნა.

კონფერენციაზე ჩემი მოხსენების თემა იყო „საქართველოს ნატო-ში განევრიანების თეორიულ-მეთოდოლოგიური მეცნიერული საფუძვლები და რეალური მდგომარეობა“, ხოლო გამარლი დონხაძის მოხსენების

თემა იყო „საქართველო – ნატო, სამხედრო გეოგრაფია“.

პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ 26 ნოემბერი – 2 დეკემბერი, 2007 წელი გამოაქვეყნა უაღრესად აქტუალური ვრცელი ინტერვიუ „არჩევნების მეორე ტური გარანტირებული იქნება“.

24.11.07 წ. საქ. ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო პოლიტიკურმა აკადემიამ სსმა-სთან ერთად ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საქართველო – ნატო: + და -“. თავმჯდომარეობდა აკადემიის რექტორი, საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავ-რე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ბატონი იური ნებიერიძე, მე მოადგილის მოვალეობის ვასრულებდი. კონფერენციაზე ოც წუთიანი მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორები ლეო ჩიქავა, გულაბერ ანანიაშვილი, რაფიელ ჩიქოვანი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ჯორჯაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები გამარლი დოხნაძე და კობა მესტვირიშვილი, პოლკოვნიკი დილარ ბაქრაძე, სამეცნიერო აკადემიის ლიდერი გივი იოსების ძე იასეშვილი და იური ნებიერიძე, რომელთა შორის 4 მომავალი საერთაშორისო კონფერენციის ნომინანტია.

მომხსენებლებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ სსმა-ს დამუშავებული მონოგრაფია „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“, წარდგენილი იქნას საერთაშორისო კონკურსზე, რაც დადებით გავლენას მოახდენს 2007 წლის 6-7 ნოემბრის ინციდენტის გამო საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გაჭიანურებულ პროცესზე. 28 ნოემბერს აკაკი მთიულიშვილს გადავეცი იური ნებიერიძის სახელზე დაწერილი განცხადება ნობელის საერთაშორისო პრემიაზე წარდგენის თხოვნით, უპირველესად სამხედრო საბჭოს სხდომაზე განხილვით.

იური ნებიერიძის და აკაკი მთიულიშვილის მკაცრი დავალებით თბილისის საშუალო სკოლების დირექტორებს შორის ორჯერ გავავრცელე მათ მიერ მოცემული ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსების განცხადებები, რაზედაც მთლიანად დავხარჯე 10+10=20 სამუშაო დღე.

30.05.2007 წ. გავხდი საქართველოს ოფიცერთა კავშირის წევრი. პირადობის მონუმბა N862 და მომანიჭეს ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო ნოდება.

2007 წლის 23 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ნაციონალური

მოძრაობის მეორე ყრილობა, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტი – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ბატონი მიხეილ სააკაშვილი მეორე ვადით დაასახელა 2008 წლის 5 იანვარს დანიშნული საქართველოს ვადამდელ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა თავის სამომავლო საპრეზიდენტო პროგრამაში, როგორც ძველის შინაარსობრივად ლოგიკური გაგრძელება, სამი მთავარი მიმართულება დაასახელა:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; – საქართველო – სიღარიბის გარეშე.

საქართველოს ნატო-ს წევრობის ოფიციალურ კანდიდატად აღიარება.

ჩემი ღრმა რწმენით, რადგან საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, საერთაშორისო განვითარების კანონზომიერებას უნდა დაემორჩილოს. **დამოუკიდებელ საქართველოში უნდა აშენდეს – უპირველესად და საჩქაროდ, ინოვაციური, შერეული, საბაზრო ეკონომიკა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების აქტიური სავალდებულო მაკორექტირებელი ზემოქმედებით.** ეს ჩემეული განმარტებაა, რომელიც მოიწონა და, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ლეო ჩიქავამ.

სსმა-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრების მოღვაწეობის ანალიზი საანგარიშო პერიოდში:

1. საქართველოს პოლიტიკურ წრეებში დიდი მლელვარება გამოიწვია პარლამენტში შეტანილმა კანონ-პროექტმა, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის 28-დან 32 ათასამდე გაზრდას ითვალისწინებს. საპარლამენტო უმრავლესობა თვლის, რომ არმიის გაზრდა აუცილებელია, იმ საფრთხეთა აღსაკვეთად, რომელიც ქვეყნის გარედან გვემუქრება. არმიის რიცხოვნობის გაზრდა შეიძლება გაგრძელდეს და წლის ბოლოს რეგულარული სამხედრო ნაწილებისა

და მომზადებული რეზერვის საერთო რიცხვმა 90 ათასს მიაღწიოს (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 17-23 სექტემბერი, 2007 წ.). საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი აკრიტიკებს პრეზიდენტისა და მთავრობის ინიციატივას, ქართული არმიის რიცხოვნობის გარზდის შესახებ. ოპოზიციას სამართლიანად მიაჩნია, რომ ქართული არმიის გაძლიერება არა რიცხოვნობის გაზრდით, არამედ სხვა გზებით უნდა მოხდეს **(ინოვაციითა და მართვის ხარისხის ამაღლებით, უნდა განხორციელდეს საქართველოს ინოვაციური ეკონომიკისა და ინოვაციური შეიარაღებული ძალების ერთდროული მშენებლობის სახელმწიფო პროგრამა. გივი იოსების ძე იასეშვილი).**

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საქართველოს ხელისუფლება შეიარაღებული ძალების კონტიგენტის 32 ათასამდე გაზრდას აპირებს, მემარჯვენე ფიქრია ჩიხრაძემ მთავრობას გადანყვეტილება დაუწუნა. მისი აზრით, უკეთესია, ორიენტაცია ხელისუფლებამ არმიის კვალიფიკაციასა და ხარისხზე აიღოს, ვიდრე მის გაზრდაზე. (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 17-23 სექტემბერი, 2007 წ.).

2008 წლის ზაფხულიდან ერაყში ქართველ სამშვიდობოთა კონტიგენტი 2000-დან 300 კაცამდე შემცირდება. შეთანხმება კოალიციურ ჯარებთან უკვე მიღწეულია – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა განაცხადა, რომლის თქმით, სამშვიდობოთა რაოდენობის შემცირება თავიდანვე იყო განსაზღვრული. ამ დროისათვის ერაყში ქართველ ჯარისკაცთა 2000 კაციანი ბრიგადა მსახურობს. იანვარში მას ისევ 2000 კაციანი ბრიგადა ჩაენაცვლება. ექვსი თვის შემდეგ, ეს რიცხვი 300-მდე შემცირდება. ჯორჯ ბუში ასეთ გადანყვეტილებას ერაყში აშშ-ის სამხედრო კონტიგენტის წარმატებებით ხსნის (ჟურნალი „რეიტინგი“, N37, 17.09.2007 წ.).

სამხედრო ექსპერტი კახა კაციტაძე ერაყში ქართული სამხედრო კონტიგენტის შემცირებას არასერიოზული სამხედრო პოლიტიკის შედეგს უწოდებს. მისი თქმით, საქართველოს სამხედრო სტრატეგიული გეგმა არ გააჩნია და სხვის გადანყვეტილებებზეა დამოკიდებული. საქართველო, უბრალოდ, ომოხანას თამაშობს. სინამდვილეში, ჯარების გაზრდაც და შემცირებაც სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან, ყველა მოსამსახურე პირს, რომელიც ერაყში იმყოფება, გრძელვადიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომელიც მათი გამონ-

ვევისთანავე ავტომატურად შეწყდება. მეექვსეა, რომ ხელისუფლებამ მათ რაიმე კომპენსაცია გადაუხადოს – აცხადებს სსმა-ს დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფის წევრი სამხედრო ექსპერტი ბატონი კახა კაციტაძე (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 17-23 სექტემბერი, 2007 წ.).

ჟურნალი „რეიტინგი“, N40, 08.10.2007 წ.

ინტერვიუ სამხედრო ექსპერტთან კახა კაციტაძესთან.

მაშინ, როცა საზოგადოება მრავალ საკითხზე პასუხის გაცემას ითხოვდა, საპარლამენტო უმრავლესობა წარამარა გვახსენებდა, სახელმწიფოს ძლიერი ჯარი ჰყავს. გვაცადეთ ბატონო და დანარჩენებსაც მოვაგვარებთო. დანარჩენს ვინ ჩივის, სამხედრო ექსპერტები კი ლამის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრებაში დაგვადანაშაულეს, ახლა კი ირკვევა, რომ სახელმწიფოს მოლაპატეებს უმაღლესი თანამდებობები ეკავათ. ალექო სუხიტაშვილი ირაკლი ოქრუაშვილის თანაგუნდელი და თანამოაზრეა. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროში ისიც ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი იყო.

საქმე ის არის, რომ სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები არც დანარჩენ სტრუქტურებშია გამორიცხული, რადგან თითქმის ყველა სფეროში არის კვალიფიციური კადრების დეფიციტი. არც ერთ სფეროში არ არიან პროფესიონალები, რომლებსაც სტრატეგიული აზროვნება აქვთ და მხოლოდ ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაზე არიან ორიენტირებული. ასე რომ, ის რაც თავდაცვის სამინისტროში ხდება, უკანასკნელი ნამდვილად არ იქნება.

28 ივნისს ჩატარდა ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობის დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც 357 დელეგატი დავესწარით. ჩემი მოსაწვევი ბარათი იყო N214. დაფუძნდა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილი“ თავმჯდომარე გიბერძენაძე. წარვადგინე მოხსენება „ძალა ერთობაშია“, რომელიც გადავეცი გენერალ ელვერ კუპატაძეს.

2. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ლიდერმა საქართველოს ტელევიზიაში სამშაბათობით 23:30 საათზე დააფუძნა ლამის საუბრები დავით დარჩიაშვილთან ერთად.

30.10.07 წ., სამშაბათი 23:00. საქართველოს ტელევიზიის „იმედის“

არხი, ღია ეთერი, წამყვანი ინგა გრიგოლია. ამ დღეს მოხდა შეტაკება განმუხურში ქართველ და რუს სამხედროებს შორის, სადაც საჩქაროდ ჩავიდნენ: მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი და სხვები. კონფლიქტი განიმუხტა. ინგა გრიგოლიამ დასვა სატელევიზიო შეკითხვა „მიხეილ სააკაშვილი მივა 2 ნოემბერს პარლამენტთან აქციაზე თავის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე?“

გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა რეზო ესაძემ, გიზო კაკაურიძემ, ჯემალ სეფიაშვილმა, დავით დარჩიაშვილმა, ლევან გოგიჩაიშვილმა, ნინი კაკაბაძემ და ნიკუშა შენგელაიამ. აქტიური მონაწილეობა მიიღო დავით დარჩიაშვილმა. რეზო ესაძემ, გიზო კაკაურიძემ და ჯემალ სეფიაშვილმა სთქვეს, რომ 2 ნოემბრის აქციაზე უსათუოდ მივიდოდნენ (ჯემალ სეფიაშვილი მიტინგზე არასოდეს იყო წამყოფი) და ისინი, რომ ქვეყნის პრეზიდენტები იყვნენ უსათუოდ მივიდოდნენ 2 ნოემბერს პარლამენტთან აქციაზე. დავით დარჩიაშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ტელემაყურებლის 77,5%-მ სთქვა, რომ ის რომ ქვეყნის პრეზიდენტი იყოს 2 ნოემბრის აქციაზე უსათუოდ მივიდოდა პარლამენტთან საკუთარ ამომრჩევლებთან შესახვედრად. ბატონი მიხეილ სააკაშვილიც ასე მოიქცა საკუთარ ამომრჩევლებს შეხვდა პარლამენტის შენობასთან.

3. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა გამარლი დონხაძემ გამოსცა წიგნი „კვლევის მეთოდები სამხედრო გეოგრაფიაში“. მოცულობით 76 ნაბეჭდი გვერდი. შედგება შემდეგი თავებისაგან:

შესავალი;

ზოგადი მეთოდები;

ლოგიკური მეთოდები (ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, ტრადუქცია, რედუქცია, კლასიფიკაცია), ევრისტიკული მეთოდები);

რეგიონალურ-გეოგრაფიული მეთოდი;

დარგობრივ-გეოგრაფიული მეთოდები;

მათემატიკური მეთოდები (სტატისტიკური მეთოდები, მათემატი-

კური მოდელირების მეთოდი);

ექსპერიმენტალური მეთოდი;

კვლევის დისტანციური მეთოდები;

გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და გეოსისტემების შექმნა;

ლიტერატურა;

სამხედრო-გეოგრაფიულ ფაქტორთა შეფასების ალბათური მეთოდები;

სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორი – როგორც შემთხვევითი სიდიდე;

სამხედრო-გეოგრაფიულ ფაქტორებთან დაკავშირებული პირველადი ინფორმაციის მოპოვება და ზოგადი შეფასებები;

დაკვირვების ცდომილებები და მათი გამორიცხვის ხერხები (უხეში ცდომილებები, სისტემური ცდომილებები, შემთხვევითი ცდომილებები);

დისკრეტული და უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეები;

შემთხვევითი სიდიდის რიცხვითი მახასიათებლები (საშუალო არითმეტიკული, მათემატიკური ლოდინი, მედიანა, მოდა, დისპერსია და საშუალო კვადრატული გადახრა, ვარიაციისა და ასიმეტრიის კოეფიციენტები);

შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონები;

სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორების მონყლვადობის შეფასება;

ალბათური მოდელის პრაქტიკული გამოყენების მაგალითები;

ლიტერატურა.

12 აგვისტოს რუსეთმა ქალაქ სანკტპეტერბურგში გახსნა ახალი მაკონტროლებელი ანტენა-რადიო – ლოკაციური სისტემა, რომელიც ჩრდილო ყინულოვანი ოკეანიდან სამხრეთ აფრიკამდე აკონტროლებს სივრცეს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა – სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ვლადიმერ პუტინმა სიამაყით განაცხადა – ეს არის ინოვაციური შეიარაღებული ძალები. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში გადამწყვეტი უნდა გახდეს შეიარაღებული ძალების ინოვაციური განვითარება.

სსმა-ს წევრმა სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა სარდალმა ამირან სალუქვაძემ ჟურნალ „არსენალში“, N17, 2007 წ. გამოაქვეყნა საპროგრამო სტატია ევროპის „ერთიანი საჰაერო სივრცე“, ევროკონტროლის საჰაერო სივრცის სამომავლო სტრატეგია. მნიშვნელოანია საჰაერო სივრცის ორგანიზება ევროსტანდარტების შესაბამისად.

27 სექტემბერს გენერალ ელგუჯა მეძმარიაშვილთან აუდიენციაზე ვიყავი. ვისაუბრეთ სამხედრო მეცნიერების განვითარებაზე და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. მომცა დახასიათება-რეკომენდაცია 2007 წლის 10 ნოემბერს წლის საუკეთესო მეცნიერის ნოდების მოსაპოვებლად დანიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. გამაცნო თავისი დიდი ფუნდამენტური ნაშრომი. ელგუჯა მეძმარიაშვილი „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“. მონოგრაფია, თბილისი, 2006 წ., რომელიც 16 თავისაგან შედგება და საერთო მოცულობაა 1058 გვერდი.

იმავე საღამოს საკუთარ ოფისში დააკავეს საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. 24 აგვისტოს ტელევიზიამ გვაუწყა, რომ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი საკუთარი განცხადებით თანამდებობიდან გადადგაო. აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ? იკითხა დიქტორმა. კომენტარი გააკეთა პოლკოვნიკმა გიორგი თავდგირიძემ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორი მინისტრის მოადგილე გადადგა. პირველი იყო პოლკოვნიკი ალექსანდრე სუხიტაშვილი.

29 მაისს ჩატარდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის საანგარიშო-საარჩევნო კრება – მომხსენებელი ლევან მახვილაძე. საინჟინრო აკადემია დაარსდა 1992 წელს, 14 წელი უხელმძღვანელა ივერ ფრან-

გიშვილმა, 1 წელი ლევან მახვილაძემ, ამჯერად ავირჩიეთ არჩილ ფრან-გიშვილი. ხელისუფლებამ საინჟინრო კონცეფცია ვერ აითვისა.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბატონ ზურაბ ადეიშვილის სახელზე შევიტანე:

1. პროტესტი N02.04.2007/12, გავაკრიტიკე გამომძიებელ ა. ჩერქეზიშვილის პასუხი. მივიღე პროკურორ ჯემალ კობაიძის წერილი N გ 25.06.2007/80 და გამომძიებელ ა. ჩერქეზიშვილის წერილი N1/2-2381/07.05.07.07 წ;
2. განცხადება N შ 11.06.2007/1, წარვადგინე დამატებითი მტკიცებულებები. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან მივიღე გამომძიებელ ა. ჩერქეზიშვილის წერილი N1/2-2040/07, 20.07.07 წ;
3. განცხადება N შ 11.09.2007/109, მოვითხოვე მიღება. გენერალური პროკურატურიდან მივიღე აპარატის უფროსის მოადგილის ქ-ნ თ. ჩუბიძის წერილი N გ 21092007/103;
4. განცხადება N შ 11.09.2007/110, მოვითხოვე გენ-შტაბის ყოფილი უფროსის პოლკოვნიკ ლევან ნიკოლეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. გენპროკურატურიდან მივიღე პროკურორ ვ. შავგულიძის წერილი N გ 19.11.2007/28.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე:

- 28 სექტემბერს მოვისმინეთ ლეო ჩიქავას მოხსენება „საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები“;
- 25 მაისს – როზეტა ასათიანის მოხსენება „გლობალიზაციამ ეროვნული ეკონომიკა არ უნდა დაჩრდილოს“;
- 26 ოქტომბერს – ვახტანგ გორგაძის მოხსენება „საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემები – კვების მრეწველობა“;
- 30 ნოემბერს – გიორგი შუბლაძის მოხსენება „ეკონომიკური თეო-

რის დეფინაციის პრობლემები“;

23 თებერვალს თსუ-ში მიხეილ ჯიბუტის თავმჯდომარეობით ჩატარდა ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ეკონომიკის ფაკულტეტის და სსმა-ს ერთობლივი სხდომა, განვიხილეთ ლეო ჩიქავას მიერ გამოცემული მე-4 და მე-5 კრებულები. მე კამათში მივიღე მონაწილეობა;

29 მაისს მოვისმინეთ თემურ შენგელიას მოხსენება „შავი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრობლემები საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე“;

27 მაისს სულიერი კორდინაციისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ინსტიტუტის სხდომაზე მოვისმინეთ ნიკო მელიქაძის მოხსენება „რომ ხელისუფლება გახდეს კარგი, ჩვენ კარგად მაინც ვერ ვიცხოვრებთ, თუ საზოგადოება არ გახდა კარგი“;

31 ოქტომბერს მონაწილეობა მივიღე საბურთალოს ცენტრალურ ეკლესიასთან მდებარე პანთეონში ქალბატონ ვენერა ესაკია-კუჭუხიძის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდში, გარდაცვალების წლისთავი.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე მოვისმინეთ:

16 მაისს დემურ ლაღანიძის მოხსენება „აფხაზეთის ისტორიის ქრონიკები“ და გერმანე ფაცაცციას მოხსენება „აფხაზეთის წარსული, აწმყო და მომავალი“;

30 მაისს გაიმართა დისკუსია, შეკითხვებს უპასუხეს დემურ ლაღანიძემ და გერმანე ფაცაცციამ, კამათში მონაწილეობა მიიღეს: სერგი საჯაიამ, გივი კილასონიამ და ანზორ აბრალავამ;

სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ლორიკ მარშანია. კამათში მონაწილეობა მიიღო ბესარიონ ნაყოფიამ.

ალექსანდრე კუჭუხიძემ და თამაზ დანელიამ წარმოადგინეს მიმართვა ქართველი და აფხაზი ხალხებისადმი. გამოიყო 9 კაციანი კომისია საბოლოო რედაქციისათვის, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართვე-

ლოს რესპუბლიკაში“;

14 ნოემბერს ანზორ აბრალავას მოხსენება მისი წიგნიდან „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“ თემაზე „გლობალიზაცია და სახელმწიფო სუვერენიტეტი“;

30 ნოემბერს განვიხილეთ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გია მაისაშვილის პროგრამა. იხილეთ გაზეთი „კვირის პალიტრა“ N52, 2007 წ.;

4 დეკემბერს განვიხილეთ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გია გაჩეჩილაძის პროგრამა, არჩევნების ყველა კანდიდატი ერთ გაზეთში;

7 დეკემბერს განვიხილეთ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის შალვა ნათელაშვილის პროგრამა. წაიკითხე და აირჩიეთ...

მიხეილ სააკაშვილს მიემართე განცხადებებით:

1. N10435, 08.12.06 წ. მოვითხოვე მისი ბრძანებულებით სსმა-ს რეგისტრაციაში გატარება, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის. მივიღე საქ. პრეზიდენტის კორესპონდენციის. განხილვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსის ვ. ცეცხლაძის წერილი N10435, 08.12.06 წ. და საქ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის ა. დიდებულის წერილი N01-17-2/3812, 09.03.07 წ.;
2. N1883, 26.02.07 წ. მოვითხოვე საქ. პარლამენტში შეიტანოთ საინიციატივო წინადადება, რომ 1.01.07 წლიდან დამინიშნონ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია თვეში 92 ლარი. მივიღე ვ. ცეცხლაძის წერილი N1883, 01.03.07 წ.;
3. N2880, 27.03.07 წ. მივიღე ვ. ცეცხლაძის წერილი N2880, 30.03.07 წ. – იხილეთ დანართი. ჩემს განცხადებას თან ერთოდა სსმა-ს 2006 წლის სამეცნიერო ანგარიში, რომელიც არ წაიკითხეს;
4. N3723, 27.04.07 წ. მივიღე ვ. ცეცხლაძის წერილი N3723, 02.05.01, ხოლო ძალიან დაგვიანებით 28.04.07 წ. შაბათს 12⁰⁰ საათზე, ა. დი-

დებულის წერილი N06-1-12-09-2/6756, 26.04.07 წ. მე უკვე ორი განცხადება მქონდა წარდგენილი (მესამე და მეოთხე) N2880 და N3723, იხილეთ თანართი. ჩემს განცხადებას თან ერთოდა ფრაგმენტები სსმა-ს 2006 წლის სამეცნიერო ანგარიშიდან, რომელიც არ წაიკითხეს;

შენიშვნა. განცხადებები N1883, 2880 და 3723 ერთმანეთის მსგავსებია ფორმისა და შინაარსის მიხედვით, განსხვავებაა დანართებში.

5. N6387, 07.08.07 წ. მივიღე საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენინსპექციის უფროსის თამარ კაკულიას და მისი მოადგილის შალვა ნოზაძის წერილები N12-10/7351, 04.05.07 წ. და N12-10/8037, 21.05.07 წ.

რაც შეეხება ქვემოთ განხილულ ორ საგანგებო განცხადებას – გამოგზავნილ პასუხებში ავტორებმა მირჩიეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რომ მივმართო სასამართლო ორგანოებს. დავით კირკიტაძემ ჩემი თხოვნა არ შეასრულა. საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან უფროსის მოადგილის ოთარ ძიძიკაშვილის წერილიდან N15/437, 5.11.07 წ. ჩანს, რომ ჩემი განცხადება ტრადიციულად სამინისტროს გაუგზავნეს.

საქართველოს პრეზიდენტს – სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ბატონ მიხეილ სააკაშვილს ორჯერ მივმართე საგანგებო განცხადებით:

1. პირველი განცხადება წარვადგინე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის ქ-ნ მარიამ გაბაშვილის წერილი N12-10/13078, 21.08.07 წ. იხ. დანართი;
2. მეორე განცხადება წარვადგინე საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანის ბატონ დავით კირკიტაძის სახელზე და ვთხოვე გაეცნო ბატონ მიხეილ სააკაშვილისთვის. მეორე განცხადება შინაარსობრივად პირველის იდენტურია. მივიღე გენერალური ინსპექციის უფროსის ქ-ნ თამარ

კაკულიას წერილი N12-10/18670, 04.12.07 წ. იხილეთ დანართი.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემა, სახელმძღვანელო ცნობარი, თბილისი, 2006 წელი, კატეგორიულად მოითხოვს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევითი პროცესის რაოდენობრივი მაჩვენებლების სამწლიან ინტერვალში პროგნოზირებას ყოველწლიური და კვარტალური დიფერენცირებით, რაც ჩემი აზრით შეუძლებელია და ავტორთა ჯგუფის უხეშ მეთოდოლოგიურ შეცდომას წარმოადგენს. „...ინოვაციისთვის, როგორც რთული დინამიკური პროცესისათვის, ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება დამახასიათებელი გაუცნობიერებლობის, არაპროგნოზირებულობისა და არამართვადობის ელემენტები...“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, გვ. 439, „ინოვაციური ეკონომიკა“, მონოგრაფია. 2006 წ. გვ. 17.

იუნესკოს გენერალური კონფერენციის 31-ე სესიის 2001 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ 19.12.07 წ. ნაცვლად 10.11.07-ისა 15 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე-სააქტო დარბაზში ჩატარა მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას მიესალმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი არჩილ მონონელიძე.

სხდომის ჩატარების პროგრამა

სხდომის გახსნა – პროფესორი რაფიელ ჩიქოვანი.

მოსხენება. აჩქარებულად ფართოებადი სამყარო – პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. მომხსენებელი გივი ნიკოზაძე.

სხდომის დასასრულს მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საზოგადოების ვერცხლის მედლით და პრემიით დააჯილდოვეს მეცნიერების ისტორიის დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ამ კონკურსში მეც ვმონაწილეობდი.

ვერცხლის მედლები და პრემიები გადასცეს საქართველოს მეცნიე-

რებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის თანაშემწეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ლევან მაგალობლიშვილს და ჟურნალისტ-მათემატიკოსს თამაზ ებანოიძეს.

აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა სსმა-ში წარმოადგინა თავისი ახალი მეცნიერული ნაშრომი თემაზე „ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლის აქტუალური პრობლემები“, რომელიც მომავალში შემდგომ განვითარებასა და გამოყენებას ჰპოვებს მონოგრაფიაში „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“.

აკადემიკოსმა ლეო ჩიქავამ გამოსცა წიგნი „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“. თბილისი, გამომცემლობა „მარჯი“, 2005 წ., მოცულობით 454 ნაბეჭდი გვერდი. ციტირება:

„...თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ სახელმწიფოს სამ გლობალურ ეკონომიკურ ფუნქციას, რომლებიც ეხება ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანობის, სამართლიანობის და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ამ ფართომასშტაბიან პრობლემებთან ერთად, სახელმწიფო კისრულობს ისეთ ფუნქციებსაც, როგორცაა: საბაზრო ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა და სოციალური ორიენტაცია... ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა-ძიების დაფინანსება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთ მიმართულებათა განვითარების სტიმულირება, რომლებიც საჭიროებენ დიდძალ დაბანდებებს, უკუგების ხანგრძლივ ვადებს და უდიდეს რისკს. ეს ეხება გაურკვეველი პერსპექტივის ახალი დარგების განვითარებასაც“.

საანგარიშო 2007 წელი უთუოდ შევა ისტორიაში, რადგან ამ წელს რუსულმა სამხედრო ბაზებმა, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, საბოლოოდ დატოვეს ქართული მიწა. საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა და თითქმის 1,5 მლრდ ლარი გახდა. ერაყში ქართველი სამხედროების ფუნქციები უფრო სერიოზული გახდა. სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, 2007 წელიც მდიდარი აღმოჩნდა კონფლიქტების ზონებში მომხდარი შეიარაღებული ინციდენტებით. 2007 წლის 11 მარტს და 6 აგვისტოს მოხდა საქართველოზე რუსეთის საჰაერო თავდასხმები. 7 ნოემბრის მოვლენებმა კვლავ აქტუალური გახადა ძირითადი პრინციპი – შეიარაღებული ძალები არა-

ვითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიონ პოლიტიკურ ქმედებებში. ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ არის შეიარაღებული ძალების საქმე. 2007 წელს ყველაზე დიდ წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ ომში ჩათრევის რამოდენიმე მცდელობის თავიდან აცილება.

საქართველოს ოფიცერთა კავშირმა სსმა-სთან ერთად 22 დეკემბერს „ცოდნის“ საექტო დარბაზში ჩაატარა გენერალი-სიმუს იოსებ სტალინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სიტყვით გამოვიდნენ იური ნებიერიძე, ალექსანდრე დაუშვილი, ვალერი კვარაცხელია, ელვერ კუპატაძე, ჯულიეტა ახვლედიანი და სხვები.

სსმა-ს 2008 წლის ამოცანები:

1. განვლილი წლებიდან მომდინარე გარდამავალი ღონისძიებების გაგრძელება;
2. აქტიური მონაწილეობის მიღება საქართველოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში;
3. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ლეო ჩიქავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება, მისდამი მიძღვნილი წლიური სამეცნიერო ანგარიშის გაფორმება;
4. საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ 2007 წლის ივლისში გაკეთებულ სატელევიზიო მოხსენებაზე დაყრდნობით სსმა-ს მიერ დამუშავებული მონოგრაფიის „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“ 2009 წლის ნოებლის საერთაშორისო პრემიაზე წარდგენა გივი იოსების ძე იასეშვილის, შოთა ნადირაშვილის, ლეო ჩიქავას, გივი ლეფონავას, გულაბერ ანანიაშვილის და გამარლი დოხნაძის კოლექტიური ავტორობით;
5. თავდაცვის მინისტრის სახელზე განცხადების წარდგენა „გთხოვთ დამრთოთ ნება სამხედრო საბჭოს სხდომაზე გავაკეთო მოხსენება

თემაზე „სსმა-ს ორგანიზაციული და მეცნიერული ხელმძღვანელობის გამოცდილება“;

6. გენერლების ელგუჯა მეძმარიაშვილის, იური ნებიერიძის, აკაკი მთიულიშვილის, ელვერ კუპატაძის და დიმიტრი ნადირაშვილის სსმა-ს წევრებად მონვევა;
7. საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემიის, რომელიც საქართველოს ოფიცერთა კავშირთან არსებობს, ფორმირებაში და მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა. კერძოდ მაისში განმეორებით ჩასატარებელ სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში თემაზე „საქართველო-ნატო: + და -“.

P.S. 16.01.08 წ. თსუ-ს II კორპუსში შედგა რეგულიარული საჯარო ლექცია-სემინარი ანუ საუბარი ცოცხალი სჯა-ბაასითა და შესატყვისი დიალოგით. სხდომის წამყვანი იყო პროფესორი ეთერ ციციშვილი. ესწრებოდნენ: საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი იური ნებიერიძე, გადამდგარი გენერალი კოტე მელაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანზორ ხელაშვილი, პროფესორი ბიჭიკო ცინცაძე და სხვები. სსმა-ს წლიური სამეცნიერო ანგარიში დადებითად შეფასდა.

გივი იოსების ძე იასეშვილი

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.

თავი მეთერთმეტი

განცხადებები

საქართველოს პრეზიდენტს –
სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტის
გივი იოსების ძე იასეშვილის

განცხადება

ბატონო პრეზიდენტო!

გთხოვთ თქვენი ბრძანებულებით რეგისტრაციაში გაატაროთ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, 2001 წლის იანვარში დაარსებული დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია. ამ აკადემიის დაარსებით საქართველოს ეროვნულ სამხედრო აღმშენებლობაში დაიწყო 21-ე საუკუნის შესაბამისი ახალი სამხედრო აღმშენებლობის ერა დაფუძნებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და ინფორმაციულ მეცნიერულ მიღწევებზე. აკადემიის სამეცნიერო კოლექტივის მეცნიერულმა მიღწევებმა გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და ჩვენი აკადემიის მიერ დამუშავებულ ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციას შორის ორმაგი კავშირია: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია აღიარებს ჩვენი აკადემიის პროფილს როგორც აქტუალურს, ხოლო სამხედრო მეცნიერების აკადემიის მიერ დამუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია მას ამალღებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

განცხადებას თან ერთვის ექვსი დანართი:

- დანართი N1 - ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
- დანართი N2 - საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიასთან გვაქვს საქმიანი კავშირი;
- დანართი N3 - ვხელმძღვანელობთ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის რეკომენდაციით;
- დანართი N4 - ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობა ექვემდებარება გენერალური პროკურატურის კონტროლს;
- დანართი N5 - საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პროგრამა გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“;
- დანართი N6 - საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის მიღწევები გაშუქებულია გაზეთში „კახეთის ხმა“.

ღრმა პატივისცემით
გივი იოსების ძე იასეშვილი

7.10.2006 წ.

თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი

N ი-1756/601

23.05.2001

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს
ბატონ გივი იოსების ძე იასეშვილს

ბატონო გივი,

თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალებთან გაცნობის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სამხედრო მრეწველობის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა გამოთქვა პირადი მხარდაჭერა იმ პოზიციისადმი, რომელიც შეეხება საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის ნებისმიერ ინიციატივას და მათ შორის, რა თქმა უნდა, აკადემიის შექმნას, რასაც მე ვეთანხმები.

ამასთან, როდესაც თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალებში საკითხი შეეხება კერძო, კონკრეტულ შემთხვევას – თქვენი ინიციატივით საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის“ დაარსებას, მთელი შემდგომი პროცედურა განსაზღვრულია ქვეყნის კანონმდებლობით და ის სამართლებრივად არ მოითხოვს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წერილობით მხარდაჭერას.

რაც შეეხება კომიტეტის პოზიციას, მისი ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნა არის ის, რომ საქართველოში მომრავლებული აკადემიების, ინსტიტუტების და სხვათა შექმნის დროს განსაკუთრებულად გაანალიზდეს და შეფასდეს არამარტო ის მიზნები და პრინციპები, რომლებსაც აღნიშნული ორგანიზაციები დაფუძნების წინ ისახავენ და მოტივაციად წარმოადგენენ, არამედ ის რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც მათ გააჩნიათ დასმული პრობლემების გადასაწყვეტად და რა თქმა უნდა, თუ რა კონკრეტული, გრძელვადიანი მოთხოვნები გააჩნია საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურებს.

სხვა შემთხვევაში, და ეს უკვე იგრძნობა საქართველოში, ხდება

სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის პრესტიჟის და მისდამი ნდობის გაუფასურება, რისი დაშვებაც, ამჯერად – სამხედრო აღმშენებლობაში, ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია.

აგრეთვე მიმდინარეობს სამუშაოები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიის რეორგანიზაცია-მოდერნიზაციისათვის იმ სტანდარტებსა და სიდიდეზე, რაც ოპტიმალური იქნება ჩვენი სამხედრო ძალებისათვის.

გთხოვთ, თქვენს მიერ საკითხის მომზადების დროს გაითვალისწინოთ ჩვენი პოზიციები რჩევის სახით.

პატივისცემით,
გიორგი ბარაძიმე
თავმჯდომარე

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

გ. იასეშვილს

თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ, მე-3 კვ, მე-8 კორპ, ბინა 30

ბატონო გივი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 2006 წლის 04 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი განცხადება N10435 შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

პატივისცემით,

საქართველოს პრეზიდენტის

კორესპონდენციის განხილვისა და

ანალიზის სამმართველოს უფროსი **ვახტანგ ცეცხლაძე**

08. 12. 2006 წ.

**საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

N01-17-19-2/3812

09.03.2007 წ.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტს,
ბატონ **გ. იასეშვილს**

მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.
მე-3 კვარტალი, მე-8 კორპ.
მე-3 სადარბაზო, ბინა 30

ბატონო გივი,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან (6.12.06 N10435) 2006 წლის 7 დეკემბერს (ი/11070) შემოსული თქვენი 2006 წლის 4 დეკემბრის N10435 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებას, გაცნობებთ, რომ „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს სამეცნიერო სფეროში მოქმედი სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს.

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში მოქმედებს:

- ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სრული ავტონომიური უფლებებითა და სახელმწიფო დაფინანსებით;
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სრული ავტონომიური უფლებებითა და სახელმწიფო დაფინანსებით;
- გ) მეცნიერთა საზოგადოებრივი გაერთიანებანი.

აღნიშნული გაერთიანებები მონაწილეობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და ამ სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრაში, სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნოლოგიების პროგრამების (პროექტების) შემუშავებაში, მათ ექსპერტიზასა და შესრულებაში.

კანონი ასევე არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების სამართლებრივ სტატუსს (შექმნის, რეორგანიზაციის წესს და უფლებამოსილებებს).

ზემოთ ჩამოთვლილი სამართლის სუბიექტების გარდა სხვა დაწესებულებების არსებობა კანონით არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამეცნიერო სისტემაში არსებობს მხოლოდ ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მეცნიერებათა აკადემია. სხვა მეცნიერებათა აკადემიის შექმნის პროცედურა არ არის განსაზღვრული. ამდენად, სამხედრო მეცნიერების აკადემიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნება ვერ განხორციელდება.

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დაფუძნებას, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების (მე-2 მუხლი) თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალება მხოლოდ სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დაფუძნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

თქვენს მიერ წარმოდგენილი საბუთებიდან, ასევე ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თქვენი დაწესებულება არ ყოფილა სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება. შესაბამისად, არ განხორციელებულა მისი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნება. ასევე, აღვნიშნავთ, რომ თქვენი ორგანიზაცია წარმოადგენს მეცნიერთა საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის სტატუსიც რეგულირებულია „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონით და სამეცნიერო სისტემაში სარგებლობს ზემოთ მოყვანილი განსაზღვრული უფლებამოსილებებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ უფლებამოსილ ორგანოში დარეგისტრირდეთ როგორც კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

დიდი პატივისცემით,
მინისტრის პირველი მოადგილე **ალექსანდრე დიდებულიძე**

P.S. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არ შეესაბამება, ჩამორჩება, მეცნიერების და კერძოდ, სამხედრო მეცნიერების განვითარების საერთაშორისო მოწინავე დონესა და სტანდარტებს.

გივი იოსების ძე იასეშვილი

ფრაგმენტები

წლიური სამეცნიერო ანგარიშიდან „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის (სსმა) ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2006 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების მსგავსად, მე სსმა-ს ვხელმძღვანელობ კოლექტიურობისა და გუნდურობის მეთოდით, ძირითადი ბირთვია საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც ჩემი ხელმძღვანელობით დააარსა სსმა 2001 წლის იანვარში საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებიდან ჯარებისა და ძალების მართვის მიმართულების გამოყოფით. შემდგომი მისი განვითარება მოხდა თსუ-სთან, ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიებთან და სკისი-თან აქტიური თანამშრომლობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე

1. 6 მარტს შევიტანე მესამე განცხადება N3227;
2. 24 ივლისს შევიტანე მეოთხე განცხადება N13960;
3. 8 ნოემბერს შევიტანე მეხუთე განცხადება N23548.

შენიშვნები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებულ წერილობით პასუხებზე:

სსმა-ს და სამინისტროს შორის ურთიერთობის დამყარების დასაწყისიდანვე მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა ალექსანდრე დიდებულიძემ და ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარმა სპეციალისტმა ბატონმა თედო დოლიძემ არ მომცეს შესაძლებლობა, რომ სსმა-ს სხვა წევრებიც ჩამერთო განხილვის პროცესში და მთელი სიძიმე პასუხისმგებლობისა მე დამანვა მხრებზე. ასე სპეციალურად მაიძულა ბატონმა თედო დოლიძემ, რაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უხეში შეცდომაა. მეცნიერება ხომ კოლექტიური შრომის შედეგია;

ჩემი საქმიანი ვრცელი განცხადებების და თანდართული უამრავი ოფიციალური დოკუმენტების განხილვის დროს, როგორც წესი, სამინისტროს ხელმძღვანელობა თავს არიდებდა ჩემს წერილობით მოთხოვნებს, რომ ჩემს განცხადებებში დაფიქსირებული პრობლემები გაეხადათ ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი პრესითა და ტელევიზიით. რომელიმე პასუხისმგებელი შემსრულებლის (თედო დოლიძე, შუქრი ჯაფარიძე) მიერ ჩემთან გამოსაგზავნი წერილობითი პასუხის პროექტს მინისტრის მოადგილე (ალექსანდრე დიდებულისძე, ბელა წიფურია) მხოლოდ საკუთარი გემოვნებით შტამპავდა, რის გამოც უშვებდნენ უხემ შეცდომებს:

1. მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე შეტანილ ჩემს მესამე განცხადებაზე, რომლის შედეგებიც დიდად ესაჭიროებოდა სსმა-ს კოლექტივს და რომლის პასუხისმგებელი შემსრულებელიც იყო ბატონი თედო დოლიძე მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა ალექსანდრე დიდებულისძემ ბიუროკრატიულად დიდად გააჭიანურა წერილობითი პასუხის გაფორმება და მხოლოდ ნახევარწლიანი ჩვენი განვალების შემდეგ გვადირსა წერილობითი პასუხი N01-12-08/13291, 15.08.06 წ.

2. მინისტრის მოადგილის ქ-ნ ბელა წიფურიას მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ წერილობით პასუხში N01-16-13-3/15695, 26.09.06 წ. არა სწორად არის გაგებული ჩემს მიერ მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე შეტანილი ჩემი შესაბამისი მეოთხე განცხადების შინაარსი. განცხადებაზე პასუხისმგებელი შემსრულებელი იყო სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი ბატონი შუქრი ჯაფარიძე, რომელთანაც ჩემი წინასწარი სატელეფონო საუბრებით ჩემი განცხადება სამინისტროს უნდა გადაეგზავნა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და იქიდან მომხდარიყო ჩემი შრომების ციკლის წარდგენა. სამინისტროს ამის უფლება აქვს, მაგრამ სამწუხაროდ არ გააკეთა;

3. მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე შეტანილ ჩემს მეხუთე განცხადებაზე მივიღე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ჩიორა თაქთაქიშვილის სამარცხვინო წერილობითი პასუხი, რომელიც არ შეესაბამება ჩემი განცხადების შინაარსს, რაც მან მომწერა მის გარეშეც წინასწარ ვიცოდი, ხოლო, მთავარს ყურადღება არ მიაქცია. აღ-

ბათ ისტორიაში არ მოიძებნება უსამართლობის ანალოგიური ფაქტი, მე დამინიშნეს მინიმალური ასაკობრივი პენსია თვეში 28 ლარი.

.....

.....

.....

ტრადიციულად ვესწრებოდი აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ ჩატარებულ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომებს:

24 თებერვალს მოვისმინეთ პროფესორ გიორგი მალაშხიას მოხსენება „დაგროვილი სიმდიდრე, როგორც ადამიანური კეთილდღეობის რესურსი“;

3 ივნისს მიმიღო ბატონმა ლეო ჩიქავამ, ერთსაათიანი საუბარი შეეხო პრობლემას „ინოვაციური ეკონომიკა და თავდაცვა“, რომლის საფუძველი გახდება მისი ახალი მონოგრაფია „ინოვაციური ეკონომიკა“, რომელშიც მე 19 შესწორება შევიტანე და რომლებიც ავტორმა წინააღმდეგობის გარეშე მიიღო. აღმოვაჩინე ერთი კუროზული ფაქტიც. აკადემიკოსი ლეო ჩიქავა ასაბუთებს, რომ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევითი პროცესი რაოდენობრივი მაჩვენებლებით ვერ აღიწერება, არადეტერმინებულია ე.ი. სტოხასტიკური პროცესია, რასაც მე ვეთანხმები. ხოლო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემა, სახელმძღვანელო ცნობარი, თბილისი 2006 წელი კატეგორიულად მოითხოვს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევითი პროცესის რაოდენობრივი მაჩვენებლების სამწლიან ინტერვალში პროგნოზირებას ყოველწლიური და კვარტალური დიფერენცირებით, რაც ჩემი ღრმა რწმენით შეუძლებელია და ავტორთა ჯგუფის მიერ დაშვებულ უხეშ მეთოდოლოგიურ შეცდომას წარმოადგენს.

საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტი. ტექნიკის
მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატობის კანდიდატი
გივი იოსების ძე იასეშვილი

**საქართველოს პრეზიდენტს – სამხედრო ძალების
უმაღლეს მთავარსარდალს
ბატონ მიხეილ სააკაშვილს**

საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის
(სსმა) პრეზიდენტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის კანდიდატის,
თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკის
გივი იოსების ძე იასეშვილის

საგანგებო განცხადება

სსმა-ს სტრატეგიული მეცნიერული კურსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის იურიდიულ მტკიცებულებას წარმოადგენს საქართველოს სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალში „არსენალი“ N5, 2007 წ., 30-ე, 31-ე და 32-ე გვერდებზე ბატონ თამაზ ჟორჯოლიანის მიერ გამოქვეყნებული უაღრესად აქტუალური სტატია „გამოუცხადებელი ომი“.

სამწუხაროდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (სგმს) ხელმძღვანელობამ უაღრესად დიდი არაკომპეტენტურობა და სრული უფიცობა გამოამჟღავნა საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარების პერსპექტივისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების თეორიული, მეთოდოლოგიური და გამოყენებითი პრობლემების განხილვაში და გადაწყვეტაში. ამ ეროვნული სამარცხვინო ფაქტის იურიდიულ მტკიცებულებას წარმოადგენს ჩემს მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტი.

ბატონო პრეზიდენტო!

ამ განცხადების მიზანია სსმა-ს და სგმს-ს ურთიერთობის კომპლექსური ანალიზის ჩატარება და შემდგომ თქვენგან საჩქაროდ კონკრეტული საქმიანი გადაწყვეტილების მიღება და პრაქტიკული განხორციელება.

სგმს მინისტრის ბატონ ალექსანდრე ლომაიას სახელზე:

პირველი განცხადება 27.09.05 წელს შევიტანე N64-13, მინისტრის პირველი მოადგილის ბატონ ალექსანდრე დიდებულისაგან 05.10.05 წელს მივიღე ნახევარგვერდიანი ფორმალური პასუხი – იხილეთ დანართი N3, რომლის შემსრულებელი იყო საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წამყვანი სპეციალისტი ბატონი თედო დოლიძე, რვა დღის განმავლობაში (მათ შორის ორი დასვენების დღე იყო) „შეისწავლეს“ ჩემი განცხადება, სსმა-ს წევრების მიწვევის, წინასწარ გაცნობა-შეთანხმების და რაიმე შუალედური განხილვის მოწყობის გარეშე უარი მომწერეს საერთაშორისო არენაზე მეცნიერულად დასაბუთებული რეფორმის ჩატარების თაობაზე საქართველოში, უხეში მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი შეცდომები დაუშვეს. ა. დიდებულის პასუხი შედგება ორი აბზაცისაგან და არ წარმოადგენს ჩემს მიერ შედგენილი განცხადების შინაარსობრივ ანარეკლს. მიღებული პასუხის პირველი ნაკითხვისთანავე მკვიდრდება ღრმა შთაბეჭდილება, რომ ა. დიდებულის და თ. დოლიძე უაღრესად არაკომპეტენტურები არიან სამხედრო მეცნიერების უახლოეს მიღწევებში, გამოსავალი მოძებნეს სსმა-სთან თანამშრომლობაზე უარის თქმით.

საქართველოში განსახორციელებელი რეფორმის არსია, ციტირება „...თავდაცვისუნარიანობის სფეროში საქართველოს დღევანდელი სტრატეგია ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მოდელზე უნდა აიგოს, რადგან სამხედრო ძალებით ქვეყნის დაცვა უსაფრთხოების მთავარ გარანტს ვერ წარმოადგენს...“

გთხოვთ დააფიქსიროთ ციტირება ა. დიდებულის წერილიდან „...ჩვენს სამინისტროს, საქართველოს მთავრობის მიერ დავალებული აქვს ისეთი საკითხების კოორდინაცია, რომლებიც არსებითად არ ეხება ქვეყნის თავდაცვის სფეროს...“, ჩემს მეორე განცხადებაზე გამოგზავნილ მის პასუხთან შინაარსობრივ წინააღმდეგობაში იმყოფება.

მეორე განცხადება 1.11.05 წელს შევიტანე N2857, რომელშიც დიდი ადგილი დაიკავა (იძულებული ვიყავი) ა. დიდებულის მიერ გამოგზავნილი პირველი წერილის დანვრილებითმა მეცნიერულმა ანალიზმა, რომელიც განახორციელა სსმა-ს კოლექტივმა. შემდგომ მოყვანილი მაქვს

ფრაგმენტები:

- სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგიიდან;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის დასკვნიდან, ციტირება „...თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ჩართვა ქვეყნის საერთო-სამეცნიერო სივრცეში და მეცნიერული ცოდნის ერთიან სისტემაში, სამხედრო-სამეცნიერო კადრების გენერაცია და სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის ჩამოყალიბება... (რაც მე წარმატებულად უკვე გავაკეთე);
- და სსმა-ს დასკვნიდან.

ჩემი განცხადება მთავრდება თხოვნით, ციტირება „...გთხოვთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოგვიყოს პროგრამულ-მიზნობრივი ფინანსირება...“

ა. დიდებულიძემ 25.11.05 წელს გამომიგზავნა ნახევარგვერდიანი არასერიოზული პასუხი – იხილეთ დანართი N4, შემსრულებელი კვლავ თ. დოლიძე იყო, პასუხი შედგება ორი პუნქტისაგან, რომელთაგან პირველი არ შეესაბამება ადრე გამოგზავნილ პასუხში ჩემს მიერ დაფიქსირებულ ციტირებას, ხოლო მეორე არ შეესაბამება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის დასკვნას.

ეს ფაქტი ა. დიდებულიძის უპასუხისმგებლობის მტკიცებულებას წარმოადგენს. მან დღესაც არ იცის საქართველოს მთავრობიდან შესაბამისი დავალება მიღებული აქვს თუ არა. რაც შეეხება მის მეორე შემოთავაზებას ასეთი რამ საზღვარგარეთის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მოწინავე ქვეყნებში არა ხდება.

მესამე, მეოთხე და მეხუთე განცხადებებზე სგმს-დან მიღებულ წერილობით პასუხებზე გაერთიანებული ჩემი შენიშვნები ორჯერ მაქვს წარმოდგენილი თქვენს სახელზე, რაზედაც სამინისტროს ხელმძღვანელობამ სრული სიბრმავე გამოამყლავნა და არავითარი რეაგირება არ

მოახდინა. ამჯერად, ამ განცხადებაში მესამედ წარმოვადგინე – იხილეთ დანართი N2 „ფრაგმენტები წლიური სამეცნიერო ანგარიშიდან „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის (სსმა) ორგანიზაციული და მეცნიერული მუშაობის 2006 წლის შედეგები და მომავალი ამოცანები“, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბოლო აბზაცი, როგორც სგმს ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობისა და მეცნიერული უვიცობის დამადასტურებელი იურიდიული მტკიცებულება (ამ საკითხს განცხადების დასასრულში დავუბრუნდები და განვიხილავ დანვრილებით).

მესამე განცხადება 6.03.06 წელს შევიტანე N3227. ნახევარწლიანი ბიუროკრატიული გაჭიანურებისა და სსმა-ს კოლექტივის განვალების შემდეგ ა. დიდებულისძემ გამოგვიგზავნა დაახლოებით ერთგვერდიანი მოცულობის, სამი პუნქტისაგან შედგენილი და კვლავ სსმა-ს კოლექტივის წევრების მონაწილეობის გარეშე „შესწავლილი“ და „მეცნიერულად დასაბუთებული“ წერილი – იხილეთ დანართი N5. აღსანიშნავია, რომ ამჯერადაც შემსრულებელი იყო თ. დოლიძე.

წერილის პირველი პუნქტით ა. დიდებულისძემ თავიდან მოიცილა სსმა, მეორე პუნქტით კვლავ დაადასტურა საკუთარი არაკომპეტენტურობა, ხოლო მესამე პუნქტით სამხედრო მეცნიერებას განერიდა და გაექცა. იმის ნაცვლად, რომ ჩვენთან აქტიური თანამშრომლობით სამხედრო მეცნიერებისათვის ღირსეული ადგილი მოეძებნა მეცნიერების საერთო სისტემაში.

თუ ჩემი პირველი განცხადება სგმს-ს ხელმძღვანელობამ რეკორდულად მცირე დროში რვა დღეში მოიშორა თავიდან, ჩემი მესამე განცხადების განხილვის დროს, როგორც ტიპიური მაქსიმალისტები ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნენ და ბიუროკრატიულად ნახევარი წელი გააჭიანურეს. ჩემის ღრმა რწმენით მათ ჩემგან რალაციის ნაგლეჯის დიდი სურვილი გააჩნდათ, რომლის შესაძლებლობა მე მათ არ მივეცი და, სამწუხაროდ, ამ ფაქტის იურიდიული დამტკიცება მე არ შემეძლია. ამაზე იმსჯელონ სამართალდამცავმა ორგანოებმა.

მეოთხე განცხადება 24.07.06 წელს შევიტანე N13060, რომელიც შინაარსობრივად ჩემი მესამე განცხადების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ციტირება:

„...გთხოვთ, რომ საერთაშორისო პრემიის მოსაპოვებლად მეცნიერების დარგში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარადგინოთ ჩემი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ციკლი საერთო სახელწოდებით „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით.“

– ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები, საქართველოს როგორც ევროპისა და აზიის სატრანზიტო დერეფნის პირობებში ნავთობის ტრანზიტის მაგალითზე. სამეცნიერო მოხსენების ფორმით და წერილი სადოქტორო დისერტაცია, რაზედაც არსებობს აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას დადებითი რეცენზია.

– სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია. მონოგრაფია-მიმოხილვა.

ციკლში შემავალი სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები, მათი რეცენზიები, დასკვნები და საზოგადოებრივი შეფასებები უკვე წარმოდგენილი მაქვს თქვენთან. ამ ციკლის შექმნის იდეის ინიციატორია ა. დიდებულიძე“.

როგორც მოგვიანებით გამომჟღავნდა, ა. დიდებულიძემ მოსალოდნელი პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა. მოულოდნელად მივიღე მინისტრის მოადგილის ქალბატონ ბელა ნიფურიას ნახევარგვერდიანი არასერიოზული წერილი – იხილეთ დანართი N6, რომლის შემსრულებელი იყო სგმს-ში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი ბატონი შუქრი ჯაფარიძე. მის მიერ ჩემთვის მოცემული სიტყვიერი დაპირების თანახმად, ჩემი განცხადება უნდა გადაეგზავნათ ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და იქიდან მომხდარიყო საერთაშორისო კონკურსში წარდგენა, რაც სამინისტროს ხელმძღვანელობამ წინასწარგანზრახვით არ გააკეთა – სამწუხაროდ.

ბ. ნიფურიას გამოგზავნილი ნახევარგვერდიანი წერილი არ შეესაბამება ჩემს მიერ წარდგენილი განცხადების შინაარსს და არაფერია

ნათქვამი წინასწარ-შუალედურ განხილვაზე, რომელიც, როგორც წესი, ამ დროს ხდება ხოლმე. მის წერილში არასწორად არის გაგებული ჩემი განცხადების შინაარსი.

ა. დიდებულის თალღითური ეშმაკობის იურიდიულ მტკიცებულებას წარმოადგენს შემდეგი ფაქტიც – ჩემი პირველი, მეორე და მესამე განცხადებების განხილვის დროს შემსრულებლად ყოველთვის მოწვეული ჰყავდა თ. დოლიძე, ხოლო ჩემი მეოთხე განცხადების განხილვის დროს, როდესაც ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან საქმიანი კონტაქტის დამყარება იყო საჭირო ა. დიდებულის თ. დოლიძე (რომელიც მე და ჩვენს აკადემიას უკვე ძალიან კარგად გვიცნობდა) სადღაც „ააორ-თქლა“ და შემსრულებლად დაგვინიშნა სამხედრო მეცნიერებაში არაკომპეტენტური და ამავე დროს უცნობი პიროვნება შ. ჯაფარიძე, რომელმაც მიღებულ დავალებას თავი ვერ გაართვა.

ა. დიდებულის მიერ ჩემს მეოთხე განცხადებაზე გამომჟღავნებულ დამოკიდებულებას შეიძლება მიეცეს შემდეგი იურიდიული შეფასება: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაკავებული თანამდებობის ბოროტად გამოყენება და უფლებამოსილების (უფლებამოვალეობის) უხეშად გადაჭარბება, რამაც მოგვიანებით თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა 12.07.07 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქალბატონ ნათია ჯოხაძის სახელზე შეტანილ ჩემი განცხადების შედეგებზე – იხილეთ დანართი N7.

სამი წელია გაუქმებულია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი. მე, როგორც სახელმწიფო პრემიის მოპოვების ერთ-ერთ რეალურ მეცნიერს დიდი ხანია გამზადებული მაქვს საკონკურსო დოკუმენტაცია, მაგრამ სად წარვადგინო არ ვიცი. ჩემი ღრმა რწმენით სგმს-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო, არის და მომავალშიც ვალდებული იქნება იზრუნოს საერთაშორისო კონკურსებში ჩვენი მონაწილეობის ხელის შეწყობაზე და დახმარებაზე.

მეხუთე განცხადება 8.10.06 წელს შევიტანე N23548.

ციტირება:

„გთხოვთ საქართველოს პარლამენტში შეიტანოთ საინიციატივო წინადადება, რომ დამინიშნონ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია თვეში 92 ლარი...“

„გთხოვთ ამ განცხადების შინაარსი პრესითა და ტელევიზიით გახადოთ ქვეყნის ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი და ტრადიციულად არ დაკმაყოფილდეთ თქვენი რომელიმე პატივცემული მოადგილის სუბიექტური შეხედულებით...“

მოულოდნელად მივიღე სგმს-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ქალბატონ ჩიორა თაქთაქიშვილის არანორმალური წერილი, რომელიც არ შეესაბამება ჩემი განცხადების შინაარსს – იხილეთ დანართი N8. რაც მან მომწერა მის გარეშეც წინასწარ ვიცოდი, ხოლო მთავარს ყურადღება არ მიაქცია. ალბათ ისტორიაში არ მოიძებნება უსამართლობის ანალოგიური ფაქტი, მე დამინიშნეს მინიმალური ასაკობრივი პენსია თვეში 28 ლარი – იხილეთ დანართი N9.

ჩემისთანა განსაკუთრებული ნიჭისა და ინტელექტის მქონე მეცნიერებს, რომელმაც შესაბამისი კადრების დეფიციტის პირობებში ლომის წვლილი შევიტანე, საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარების ორგანიზაციულ და მეცნიერულ ხელმძღვანელობაში, საზღვარგარეთის ქვეყნებში სპეციალურ მაღალ ანაზღაურებას უნიშნავენ. მე რატომ ვარ ასე სასტიკად უსამართლოდ დაჩაგრული და ფაქტობრივად სასიკვდილოდ განწირული?

და ბოლოს, სგმს-ს დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემაში, სახელმძღვანელო ცნობარი „თბილისი 2006 წელი“ დაშვებულია უხეში მეცნიერული შეცდომა. მოითხოვება ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევითი პროცესის რაოდენობრივი მაჩვენებლების სამწლიან ინტერვალში პროგნოზირება ყოველწლიური და კვარტალური დიფერენცირებით. თუ ა. დიდებულიძეს და სგმს-ს სხვა ხელმძღვანელებს შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა ჯერ არ წაუკითხავთ, აუცილებელია, ჯერ ისწავლონ, ცოდნა მიიღონ და მერე დაიკავონ სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი თანამდებობები. საქართველოში, საუბედუროდ,

უკუღმა ხდება თავდაცვის ექსმინისტრის ი. ოქრუაშვილის მსგავსად ჯერ ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავენენ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უზარმაზარ თანხებს იპარავენ და მერე ინყებენ სწავლაზე ფიქრს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი ლეო ჩიქავა მონოგრაფიაში „ინოვაციური ეკონომიკა“, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2006 წ., მე-17 გვერდზე წერს. ციტირება:

„...ამრიგად, ინოვაციისათვის, როგორც რთული დინამიკური პროცესისათვის, ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება დამახასიათებელი გაუცნობიერებლობის, არაპროგნოზირებულობისა და არამართვადობის ელემენტები...“

ა. დიდებულიძემ სახელმძღვანელოდ დაიზეპიროს ეს უტყუარი მეცნიერული აქსიომა.

მე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე ვსარგებლობ კონსტიტუციური უფლებით, რომ თქვენს წინაშე ჩემი პირადი მოსაზრების წერილობით გამოთქმის კანონიერი უფლება მაქვს და მოგახსენებთ, რომ წინასწარი ბოროტი განზრახვით სგმს-ოს ხელმძღვანელობამ მეთოდური თვალსაზრისით არასწორად წარმართა სსმა-ს კოლექტივისა და მეცნიერული მიღწევების გაცნობა-შესწავლა, არ გამოიყენეს პრესისა და ტელევიზიის აუცილებელი შესაძლებლობები, უგულველყვეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის აუცილებლობა, არ მომცეს შესაძლებლობა სსმა-ს სხვა წევრებიც მიმეწვია და ჩამერთო ჩემი განცხადებების განხილვაში, მარტო მე გამომიჭირეს და სგმს-ს ხელმძღვანელობა: ა. ლომაია, ა. დიდებულიძე, ბ. ნიფურია, ჩ. თაქთაქიშვილი, შ. ჯაფარიძე და თ. დოლიძე გუნდურად დამიპირისპირდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას თავდაცვითი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამედროვე მეცნიერული პრობლემების დიქტატორული მეთოდებითა და მიდგომებით და ამავე დროს არაკომპეტენტურად გადაწყვეტისათვის, გთხოვთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

პირველი მოადგილე ბატონი ალექსანდრე დიდებულისე შეცვალოთ სხვა უფრო მცოდნე და დემოკრატიული პიროვნებით. მის მიერ ჩადენილი დანაშაული სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

2. გთხოვთ, რომ საერთაშორისო პრემიის მოსაპოვებლად მეცნიერების დარგში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარადგინოთ ჩემი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ციკლი საერთო სახელწოდებით „გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“.

ჩემი სამეცნიერო ნაშრომებისა და სტატიების ციკლის წარდგენის საჭიროება და აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლების არასერიოზულობით. გაუქმებულია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერების და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

3. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაკავებული თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, უფლება-მოვალეობის მნიშვნელოვნად გადაჭარბებისა და ჩემი პიროვნების აბუჩად აგდებისა და შეურაცხყოფისათვის, გთხოვთ, რომ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი მკაცრად დასაჯოთ. 2007 წლის პირველი იანვრიდან გთხოვთ დამინიშნოთ მეცნიერებათა დოქტორის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია თვეში 92 ლარი.

4. რადგან დაშვებული აქვთ უხეში მეცნიერული შეცდომა, თქვენი სპეციალური ბრძანებულებით გთხოვთ გააუქმოთ სგმს-ს დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ შეკონინებული სახელმწიფო სამეცნიერო საკონკურსო გრანტების სისტემა, სახელმძღვანელო ცნობარი, თბილისი 2006 წელი. იგი მეცნიერების მართვის საერთაშორისო ნორმებს, სტანდარტებს და დაგროვილ საზღვარგარეთულ მდიდარ და მოწინავე გამოცდილებას არ შეესაბამება.

P.S. 2007 წლის 23 ივლისს თქვენი სატელევიზიო გამოსვლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეზოდან, როდესაც თქვენ ბრწყინვალედ ისაუბრეთ ქართული და საერთაშორისო საბრძოლო ხელოვნების ტრადიციებზე და მიღწევებზე და იმ ვერაგულ ღონისძიებებზე, რომელიც რუსეთმა საქართველოს გაუკეთა, ერთხელ კიდევ ადასტურებს საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის არსებობის და თქვენი დახმარებით მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობას, ჩვენი აკადემიის სტრატეგიული კურსის სრულ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

ქვეყნის საზოგადოებრიობის დარწმუნების მიზნით ამ განცხადების შინაარსის ობიექტურობაში ბატონ ა. დიდებულიძეს სატელევიზიო დებატებში ვინვევ.

დანართი. განცხადებას თან ერთვის ცხრა დანართი, რომელთა დანიშნულებაც მითითებულია ტექსტში.

ღრმა პატივისცემით **გივი იოსების ძე იასეშვილი**, საცხოვრებელი ბინის მისამართი, 380086, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-3 კვარტალი, მე-8 კორპუსი, ბინა 30. ტელ. 32-39-00 (ბ).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს ბატონ თამაზ გამყრელიძეს

დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის
საქართველოს სამხედრო მეცნიერების
აკადემიის პრეზიდენტის გივი იოსების ძე იასეშვილის

განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ 2007 წლის 23 ივლისს ახლადაშენებული თავდაცვის სამინისტროს ეზოში ახალგაზრდა ოფიცერთა კორპუსის წინაშე გაკეთებული მოხსენების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა სამხედრო მეცნიერების – საბრძოლო ხელოვნების აქტუალურ პრობლემებს.

ჩემს მიერ თქვენს სახელზე წარმოდგენილი ხუთი განცხადების და თანდართული უამრავი ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა სარეგისტრაციო ნომრებია თქვენს კანცელარიაში: N7-391/67, 08.06.06წ., N7-391/72,29.06.06 წ., N7-391/76,27.07.06 წ., N7-391/98,13.12.06 წ.; N7-391/61,15.05.07 წ.

და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბატონ ლეო ჩიქავას დახასიათება-რეკომენდაციის საფუძველზე – იხილეთ დანართი N1.

გთხოვთ, რომ 2008 წლის ნობელის საერთაშორისო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსზე წარადგინოთ ჩვენი აკადემიის მიერ დამუშავებული მონოგრაფია „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია (ინფორმაციული ბრძოლის ფორმები და წესები)“ – იხილეთ დანართი N2. (ჩაბარებული მაქვს).

ამ მონოგრაფიის დამუშავებაში, ჩემი ხელმძღვანელობით, აკადემიის მთელ კოლექტივთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანეს: თქვენი აკადემიის აკადემიკოსმა ბატონმა შოთა ნადირაშვილმა და წევრ-კორესპონდენტმა ბატონმა ლეო ჩიქავამ, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ბატონმა გივი ლეფონავამ და ჩვენი აკადემიის დამაარსებელი საინიციატივო

ჯგუფის წევრებმა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებმა გულაბერ ანა-ნიაშვილმა და გამარლი დოხნაძემ.

1995 წელს, ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ციკლი წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე, ხოლო 2006 და 2007 წლებში ზედიზედ ვმონაწილეობდი საქართველოში წლის საუკეთესო მეცნიერის გამოსავლენად გამართულ კონკურსში.

ამ განცხადების შინაარსი პრესითა და ტელევიზიით გთხოვთ გახადოთ ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი.

დანართი:

დანართი N1 _ ბატონ ლეო ჩიქავას დახასიათება-რეკომენდაცია.

დანართი N2 _ მონოგრაფია „სამხედრო მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგია“, (ჩაბარებული მაქვს), რომლის განხილვაც თქვენს პრეზიდენტზე ბიუროკრატიულად გაჭიანურდა. ამ მონოგრაფიის მოდიფიცირებულ ვარიანტს, საჭიროების შემთხვევაში მომავალში წარმოგიდგენთ.

ღრმა პატივისცემით
თქვენი გივი იოსების ძე იასეშვილი

დანართი N1

საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, პროფ.
გივი იოსების ძე იასეშვილი როგორც მეცნიერი და
საზოგადო მოღვაწე

